საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (208)
12 – 18 ივნისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

5 რუსეთის სახელმწიფო დუმამ კანონით აკრძალა ლგბტ პროპაგანდა



ირინა სარიშვილი:

## რესპუბლიკური პარტია ივანიშვილის ერთადერთი გარემოცვაა 11



ალექსანდრე ჭაჭია:

## ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი... 2

მამუკა არეშიძე:

რატომ არიან ქართველები მაინცდამაინც ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც ყველაზე ცხელ წერტილად ითვლება? 10

4 რისთვის იბრძვის ქართული ჯარი ავღანეთში?



## სააკაშვილმა საქართველოს ჯიჰადი გამოუცხადა? 2



ნინო ბურჯანაძე:

## ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგენილა 6

დალილა ხორავა:

როგორც ექიმი და ფსიქოლოგი, ვამბობ, რომ სააკაშვილის ქმედება აბსოლუტურად მიუღებელია... 16

დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი ნატოსთან დაკავშირებით 17



ვალერი ჩხეიძე:

## 6 ივნისის ტერაქტი, სამწუხაროდ, უკანასკნელი არ იქნება 9

## საგარეო საქმეთა მინისტრმა საშინაო ნაღმს დააბიჯა 13

მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ «სტალინი არანაკლებ დამნაშავეა, ვიდრე ჰიტლერი». მას სასამართლოში უჩივლეს და ბოდიშის მოხდას სთხოვენ

14

## თეთრი მონების სასაკლაო

ავღანეთში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების სრული სია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.“**

ალექსანდრე ჭაჭია:

# ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...

დასასრული. დასაწყისი იხ. №19-20 (207)

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუს მესამე, დასკვნით ნაწილს.**

**— ბატონო ალექსანდრე, საზოგადოებრიობის ლიბერალური, პროდასავლური ნაწილი გვარწმუნებს, რომ ეკლესიის ჩარევა საჯარო ცხოვრებაში, და საერთოდ, ტრადიციული საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება — ეს არქაიკაა, ანაქრონიზმია, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და ზღუდავს მის თავისუფლებებს.**

— მორალია ანაქრონიზმი? ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ყალიბდება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკულად აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში პლატონი ამბობდა, რომ აბსოლუტური თავისუფლებისგან ყოველთვის წარმოიშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობა.

**იცით, როგორ გეგმავდა ჰიტლერი დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოლას, მათი გამრავლებისა და გონებრივი განვითარების არდაშვებას?** ხალხის უმრავლესობას კინოფილმების გავლენით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი აპირებდა მკაცრი დისციპლინის დამყარებას, ერების მუდმივ შიშში ყოლას, მათთვის ყველანაირი თავისუფლების შეზღუდვას... მაგრამ იყო აბსოლუტურად პირიქით! **ჰიტლერი საჭიროდ თვლიდა დაპყრობილი ერებისთვის ინდივიდუალური თავისუფლებების მაქსიმუმის მინიჭებას, მათზე სახელმწიფო კონტროლის ყოველგვარი ფორმის გაუქმებას და სწორედ ამ გზით იმის მიღწევას, რომ ეს ერები ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე აღმოჩნდებოდნენ.** მე სიტყვა-სიტყვით მოგიყვანთ ჰიტლერის ფრაზას: რაც უფრო პრიმიტიულია ხალხი, მით უფრო მეტად აღიქვამს თავისუფლების შეზღუდვას, როგორც ძალადობას მის მიმართ. იგი თვლიდა, რომ ამ ერებს უნდა მინიჭებოდა სრული სექსუალური თავისუფლება, ნებადართული ყოფილიყო ყველანაირი რელიგიური სექტა, სახელმწიფომ არ უნდა დააძალოს სწავლა, მკურნალობა, ყველანაირად უნდა წაახალისოს უდარდელი ცხოვრებისკენ, რისთვისაც ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა დაეყენებინათ რეპროდუქტორები, რომლებიდანაც დღე და ღამე ისმის მხიარული მუსიკა. ცხოვრების მთავარი სტიმული ამ ერებისთვის უნდა ყოფილიყო სამრეწველო პროდუქციის შეძენა, მაგრამ ამ ერებს გერმანელებისგან ცალკე უნდა ეცხოვრათ. გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ ვალდებულნი, დაეცვათ მკაცრი მორალური ნორმები, ეროვნული ტრადიციები, განევითარებინათ ეროვნული კულტურა, ბეჯითად ესწავლათ, დაუფლებოდნენ მაღალტექნოლოგიურ პროფესიებს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უმკურნალოს ყველა გერმანელს, შეუქმნას მას ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არ დაუშვას რელიგიური სექტების ჩამოყალიბება. **დისციპლინა და ვალდებულებები — მხოლოდ გერმანელებისთვის, ყველა დანარჩენს — სრული თავისუფლება.**

როგორც ხედავთ, ალენ დალესი საბჭოთა კავშირის დაშლის თავისი ცნობილი დოქტრინით, უბრალოდ, ჰიტლერის მოსწავლეა. **ახლა კი შეადარეთ ის თავისუფლებები, რომლებიც ჰიტლერს უნდოდა, ჩვენთვის მოენიჭებინა ჩვენივე დეგრადაციისთვის, იმ თავისუფლებებს, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი და მათი დასავლური კურატორები ითხოვენ. ერთი და იგივე არ არის?**

საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირების პროცესში თავისუფლების ცნება ყველაზე გამოყენებადია. 20 წელია, ჩვენი მმართველები გვარწმუნებენ, რომ გვიბოძეს თავისუფლება, გაგვათავისუფლეს „საბჭოთა მონობისგან“, მაგრამ რაში გამოიხატება ეს თავისუფლება? **თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ასეთი საშუალება, უნდა გაგვაჩნდეს აუცილებელი – სახლი, სამსახური, ხელფასი, პენსია, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ არჩევანის უფლება. ღარიბი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ყველაფერზე წავა სამსახურისა და ხელფასის გამო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში მოგზაურობის თავისუფლება. დიახ, ეს თავისუფლებაა, როდესაც შეგიძლია შენი სიამოვნებისთვის წახვიდე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამის საშუალება მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, ხოლო როდესაც ერის ნახევარი მიემგზავრება ლუკმაპურის საშოვნელად, ეს თავისუფლება არაა, ეს მონობაა.**



**«დიპლომატია და არა არმია შეიძლება გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი»**

ჩვენ გაგვათავისუფლეს, მაგრამ გაგვათავისუფლეს ჩვენი უფლებებისგან — მუშაობის, საცხოვრებლის, უფასო განათლებისა და ჯანდაცვის უფლებისგან. გვეუბნებიან, რომ მოგვცეს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ამ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ხელისუფლებას გააჩნია ვალდებულება იკითხოს, ისმინოს და რეაგირება მოახდინოს. შევარდნაძის და სააკაშვილის დროსაც შეიძლებოდა ყველაფრის დაწერა, მაგრამ რა სარგებელი მოიტანა ამან, თუ ხელისუფლება წამოწეულ პრობლემაზე არანაირად არ რეაგირებდა? სარგებელი ჰქონდა მხოლოდ ხელისუფლებას, რომელიც ამაყად აცხადებდა, რომ ქვეყანაში არსებობს სიტყვის თავისუფლება.

ლიბერალი დასავლეთელები თავისუფლებას ეძახიან იმასაც, რომ ქვეყანაში შემოიჭრა დასავლური საქონელი, ჩვენ გავხდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და დღეს ყველა ადამიანს თითქოსდა შეუძლია შეიძინოს მისთვის საჭირო ნივთი. **მთელი პროპაგანდა, სატელევიზიო რეკლამა, მთელი თავსმოხვეული ცხოვრების წესი უბიძგებს ადამიანს სულ ახალი და ახალი საქონლის მოხმარებისა და შეძენისკენ. და ეს ხდება გაძარცვულ ქვეყანაში, რომელსაც ღარიბი მოსახლეობა ჰყავს! და ეს, მათი აზრით, არის თავისუფლება!** ჯერ ერთი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა იმ დროს, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული ეკონომიკა და კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ნიშნავს გაანადგურო საკუთარი მეწარმე და გახდე სხვისი საქონლის მომხმარებელი. მეორე, საკუთარი მოქალაქეების ორიენტირება მოხმარებაზე, მითუმეტეს სხვისი საქონლის, ნიშნავს, ჰიტლერის რეცეპტით გადააქციო ისინი პირუტყვებად, რომელთა ცხოვრების მთელი სიხარული და აზრი დევს ახალი ნივთის შეძენაში. შეხედეთ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს, რომელიც სამომხმარებლო პროპაგანდის ქვეშ ჩამოყალიბდა. როგორი ცხოვრებისეული მიზნები აქვთ მათ? იყიდონ მობილური ტელეფონის ახალი მოდელი, შეიძინონ ახალი მოდელის კომპიუტერი, ვინც უფრო მდიდარია — ავტომობილის ახალი მოდელი და ა. შ. ხოლო ტელერეკლამა ყოველდღე ყვირის: „გამოვიდა ახალი მოდელი!“ „შეიძინეთ ახალი მოდელი!“ „იყიდეთ, არ ჩამორჩეთ მოდას!“. **ხალხს მაიმუნებად, იდიოტებად აქცევენ, რომელთათვისაც ბედნიერება ახალი ნივთის, ახალი საქონლის შეძენაშია. მთელ მსოფლიოში ადამიანების იდიოტებად გადაქცევით საერთაშორისო კაპიტალი ისეთ ფულს შოულობს, რომელთან შედარებითაც სახსრები, რაც იდება ადგილობრივი ლიბერალების მხარდასაჭერად, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს უწევენ პროპაგანდას, — უმნიშვნელოა.**

სამომხმარებლო საზოგადოების შექმნით ევროპა ჩიხში შევიდა. იმავე ჩიხშია ახლა აშშ, რომელიც ჯერჯერობით ახერხებს არაფრით უზრუნველყოფილი დოლარით, 136 სამხედრო ბაზის მუქარითა და კოლოსალური საგარეო ვალით მთელი მსოფლიოს ექსპლუატაციას და საკუთარ ქვეყანაში მოხმარების დონის შენარჩუნებას. მაგრამ ევროპაშიც და აშშ-შიც, როდესაც ისინი აყალიბებდნენ ამ მოხმარების საზოგადოებას, გააჩნდათ შესაბამისი რესურსები. და როგორი რესურსები აქვს საქართველოს? რით შეუძლია საქართველოს დააკმაყოფილოს პროპაგანდის მიერ კულტივირებული მოთხოვნები? როგორი გაიზრდება თაობა, რომელსაც მოუწოდებენ, იცხოვრონ „როგორც ისინი“, მაგრამ რომელსაც ამისთვის არავითარი რესურსი არ გააჩნია?

**— შეუძლია თუ არა პატარა, სუსტ საქართველოს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ დასავლური „ღირებულებების“ აგრესიულ თავსმოხვევას? პატარა წინააღმდეგობაც კი ევროპული სტრუქტურების, ამერიკის ხელისუფლების მხრიდან აღშფოთების ტალღას იწვევს. ამიტომ საზოგადოებაში ხშირად გაისმის ხოლმე ასეთი მოსაზრება: შეიკრიბონ ეს ჰომოსექსუალები ერთად და იარონ თავიანთი პლაკატებით, ჩვენ რა?**

— საქმე ისაა, რომ ქუჩებში სიარულით ეს არ დამთავრდება. როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს. შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ველარ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება. მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს. ჰოლანდიაში, მაგალითად, უკვე შეიქმნა პედოფილთა პარტია, რომელიც ითხოვს მათი უფლებების დაკანონებას. შვეიცარიაში ინცესტი, ანუ მშობლებსა და შვილებს, ძმებსა და დებს შორის სექსუალური ურთიერთობები ოფიციალურად ნებადართულია. ასეთივე კანონები მზადდება სკანდინავიის ქვეყნებში. აშშ-ში გახსნილია სკოლები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ბავშვებისთვის. იურიდიული სფეროდან ქრება ისეთი ცნებები, როგორიც არის „მამა“, „დედა“, „ქმარი“, „ცოლი“. საფრანგეთში, მაგალითად, ამის ნაცვლად მიღებულია „მშობელიN1“, „მშობელიN2“, „პარტნიორები“. ეს ყველაფერი ჩვენამდეც მოვა.

**ერები, რომლებიც ამ „დასავლური ღირებულებების“ კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომელთაც ძალუძთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ „თავისუფლებებს“ და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად.** ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება — იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალისტების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. **ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის – ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა.** ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.

ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი გვარწმუნებს, რომ მსოფლიოს მომავალი ჩინეთსა და ისლამს ეკუთვნის. ჩინეთი დასავლეთისგან ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების ►

„საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის მენტალობის გამო... საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «პოლიტიკური ელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესისთვის მჩაგვრელი «დემოკრატიის კუნძულის» როლი საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყანასა და ხალხს ეს როლი დაღუპვას უქადის»

გეზია სახელმწიფო რეგულირებით და განსაკუთრებული მსოფლმხედველობაა, რომელიც ადამიანის სულისა და ასკეტიზმის ფილოსოფიაზეა აგებული. ისლამი რელიგიური ზნეობრივი ნორმებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის მკაცრი დაცვაა. ორივე შემთხვევაში საფუძვლის საფუძველი ტრადიციაა. მადლობა ღმერთს, რომ მართლმადიდებლობა, მიუხედავად ძლიერი წნეხისა, ჯერჯერობით მყარად დგას ადამიანის, როგორც ღვთის ქმნილების, დასაცავად. არის მონაცემები, რომ ბოლო წლებში ევროპაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამწყსოებში მრევლის რაოდენობა კათოლიკეებიდან და პროტესტანტებიდან მართლმადიდებლობაში გადმოსულების ხარჯზე იზრდება. ეს გასახარი ტენდენციაა.

**რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის მინიმუმ ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში არანაირი პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს.** ისინი დაკავებულები არიან ლობიზმით – როგორც ოფიციალურით, ისე მექრთამეობაზე აგებულით. თავიანთ სახელმწიფოებში ქრთამის აღების ეშინიათ და იღებენ ისეთ პროვინციულ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც ამ პარლამენტარებს, როგორც კერპებს, ისე უყურებენ. სახალხო პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად აკრიტიკებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, უბრალოდ ცდილობს აითვისოს ის ფული, რომელიც წინა ხელისუფლებამ გადაუხადა. ივანიშვილმა მათ წერილები კი არ უნდა მისწეროს, არამედ ფული გადაუხადოს და ისინი მასაც ისევე შეაქებენ, როგორც მიშას აქებდნენ.

**— გადაწყდა, რომ წლეულს, დამოუკიდებლობის დღეს არ გამართულიყო სამხედრო აღლუმი. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ამით დაირღვა ტრადიცია და საკუთარი არმიისადმი უპატივცემულობა გამომჟღავნდა...**

— **თანამედროვე საქართველოში სამხედრო აღლუმები სასაცილო და სამარცხვინო მოვლენაა. ჩამოყალიბებიდან დღემდე ქართული არმია დამარცხდა ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც კი მონაწილეობდა, ამასთან, ყოველი დამარცხების შემდეგ იმართებოდა ბრწყინვალე აღლუმები მაღალფარდოვანი ტრაბახით.** დღემდე პირად შეურაცხყოფად მიმაჩნია აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ გამართა. მისი არმია პანიკურად გამორბოდა იქიდან და უპატრონოდ ტოვებდა მოსახლეობას — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. ყველაზე წინ გენერლები გარბოდნენ... და მერე იგივე გენერლები თავიანთ მთავარსარდალთან ერთად, სადღესასწაულო მუნდირებში გამოწყობილნი, ტრიბუნაზე იდგნენ და ამაყად იბარებდნენ გამოქცეული არმიის აღლუმს. ამ დროს კი ჭუბერის უღელტეხილზე ქალები შიმშილისგან გარდაცვლილ შვილებს მარხავდნენ.

სააკაშვილმა ეს პრაქტიკა სრულ მარაზმამდე მიიყვანა. ომში დამარცხების აღნიშვნა მან არამარტო აღლუმებით გააგრძელა, არამედ გრანდიოზული კონცერტებიც დაუმატა. სხვათა შორის, ქართულ აღლუმებს ყოველთვის აჩვენებდნენ აფხაზური და ოსური ტელევიზიები. ჩვენს არმიასა და სამხედრო აღლუმებზე იქ ათობით ანეკდოტს ყვებიან. ვფიქრობ, დროა, აღარ ვიყოთ ხალხის თვალში სასაცილონი.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გადახედოს მისთვის თავსმოხვეულ წარმოდგენას ჩვენი არმიის როლსა და მნიშვნელობაზე. საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ მეზობელ ქვეყნებთან, ხალხებთან უთანხმოების მოგვარებას ძალისმიერი გზით ვერ შევძლებთ. ჩვენ არასოდეს გვეყოლება ისეთი არმია, რომელიც შეძლებს დაუპირისპირდეს რუსეთს, ირანს, თურქეთს. სწორედ ეს გიგანტური სახელმწიფოებია ჩვენი მეზობლები და ჩვენი მეზობელი პატარა ქვეყნების მოკავშირეები. საზოგადოების ორიენტირება „თანამედროვედ შეიარაღებული ძლიერი არმიის“ აუცილებლობაზე — ეს არის ხელისუფლებისა და მისი უცხოელი კურატორების ბლეფი და გულუბრყვილო ობივატელის მავნე ფანტაზია.

**თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალიწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეოპოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად.** ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ **დიპლომატია და არა არმია შეიძლება გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი.**

უკვე 20 წელია, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ კეთილშობილი ამერიკელები ეხმარებიან საქართველოს პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბებაში ჩვენი თავდაცვის უზრუნველსაყოფად. არიან ადამიანები, რომელთაც ეს სჯერათ. მაგრამ საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ **ამერიკელები ჩვენს არმიას მხოლოდ იმიტომ აფინანსებენ, რომ თავისივე ინტერესებისათვის გამოიყენონ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, სადაც მათ ცოცხალი ძალა სჭირდებათ.** სამხედრო ეკონომისტები ციფრების ენაზე აგიხსნიან, რამდენად ხელსაყრელია ამერიკისთვის ქართული ბატალიონის შენახვა ამერიკულთან შედარებით, რამდენად ხელსაყრელია მისთვის ქართველი ჯარისკაცის დაღუპვა ამერიკელის დაღუპვასთან შედარებით, რომლის ოჯახს მსგავს შემთხვევაში კოლოსალური სადაზღვევო თანხა უნდა გადაუხადოს. ამიტომ ჩვენ ჯარისკაცებს კიდევ დიდხანს მოუწევთ „ავღანელი ხალხის თავისუფლებისთვის“ სისხლის დაღვრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკა სადღაც ვიღაცას გამუდმებით ეომება, ავღანეთით „სხვის ომში“ ჩვენი მონაწილეობა არ ამოიწურება. ხელისუფლება და სულელი ობივატელი კი ხალხს იმას ჩასჩიჩინებენ, რომ ჩვენი ჯარისკაცები იქ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის იბრძვიან. **ჩვენი პოლიტიკოსები იმით ამაყობენ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანია, ამერიკულის შემდეგ. მაგრამ ასე იმიტომ კი არ არის, რომ სხვა ქვეყნებს უფრო მცირერიცხოვანი ან ნაკლებადმომზადებული არმიები ჰყავთ, უბრალოდ, იმ ქვეყნების ხელისუფლებასა და საზოგადოებას, მათ შორის ნატოს წევრებისაც, არ სურთ ამერიკულ ავანტიურაში ჩათრევა და ისლამური სამყაროს სიძულვილისა და აგრესიის გამოწვევა. ჩვენ კი, მუსლიმანი ხალხების გარემოცვაში მყოფნი, ჯიუტად მივდივართ ამ თვითმკვლელობაზე.**

**— ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმით იმართლებენ, რომ ავღანეთში წასვლას არავის აძალებენ და ჯარისკაცები იქ ნებაყოფლობით მიდიან...**

— როდესაც ხელისუფლება ქვეყანაში ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ქმნის, რომ ჯანმრთელ ახალგაზრდას არ შეუძლია სხვაგვარად ირჩინოს თავი, თუ არა ომებში საკუთარი სისხლი დაღვაროს, ასეთი ხელისუფლება ჩადის დანაშაულს საკუთარი ერის წინაშე.

**— მსოფლიო იძირება გლობალურ დაპირისპირებაში. უკვე, ფაქტობრივად, დაწყებულია ცივილიზაციათა ომი, ერთმანეთს ეჯახებიან გლობალური ძალები. ასეთ პირობებში როგორ უნდა გადაირჩინოს თავი პატარა საქართველომ? გასაგებია, რომ არმია ამაში ვერ გვიშველის. თქვენ ახსენეთ დიპლომატია, აწონ-დაწონილი ჭკვიანური საგარეო პოლიტიკა, ეს საკმარისია?**

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს საქართველოს როლისა და ფუნქციის შესახებ საერთაშორისო კონტექსტში. შევარდნაძემ და სააკაშვილმა გარეშე ძალთა მითითებით საქართველოს თავს მოახვიეს „პრობლემური ქვეყნის“, „მინავლული ცხელი წერტილის“ როლი. რუსეთთან დაპირისპირების სპეკულირებით, რეგიონში საკუთარი რეჟიმის დასავლური დემოკრატიის ფორპოსტად წარმოჩენის სანაცვლოდ ისინი დასავლეთისგან კრედიტებს, სუბსიდიებს, გრანტებს ღებულობდნენ, პარალელურად კი ეროვნულ სიმდიდრეს ყიდდნენ, მიწის ჩათვლით. მიღებული ფული ჩაიჯიბეს, მხოლოდ ნაწილი მოახმარეს ხალხის ლატაკური ყოფის უზრუნველყოფას. ეს ხარჯები კიდევ უფრო რომ შეემცირებინათ, ყოველნაირად ხდებოდა იმ სოციალური პროცესების წახალისება, რომლებიც ხელს უწყობდა ემიგრაციას, შობადობის შემცირებას, მოსახლეობის სიკვდილიანობას. **პოლიტიკური ელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესისთვის მჩაგვრელი „დემოკრატიის კუნძულის“ როლი საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ ქვეყანასა და ხალხს ეს როლი დაღუპვას უქადის.**

მიმაჩნია, რომ **საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც მას ისტორიულად ერგო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობის, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის მენტალობის გამო.** საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ **საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური არსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის.** მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ომის გაჩაღებით, რამაც ეთნოკონფლიქტების სახე მიიღო, უდავოდ სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის ჭკვიანურად დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც, მაგალითად, ავანტიურისტი ხელისუფლების ვოლუნტარისტული ჩარევა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

**იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზირებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან.** სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადასაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვენეული გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის.

**საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი — ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში — უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენ უსაფრთხოებას.** გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში ძალიან სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში. ჩვენ უკვე დაგვავიწყდა, რომ თბილისი, რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, კავკასიის შესწავლის ცენტრი იყო, ხოლო გასული საუკუნის 30-70-იან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლა პირველი იყო საბჭოთა კავშირში.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ **საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს.** მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსავითარებლად. ამასთან, საქართველოს თავისუფლად შეუძლია იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. დღესაც კი საქართველოში მკურნალობაზე მოთხოვნა კავკასიაში საკმაოდ მაღალია; ამ დარგში ფულის ჩადება მნიშვნელოვან მოგებას მოიტანს. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა აღვადგინოთ და გავაღრმავოთ იგი.

**არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. ჭკვიანური მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს — თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.**

მე ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა. მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრალიზაცია, სამეგრელოს აოხრება და გაძარცვა, აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის სისხლიანი მოღვაწეობა. საქართველო დაიქცა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო დეგრადაციის პროცესი. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი. **დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს „ქართული ოცნება“.**

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

**«ამერიკელები ჩვენს არმიას მხოლოდ იმიტომ აფინანსებენ, რომ თავისივე ინტერესებისათვის გამოიყენონ მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში, სადაც მათ ცოცხალი ძალა სჭირდებათ»**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომი გრძელდება. ქართველი სამხედროები იღუპებიან. საზოგადოების უკმაყოფილება იზრდება და პოლტიკოსებს სულ უფრო ხშირად უწევთ იმ არგუმენტების მოშველიება, რომელიც ავღანეთში ამდენი ქართველი სამხედრო მოსამსახურის ყოფნას ამართლებს. ისინი ხშირად საუბრობენ ბრძოლაზე ან ომზე ტერორიზმთან, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს, ჯორჯ ბუშ-უმცროსის დროინდელი ფორმულირება, აგერ უკვე სამი წელია, აღარ გამოიყენება.**

# რისთვის იბრძვის ქართული ჯარი ავღანეთში?

**„ტერორიზმთან ბრძოლა ურთულესი და, ამავე დროს, მეტად საპატიო მისიაა, რომელსაც, საერთაშორისო სამშვიდობო ძალებთან ერთად, გმირი ქართველი სამხედროები ღირსეულად ასრულებენ. ჩვენი ჯარისკაცები საქართველოდან შორს, უცხო მიწაზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს იცავენ. ეს ბიჭები ჩვენი სახელმწიფოს სტაბილურობის, ჩვენი შვილების, ჩვენი მომავალი თაობების უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. მიუხედავად ამ თავზარდამცემი ტრაგედიისა, ჩვენ ვერაფერი გაგვტეხს, უკან ვერავინ დაგვახევინებს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა მიმართვაში, რომელიც ავღანეთში 7 ქართველი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შემდეგ გავრცელდა. ამ განცხადებისა და ხელისუფლების სხვა წამომადგენელთა კომენტარების შინაარსი და ზოგადი სულისკვეთება ცალსახად მიუთითებდა იმაზე, რომ ავღანეთიდან ქართული კონტინგენტის გამოყვანა ან რამდენადმე შესამჩნევი შემცირება ახლო მომავალში არ იგეგმება. რა მოტივები დგას ამ გადაწყვეტილების უკან და რა საფრთხეებს უკავშირდება ის საქართველოსთვის?**



**არ არსებობს არანაირი ოფიციალური შეთანხმება, რომელიც ავღანეთში მონაწილეობასა და ნატოში გაწევრიანებას შორის რაიმე სახის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დააფიქსირებს**

## ავღანური მითების კრებული

ბიძინა ივანიშვილს არასოდეს უთქვამს, რომ ავღანეთიდან ქართველ სამხედროებს გამოიყვანს ან მათ რაოდენობას მკვეთრად შეამცირებს, თუმცა გარკვეული მოლოდინი მასთან დაკავშირებით არსებობდა და ეს შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: პირველი კომენტარი ამ თემაზე „ქართული ოცნების“ ლიდერმა 2011 წლის 1 ნოემბერს, თავის პირველ პრესკონფერენციაზე გააკეთა: **„ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით ავღანისტანსა და ერაყში პატარა პარტნიორობა ასეთი დიდი გაერთიანების. ძალიან საინტერესო პოზიცია გვიჭირავს ჩვენ ამ კუთხით და მომავალშიც გავაგრძელებთ. კონკრეტულად რამდენად საჭიროა, რამდენი უნდა დავამატოთ თუ გამოვაკლოთ, ეს იქნება ანალიზის შემდეგ“** და შემდგომ ამ თემაზე დაახლოებით იმავე შინაარსის განცხადებებს აკეთებდა. „ნაციონალების“ პროპაგანდამ მაშინ კონტექსტიდან ამოგლიჯა სიტყვა „გამოვაკლოთ“ და ხმაური ატეხა (არიქა, ჯარი გამოჰყავს და შტატებთან ურთიერთობას გვიფუჭებსო), რის გამოც საზოგადოების ნაწილში გავრცელდა მცდარი წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ივანიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაცის შეცვლას აპირებს, თუმცა საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ მოლოდინს რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ზემოხსენებულმა „ანალიზმა“, როგორც ჩანს, მიიყვანა პრემიერ-მინისტრი დასკვნამდე, დატოვოს ავღანეთში ყველაფერი ისე, როგორც ადრე იყო.

**ომი გრძელდება. ქართველი სამხედროები იღუპებიან. საზოგადოების უკმაყოფილება იზრდება და პოლტიკოსებს სულ უფრო ხშირად უწევთ იმ არგუმენტების მოშველიება, რომელიც ავღანეთში ამდენი ქართველი სამხედრო მოსამსახურის ყოფნას ამართლებს. ისინი ხშირად საუბრობენ ბრძოლაზე ან ომზე ტერორიზმთან, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს, ჯორჯ ბუშ-უმცროსის დროინდელი ფორმულირება, აგერ უკვე სამი წელია, აღარ გამოიყენება.** პენტაგონის დოკუმენტებში ფიგურირებს, უბრალოდ, „საგანგებო ოპერაცია უცხოეთში“ და სხვა ბუნდოვანი ფორმულირებები; ობამას ადმინისტრაციამ შეგნებულად უარყო ეს ტერმინოლოგია, რათა წინამორბედის პოლიტიკისგან დისტანცირება მოეხდინა. 2010 წლის მაისში, როდესაც ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რატომ ამოიღეს „ომი ტერორიზმთან“ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიიდან, ობამას მრჩეველმა შიდა უსაფრთხოებისა და ანტიტერორისტულ საკითხებში (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამჟამინდელმა დირექტორმა) **ჯონ ბრენანმა** უპასუხა: **„ჩვენი მტერი ტერორიზმი არ არის, რადგან ტერორიზმი მხოლოდ ტაქტიკაა“.** კიდევ უფრო საინტერესო მოსაზრება 2009 წლის 15 იანვარს „გარდიანის“ ფურცლებზე წერილში სათაურით „ომი ტერორთან შეცდომა იყო“ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა **დევიდ მილიბენდმა** გაგვიზიარა: **„ტერორიზმთან ომის წარმოების მოწოდება წარმოადგენდა იარაღის აღების მოწოდებას და სოლიდარობის დაფუძნების მცდელობას დაპირისპირებაზე საერთო მტერთან. მაგრამ სოლიდარობა ქვეყნებსა და ერებს შორის ეფუძნება არა იმას, თუ ვის წინააღმდეგ ვიბრძვით, არამედ წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ ვინ ვართ და რა ღირებულებები გვაერთიანებს“.** ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს უმნიშვნელო ტერმინოლოგიური ნიუანსებია. არადა, სხვაობა პრინციპულია. ასეა თუ ისე, ვითარება მეტად პარადოქსულია, **მაშინ, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები საზოგადოებას არწმუნებენ, რომ საქართველო ავღანეთში ტერორიზმს ებრძვის, მისმა მთავარმა კოალიციურმა პარტნიორებმა აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ეს ომი თურმე, დიდიხანია, დაასრულეს და ახლა სულ სხვა ტიპის ომს აწარმოებენ.**



თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილმა სცადა საუბრის დაწყება ავღანური დემოკრატიის დაცვაზე, თუმცა მალევე გაჩუმდა, რადგან ჰამიდ კარზაის კორუმპირებული რეჟიმის წარმოჩენა „ახალგაზრდა დემოკრატიად“ წარმოუდგენლად რთული ამოცანაა, თანაც ადგილობრივი აუდიტორიისთვის გაუგებარია, რატომ უნდა გააკეთონ ეს მაინც და მაინც ქართველებმა. საბოლოოდ, მთელი ამ რიტორიკისგან დარჩა ერთადერთი პოსტულატი იმის თაობაზე, რომ ზეაქტიური მონაწილეობა ავღანურ მისიაში საქართველოს ნატოში გაწევრიანებას უადვილებს. ის განიხილებოდა, როგორც ერთგვარი პოლიტიკური ბარტერის, აშშ-ნატოსთან პრაგმატული გარიგების ნაწილი (ძნელი სათქმელია, რამდენად თავსებადია ეს პრაგმატიზმი ტერორიზმთან ბრძოლის და დემოკრატიის დაცვის ლოზუნგებთან, თუმცა ამჯერად ამას თავი დავანებოთ). ეს იდეა ქართულ პოლიტიკურ მითოლოგიაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს, მიუხედავად იმისა, რომ **არ არსებობს არანაირი ოფიციალური შეთანხმება, რომელიც ავღანეთში მონაწილეობასა და ნატოში გაწევრიანებას შორის რაიმე სახის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დააფიქსირებს.**

## ურემი გადაბრუნდა, გზა არ გამოჩნდა

ურთიერთობას აშშ-საქართველო-რუსეთის (ბერმუდის) სამკუთხედში უამრავი ასპექტი აქვს, თუმცა წამით წარმოვიდგინოთ, რომ მთელი მსოფლიო პოლიტიკა მხოლოდ ავღანური საქმეებით შემოიფარგლება და ამა თუ იმ ქვეყნის პერსპექტივა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა წვლილი შეაქვს მას კოალიციის ოპერაციებში. **თუ სიტუაციას თბილისიდან შევხედავთ, საქართველო უდავოდ ერთ-ერთ მთავარ კონტრიბუტორად მოგვევლინება, რომელსაც დამსახურებული ჯილდო ეკუთვნის, მაპ-ის მინიჭება იქნება თუ ალიანსში გაწევრიანება, თუმცა ვაშინგტონში ყოველივე ეს ცოტა სხვანაირად აღიქმება.**

ომი არამხოლოდ იარაღის ჟღარუნია, როგორც მიხეილ სააკაშვილს ეგონა და, შესაძლოა, დღესაც ჰგონია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ლოჯისტიკა. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო წლებში ავღანეთში რუსეთის გავლით 379 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 45 ათასზე მეტი სატვირთო კონტეინერი მოხვდა. 2011 წელს კოალიციის ტვირთების 40 პროცენტმა „რუსულ დერეფანში“ გაიარა.** იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი ამ არხს გადაკეტავს, ავღანეთში მყოფი დაჯგუფება უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან ამ ნაკადის სწრაფი გადამისამართება, უბრალოდ, შეუძლებელია. **უღირს თუ არა ვაშინგტონს, საქართველოს სასარგებლოდ ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომლითაც რუსეთს გადაიმტერებს? ეს, სავარაუდოდ, არ მოხდება იმ წარმოსახვით სიტუაციაშიც კი, რომელშიც, ავღანური ოპერაციის გარდა,** (რომელშიც საქართველოს წვლილი არაპროპორციულად დიდია) **ამქვეყნად არაფერი არსებობს, რეალურ სამყაროში კი წინაღობა გაცილებით მეტია.**

საქართველოს ინტეგრაცია ნატოში დღესდღეობით დაბლოკილია „ძველი ევროპის“ ქვეყნების (უპირველესად, გერმანიის მიერ), ხოლო ყველაზე მეტად მას ხელს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული მდგომარეობა უშლის. თუმცა მოსკოვი არ კმაყოფილდება იმ შედეგით, რომელსაც მიაღწია, და საკითხის საბოლოო მოგვარებისკენ მიისწრაფვის — მას სურს, რომ უარი ნატოში გაწევრიანებაზე თავად საქართველომ თქვას და, უკრაინის მსგავსად, ეს ოფიციალურად დააფიქსიროს.

იმ განმუხტვის მიუხედავად, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ბოლო დროს ნამდვილად შეინიშნება, ნეგატიური სიგნალები ჩრდილოეთიდან ისევ გაისმის და თანდათან სულ უფრო ინტენსიური ხდება (ინციდენტი დიცში, გენადი ონიშენკოს განცხადებები და ა. შ.). **გამორიცხული არაა, რომ კრემლი მიანიშნებს ▶**

**გამორიცხული არაა, რომ კრემლი მიანიშებს ივანიშვილს, რომ ვერ ხედავს არსებით განსხვავებას მასა და სააკაშვილს შორის მკვეთრად პროდასავლური პოლიტიკის გატარების და ნატოში სწრაფვის თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, კვლავინდებურად ხისტად იმოქმედებს, მანამ, სანამ საწადელს არ მიაღწევს. ნატოში საქართველოს ინტეგრაციის არდაშვებას რუსეთისთვის ძალიან მაღალი ფასი აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, ის მზადაა, იომოს, რათა ეს გამორიცხოს.**

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ დასავლეთი, უპირველესად კი, აშშ მზადაა, საქართველოს გულისთვის, არათუ „ყირიმის ახალ ომზე“, არამედ რუსეთთან რამდენადმე შესამჩნევ კონფრონტაციაზე წავიდეს

**ივანიშვილს, რომ ვერ ხედავს არსებით განსხვავებას მასა და სააკაშვილს შორის მკვეთრად პროდასავლური პოლიტიკის გატარების და ნატოში სწრაფვის თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, კვლავინდებურად ხისტად იმოქმედებს, მანამ, სანამ საწადელს არ მიაღწევს. ნატოში საქართველოს ინტეგრაციის არდაშვებას რუსეთისთვის ძალიან მაღალი ფასი აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, ის მზადაა, იომოს, რათა ეს გამორიცხოს. ამასთანავე, არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ დასავლეთი, უპირველესად კი, აშშ მზადაა, საქართველოს გულისთვის, არათუ „ყირიმის ახალ ომზე“** (რომელზეც ჩუმად, დროდადრო კი ხმამაღლა ოცნებობდნენ „ნაციონალები“), **არამედ რუსეთთან რამდენადმე შესამჩნევ კონფრონტაციაზე წავიდეს.**

აგვისტოს ომის შემდეგ, ნატოს გზა საქართველოსთვის, პრაქტიკულად, ჩახერგილია; სააკაშვილი ამას არ აღიარებდა, რადგან ეს მისი პოლიტიკის კრახის აღიარების ტოლფასი იყო და გამუდმებით კვებავდა აუდიტორიას „მაპ-ზე უკეთესი მოგვცეს“ ტიპის ზღაპრებით, ასახელებდა ნატოში გაწევრიანების სხვადასხვა თარიღს და ა. შ. ამ მითოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ავღანეთში ამდენი ჯარისკაცის გაგზავნას ნატოში გაწევრიანებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ივანიშვილის მთავრობა არჩევანის წინაშე დადგა: გაეგრძელებინა ეს პრაქტიკა თუ (როგორც მინიმუმი; თუ არაფრის შეცვლა არ შეეძლო) საგარეო პოლიტიკის კუთხით შექმნილი მდგომარეობა საზოგადოებისთვის პატიოსნად აღეწერა და მასთან ღია დიალოგი გაემართა. როგორც ჩანს, მან პირველი ვარიანტი აირჩია.

**„თუ ჩვენ ავღანეთს დავტოვებთ, მაშინ ევროკავშირის მონიტორები საქართველოს დატოვებენ“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა („რადიო თავისუფლება“). ამით, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რიტორიკულ ეკვილიბრისტიკას საზღვარი არ აქვს. **უსუფაშვილმა საჭიროდ არ ჩათვალა, გაეშიფრა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ამ ორ წარმოსახვით მოვლენას შორის და შესაძლოა, ვერ მიხვდა, რომ ქვეტექსტში ევროკავშირს საკმაოდ მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა.** ეს განცხადება არაფრით განსხვავდებოდა ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა უაპელაციო და ლოგიკისგან სრულიად თავისუფალი გამოსვლებისგან და **„ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის, სავარაუდოდ, არც ისე სასიამოვნო იქნება იმის გააზრება, რომ მათმა რჩეულებმა საზოგადოებასთან საუბარი „ნაციონალების“ სტილში დაიწყეს.**

## ნარკოლოგს ხომ არ მივაკითხოთ?

რა პოზიტიური მიზნების მიღწევას ცდილობს საქართველო ავღანეთის ომში? მიზნებზე ვსაუბრობთ თუ მირაჟებზე? **არსებობს ვალდებულებები ვაშინგტონის წინაშე, რომლებიც სააკაშვილმა, თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანას დააკისრა, მათი შესრულების აუცილებლობა და არაფერი სხვა — სავარაუდოდ, დაახლოებით ასე გამოიყურება მწარე სიმართლე ქართველების ავღანური ექსპედიციის შესახებ და მისი შელამაზების მცდელობა** (მასზე ნატოში გაწევრიანების თემის მობმის მეშვეობით) **ხელისუფლების მხრიდან პატიოსან თამაშად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.** თქმული არ ნიშნავს, რომ საქართველომ სწრაფად და რადიკალურად უნდა შეცვალოს დამოკიდებულება ამ მისიის მიმართ (ეს, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, უბრალოდ, არ გამოვა; ახალი ხელისუფლება, ისევე, როგორც ძველი, ამერიკელებისთვის თუნდაც მცირე პრობლემის შექმნას და თუნდაც ერთი ბატალიონის გამოყვანას, სავარაუდოდ, ვერ გაბედავს), მაგრამ **სასურველია, რომ საზოგადოებამ ავღანეთში ქართული კონტინგენტის ყოფნა არარეალისტურ მოლოდინებს არ დაუკავშიროს. ეს დიდი იმედგაცრუების გარდა, სავარაუდოდ, არაფერს მოიტანს.**

მსჯელობამ ამ თემაზე შეიძლება საინტერესო კითხვამდე მიგვიყვანოს: სურს თუ არა საზოგადოების უმრავლესობას, გაიგოს სიმართლე ავღანეთის ომის შესახებ ან აგვისტოს ომის შესახებ, თუ შელამაზებული სურათი ან, სულაც, სიცრუე მისთვის გაცილებით კომფორტულია? **რეალობისთვის თვალის გასწორება, მსჯელობა ზნეობრივ კატეგორიებზე დაყრდნობით, ომის ნამდვილი მიზნების, არსის და, საბოლოო ჯამში, მარცხის გააზრება ძალიან დიდ ტკივილს უკავშირდება. ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში კი ბოლო დროს ტკივილისთვის თავის არიდების, მისგან მუდმივი გაქცევის ტენდენცია დამკვიდრდა და პოლიტიკოსები ამას საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ.** საინტერესოა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სრულფასოვნად საზოგადოება, რომელიც უსიამოვნო შეგრძნებებს და, აქედან გამომდინარე, რეალობას გაურბის და ლამაზ ტყუილზე, როგორც ნარკოტიკზე, დამოკიდებული გახდა?

**დიმიტრი მონიავა**



# რუსეთის სახელმწიფო დუმამ კანონით აკრძალა ლგბტ პროპაგანდა

**11 ივნისს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ საბოლოოდ დაამტკიცა კანონი „მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ“. ამიერიდან ერთი წლით პატიმრობა ემუქრებათ იმ პირებს, რომლებიც თავიანთი უმსგავსო ქმედებებით შეურაცხყოფენ მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს. ხოლო, თუ ეს პირები ანტირელიგიურ საზიზღრობებს გამართავენ ეკლესიებთან, მეჩეთებთან ან სინაგოგებთან, მათთვის სასჯელის ვადა სამ წლამდე გაიზრდება.**

შეგახსენებთ, რომ ეს კანონი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად 2012 წლის სექტემბერში შეიტანეს, როდესაც განაჩენი გამოუტანეს სამ შეპყრობილ დედაკაცს პანკჯგუფ „პუსი რაიოტიდან“. ამ საცოდავმა არსებებმა მოსკოვში, მაცხოვრის ტაძარში მოაწყვეს (ლიბერალების მტკიცებით) ე. წ. პანკ-ლოცვა, სინამდვილეში კი — კუდიანთა ორგია.

ასევე, **შავ დღედ იქცა რუსი სოდომისტებისთვის – ლგბტ-ს აქტივისტებისა და მათი დასავლელი დამფინანსებლებისთვის 2013 წლის 11 ივნისი.** ამ დღეს სახელმწიფო სათათბირომ კანონით აკრძალა არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდა და კანონის დარღვევისთვის დიდი ფულადი ჯარიმა დააწესა.

აღსანიშნავია, რომ 11 ივნისს სახელმწიფო სათათბიროს შენობასთან კვლავ ცხვირპირი დაუმტვრიეს ლგბტ-ს აქტივისტებს, რომლებიც გამომწვევად, აგრესიულად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას მათთვის ძალზე არასასურველი კანონის მიღების გამო.

**გუშინ რუსეთის სახელმწიფომ მომაკვდინებელ ცოდვებს კატეგორიულად უთხრა: „არა!“, რითაც მოსახლეობის უმრავლესობის უფლებები დაიცვა; და ამ ქმედებით ზოგიერთ „დემოკრატიის შუქურას“ მისცა იმის მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქვეყანა.** სამწუხაროდ, ჯერჯერობით მოსახლეობის უმრავლესობის უფლებების დაცვაზე საქართველოს სახელმწიფო არ ფიქრობს. ამით წახალისებული ლგბტ-ს „ქართული ფილიალი“ დასავლეთიდან გაკეთებული ახალი ფულადი ინექციით ფრთაშესხმულია და მორიგი უმსგავსო აქციებით გვემუქრება. დღეს „პოეტი“ ზაზა ბურჭულაძე ბიბლიიდან ამოხეული ფურცლებით უკანალის გამოსაწმენდად ემზადება, ხოლო „მწერალი“ ერეკლე დეისაძე უკვე „არასაიდუმლო სირობას“ ჯღაბნის!.. ჯერჯერობით არშემდგარი ქართული სახელმწიფოს ხელისუფლება კი ევროპელი პედერასტების ლაქიაობითა და მათი მითითებების უპირობო აღსრულებითაა დაკავებული!

როდემდე?!

**გიორგი კორძაძე**



# ხონის სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვლილი დავით ჭ. პატიმარი არ არის

**საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ხონის სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა 35 წლის დავით ჭ. იგი ზემოთ ხსენებულ კლინიკაში გლდანის მერვე საპყრობილიდან გადაიყვანეს. აქვე ვიგებთ, რომ გარდაცვლილის ახლობლები ციხის ექიმებსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს უყურადღებობაში ადანაშაულებენ.**

რა თქმა უნდა, ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ აღშფოთება გეუფლება, გულწრფელად თანაუგრძნობ გარდაცვლილის ოჯახს და „რისხვის მტევნებს“ იქნევ სასჯელაღსრულების სამინისტროსა და მის თავკაცის – სოზარ სუბარისკენ. იწყებ დამატებითი ცნობების მოგროვებას და სასოწარკვეთილი ხარ: **„2005 წლის 21 თებერვალს, დაახლოებით 23 საათზე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა დავით ჭ.-მ ამბროლაურის რაიონის სოფელ ვ.-ში ძალადობის გამოყენებით თავისივე საცხოვრებელ სახლში გააუპატიურა და განზრახ მოკლა საკუთარი ბებია, 1928 წელს დაბადებული ჟ.მ.“.** ამ შემზარავი დანაშაულისთვის დავით ჭ. სასჯელს საპყრობილეში იხდიდა. მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიხედვით, ნათელია, რომ ამ პიროვნების გონება არ იყო მთლად დალაგებული; და არაა გასაკვირი, როდესაც ამა წლის **16 მაისს, სამხარაულის სახელობის კლინიკის ექსპერტების გადაწყვეტილებით, დავით ჭ. გლდანის საპყრობილიდან ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც ერთი თვე იცოცხლა.**

ამდენად, გასაკვირია, რომ ზოგიერთი უფლებადამცველი პატიმრის სიკვდილში სოზარ სუბარს ადანაშაულებს. ფაქტია, რომ ხონის ფსიქიატრიული კლინიკა ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მამასადამე, დავით ჭ. იყო პაციენტი და არა პატიმარი.

**გიორგი კორძაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ ვითარებაში, როცა ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც კი, მათ შორის ბალტიისპირეთის ზოგიერთ სახელმწიფოს, ერთი-ორი ექიმი ჰყავს გაგზავნილი, ქართველი ჯარისკაცები ყველაზე ცხელ წერტილში იმყოფებიან და რაოდენობითაც ჩვენი შემადგენლობა, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ფაქტობრივად, მეორე ადგილზეა. ეს არის ნონსენსი და აბსოლუტურად მიუღებელი, მაგრამ ასეთი მრავალრიცხოვანი ქართული კონტინგენტის ავღანეთში გაგზავნით სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების მადლიერება და დიდი ფინანსური მხარდაჭერა მიიღო.“**



# ნინო ბურჯანაძე: ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგენილა

**„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხის მხარდაჭერას მოიპოვებს. საკუთარ უპირატესობად ის მიაჩნია, რომ თამამი და სარისკო გადაწყვეტილებების მიღება არ უჭირს, და ახალ ხელისუფლებასაც სწორედ გაუბედაობის გამო აკრიტიკებს. მიმდინარე მოვლენებსა და სამომავლო გეგმებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ნინო ბურჯანაძე ესაუბრა.**

**— ინტერვიუ ბოლო დროს მომხდარი ტრაგედიით დავიწყოთ... მოგეხსენებათ, 6 ივნისს 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა ავღანეთში, გასულ თვეში ასევე სამი ქართველი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის საკმაოდ დიდია მსხვერპლი, რასაც ქვეყანა ავღანეთში, ISAF-ის მისიაში მონაწილეობის შედეგად იღებს, ახალი ხელისუფლების პირობებში, ქართული კონტინგენტი კვლავ რჩება ავღანეთში. როგორია თქვენი პოზიცია, უნდა იყოს თუ არა ქართული ჯარი ავღანეთში?**

— თავდასხმები ჩვენს ჯარისკაცებზე, შეიძლება კიდევ უფრო გახშირდეს. მოგეხსენებათ, 2014 წელს მისია ავღანეთში დასრულდება და, რა თქმა უნდა, თალიბების მხრიდან ბრძოლა გაძლიერდება, რათა ნატოს ჯარების გასვლის შემდეგ ქვეყანაში მაქსიმალური გავლენა მოიპოვონ. მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა მონაწილეობდეს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ჩატარებულ ასეთი ტიპის აქციებში, მაგრამ აქ ერთი რამ არის ყველაზე მნიშვნელოვანი — ჩვენ უნდა ვმონაწილეობდეთ იმ დოზით, რომელიც შეესაბამება საქართველოს შესაძლებლობებს. **იმ ვითარებაში, როცა ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც კი, მათ შორის ბალტიისპირეთის ზოგიერთ სახელმწიფოს, ერთი-ორი ექიმი ჰყავს გაგზავნილი, ქართველი ჯარისკაცები ყველაზე ცხელ წერტილში იმყოფებიან და რაოდენობითაც ჩვენი შემადგენლობა, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ფაქტობრივად, მეორე ადგილზეა. ეს არის ნონსენსი და აბსოლუტურად მიუღებელი, მაგრამ ასეთი მრავალრიცხოვანი ქართული კონტინგენტის ავღანეთში გაგზავნით სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების მადლიერება და დიდი ფინანსური მხარდაჭერა მიიღო. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ საკითხი სერიოზულად შესასწავლია. რას უხდიან NATO-ს წევრი სახელმწიფოები და აშშ-ის ხელმძღვანელობა თავიანთ ჯარისკაცებს და რა ხელფასს იღებენ ჩვენი ჯარისკაცები.**

მე განცვიფრებული ვარ, რომ ახალმა ხელისუფლებამ არ მიიღო გადაწყვეტილება ქართული კონტინგენტის ავღანეთიდან გამოყვანის დაწყებასთან დაკავშირებით. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ, როდესაც ჯარის გამოყვანაზე ვსაუბრობ, ბუნებრივია, არ ვგულისხმობ, რომ დღეს გამოვაცხადოთ ამის თაობაზე და ხვალვე გამოვიყვანოთ. ეს ასე არ ხდება, მაგრამ, ახალ ხელისუფლებას 8 თვის წინ რომ დაეწყო მოლაპარაკებები, ბოლო სამი კვირის მანძილზე არც ის ათი ბიჭი დაიღუპებოდა.

**— რას ფიქრობთ დავით უსუფაშვილის განცხადებაზე, რომელმაც თქვა, რომ, თუ ავღანეთს დავტოვებთ, ევროკავშირის მონიტორები საქართველოს დატოვებენ.**

— დავით უსუფაშვილს არაკომპეტენტურობას ვერ დავწამებ, მაგრამ ან შეგნებულად იცრუა, ან არ ვიცი, რატომ გააკეთა ასეთი განცხადება, რომელიც სინამდვილესთან ახლოს საერთოდ არ არის. ვფიქრობ, თავად ევროკავშირის მისია იტყვის, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან შანტაჟის ქვეშაა.

**— როდესაც ხელისუფლებაში იყავით, რატომ არ დააყენეთ საჯაროდ საკითხი ჯარის გამოყვანის ან შემცირების თაობაზე საერთაშორისო მისიებში? პირად საუბრები მაინც თუ გქონიათ ყოფილი ხელისუფლების წევრებთან ამასთან დაკავშირებით?**

— ავღანეთის მისია 2010 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც მე ხელისუფლებაში აღარ ვიყავი, თუმცა ახლა ზოგადი ტენდენციაა, რომ ყველაფერი ბურჯანაძეს უნდა დაბრალდეს. ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ჩვენ ვმონაწილეობდით კოსოვოში სამშვიდობო მისიაში, სადაც, ღვთის წყალობით, არც ერთი ქართველი ჯარისკაცი არ დაღუპულა, ვინაიდან შედარებით უსაფრთხო ადგილზე იყვნენ და ჩვენი მონაწილეობაც მაშინ გაცილებით უფრო სიმბოლური იყო. რაც შეეხება ავღანეთს, ჩვენ ვიყავით ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ყოველთვის ამბობდა, რომ **ავღანეთში ჩვენი სამშვიდობო ძალა უნდა შეეფერებოდეს საქართველოს როლსა და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში.** ჩვენ ეს არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ ჩვენი ნათქვამი ყურად არ ილო არამარტო სააკაშვილის ხელისუფლებამ, არამედ არც ახალმა. **ის, რომ სააკაშვილი არასდროს იღებდა გადაწყვეტილებებს ხალხის და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემთვის გასაგებია, მაგრამ რა მოტივაციით არ გადახედა ამ გადაწყვეტილებას ახალმა ხელისუფლებამ, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, ზოგადად, ახალი ხელისუფლების ნაბიჯები ძალიან ფრთხილი და გაუბედავია.** დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ მართებული იქნება უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმა და საერთაშორისო საზოგადოებაც გაგებით მოეკიდება ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც ხელისუფლება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებს.

**— მომავალი პრეზიდენტის პრიორიტეტი საგარეო ურთიერთობების მოგვარება იქნება. როგორ შეძლებთ ურთიერთობის დალაგებას რუსეთთან ან თუნდაც აფხაზებთან და ოსებთან? გაქვთ თუ არა შესაბამისი კავშირები ავტორიტეტულ პირებთან, რომლებთანაც, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, მოლაპარაკების მაგიდასთან ისაუბრებთ?**

— პრეზიდენტის რანგში, უპირველესად, დავჯდები მოლაპარაკების მაგიდასთან ქვეყნის პირველ პირებთან, მათ შორის ჩვენი მეზობელი ქვეყნების — აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, თურქეთის თუ სხვა ქვეყნების პრეზიდენტებთან, რომლებთანაც მე პირადი ურთიერთობები მაქვს, ვიცნობ მათ და, შესაბამისად, კარგად ვიცი, როგორ უნდა ვილაპარაკო მათთან. იგივე შემიძლია ვთქვა ბევრ ევროპელ და ამერიკელ ლიდერზე, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებაში სერიოზულ როლს თამაშობენ.

ერთი რამ, რაც ნამდვილად მიმაჩნია ჩემს უპირატესობად, არის ის, რომ მე არ მიჭირს გაბედული გადაწყვეტილებების მიღება. **საქართველოს მომავალ პრეზიდენტს აუცილებლად დასჭირდება გაბედული და არაორდინალური ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის საგარეო პოლიტიკის მიმართულებითაც.**

**— აფხაზებსა და ოსებს შორის ვისთან გაქვთ კავშირები, შეგიძლიათ დაგვისახელოთ?**

— რომც მქონდეს ასეთი კავშირები, მათთან შეთანხმების გარეშე ვერ დავასახელებდი. ერთი რამ მიმაჩნია ძალიან მნიშვნელოვნად — აფხაზებმაც და ოსებმაც იციან, რომ მე ვარ ადამიანი, რომელიც არასდროს იტყუება. „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ კი, რომელმაც ყველაფერი დამაბრალა, ვერასდროს თქვა, რომ ბურჯანაძე მატყუარაა. **მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ აფხაზებთან და ოსებთან ჩატეხილი ხიდი აღდგეს. ამისთვის კი საჭიროა, მათ ჰქონდეთ ნდობა იმ ადამიანისა, რომელსაც დაელაპარაკებიან.**

**— როგორ ფიქრობთ, თქვენ მიმართ ექნებათ ეს ნდობა? რამდენად მისაღები იქნება თქვენი პიროვნება ოსებისა და აფხაზებისთვის, რომლებსაც ახსოვთ, რომ თქვენ იყავით როგორც სააკაშვილის, ასევე შევარდნაძის ხელისუფლებაში?**

— ამის მიუხედავად, მე ყოველთვის მქონდა მათთან მოლაპარაკების შესაძლებლობა და ყოველთვის მქონდა სალაპარაკო პირი. ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ბედით მე არასდროს მითამაშია. რა თქმა უნდა, მე არ შემიძლია ვთქვა, რომ, რასაც მე ვამბობდი, ვამბობ ან ვიტყვი, ავტომატურად მისაღები იქნება ჩვენი აფხაზი ან ოსი ძმებისთვის, მაგრამ მე ვარ ადამიანი, რომელსაც მათთან საუბარი შეუძლია, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— თქვენი პარტია, ალბათ, ყველაზე მეტად დაზარალდა წინა ხელისუფლების დროს, ვგულისხმობ 26 მაისს. მართალია, დღეს ყველა თქვენი თანამებრძოლი, პოლიტპატიმარი თავისუფალია, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის შეგრძნება თუ გაქვთ?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგენილა. ის, რომ ეს ადამიანები გაათავისუფლეს, არ არის საკმარისი. მეტსაც გეტყვით, იმის მიუხედავად, რომ მათი პატიმრობიდან გათავისუფლებიდან უკვე 5 თვე გავიდა, მათ ვერ შეძლეს თავიანთი ელემენტარული უფლებების აღდგენა. არ აქვთ ნასამართლეობა მოხსნილი, მათ დიდ ნაწილს არ შეუძლია მუშაობის

> **«განცვიფრებული ვარ, რომ ახალმა ხელისუფლებამ არ მიიღო გადაწყვეტილება ქართული კონტინგენტის ავღანეთიდან გამოყვანის დაწყებასთან დაკავშირებით»**

დაწყება, სხედან სახლებში და უყურებენ, როგორ აგრძელებენ თავხედობას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. მცირე გამონაკლისის გარდა, წართმეული ქონებაც არავისთვის დაუბრუნებიათ, მათ შორის არც ჩვენი პარტიისთვის, როცა არაერთი უკანონო ჯარიმა დაგვაკისრეს.

**— რატომ ხდება ასე?**

— ვერ გეტყვით, ერთ-ერთი თემა, რომელიც კოაბიტაციის ფარგლებში ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი და აღმაშფოთებელია, არის ზუსტად ის, რომ **ადამიანები, რომლებმაც თავი გაწირეს და სისხლი დაღვარეს ქვეყნის გადასარჩენად, უმუშევრები და უფლებაშელახულები არიან, უყურებენ, როგორ არიან „ქართული ოცნების“ ლიდერების უმრავლესობის მუდმივი ზრუნვის საგანი ის ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში ატერორებდნენ საქართველოს მოსახლეობას.**

„ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციაა და, ბიძინა ივანიშვილისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, რომელმაც მართლა ბევრი სიკეთე გაუკეთა საკუთარ სამშობლოს, ხალხს ხმა მისთვის იმიტომ არ მიუცია, რომ კოაბიტაციის რეჟიმში „ნაციონალებთან“ ერთად გააგრძელოს მუშაობა. **30 სექტემბერს ივანიშვილს რომ ეთქვა, რომ ის „ნაციონალებთან“ კოაბიტაციას აპირებდა, გარწმუნებთ, 1 ოქტომბერს ვერ მიიღებდა იმ შედეგებს, რომელიც არჩევნებში მიიღო. „ქართულ ოცნებას“ ხალხმა ხმა იმისთვის მისცა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნისთვის მოეშორებინა.**

**— რატომ ვერ ჩამოყალიბდა საქართველოში ე.წ. მესამე ცენტრი, არასაპარლამენტო პარტიების ძლიერი ოპოზიციური გაერთიანება, რაზე ვერ შეთანხმდით?**

— ტერმინი „მესამე ძალა“ ჩემთვის მიუღებელია, ვინაიდან მეორე ძალა ვერანაირად ვერ იქნება „ნაციონალური მოძრაობა“. პარტია, რომელსაც ჰყავს პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, დედაქალაქის მერი და ადგილობრივი თვითმმართველობების აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობს, არ არის ოპოზიციური პარტია, ეს არის ხელისუფლებაში მყოფი პარტია. უბრალოდ, 1 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლება გაიყო და ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. **თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსამართლეებს დღეს კვლავ კოტე კუბლაშვილი აკომპლექტებს, უპირველეს ყოვლისა, „ქართული ოცნების“ სირცხვილია, ვინაიდან კოტე კუბლაშვილი და მოსამართლეები აკანონებდნენ ყველა იმ უსამართლობას, რომელთა მსხვერპლიც საქართველოს მოსახლეობა გახდა. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ ამას მალე გამოასწორებს.**

რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას, მე ძალიან კარგად ვიცი ბევრი რამ როგორც ხელისუფლებაზე, ასევე ოპოზიციის ცალკეულ ქმედებებსა და მოტივაციაზე. ოპოზიციას გაერთიანება ყოველთვის უჭირდა და უმეტეს შემთხვევაში ამ გაერთიანების პრობლემა ზოგიერთების დაუსაბუთებელი პოლიტიკური ამბიცია იყო, რომელსაც ისინი გაცილებით მაღლა აყენებდნენ, ვიდრე საერთო ინტერესებს. მაგრამ **მე იმედი მაქვს, შევძლებთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსტრუქციულ რეჟიმში კონსულტაციების გაგრძელებას და შეთანხმებას ერთიან საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით.**

სასურველია, შევძლო არასაპარლამენტო ოპოზიციის დარწმუნება, მხარი დამიჭირონ საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი იქნება, მოსახლეობა დავარწმუნო, რომ მე ვარ ყველაზე შესაფერისი კანდიდატი. ქვეყანა არის იმ ვითარებაში, როდესაც გაბედული და სარისკო ნაბიჯებია საჭირო, რათა გავარღვიოთ ის მოჯადოებული წრე, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ გამო აღმოვჩნდით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**ზოგადად, კლიპის ესთეტიკა, პოეტიკა, კოგნიტური პაკეტების წყობა, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, „ნაციონალების“ სარეკლამო ვიდეოშემოქმედებას გაგვახსენებს, თუმცა, პრინციპში, ესეც შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამთხვევა და უცნაური მსგავსების ინტერპრეტირება ექვმიტანილების სასარგებლოდ მოვახდინოთ. სააკაშვილი კლიპში, ფაქტობრივად, წარმოჩენილია თალიბების დაუძინებელ მტრად და, შესაბამისად, დასავლეთის იდეალების ერთგულ, ტერორიზმთან მებრძოლ რაინდად.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილმა საქართველოს ჯიჰადი გამოუცხადა?

**თითქმის ერთი კვირაა, ტერაქტი ავღანეთში, რომელსაც შვიდი ქართველი სამხედრო ემსხვერპლა და მასთან დაკავშირებული კლიპი, რომლის თანახმად თალიბანმა ჯიჰადი გამოგვიცხადა, მთავარ განსახილველ თემად რჩება. ვინ და რისთვის დაამზადა ეს ამაზრზენი ვიდეორგოლი? ამასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში უამრავი ვერსია გამოითქვა, რომელთა უმეტესობაში პროვოკაციის ავტორებად „ნაციონალები“ განიხილებოდნენ. ამ გარემოებისა და ბრალდებების სიმძიმის გამო, ალბათ, მიზანშეწონილია, ამ ვარაუდების ანალიზს გარკვეული დრო დავუთმოთ.**



**ტერაქტების სერია საქართველოში სააკაშვილის ჯგუფს შესაძლებლობას მისცემს, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გამოყენებით გადატრიალების მოწყობა სცადოს**

დასაწყისშივე ერთ ნიუანსს უნდა შევეხოთ; ის, რომ დღეს სააკაშვილი და მისი მომხრეები ემოციურად მოითხოვენ ამ საქმის გამოძიებას და ხელს ყველა წარმოსადგენი მიმართულებით იშვერენ, ვერ იქნება განხილული, როგორც ალიბი. როდესაც ბაზარში ვინმეს საფულეს ამოაცლიან, ყველაზე ხმამაღლა დამნაშავის გამოვლენასა და დასჯას, ხშირ შემთხვევაში, თავად ჯიბის ქურდი მოითხოვს — დარბის, ყვირის, წუხს, დაზარალებულს ეფერება და ლამის დევნის ოპერაციას ხელმძღვანელობს. ასე რომ, **სააკაშვილის ჯგუფის დღევანდელი ქცევა და მელოდრამატული ჟესტები არ შეიძლება ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად, რომელიც ერთ-ერთი ეჭვმიტანილის სტატუსისგან ათავისუფლებს.**

ვიდრე უშუალოდ კლიპზე გადავალთ, რომელიც, ქართველი და უცხოელი ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, „თალიბანს“ არ დაუმზადებია (მათი ვიდეოპროდუქცია მკვეთრად განსხვავებულია), ჩამოვთვალოთ ის ფაქტორები, რომელთა გამო „ნაციონალებს“ სოცქსელებში არათუ ერთ-ერთი, არამედ მთავარი ეჭვმიტანილის სტატუსი მიენიჭა.

— **სააკაშვილის ჯგუფის დაკვეთით შეიქმნა „მოდელირებული ქრონიკა“; ის არერთგზის დაადანაშაულეს არაერთი მსგავსი „ტელეპროვოკაციის“ მოწყობაში.**

— **სააკაშვილის ჯგუფი, ერთადერთი საქართველოში, ეჭვმიტანილია საერთაშორისო ტერორისტებთან კავშირში, კერძოდ, „კავკასიის იმარატთან“** (იხ. ომბუდსმენის ცნობილი ანგარიში ტერორისტების სავარაუდო მომზადებაზე, აგრეთვე, ლაფანყურის ინციდენტთან ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული პირების განცხადებები).

— **26 მაისს სააკაშვილის ძალზე უცნაური საუბარი სამხედროებთან ავღანეთში** („რამდენი კაცი მოკალი“ და ა.შ.), **რომლის ტირაჟირება „რუსთავი 2“-მა მოახდინა.** ეს ეპიზოდი სრულიად საზოგადოებამ (გამონაკლისი, პრაქტიკულად, არ იყო) შეაფასა, როგორც თალიბების პროვოცირება აგრესიულ მოქმედებაზე ქართული კონტინგენტის წინააღმდეგ.

ცხადია, ჩამოთვლილი გარემოებები არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ბრალეულობის მტკიცებულება, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ დანაშაულის კვალობაზე აუცილებლად უნდა გადამოწმდეს, თუ რას აკეთებდნენ მისი ჩადენის მომენტში პირები, რომლებიც წარსულში ანალოგიურ ეპიზოდებში მონაწილეობდნენ და მსგავსი „ხელწერა“ აქვთ.

საინტერესოა, რომ **განხილულ კლიპში სააკაშვილს გაცილებით დიდი როლი და მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე რეალურად აქვს. ის წარმოჩენილია გოროზ მხედართმთავრად, რომელიც თავის მეომრებს ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში აგზავნის, მოწინააღმდეგედ, რომელსაც ჯიჰადისტები აქტიურად უნდა დაუპირისპირდნენ. საქართველოში კი ყველამ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია** (ეს შეურაცხყოფა კი არა, ფაქტის კონსტატაცია, მისი დღევანდელი რეიტინგის, გავლენისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით), **ნული, რომელიც არაფერს წყვეტს.** ის, უმძიმეს მდგომარეობაშია, არც ერთი ოპონენტი აქტიურად აღარ უპირისპირდება, „წაქცეულს არ ურტყამენ“, პრინციპიდან გამომდინარე. მის მოხსენიებას „მთავარსარდლად“ კი, როგორც წესი, მწარე ღიმილი, ჰალსტუხის ღეჭვის, გაქცევის და მიწაზე ხოხვის გახსენება მოსდევს. სააკაშვილი განხილულ კლიპში გვევლინება ისეთად, როგორადაც მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაუხედავი პირი ან ექსტაზში შესული „მიშისტი“ თუ წარმოიდგენს. ეს გარემოება, ცხადია, არაფერს ამტკიცებს, თუმცა ის, ალბათ, მაინც საგულისხმოა.

ამასთანავე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ნაციონალების“ გარკვეული ნაწილის (ერთადერთი ჯგუფია საქართველოში; სხვებს ეს თემა არ აინტერესებთ) პოლიტიკურ მითოლოგიაში ჯვაროსნულ ლაშქრობებს და თანმდევ „ტამპლიერულ ბოდვებს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამის გადამოწმება თუნდაც იმავე „ფეისბუქზე“ ძალზე იოლია. **ზოგადად, კლიპის ესთეტიკა, პოეტიკა, კოგნიტური პაკეტების წყობა, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, „ნაციონალების“ სარეკლამო ვიდეოშემოქმედებას გაგვახსენებს, თუმცა, პრინციპში, ესეც შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამთხვევა და უცნაური მსგავსების ინტერპრეტირება ეჭვმიტანილების სასარგებლოდ მოვახდინოთ.**

**სააკაშვილი კლიპში, ფაქტობრივად, წარმოჩენილია თალიბების დაუძინებელ მტრად და, შესაბამისად, დასავლეთის იდეალების ერთგულ, ტერორიზმთან მებრძოლ რაინდად.** საინტერესოა, რომ სააკაშვილი დღედაღამ, შინ და გარეთ სწორედ ამაზე საუბრობს, მათ შორის იმიტომ, რომ მას ადანაშაულებენ: ა) ავტორიტარული და, შესაბამისად, არსებითად ანტიდასავლური რეჟიმის ჩამოყალიბებაში; ბ) ტერორისტებთან თანამშრომლობაში („ლოპოტას ომის“ კვალობაზე). **კლიპის ავტორები საზოგადოებრივ აზრს, ამ ასპექტში, სწორედ სააკაშვილისთვის სასურველი მიმართულებით უბიძგებენ.** ესეც, ალბათ, დამთხვევაა... აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?

კლიპის ინტერნეტში განთავსების (და დამზადების) ზუსტ დროსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთ-ერთი, შედარებით ნაკლებად გავრცელებული ვერსიის თანახმად, კლიპი ტერაქტის შემდეგ (მაგრამ მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე) დამზადდა და მისმა ავტორებმა ავღანეთში მომხდარი ტრაგედიით, თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის ისარგებლეს. მეორე ვერსიით, რომლის თითქმის არავის სჯერა, მოვლენები შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს და კლიპის ავტორებმა არ იცოდნენ, რომ თალიბები მალე ქართულ ბაზას შეუტევდნენ. მესამე, **ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად კი, ტერორისტები და კლიპის ავტორ-გამავრცელებლები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და, თუ ეს ასეა, საუბარი არა უბრალოდ საინფორმაციო პროვოკაციას, არამედ უმძიმეს დანაშაულს ეხება.**

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ადამიანი თვლის, რომ არ არსებობს მორალური წინაღობა, რომელიც ხელს შეუშლის სააკაშვილს და მის ჯგუფს, ხელი მოაწეროს ნებისმიერ არაკაცობას, ითანამშრომლოს ტერორისტებთან ან სულაც გადასცეს მათ (მაგალითად, „იმარატელების“ დახმარებით) საიდუმლო ინფორმაცია ავღანეთში ქართული კონტინგენტის შესახებ, ალბათ, სასურველია, გამოძიების დასრულებამდე ეს ვარაუდები არ განვიხილოთ. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და ეთიკური ზღვარი, რომლის გადალახვა არ შეიძლება მაშინაც კი, როდესაც საუბარი უბინძურესი წარსულის მქონე, მანიაკ რეციდივისტებს შეეხება. მაგრამ **არის ამ კლიპში ერთი სიგნალი, რომელიც საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს, იმის მიუხედავად, ტერორისტები და კლიპის დამკვეთები შეთანხმებით მოქმედებენ თუ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად** (საინტერესოა, გამოავლენენ თუ არა დამკვეთებს, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი ჭკუათმყოფელი დამკვეთი მსგავსი ვიდეოპროდუქციის დამზადებას მასთან კავშირში მყოფ პირებს არ დაავალებს. ის, დიდი ალბათობით, კვალის დაფარვის მიზნით, ფულით ან შანტაჟით ამას მისგან დისტანცირებულ პირებს გააკეთებინებს, რამაც მისი გამოვლენა შეიძლება მეტად გაართულოს. თუმცა, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ დამკვეთი იმდენად სულელი იყო, რომ კლიპის ავტორებთან მჭიდრო კონტაქტში მოქმედებდა. ვნახოთ... გამოძიება დაადგენს).

**ყველაზე მეტად, განხილულ კლიპში მიზნობრივი აუდიტორია საქართველოში ტერაქტების განხორციელების შესაძლებლობამ დააფრთხო.** ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი რამ რეალურად მოხდება, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური რამ გახდება. ხოლო **„საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი“** (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 46). ამასთანავე, საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტი **„გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს“** (მუხლი 73). პლუს ამას **„თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ“** (მუხლი 46).

მართალია, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, ის **„ვალდებულია, არაუგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად“** (მუხლი 46), მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არაა, რა ამბების დატრიალება შეიძლება ქვეყანაში 48 საათის განმავლობაში (თუნდაც იმავე პარლამენტარების თავს) ლამის შეუზღუდავი უფლებების გამოყენებით. **იდეაში, საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გამოყენებული იქნას სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისთვის და მისი ფარდობითი ლეგიტიმაციისთვის. ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, რომელიც სააკაშვილის ჯგუფს მას შემდეგ დარჩა, რაც მათ ბელადს მთავრობის ერთპიროვნული დათხოვნა-დანიშვნის უფლება ჩამოართვეს.**

ცხადია, სააკაშვილის ჯგუფს არ აქვს არანაირი რესურსი იმისთვის, რომ რეალურად მოახდინოს გადატრიალება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მცდელობა გამორიცხულია, რადგან „ნაციონალების“ ლიდერები თავიანთ გეგმებს ცივ ლოგიკაზე დაყრდნობით როდი აწყობენ. მათ, შესაძლოა, ძალიან ეშინიათ, რომ მოუვათ იგივე, რაც მერაბიშვილს და ცუდად შენიღბული ფსიქოზის იმ ატმოსფეროში, რომელიც მათ ბანაკში სუფევს, შეიძლება ძალთა ბალანსი არასწორად შეაფასონ, როგორც ეს ერთხელ (2008-ში) უკვე გააკეთეს.

**ტერაქტების სერია საქართველოში სააკაშვილის ჯგუფს შესაძლებლობას მისცემს, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გამოყენებით გადატრიალების მოწყობა სცადოს. რა თქმა უნდა, არავინ ამტკიცებს, რომ ისინი ამას გააკეთებენ ან, რაიმე ფორმით, ემზადებიან ამისთვის. ეს, უბრალოდ, კიდევ ერთი, შედარებით ძნელად აღმოსაჩენი თანხვედრაა პროვოკაციულ კლიპში გაჟღერებულ მესიჯებსა და ერთ-ერთ შიდაპოლიტიკურ სცენარს შორის.** ის, ბუნებრივია, „ნაციონალების“ ბრალეულობის მტკიცებულებად არ გამოდგება და ყველაზე მართებული, ალბათ, იქნება, მას, ძველებურ სტილში, „ინფორმაცია განსჯისათვის“ ვუწოდოთ.

**იმედია, სააკაშვილის ჯგუფი არ არის გარეული ამ ამაზრზენ დანაშაულში, რაზეც სოციალურ ქსელებში სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა საუბრობენ. ალბათ, მათ ყველაზე თანმიმდევრულ ოპონენტებსაც კი გულის სიღრმეში არ უნდათ, რომ ჩამოთვლილი ეჭვები და ვარაუდები დადასტურდეს, რადგან შინაგანად ეწინააღმდეგებიან იმის დაშვებას, რომ ადამიანი შეიძლება პოლიტიკური და პიროვნული დეგრადაციის ამ სტადიამდე მივიდეს.**

საერთოდ კი, ძველი რომაელები გვირჩევდნენ, საეჭვო, ბურუსით მოცული დანაშაულის გამოძიება მარტივი კითხვით დაგვეწყო: „ვისთვისაა მომგებიანი?“.

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჰელმანდის პროვინცია არის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია ნარკოტრანზიტის თვალსაზრისითაც და ქართული შენაერთები, რომლებიც იქ იდგნენ, სერიოზულ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ. დღეს რატომღაც არავინ განიხილავს იმ ერთ-ერთ შესაძლო ვერსიას, რომ ეს აფეთქება შეიძლებოდა მოწყობილი ყოფილიყო საერთაშორისო ნარკოსინდიკატური დაჯგუფების მიერ, რომელიც ძალიან აქტიურია ამ რაიონში.“

ვახტანგ მაისაია:

# ლაფანყურის ოპერაციის დეტალებს თუ ობიექტურად გამოიძიებენ, თალიბანის სახელით გავრცელებული ვიდეორგოლის რეალური წარმომავლობაც გაირკვევა...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი და ექსპერტი სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხებში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვახტანგ მაისაია.**



**— ბატონო ვახტანგ, წლების მანძილზე სახელისუფლო არხებიდან გვესმოდა პროპაგანდა, რომ „აისაფის“ მისიაში მყოფი ქართული შენაერთების მიმართ ავღანეთის მოსახლეობას განსაკუთრებით თბილი და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. მართლაც, მთელი ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა თავდასხმის არც ერთი ფაქტი ჩვენს ბაზაზე. ბოლო ერთი თვეა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა — სამი კვირის განმავლობაში უკვე მეორე ტერაქტი განხორციელდა და ჯამში ათი ქართველი სამხედრო დაიღუპა. როგორ ფიქრობთ, რით შეიძლება იყოს ეს ყველაფერი განპირობებული?**

— პირველ რიგში, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა, ღრმა მწუხარება გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს. რაც შეეხება ამ ტრაგიკულ ფაქტს, თუ წმინდა სამხედრო კუთხით შევხედავთ და შორს ვიქნებით ყოველგვარი სუბიექტური შეფასებისგან, შეიძლება ითქვას, რომ ეს გახშირებული თავდასხმები განპირობებულია რისკ-ფაქტორების შემცველი ორი ჯგუფისგან, რომლებიც მოდიან, როგორც ტერორისტული ორგანიზაციებიდან, ისე სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებიდან. **2013 წლის 28 აპრილს თალიბანის მოძრაობამ დაიწყო მსხვილმასშტაბიანი სამხედრო სტრატეგიული ოპერაცია სახელწოდებით „ხალიდ ბინ ვალიდ“, რომლის მთავარი მიზანია, მოიმზადოს პლაცდარმი მას შემდეგ, რაც „აისაფის“ მისია დაასრულებს თავის ამოცანას და მოახდენს ჯარების ევაკუაციას. ამის შემდეგ იქ მარტო რჩება ჰამიდ ყარზაის ხელისუფლება და მის წინააღმდეგ თალიბანს, ცხადია, არ გაუჭირდება ბრძოლის წარმოება. აღსანიშნავია, რომ ეს სცენარი ერთი-ერთზე იმეორებს იმას, რაც მათ გამოიყენეს თავის დროზე, როცა იქ საბჭოთა კავშირი შეიჭრა.** თქვენ იცით, რომ 1988 წელს პეშევარის დაჯგუფებაში შემავალმა სამხედრო ნაწილებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი ოპერაცია იმავე სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციების ტერიტორიებზე, რაც მიმართული იყო ნაჯიბულას პროკომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ზუსტად იგივე მეორდება ახლაც, ოღონდ ამ შემთხვევაში აქტორები არიან ნატო და თალიბები.

**— ვერსიები იმის თაობაზე, თუ რატომ გახდა ქართული ბლოკ-პოსტი ასეთ მცირე დროში უკვე მეორედ ტერორისტების სამიზნე, ძალიან ბევრია. თქვენი აზრით, ყველაზე სარწმუნო ვერსია რომელია?**

— ცხადია, ვერსიები და ვარაუდები ბევრია, იმიტომ, რომ ზუსტად ჯერ არავინ იცის, იქ რა მოხდა, მაგრამ აქ ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: **ჰელმანდის პროვინცია არის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია ნარკოტრანზიტის თვალსაზრისითაც და ქართული შენაერთები, რომლებიც იქ იდგნენ, სერიოზულ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ. დღეს რატომღაც არავინ განიხილავს იმ ერთ-ერთ შესაძლო ვერსიას, რომ ეს აფეთქება შეიძლებოდა მოწყობილი ყოფილიყო საერთაშორისო ნარკოსინდიკატური დაჯგუფების მიერ, რომელიც ძალიან აქტიურია ამ რაიონში.**

**— განსხვავებით 13 მაისის თავდასხმისგან, რომლის დროსაც სამი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, 7 ივნისის აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭეს ექსპერტებმა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— აბსოლუტურად ვეთანხმები, ყველა სტანდარტით და დეფინიციით ეს იყო ტერორისტული აქტი. როგორც ჩანს, თალიბების დაზვერვამ გაააქტიურა ჩანერგილი აგენტი, რომელიც ხანგრძლივ პერიოდში პასიურ მდგომარეობაში ჰყავდათ. დიდი ალბათობით, შესაძლებელია, ამ აგენტის გადმობირება მომხდარიყო იდეოლოგიურ საფუძველზე, რაც, არ არის გამორიცხული, დაკავშირებული იყოს 26 მაისს მიხეილ სააკაშვილის იქ ჩასვლასთან. **სააკაშვილმა თავისი საქციელით შელახა იმ არეალში მცხოვრებ პუშტუნებში გამეფებული პუშტუნვალის ღირსების კოდექსი და მან, ფაქტობრივად, გამოიწვია ეს ხალხი ღია დაპირისპირებაში.**

**— ამაზე ბევრს საუბრობენ. კონკრეტულად რა იყო არასწორი და საფრთხისშემცველი სააკაშვილის მოქმედებაში?**

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ მოსახლეობის სპეციფიკა. პუშტუნები რომ ვახსენე, ესაა ერთ-ერთი გავლენიანი კლანურ-ტომური გაერთიანება, რომელსაც გააჩნია თავისი მსოფლმხედველობა და მორალური კოდექსი. ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თავისი არსით სუნიტურ შარიათსაც აღემატება და სეკულარულ საკანონმდებლო სისტემასაც. ამდენად, მასზეა ყველაფერი დაფუძნებული; ამ პუშტუნვალის კოდექსით მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია ნანგი, ანუ ღირსება და ნებისმიერ პუშტუნს საკუთარი ღირსების გამო შეუძლია დაუფიქრებლად გაწიროს სიცოცხლე. რაც შეეხება სააკაშვილის ვიზიტს, **როდესაც პრეზიდენტი ამბობს, შენ რამდენი მოკალი, გამოდის, რომ მან ეს ადამიანები შეადარა პირუტყვს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ავღანელს, ნატოს მომხრესაც კი, ამ განცხადების მოსმენის შემდეგ, ბუნებრივია, პროტესტის გრძნობა გაუჩნდებოდა.**

## «სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული ის არის, რომ მან, ფაქტობრივად, გაანადგურა სამხედრო დაზვერვა»

**— კი მაგრამ, სააკაშვილი ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია. ხომ აქვს უფლება, სამხედრო პირებისგან პირადად მოისმინოს გარკვეული განმარტებები?**

— ჯერ ერთი, მე ასეთ მთავარსარდალს ლაფი დავასხი და იმ ქვეყანასაც რა ვუთხარი, ეს რომ აირჩია. კაცი სამხედრო საქმის აზრზე არ არის. წარმოიდგინეთ, ჩადის ავღანეთში, ხვდება ჯარისკაცებს, ჰამბურგერს მიირთმევს და გაბრწყინებული, გაბადრული სახით იბარებს ანგარიშს, რომელმა ჩვენმა სამხედრომ რამდენი მოკლა. ეს არის პირდაპირ ღირსების შელახვა და ამის მერე რატომ გიკვირს, რომ აგრესია მიიღე?!

**— ესე იგი, თქვენი აზრით, სააკაშვილის ჩასვლა და ის, რაც 7 ივნისს მოხდა, ერთმანეთთან კავშირშია?**

— ბუნებრივია. ვინც ავღანეთის ისტორია იცის და ავღანელ ხალხს მეტ-ნაკლებად იცნობს, აქ დასკვნების გამოტანა არ გაუჭირდება, ვარაუდის დონეზე, რასაკვირველია.

**— გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა ხელყო ავღანელი ხალხის, კერძოდ პუშტუნების, ღირსება, საუბარია იმ საფრთხეებზეც, რაც შესაძლოა, მომავალში დაემუქროთ იმავე ბაზაში მყოფ სხვა ქართველ სამხედროებს. მით უფრო, პრეზიდენტის ვიზიტის დროს გარკვევით ჩანდა რამდენიმე ჯარისკაცის სახე, რომელთა იდენტიფიკაციაც მოწინააღმდეგისთვის იოლია.**

— ეს მეორე საკითხია. მე ვილაპარაკე პირველ ფაქტორზე პოლიტიკური ეთიკის კონტექსტში იმიტომ, რომ ეს ადამიანი, სულ მცირე, უზრდელია; დამნაშავე რომაა, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თავხედობა, ამ შემთხვევაში, იყო თვალშისაცემი. ამის შემდეგ ელემენტარულად უნდა მოგვეთხოვა იმპიჩმენტი და მე მოვუწოდებ პარლამენტს, რომ დააყენოს ეს საკითხი. არ შეიძლება ასეთი არაპროგნოზირებადი და არაადეკვატური ადამიანი იყოს ქვეყნის პირველი პირი.

**— გასაგებია, რომ სააკაშვილი სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელია და არ იცის, რა საფრთხე ექმნებოდა მისი ამ ვიზიტით იქ მყოფ ქართველ ჯარისკაცებს, მაგრამ საინტერესოა, თვითონ ნატოს ხელმძღვანელობა რატომ არ უთითებს მას ასეთ შემთხვევაში?**

— ნატოს ხელმძღვანელობას ჰგონია, ურთიერთობა აქვს ნორმალურ, ზრდასრულ და პოლიტიკურად მომწიფებულ პიროვნებასთან. ბუნებრივია, ისინი ვერ წარმოიდგენენ, რომ ეს ადამიანი არის სრული იდიოტი, ბეცი და შლეგი. ახლა, ალბათ, უკვე სრული წარმოდგენა შეექმნებათ და აწი მის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვლება, თუ აქამდე არ შეცვლილა. ამას მომავალი გვიჩვენებს...

**— ბოლო დროს ხშირად საუბრობენ სამხედრო დაზვერვის არასრულყოფილებაზეც. რა მდგომარეობა გვაქვს რეალურად?**

— პრობლემები ამ კუთხით უამრავია. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, **მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული ის არის, რომ მან, ფაქტობრივად, გაანადგურა სამხედრო დაზვერვა. 2004 წლიდან მოიშალა ყველაფერი. პრაქტიკულად უმოქმედო გახდა ეს სტრუქტურა. იმავე ავღანეთში მომხდარი ტრაგედიაც უკავშირდება სწორედ დაზვერვის არაეფექტიანობას.** ბევრი ლაპარაკობს უსაფრთხოების ზომების არასაკმარისობაზე, მაგრამ ბოლო შემთხვევა კონკრეტულად დაზვერვის სრულ ჩავარდნაზე მიანიშნებს.

**— რაც შეეხება ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეორგოლს, რომელშიც თალიბანი ტერაქტებით ემუქრება საქართველოს, თქვენი აზრით, ვის ან რომელი დაჯგუფებას შეიძლება ის მოემზადებინა?**

— როგორც ვიცი, სპეციალისტები სწავლობენ ამ ვიდეოს და მალე, ალბათ, გავიგებთ, რასთან გვაქვს სინამდვილეში საქმე, მაგრამ ის, რომ ამის უკან თალიბანი არ დგას, მე ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. მასში არის რამდენიმე მომენტი, რომელიც თალიბების კანონს ეწინააღმდეგება. კერძოდ, რგოლში არაა ნახსენები ყურანი და სუნას ცხოვრების წესი, მას არ აქვს იურიდიული, ანუ ფეტვას ფორმა, რითაც უნდა განიმარტოს ჯიჰადის გამოცხადების მოტივაცია და მესამე, — ვიდეოს გავრცელების შემდეგ, წესით, უნდა ყოფილიყო შესაბამისი რეაქცია თალიბების პრესცენტრისგან, რაც არ მომხდარა... ზოგადად არ მინდა მოვლენებს დავასწრო, მაგრამ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ, **თუკი ლაფანყურის ოპერაციის დეტალები ობიექტურად იქნება გამოძიებული, დარწმუნებული ვარ, ნათელი გახდება ამ ვიდეორგოლების რეალური წარმომავლობა...**

**— „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა, მაგალითად, დიმიტრი შაშკინმა, განაცხადა, რომ ვიდეო, შესაძლოა, რუსეთში იყოს მომზადებული. არგუმენტად მან დაასახელა რგოლში სააკაშვილის სახელის რამდენიმეჯერ ხსენება, რაც ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს მის ადრესატს.**

— ის, რომ სააკაშვილის სახელი ფიგურირებს, მე პირადად სულ სხვა ეჭვებს მიჩენს. კერძოდ, რას: გაიხსენეთ 2008 წელს განმუხურში მომხდარი ინციდენტი, ავტობუსი რომ ააფეთქეს და მერე რუსებს დააბრალეს. ვის მიერ იყო ეს მოწყობილი, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ახლა მეორე მაგალითი — „მოდელირებული ქრონიკა“. ესეც ანალოგიური პროვოკაცია... ანუ, ვინ იყო ჩვენს ქვეყანაში შავი პიარტექნოლოგიების გროსმაისტერი?!

**— გინდათ, თქვათ, რომ ეს ვიდეორგოლიც, შესაძლოა, „ნაცმოძრაობის“ შემოქმედების შედეგი იყოს?**

— რატომაც არა? ვინ მოიგო ამით? ვის აძლევს ხელს ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა?! ვინ გამოიწვია 17 მაისის დაპირისპირება? ვინ მოაწყო 8 თებერვალს ბიბლიოთეკის შენობასთან პროვოკაცია? ვის აძლევს ხელს ეს ყველაფერი, ხომ ადვილი მისახვედრია?!

**— გასაგებია, მაგრამ რეალურად რამდენად დიდია დღეს საქართველოში ტერორიზმის საფრთხე?**

— ჩვენ „აისაფის“ მისიაში ვმონაწილეობთ და ჩვენი წვლილი შეგვაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, თეორიული მასშტაბით საფრთხის ქვეშ ვართ, მაგრამ აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რაზეც ახლა ვსაუბრობდით. მხედველობაში მაქვს, ამ საფრთხეების გარკვეული პროვოკაციული მიზნებისთვის გამოყენება, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“, დიდი ალბათობით, აკეთებდა და, თუ დასჭირდა, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გააკეთებს. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, იგივე კითხვა ხშირად დაისმის: **რატომაა ამდენი ქართველი ჯარისკაცი ავღანეთში? მინდა, გითხრათ, რომ რიცხოვნობას ჩვენ არავინ განგვისაზღვრავს, მით უფრო, ნატოს ხელმძღვანელობა არ ერევა ამაში; ეს არის სააკაშვილის ახირება და პიროვნული ამბიცია, რომ ამით მისი რეჟიმი ყოფილიყო გამყარებული.** მეორე მომენტიცაა, რომელსაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. მიხეილ სააკაშვილს განსაკუთრებით 2008 წლის მერე პანიკურად ეშინოდა ქართული არმიის და მან, უბრალოდ, გაარიდა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანას. ანალოგიურად მოიქცა ის დევნილებთან დაკავშირებითაც, როცა ხალხი რეგიონებში გაასახლა. რაც დღეს ხდება, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია, ამიტომ ახალი ხელმძღვანელობის წინაშე დგას ძალიან რთული ამოცანა, რასაც ძირეული ცვლილებები ქვია. ყველაფრის მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ სწორი მოქმედებით მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია. ვფიქრობ, არსებობს დღეს რეალური შესაძლებლობა პროგრესისთვის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. ინტერვიუს დასრულების შემდეგ ჩემმა რესპონდენტმა მის მიმართ წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების დამამტკიცებელი კონკრეტული ფაქტები გამაცნო. დოკუმენტების მთელი დასტა, რომელიც, გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს ბოლომდე აშიშვლებს, მართლაც მძიმე და შოკისმომგვრელია. ცხადია, დავინტერესდი, პროკურატურა თუ იცნობდა აღნიშნულ მასალებს. „ყველაფერი გადაგზავნილი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობთ არაფერი ისმისო“, — მითხრა ბატონმა ვახტანგმა. რატომ დუმს ამდენი ხანი კბილაშვილის უწყება, ამის შეფასებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს, ვახტანგ მაისაია დღემდე ამაოდ ითხოვს თავის საქმეზე გრიფით საიდუმლოს მოხსნას. არადა, ამ საქმის გამომზეურება, დიდი ალბათობით, ნათელს მოჰფენს ლაფანყურის ოპერაციის ბურუსით მოცულ დეტალებს...**

**„ეს არის ჩვენს ბიჭებზე მიზნობრივი ნადირობა, რომელიც, სამწუხაროდ, გაგრძელდება, და აქედან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. რატომ ხდება ასეთი მიზნობრივი თავდასხმები? ხდება იმიტომ, რომ ამ უტვინომ თავისი წინდაუხედავი ნაბიჯებით მოახდინა მათი პროვოცირება. ეს ერთი. და მეორე, უმთავრესი — ჩვენი ბიჭების წინააღმდეგ შაჰიდების შემოტევა გაგრძელდება.“**

ცხელი წერტილი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვალერი ჩხეიძე:

# 6 ივნისის ტერაქტი, სამწუხაროდ, უკანასკნელი არ იქნება

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში („ყველამ თავის გაპედერასტებულ ქვეყანას მიხედოს“) გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ ჰელმანდის პროვინციიდან მიხეილ სააკაშვილის 26 მაისის ტელეგაკეკლუცება შეაფასა, როგორც „საკუთარ თავზე შეყვარებული „ბოლვანის“ პოზა“, როცა ქვეყნის მთავარსარდალმა ელექტრონული მედიით ისეთი ინფორმაცია გაავრცელა, რომლითაც აუცილებლად ისარგებლებდნენ ავღანელი მოჯაჰედები. ისარგებლეს!**
**შედეგად 6 ივნისს დაიღუპა 7 ქართველი მებრძოლი, 9 დაიჭრა.**

— ეს ტრაგედია მისი ნარცისული პოზირების შედეგია, — **ადასტურებს ვალერი ჩხეიძე იმავე დღეს ჩამორთმეულ ინტერვიუში,** — ეკრანზე ჩანდნენ არამარტო ის ჯარისკაცები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თავდამსხმელთა ლიკვიდაციაში, არამედ იმ ბაზის ნაწილიც, რომელშიც ქართველები არიან. ტელევიზიით და ინტერნეტსაიტით სურათი შეიძლება სრულად არ გადაიცა, მაგრამ, ალაჰმა უწყის, როგორი მოცულობის რა ინფორმაცია მიიღეს მოჯაჰედებმა. ეს ერთი.

მეორე. გამორიცხავთ, რომ მოწინააღმდეგე, რომელიც თვალს ადევნებს ქვეყნის პირველი პირის სტუმრობას აღნიშნულ ბაზაზე, არ მიიჩნევს, რომ იქ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება და განსაკუთრებული მონდომებით არ აკვირდება და არ აანალიზებს იქიდან მიღებულ თითოეულ კადრს? ამ დროს მოწინააღმდეგე მაქსიმალურად კონცენტრირებულია როგორც დაზვერვის, ასევე საბრძოლო მოქმედების თვალსაზრისით, ჩვენ შემთხვევაში, ტერორისტული და შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების ხაზით.

ამის არცოდნა, ამის გაუთვალისწინებლობა, პირდაპირ გეტყვით, დანაშაულია.

**— თქვენ გინდათ, თქვათ, რომ ეს არის სამხედრო საიდუმლოების გაცემა, რომლის მოპოვება მოწინააღმდეგის დაზვერვის მიზანი და ამოცანაა?**

— რა თქმა უნდა, ასეა. თანაც სანდო ინფორმაციაა, რომელსაც სამხედრო ოპერაციის დეტალებზე პირველი პირი გასცემს. ამაზე უკეთეს წყაროს ვერანაირი აგენტურა ვერ მოიპოვებს. **სააკაშვილმა საკუთარი ჯარისკაცები მოწინააღმდეგის სამიზნედ აქცია!**

6 ივნისის ტრაგედიამ კიდევ ერთი პრობლემა წამოსწია წინა პლანზე. კაცმა რომ თქვას, ეს პრობლემა არასოდეს მოხსნილა დღის წესრიგიდან, მაგრამ ამჯერად უფრო მეტი სიმწვავით წარმოჩნდა.

არაერთხელ მითქვამს და კვლავ და კვლავ გავიმეორებ დღევანდელი ხელისუფლების საყურადღებოდ (ყოფილი ხელისუფლების დროს ჩემი ასეთი პოზიცია ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა): **რა არის ავღანეთი, რას წარმოადგენს იგი იმ ქვეყნის მიწაზე შეჭრილი გარეშე ძალისთვის, სხვისი გადმოცემით არ ვიცი. იქ ვმუშაობდი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცხელ წერტილებში და პირდაპირ ვამბობ, — ჩვენ არაფერი გვესაქმება ავღანეთში. ავღანეთი ჩვენი საქმე არ არის.**

ეგ არის თავი და თავი.

**— რამდენად შემთხვევითია, რომ ორიოდ კვირის ინტერვალით ორჯერ განხორციელდა თავდასხმა ქართული ჯარის მოწინავე ბაზაზე ასეთი ტრაგიკული შედეგით?**

— არ არის ეს, ჩემო ბატონო, შემთხვევითი. ჰელმანდის პროვინციაში ეს ბაზა და ჩვენი ბიჭები იქნებიან მუდმივი თავდასხმის ობიექტი. ჯერ ერთი, ფსიქოლოგიურად რომ გატეხონ და დათრგუნონ და, მეორე, ტაქტიკური უპირატესობა რომ მოიპოვონ, მუდმივ დაძაბულობაში რომ ჰყავდეთ ჩვენი ჯარის ნაწილი.

**— გასული საუკუნის 80-იან წლებში კუნდუზის პროვინციაში ჰოსპიტალი დაგვათვალიერებინეს და, როცა ერთ, რკინისგისოსებიან პალატას მივადექით და გავიკვირვეთ, ეს გისოსები რას უნდა ნიშნავდეს-თქო, ექიმმა გულახდილად მითხრა: აქ ჭკუაზე გადასულ ჯარისკაცებს ვათავსებთ. ყველა ვერ უძლებს მუდმივი სტრესის პირობებში ყოფნასო.**

— კი, ასე იყო. არც ჩვენი ახალგაზრდა ჯარისკაცები და კაპრალები არიან დაცულნი ასეთი სტრესის გავლენისგან. ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ ყველაფერი ხდება.

**რა გვინდა ავღანეთში? ამერიკულ დემოკრატიას ვიცავთ? ამერიკამ მოუაროს თავის პრობლემებს!**

ახლა სულ უფრო მეტი ინფორმაცია ვრცელდება, რამდენ ქვეყანას გამოჰყავს თავისი საჯარისო კონტინგენტი ავღანეთიდან. ამერიკაც კი ამცირებს... **სააკაშვილმა არ იცის, რით ასიამოვნოს თავის პატრონებს, სააკაშვილმა გაზარდა რაოდენობა და, ისე ჩანს, ახალი მთავრობა მისი გაკვალული გზით აპირებს სიარულს...**

**— მაგრამ სულ უფრო გაბედულად ისმის ავღანეთში ჩვენი კონტინგენტის შემცირების წინადადებები.**

— ამას ამბობენ ცალკეული პოლიტიკოსები და ექსპერტები. ოფიციალური პოზიცია, ისე ვატყობ, უცვლელია. ჯერჯერობით მაინც.

**— ალბათ, იმის იმედით, რომ მიგვიღებენ ნატოში?**

— ძნელი დასაჯერებელია. ის, რაც ხდება, მე მგონი, ადამიანების ცალკეული ჯგუფების პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლადაა გამიზნული.

**— ბატონო ვალერი, არის ასეთი მკრეხელური მოსაზრება, რომ სააკაშვილის ტელეგამოსვლა გამიზნული იყო მოჯაჰედების ისეთი რეაქციის პროვოცირებისთვის, რომელიც მართლაც მოხდა. ამას პატივცემული მიხეილი გამოიყენებდა საკუთარი თავის გასაპიარებლად: ხომ ხედავთ, რა ხდება, როცა მე აღარ ვარ საქართველოს ერთპიროვნული მმართველი. ახალი ხელისუფლება საგარეო პოლიტიკაში ისეთ შეცდომებს უშვებს, ისე შეცვალა საგარეო პოლიტიკის ვექტორი, რომ მისი (ახალი ხელისუფლების) ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო და უფრო უეფექტო ხდებაო.**

— იმათ, ვინც ამ მოსაზრებაზე დგას, ძალიან დიდი წარმოდგენა ჰქონიათ ამ „ბოლვანზე“. ასეთი რამეების გათვლის ტვინი და შესაძლებლობა მას არ აქვს. გაროზგვა რომ შველოდეს, გასაროზგია, მაგრამ ამით იმ დახოცილ ბიჭებს ვერ გააცოცხლებ.

ხალხი და ქვეყანა, სხვისი გაჭირვება, მითქვამს და ვიმეორებ, მას არასოდეს აინტერესებდა.

**— ერთ რამეში გამარკვიეთ, სულ რამდენიმე დღის წინ ავღანელმა შაჰიდმა ტრაგედია დაატრიალა ჩვენი ნაწილის განლაგებაში. დავიჯერო, ეს ამბავი ისე სწრაფად დაივიწყეს, რომ არავითარი ღონისძიება არ განახორციელეს მსგავსი თავდასხმის მოსაგერიებლად? არადა, გამეორდა უფრო ტრაგიკული შედეგით.**

— დეტალურად ინფორმირებული არ ვარ. მაგრამ აუცილებლად ჩასატარებელია გამოძიება — იყო თუ არა შესაბამისად მოწყობილი თავდაცვის ზღუდეები, აუცილებელი წინაღობები, როგორი იყო კონტრთავდასხმის ღონისძიებები და ა.შ. და თუ დანაშაულებრივი უყურადღებობა დადასტურდება, ბაზის მეთაურიდან დაწყებული, პასუხისმგებელი ოფიცრით დამთავრებული, ყველა სამხედრო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს.

მოდით, დავაკვირდეთ, ამ დღეებში ასეთი სერიოზული ტერაქტები თუ განხორციელდა იმავე კუნდუზში, გერატში, ჯალალაბადში, ავღანეთის სხვა პროვინციებში, სადაც განლაგებულია ე.წ. სამშვიდობო ძალები. როგორც ვიცი, ასეთი თავდასხმები არ ყოფილა.

**— რა გინდათ, ამით თქვათ?**

**— ეს არის მიზნობრივი ნადირობა ჩვენს ბიჭებზე, რომელიც, სამწუხაროდ, გაგრძელდება, და აქედან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. რატომ ხდება ასეთი მიზნობრივი თავდასხმები? ხდება იმიტომ, რომ ამ უტვინომ თავისი წინდაუხედავი ნაბიჯებით მოახდინა მათი პროვოცირება. ეს ერთი. და მეორე, უმთავრესი — ჩვენი ბიჭების წინააღმდეგ შაჰიდების შემოტევა გაგრძელდება.**

**— გამოსავალი?**

— უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი სამხედრო კონტინგენტი ავღანეთიდან. უნდა გა-მო-ვი-ყვა-ნოთ! ამიხსნან მთავარსარდალმა და თავდაცვის მინისტრმა, რა ფასეულობებს იცავენ იქ ჩვენი ჯარისკაცები, ამიხსნან მე, გენერალს, რომელიც მათსავით სამარიაჟოდ (მაპატიეთ ეს გამოთქმა) რამდენიმე საათით არ ჩავსულვარ ავღანეთში; ამიხსნან, არა იმ ზოგადი ფრაზებით, რომ ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები საქართველოს იცავენ, რომ გლობალურ მსოფლიოში ჩვენ უნდა ვიყოთ იქ, სადაც ყველაა და ა.შ. გამაგებინონ მეც და საქართველოს მოსახლეობასაც, **რატომ ვართ იქ წარმოდგენილი გაცილებით დიდი კონტინგენტით, ვიდრე ნატოს წევრი 11 ევროპული ქვეყანა? რატომ გამოჰყავთ თავიანთი კონტინგენტები ავღანეთიდან, ვთქვათ, ესპანეთს და სხვა განვითარებულ ქვეყნებს, ჩვენ კი იქ უნდა ამოვწყვიტოთ ჩვენი გენოფონდის საუკეთესო ნაწილი?**

არ იყო საკმარისი სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, ომი ცხინვალში, დაბოლოს, 2008 წლის აგვისტოს ომი? კიდევ რამდენი ჰალსტუხი უნდა დაღეჭოს სააკაშვილმა, კიდევ რამდენჯერ უნდა მოხნას ცხვირით მიწა, რომ გავუშვათ იქ, სადაც საჭიროა?

**— სად უნდა გავუშვათ, ბატონო ვალერი?**

— ვიტყოდი — სადაც, მაგრამ მიშასავით ზრდილობა და ტაქტი არ დამიკარგავს. უმძიმდება ბრალდებები სააკაშვილს, დგება დრო, დაიკითხოს ავღანეთთან დაკავშირებით, ცხინვალთან დაკავშირებით, სამხედრო ოპერაციების უტვინო დაგეგმვის გამო, სად არის მისი ხელმოწერა ბრძანებებზე, სამხედრო რუკაზე, საერთოდ რომელიმე დოკუმენტზე? არ არის? მაშ, რისი და ვისი მთავარსარდალია?!

**დიდი გულისტკივილით ვაცხადებ, რომ 6 ივნისის ტერაქტი უკანასკნელი თავდასხმა არ იქნება ჩვენს ბიჭებზე.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



## «სააკაშვილმა საკუთარი ჯარისკაცები მოწინააღმდეგის სამიზნედ აქცია!»



## «რა გვინდა ავღანეთში? ამერიკულ დემოკრატიას ვიცავთ? ამერიკამ მოუაროს თავის პრობლემებს!»

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი წევრი, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციაში მონაწილეობდა და რომლის ვინაობასაც არ დავასახელებ, ყოველ დღე კუს ტბაზე დარბოდა, როგორც ჩანს, ეს კარგად იცოდნენ გარკვეულმა ჯგუფებმა და მასზე შურისძიებას აპირებდნენ. ეს სრულიად შემთხვევით შევიტყვეთ და გადავარჩინეთ.“**

# მამუკა არეშიძე: რატომ არიან ქართველები მაინცდამაინც ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც ყველაზე ცხელ წერტილად ითვლება?

**ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ვიდეორგოლებს, რომლებშიც თალიბანი საქართველოს ჯიჰადით ემუქრება, ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცის დაღუპვა მოჰყვა. რა კავშირია მათ შორის და ახლო მომავალში ემუქრება თუ არა საფრთხე ჩვენს ქვეყანას — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ „სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ ხელმძღვანელი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძე ესაუბრება.**



— მუქარის შემცველ ვიდეორგოლებთან დაკავშირებით დღეს რამდენიმე ვერსია ვრცელდება. თუმცა **პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის თალიბანის მიერ დამზადებული ვიდეო.** შესაძლოა, ეს იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ან სამეზობლოში მყოფი ისლამისტების ნახელავი, რომლებიც, არ არის გამორიცხული, ასევე, თალიბების დავალებით მოქმედებდნენ. არსებობს ვერსია და **არაა გამორიცხული, ეს ყველაფერი საქართველოში დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების მიერაც იყოს ინსპირირებული,** თუმცა ამ ხელისუფლების ნამოქმედარს ეს არ ჰგავს, იმიტომ, რომ არავითარი აზრი არ ჰქონდა ხელისუფლებისთვის ამის გაკეთებას.

**— ზოგიერთმა ამ ყველაფერში ყოფილი ხელისუფლების კვალიც დაინახა. მართლაც, შეიძლება თუ არა ქცეულიყო მაპროვოცირებელ ფაქტორად სააკაშვილის ავღანეთში ბოლო ვიზიტი და გავრცელებული კადრები, რომლებშიც ის ქართველ ჯარისკაცს დახოცილ თალიბებზე ესაუბრება?**

— ესეც შეიძლება. **თუ ეს არის ისლამისტების მიერ მომზადებული ვიდეორგოლი ამ შემთხვევაში უფრო რთულადაა საქმე, ვინაიდან გამოდის, მათ იცოდნენ ქართველებზე თავდასხმის მზადების შესახებ.** თუ ამ ვიდეორგოლის შემქმნელებს აქვთ კონტაქტი ავღანეთში მოქმედ ისლამისტებთან, მაშინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვყოფილვართ. სხვათა შორის, ძალიან საეჭვოდ დუმს „ალქაიდა“ და თალიბანი, როცა სხვა შემთხვევაში ისინი ხშირად „ტრაბახობენ“ ხოლმე ჩადენილი საქმეებით. თუ ვიდეორგოლს დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ პროფესიონალების მიერ არის დამზადებული, რაც თალიბანისთვის დამახასიათებელი არ არის. გარდა ამისა, „ალქაიდა“, რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, მუსიკას ვიდეორგოლში არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა. სხვათა შორის, ეს ჩრდილოკავკასიელი ისლამისტებისთვისაა დამახასიათებელი.

**— რამდენიმე ვერსიაზე ვისაუბრეთ, თუმცა გავრცელებულ ვიდეოში ნათქვამია, რომ შურისძიება მალე საქართველოშიც დაიწყება. ემუქრება თუ არა ტერაქტების საფრთხე საქართველოს...**

— საფრთხე 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული არსებობს, ანუ იმ პერიოდიდან, როცა 1995 წელს პირველი არაბი მოლა გამოჩნდა პანკისის ხეობაში. ის, რომ ღმერთმა დაგვიფარა და აქამდე ტერაქტები და თავდასხმები არ მომხდარა, არაფერს ნიშნავს. ნუ დაგვავიწყდება, რომ 90-იანი წლების ბოლოს გახშირდა ადამიანების გატაცება, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა და იმ მოვლენების ექო დღემდე შავ ლაქად ატყვია საქართველოს. მაშინ ეს ერთგვარი ძალების მოსინჯვა იყო და **რადიკალური ისლამის მიმდევართა ჯგუფი ადრე თუ მხოლოდ პანკისის ხეობაში იყო, დღეს მთელ საქართველოშია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებიც აჭარიდან და ქვემო ქართლიდან წინა აზიის ქვეყნებში მიდიან განათლების მისაღებად, შეცვლილი მენტალიტეტით ბრუნდებიან უკან. თავისი მრწამსით ისინი უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან.**

მე ყოველთვის ვამბობდი ამას, მაგრამ არც ერთი ხელისუფლება არ მიჯერებდა, დღევანდელის ჩათვლით. აუცილებელია, შეიქმნას რადიკალური, ტრადიციული ისლამის შემსწავლელი სპეციალური ინსტიტუტები. საჭიროა ტრადიციული ისლამის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს ისეთი საგანმანათლებლო ინსტიტუტების შექმნას, რომლებშიც მუსლიმანურ განათლებას მიიღებენ ადგილობრივი ახალგაზრდები და მათ უცხო ქვეყნებში წასვლა აღარ დასჭირდებათ. ამის რესურსი საქართველოში ნამდვილად არის. აუცილებლად მიმაჩნია, მედრესეების მასწავლებლების ლიცენზირება. გარდა ამისა, მატერიალური დახმარება სჭირდება საქართველოში არსებულ ისლამური კულტურის ძეგლებს. ჩვენი სახელმწიფო, წლებია, ამ პრობლემას გულგრილად უყურებს. არადა, **ჩვენ ისლამური ქვეყნების გარემოცვაში ვცხოვრობთ, საქართველოს უშიშროების უწყებები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, არ არიან მზად, პროცესი მთლიანად გააკონტროლონ.**

**— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ პანკისი ვაჰაბიტების ნავსაყუდელია. ახსენეთ, რომ საქართველოში 90-იანი წლებიდან არსებობს გარკვეული საფრთხე, მაგრამ დღესდღეობით თითქოს მშვიდი სიტუაციაა. რა საფრთხე შეიძლება არსებობდეს პანკისის ხეობიდან?**

— მშვიდი სიტუაცია სულაც არ არის. არათუ თბილისის გარეთ, აქვე, თბილისში რა ხდება, არავინ იცის. მაგალითად, ფონიჭალაში შენდება მეჩეთი, რომლის მშენებლობის ნებართვაც თბილისის მერიამ ორი წლის წინ გასცა. მიუხედავად იმისა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები დღეს თავს იმართლებენ, ჩვენ არ ვიცოდით, თუ ეს ვაჰაბიტური ორგანიზაცია იყოო, ეს სიცრუეა. იძულებული ვარ, ვიფიქრო, რომ ეს არის გარიგება, ვიღაცამ ფული აიღო და მშენებლობის ნებართვაც გასცა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ **ვაჰაბიტური მეჩეთის მშენებლობის თაობაზე განგაში პირველად სწორედ შიიტმა აზერბაიჯანელებმა, ანუ ტრადიციული ისლამის წარმომადგენლებმა ატეხეს და მერე გაიგო ქართულმა საზოგადოებამ.** ეს მოხდა თბილისში და რაიონებში რა ხდება საერთოდ, ვიცით?!

**თუ 90-იან წლებში მხოლოდ პანკისის ხეობაში იყო ეს ვითარება, დღეს რადიკალური ისლამის ბუმი მთელ ქვემო ქართლშია.** ჯერჯერობით მორწმუნეთა გავლენისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს ირანი და აზერბაიჯანი ებრძვიან. როცა ეს ომი დამთავრდება და ერთ-ერთი გაიმარჯვებს, მაშინ ძალიან მძიმე ვითარება შეიქმნება. ვინაიდან, თუ ჯერჯერობით ბრძოლა გავლენისთვის მხოლოდ ამ ერთი რეგიონის სივრცეში მიმდინარეობს, ხვალ გავლენისთვის ბრძოლა მთელ ქვეყანაში დაიწყება.

**— როგორ შეიძლება ამ სიტუაციაში მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება?**

— თუ გარკვეული სახელმწიფო პოლიტიკა არ იქნება შემუშავებული, ამ ხიფათს ვერ ავიცილებთ. მაგალითად, **„კავკასიის იმარატმა“ რომ მოინდომოს მუქარის შესრულება იმ კონკრეტულ პირთა მიმართ, რომლებმაც ლაფანყურის მოვლენების პროვოცირება მოახდინეს, ვერაფერს გავაკეთებთ, ამისთვის მზად არ ვართ.**

**— ანუ, ფაქტობრივად, დაუცველები ვართ?**

— დიახ, თუმცა ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისეთ დაცულ სახელმწიფოსაც კი, როგორიც ესპანეთია, მეტროპოლიტენში ტერაქტი მოუწყვეს. ლონდონში რამდენი ტერაქტი მოაწყვეს და ბოლოს და ბოლოს, შუა ქუჩაში თავი მოჰკვეთეს ინგლისელ ჯარისკაცს, რომელსაც ფორმა ეცვა. ასე რომ, ასეთი ძლიერი სახელმწიფოები არიან დაუცველები და ჩვენ — მით უმეტეს. თუმცა, ვფიქრობ, საფრთხე ემუქრებათ კონკრეტულ პირებს და არა მთელ მოსახლეობას. ჩვენი საზოგადოება „იმარატისგან“ საფრთხეს არ უნდა ელოდეს. ერთ პატარა საიდუმლოს გაგიმხელთ. **ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი წევრი, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციაში მონაწილეობდა და რომლის ვინაობასაც არ დავასახელებ, ყოველ დღე კუს ტბაზე დარბოდა, როგორც ჩანს, ეს კარგად იცოდნენ გარკვეულმა ჯგუფებმა და მასზე შურისძიებას აპირებდნენ. ეს სრულიად შემთხვევით შევიტყვეთ და გადავარჩინეთ.**

**— 13 მაისს ავღანეთში 3 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, 6 ივნისს — 7. რატომ არ გამოჰყავს საქართველოს ახალ ხელისუფლებას ავღანეთიდან ქართული ჯარი ან არ ამცირებს კონტინგენტს, მაშინ, როცა წინა მთავრობას ახალი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ამის გამო მწვავედ აკრიტიკებდა?**

— პირადად მე სხვა რამის გამო ვაკრიტიკებდი ხელისუფლებას. აქ ორი ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსია: ერთი — ქართველი ჯარისკაცების დიდი რაოდენობა და მეორე — **რატომ არიან ქართველები მაინცდამაინც ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც ყველაზე ცხელ წერტილად ითვლება? მაშინ, როცა გერმანელები და ჰოლანდიელები გაცილებით უსაფრთხო ადგილას იმყოფებიან. ფაქტია, რომ ეს ჩვენი ყოფილი ხელისუფლების ბრალია.** როგორც ჩანს, საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ თავი გამოიჩინა და ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ყველაზე ცხელ წერტილში გააგზავნა.

მე ყოველთვის ქართული კონტინგენტის ავღანეთში ყოფნის მომხრე ვიყავი და ავხსნი რატომ: ჩვენ გვაქვს გარკვეული ვალდებულებები დასავლეთთან, ისევე, როგორც მათ — ჩვენთან. ჩვენ უნდა გავწევრიანდეთ ნატოში თუ არა, ეს გაუთავებელი კამათის თემა შეიძლება იყოს. **მე პირადად, როგორც ჩვეულებრივ ადამიანსა და მოქალაქეს, არც ნატოში მინდა საქართველო და არც ის, რომ ჩვენი მეომრები ავღანეთში იყვნენ, რადგან მე იმდენი ომი მაქვს ნანახი, არ მაქვს სურვილი, გაუწყვეტლივ საომარ ვითარებაში ვიყოთ, მაგრამ სამწუხაროდ, სხვა შანსი არ გვაქვს. ისეთ გარემოცვაში ვიმყოფებით, ნატოს წევრებიც რომ ვიყოთ, ეს ჩვენს გადარჩენას არ ნიშნავს, რადგან ნატო ჩვენ გამო მსოფლიო ომს ვერ დაიწყებს.**

ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, მაგრამ რუსულმა სპეცსამსახურებმა ციმბირში ისლამისტების სამი ბანაკი აღმოაჩინეს. ჩრდილოკავკასიაში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ბანაკები, რომლებშიც რას ასწავლიან, რთული სათქმელია.

**— თუ საქართველო უარს იტყვის ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობაზე, ეს რამდენად აისახება საქართველოს საგარეო კურსზე?**

— ამ მოვლენების შემდეგ საქართველომ სულ რომ გამოიყვანოს ავღანეთიდან ჯარისკაცები, ეს საგარეო კურსის ცვლილების მანიშნებელი არ იქნება. თუმცა ახლა, როცა სხვადასხვა ქვეყანამ უკვე გაიყვანა ავღანეთიდან თავისი ჯარისკაცები, მაგალითად, იტალიამ, საბერძნეთმა და შემცვლელი არავინაა, ერთი ხელის მოსმით ვერ შევწყვეტთ ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობას. მითუმეტეს, 1700 ჯარისკაცის შემცვლელი ახლა პრაქტიკულად არავინ არის. ეს რომ ყოფილიყო 30 კაცი, უპრობლემოდ გამოვიყვანდით.

**— როგორ შეაფასებთ New York Times-ში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცები უარყოფითად არიან დახასიათებულნი. თითქოს ისინი ცუდად ეპყრობიან და ძარცვავენ ადგილობრივ ავღანელებს.**

— ტყუილია ეს ამბავი. მე ვარ ამ საქმის სპეციალისტი და ვიცი, რომ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ძალიან კარგად იქცევიან. ეს სტატია ნიშნავს, რომ სერიოზული ხალხია ამ საქმეში ჩართული და ჩვენი სერიოზული დისკრედიტაცია მიმდინარეობს.

**— და ბოლოს, ერთ-ერთი ვერსიით და მათ შორის ამას აცხადებს რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილიც, ახლახან სოფელ დიცში არავითარი საოკუპაციო საზღვრის გადმოწევა რუსების მიერ არ მომხდარა და ეს იყო მათ მიერ იმ პოზიციების დაკავება, რომლებიც მათ 2008 წელს დაიკანონეს. რა მოხდა სინამდვილეში?**

— მოხდა ცოტა საზღვრის გადმოწევა, მაგრამ არა სამასი მეტრით. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ არის შეჭრილ-შემოჭრილი რელიეფი. რასაკვირველია, ცინიზმია ის, რაც მოხდა, მაგრამ **ის მავთულხლართი ისე არ მაწუხებს, როგორც ღვთის ანაბარა მიტოვებული ადგილობრივი მოსახლეობა. ეს უფრო დიდი ტრაგედიაა. 20 წელიწადია, ამ ადამიანებისთვის მშვიდობა არ დამყარდა. ისინი მუდმივი სტრესისა და გაჭირვების პირობებში არიან და მაინც უფრთხილდებიან და არ ტოვებენ ქართულ მიწას, ამიტომ მათ ხელისუფლებისგან განსაკუთრებით სჭირდებათ მზრუნველობა.** აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა სამი უწყების გაერთიანებული კომისია შექმნა, რომელიც იზრუნებს ადგილობრივ მცხოვრებლებზე. 300 მეტრით გადმოიწევა თუ არა საზღვარი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ბევრი საზღვარი მინახავს გადმოწეული და შემდეგ ეს მავთულხლართები ისევ გადაუჭრიათ...

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირებაში ქართული მხარე უნდა იყოს დაინტერესებული, სანამ საქართველო არ გადადგამს ნაბიჯს ნეიტრალიტეტისკენ, არაფერი გამოვა, ნატოსთვის ლიმონივით გამოიწურება ჩვენი როლი და მერე ჩვენი ნება კი არ იქნება, თავისითაც მოხდება ის, რომ დანგეული მაზრისა თუ გუბერნიის სახით რუსეთის ხელში აღმოვჩნდებით.“**

ვერსია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ირინა სარიშვილი:

# რესპუბლიკური პარტია ივანიშვილის ერთადერთი გარემოცვაა

## «გლოვის გამოცხადება პოლიტიკის შეცვლას არ ნიშნავს, რადგან, ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება კიდევ ბევრი გლოვის დღე გვექნეს!»

**საქართველოში ბოლო დროს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ პოლიტიკური პარტია „იმედის“ თავმჯდომარის ძალიან საინტერესო ფრაზა გამოჩნდა. იგი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, რომლებიც 17 მაისის გეიაღლუმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და იმაზე, თუ რას გულისხმობდა, როდესაც ინტერნეტში დაწერა „ნატოს გარეშე დარჩენილი გადაკუზული საქართველო “, „საქართველო და მსოფლიოს“ ირინა სარიშვილი ესაუბრება.**

**— ქალბატონო ირინა, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები იღუპებიან, საქართველოში კი ამბობენ, რომ ისინი იქ სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძვიან. დავით უსუფაშვილი ამას ადასტურებს და აცხადებს, რომ, თუ ჩვენი ჯარი იქიდან გამოვა, მაშინ ჩვენ ჩვენი პრობლემის, ანუ რუსეთის წინაშე მარტონი აღმოვჩნდებით და ჩვენი საზღვრები...**

— ვიცი, ვიცი, უსუფაშვილი რასაც ამბობს... ადამიანური თვალსაზრისით, გეტყვით: განცხადებების გაკეთების უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვინც თავისი შვილის ავღანეთში გამშვებია. ეს ერთი და მთავარი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ თვითონ საზოგადოების აღშფოთებასაც არასწორი მიმართულება აქვს, რაც იმით გამოიხატება, რომ აქციები დაიგეგმა ავღანეთიდან ჩვენი ჯარის გამოყვანასთან დაკავშირებით და გამოცხადდა გლოვის დღე. **გლოვის გამოცხადება პოლიტიკის შეცვლას არ ნიშნავს, რადგან, ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება კიდევ ბევრი გლოვის დღე გვექნეს! ბიჭების იქიდან გამოყვანის მოთხოვნაც არაფერს ნიშნავს.** რამდენიმე წლის წინ, „ნაცების“ ხელისუფლების დროს, მე მქონდა შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო დაცვის ლიგა“, რომელმაც შეკრიბა 30 ათასი ხელმოწერა, მაშინ ჩვენი ჯარისკაცები ერაყში იყვნენ, ძალიან ცოტა ნაწილი — ავღანეთში. ჩვენ საკანონმდებლო ინიციატივა წარვადგინეთ პარლამენტში, იქ ნახსენებიც კი არ იყო არც ერაყი და არც ავღანეთი, საუბარი იყო საკონსტიტუციო ცვლილებებზე, კერძოდ, რომ აიკრძალოს ჩვენი ქვეყნისა და მისი მოქალაქეების მონაწილეობა სხვა ქვეყნის საომარ ოპერაციებში. თუ ვინმეს პირადად გაუჩნდება სურვილი, რომ მიიღოს მონაწილეობა სხვის ომში, მან უარი უნდა თქვას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობაზე და ამის შემდეგ წავიდეს ნებისმიერ ანაზღაურებაზე, რადგან ასეთი საქციელით საფრთხეს ჩვენც გვიქმნის. **როდესაც სახელმწიფო ან მისი მოქალაქე მონაწილეობს სხვა ქვეყნის საომარ ოპერაციებში, ბუნებრივია, რომ ასეთ დროს ქვეყანა მტერს იძენს. აქედან გამომდინარე, არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ადამიანებს უჭირთ და ამიტომ მიდიან იქ. ეს არის დაქირავებული მკვლელობის ნაირსახეობა. ამ ლოგიკით, შეიძლება ვიღაცას უფრო მეტი რომ გადაუხადონ, მეც მომკლას.** მაგრამ თუ ამაში სახელმწიფოს ბრალეულობას დავინახავთ, ასეთ შემთხვევაში, გლოვის დღეც გამოსაცხადებელია, ამ ადამინების გინებაც არ არის სწორი, მათი ოჯახებიც იმსახურებენ ყველანაირ ხელშეწყობასა და ბოდიშებს. მეორე — ინიციატივა, რომელიც ჩვენმა არასამთავრობომ შეიტანა პარლამენტში, შეეხებოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი უცხო სამხედრო ძალისა და ბაზის განლაგება- გადაადგილების აკრძალვას. იყო მესამე ინიციატივაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს არცერთ სამხედრო პოლიტიკური ალიანსის მიერ დაგეგმილ ოპერაციებში მონაწილეობა არ უნდა დაეშვა.

გასაკვირი არ არის, რომ წინა ხელისუფლებამ წარდგენილ კანონპროექტებზე არანაირი რეაგირება არ მოახდინა, მაგრამ ის ხელმოწერები იქ ისევ დევს და, თუ ჩვენ დღეს სხვა ხელისუფლება მივიღეთ, მათ ელემენტარულად საკითხი მაინც უნდა დასვან — ზემოთ ჩამოთვლილ ინიციატივებზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს თუ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს. ეს არ არის მხოლოდ ღრმად პატივცემული უსუფაშვილის გადასაწყვეტი. სამწუხაროდ, გარდა სოციალური ქსელებისა, დღეს მე არ მაქვს საშუალება, სხვაგვარად ვიაქტიურო, ჩემი აქტიურობა გათვლილია იმაზე, რომ, ვისაც აქვს საშუალება და ჩემს პოზიციას დაეთანხმება, მას, როგორც იდეა, ეს მიეწოდოს, არანაირი პრეტენზია არ მაქვს საავტორო უფლებაზე.

**— სოციალურ ქსელში თქვენ დაწერეთ ასეთი ფრაზა „ნატოს გარეშე დარჩენილი გადაკუზული საქართველო“. რას გულისხმობდით?**

— ვგულისხმობდი იმას, რა მდგომარეობაშიც დღეს ვართ...

**— მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ავღანეთში ბიჭები დაღუპულები, ეს მეორე თუ მესამე დღეს მოხდა...**

— მერე რა? მანამდე სამი ჯარისკაცის მსხვერპლი იყო და საერთოდ, ვინმემ დათვალა რამდენი ადამიანია სულ მკვდარი ერაყსა და ავღანეთში? სააკაშვილის დროს ეს ტაბუდადებული თემა იყო. სოციალურ ქსელში ეს რომ დავწერე, ვგულისხმობდი, აგრეთვე, სექსუალური უმცირესობის ყბადაღებულ თემას. **მაინტერესებს, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები თითს გვიქნევენ, იმავე თითს უქნევენ თუ არა ფრანგებს, სადაც ასჯერ მეტი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში? საქართველოში სწორედ იმიტომ არ უნდა გავუშვათ ეს მომენტი ხელიდან, რომ მერე გვიანი არ აღმოჩნდეს.** მეთიუ ბრაიზას გამონათქვამები წავიკითხე. არ მგონია, ვინმეს მისი უფლებები შეელახა, თანაც ჩვენ არ გვჭირდება სხვისი მითითება, „ცისფერები“ ისედაც სარგებლობენ პრივილეგიებით, ისინი ჯარში არ მიდიან. თუ ისინი თავს სრულფასოვან მოქალაქეებად თვლიან და მათ ჩვენ ვავიწროებთ, რატომ არ მიდიან ჯარში — ავღანეთში, ერაყში?.. ამ სიტუაციის გალეგალურება სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანს.

საქართველო არავის არ უნდა ეკითხებოდეს, რა ნაბიჯს გადადგამს, ეს განსაკუთრებით საშინაო პოლიტიკას ეხება. როცა რამე სერიოზული საკითხის განხილვაა, ყოველთვის ესწრება სხვადასხვა ქვეყნის წამომადგენელი, განსაკუთრებით კი ამერიკის წარმომადგენელი — ელჩი ან სხვა ვინმე. დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები ასე აქტიურად რომ ერევიან ჩვენს საქმიანობაში, იმას ნიშნავს, რომ გვაჯერებენ, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენი ნატოში გაწევრიანებისთვისაა საჭირო. **სხვისი ჩარევა ჩვენს საქმეში ძალიან ცუდია, მაგრამ საქართველოსთვის ეს კარგიც რომ იყოს, ჩვენ მიღებას ნატოში არავინ აპირებს! ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს გამორიცხულია! საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნება ნატოსთან ან მასში შემავალ რომელიმე ქვეყანასთან და ამერიკასთან სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხებში, მათ შორის, სამხედრო. ნატოში შემავალი ქვეყნებიდან ერთი მაინც დამისახელოს ვინმემ, სადაც ნატომ ხელი შეუწყო ქვეყნის ერთიანობას!**

**— რადგან გეიაღლუმის თემას შევეხეთ, რა როლი ეკისრება ეკლესიას? ლიბერალები ამბობენ, რომ ეკლესია ძველ დროშია ჩარჩენილი... ხალხი მეტს მოითხოვს...**

— ეკლესია ჩარჩენილია და ესენი „პრადვინუტები“ არიან? ეკლესია მართლაც ძალიან დიდ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. 17 ივნისს სასულიერო პირები რომ არ ყოფილიყვნენ, არ ვიცი, იქ რა მოხდებოდა, შესაძლებელია მსხვერპლი ყოფილიყო, შესაძლებელია კი არა, ნამდვილად მსხვერპლით დასრულდებოდა. ეკლესია მიზანშია ამოღებული, 17 მაისს მომხდარი ამბავი საბაბია. შევარდნაძის დროს ჩამოვიდა ბჟეზინსკი, აღიარებული ლიდერი ჩვენი „პრადვინუტების“, რომელმაც ძალიან მკვეთრი განცხადება გააკეთა: „ჩვენ გავიმარჯვეთ ყველგან, (ლაპარაკია, ახალ მსოფლიო წესრიგზე) ერთადერთი დასამარცხებელი დაგვრჩა მართლმადიდებლობა“. ადამიანები, რომლებიც პატრიარქს უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ, დღეს მიხვდებიან, თუ რატომ ხდება ეს. **ყველაზე არასაკამათო თემაზე, როგორიც იყო გეიაღლუმი, პირველი, ვინც დარტყმის ქვეშ დადგა, იყო ეკლესია. ჩვენ, ვინც სოციალურ ქსელებში ვაქტიურობდით და ვწერდით, რომ, თუ დაგვჭირდა, ქვასაც ავიღებთ და ვისვრით, არავინ გვახსენებს, მხოლოდ მღვდლებზე მიიტანეს იერიში.**

**— მოგწონთ ახალი ხელისუფლების მუშაობა, მათი გარემოცვა, კურსი?**

— მე არ მომწონს ივანიშვილის გარემოცვა. ვთვლი, რომ რესპუბლიკური პარტია არის ივანიშვილის ერთადერთი გარემოცვა, მან ეს არჩევანი ნებით გააკეთა თუ კარნახით, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ არჩევანი გაკეთებულია. ივანიშვილის გულშემატკივრებში იყო ასეთი მოსაზრება, რომ ამათ ახლა მოიშორებს. აღმოჩნდა, რომ არ მოიშორა და ისინი საპარლამენტო სიაშიც აღმოჩნდნენ, პრაქტიკულად ყველაზე მნიშვნელოვან სფეროში ისინი არიან, ადამიანები, რომლებიც იდეოლოგიურად მიშასგან არაფრით განსხვავდებიან; ისინი ერთი საერთო ინკუბატორიდან, სახელწოდებით „თავისუფლების ინსტიტუტი“ გამოძვრნენ.

აქედან გამომდინარე, არაფერი შეიცვლება — არც საგარეო კურსი. თქვენ გგონიათ, რომ აბაშიძე და კარასინი დაარეგულირებენ ურთიერთობას? რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები დარეგულირებული რომ არ არის, ამაში დიდი წვლილი ორივე ქვეყნის ხელისუფლებას მიუძღვის, თუმცა საქართველო მეტ მიზეზსა და საბაბს აძლევდა, რომ რუსეთს თავისი ინტერესები გაეტარებინა და ეს ჩვენ ვნახეთ აგვისტოს ომში — წინასწარ დასამარცხებლად დაგეგმილ ომში. ეს იყო შეთქმულება, რომელშიც სააკაშვილმა დანაშაულებრივი მონაწილეობა მიიღო. **რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირებაში ქართული მხარე უნდა იყოს დაინტერესებული, სანამ საქართველო არ გადადგამს ნაბიჯს ნეიტრალიტეტისკენ, არაფერი გამოვა, ნატოსთვის ლიმონივით გამოიწურება ჩვენი როლი და მერე ჩვენი ნება კი არ იქნება, თავისითაც მოხდება ის, რომ დანგეული მაზრისა თუ გუბერნიის სახით რუსეთის ხელში აღმოვჩნდებით.**

**— როგორი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს ქვეყანას: პრეზიდენტი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ქვეყნის პრობლემების მოგვარებაში თუ მხოლოდ ელჩებს შეხვდება და საზეიმო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას?**

— ვთვლი, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი და არა საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი, ისევე, როგორც გერმანიას. თუ პრეზიდენტს ბუტაფორიად დატოვებ, ბუტაფორიას არ უნდა ირჩევდე საყოველთაო არჩევნებით.

**— ქალბატონო ირინა, თქვენი პროგნოზები ხშირ შემთხვევაში მართლდებოდა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩატარდება თუ არა ხელახალი საპარლამენტო არჩევნები?**

— არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს ორი არჩევნები ერთმანეთს დაშორდება. თუ ივანიშვილს სურს, რამეს მიაღწიოს, ეს უნდა გააკეთოს. იმიტომ, რომ მისი დღევანდელი პრეზიდენტობის კანდიდატი არ სარგებლობს დიდი რეიტინგით. ის, რომ მას ხალხი ხმას მისცემს, არ ნიშნავს იმას, რომ არ იქნება გამაღიზიანებელი მოსახლეობისთვის. ასე მისცეს ხმა რესპუბლიკელებსაც და, თუ მაგრველაშვილმაც ვერ ივარგა და, ალბათ, ვერ ივარგებს, აქედან გამომდინარე, ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებში პრობლემები შეექმნება. ამასთან, თუ მან გადაწყვიტა გარემოცვის შეცვლა, ყველა ლოგიკით, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნება ეს ახლა გააკეთოს, რადგან, შესაძლოა, იმდროინდელმა ივანიშვილის რეიტინგმა ორმხრივ დარტყმას, ცალკე გარემოცვისგან და ცალკე პრეზიდენტისგან, ველარ გაუძლოს.



## «ეს არის დაქირავებული მკვლელობის ნაირსახეობა. ამ ლოგიკით, შეიძლება ვიღაცას უფრო მეტი რომ გადაუხადონ, მეც მომკლას»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ღვთის მადლით, მოვიშორეთ „ნაციონალური მოძრაობა“ თავიდან და მალე სააკაშვილიც წავა. თუმცა ლიბერტარიანელთა ბრძოლა გაგრძელდება და ჩვენ ამ უზნეობას უნდა ვებრძოლოთ, აღარაფერი არ უნდა დავუთმოთ და, რაც დავკარგეთ, იმის დაბრუნება უნდა შევძლოთ. თუ კიდევ დავუთმეთ, თუ მოგვერივნენ, გადაგვთელავენ და ცოტა ხანში სამშობლო აღარ გვექნება. ქართველ მწერალთა აკადემიის მისია სწორედ ამ ბრძოლის შუაგულში ტრიალი და ხალხის გვერდით დგომაა. მწერალი დაიბრუნებს თავის ფუნქციას და მალე ისევ ერის წინამძღოლად იქცევა, როგორც ეს ილია ჭავჭავაძის ეპოქაში იყო.“



## კობა არაბული:

# ქართველი მწერლების მთელი ქონება სამმა კაცმა გაყიდა და გაინაწილა

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა. აკადემიის თავკაცად მწერლებმა თამაზ წივწივაძე აირჩიეს. მწერალთა ახალ გაერთიანებას მეტად სოლიდური მიზნები აქვს. უმთავრესი, ალბათ, ის არის, რომ ქართველი მწერლისთვის დაკარგული ფუნქციისა და დაკნინებული სახელის აღდგენისთვის გარჯას აპირებენ. თუ ჩვენში მწერალს ავტორიტეტი დაუბრუნდა, მერე იმ დიდი გეგმების განხორციელებაც გახდება შესაძლებელი, რომელთაც აკადემიის მესვეურნი შესჭიდებიან. ამ ბოლო დროს შემოქმედებითი გაერთიანებები ბევრი გვინახავს, მაგრამ მათ მიერ გაკეთებული საქმე — ნაკლებად. ღმერთმა ქნას, მწერალთა ეროვნული აკადემია გამონაკლისი აღმოჩნდეს და ქართველმა მწერლებმა დაიბრუნონ ერის წინამძღოლის ის მისია, რომელიც ოდითგან ჰქონდათ. „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია მწერალთა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პოეტი კობა არაბული.**

**— ბატონო კობა, რამ განაპირობა მწერალთა ეროვნული აკადემიის დაარსება?**

— მწერალთა ეროვნული აკადემიის დაარსების აუცილებლობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ამ აპოკალიფსურ დროში ვითარება არის ძალიან შეცვლილი. **ჩვენს ერზე მიდის ზნეობრივი ძალადობა — ლიბერტანიანელთა ძალადობა ერის ტრადიციებსა და ზნეობაზე, ხდება ახალგაზრდა თაობის ზომბირება უცხო ძალთა და ენერგიათა მიერ, გაურკვეველი სქესის ინდივიდები საზოგადოებას თავს ახვევენ მისთვის სრულიად მიუღებელ „ღირებულებებს“. სამწუხაროდ, მთელი სერიოზულობით გვიწევს იმის მტკიცება, რომ ქალი ქალია და კაცი — კაცი.** ასეთ დროს მწერალი ხალხთან უნდა იდგეს. როგორც დასტაქარი შედის ხოლერიან სოფელში და განკურნავს სნეულთ, მწერალიც ასეთი შემართებითა და შეუპოვრობით უნდა გავიდეს ხალხში, უნდა განკურნოს ხალხი, იმ უზნეობას მედგრად უნდა ებრძოლოს, რომელიც ჩვენს ერს, უკვე წლებია, თავს მოახვიეს. მწერალთა აკადემიის დაარსების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა ის, რომ ახლანდელმა მწერალთა კავშირმა მთლიანად ამოწურა თავი და შეძლო ქართული მწერლობის დაჭაობება. ბილწთან ზავის შეკვრამ და ტირანულ, უზნეო ხელისუფლებასთან კოაბიტაციის რეჟიმში ყოფნამ ისინი ერისთვის მიუღებლად აქცია.

**— მწერლის ნდობა დაკარგა ხალხმა. 17 მაისის გეიაღლუმს გაგახსენებთ, სადაც მხოლოდ რამდენიმე მწერალი იყო. ხალხი ამბობდა, მთელი ქართული მწერლობა ახლა აქ უნდა იყოს და ამ უზნეობას ისინი უნდა ებრძოდნენ, ხალხს სათავეში სწორედ მწერლები უნდა ედგნენო. ქართულ ინტელიგენციას ავანგარდში მუდამ მწერლები ედგნენ, არავის როლს არ ვაკნინებ, მაგრამ მწერლების შემდეგ მოდიოდნენ ხელოვნების სხვა სფეროთა წარმომადგენლები, მეცნიერები. ამის დასტურად ეროვნული მოძრაობის პერიოდიც გამოდგება, როცა ქართველმა მწერლებმა უდიდესი მისია იტვირთეს და იქ იყვნენ, სადაც ხალხს უჭირდა. აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი და კიდევ რამდენიმე მწერალი ეროვნული მოძრაობის დისიდენტ ლიდერებს ავტორიტეტით არ ჩამოუვარდებოდნენ.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. მწერლის ნდობა დაკარგა საზოგადოებამ, მწერლის მისია და ფუნქცია დღეს ნულოვანია. მწერალთა ერთმა სოლიდურმა ნაწილმა ხელისუფლებასთან კოაბიტაცია და ჩახუტება არჩია. **არც ერთ დროში, არც ერთ ხელისუფლებასთან არ უნდა იყოს მწერალი მიტმასნილი, მასთან გარიგებაში შესული და მისი დაკვეთის შემსრულებელი. მით უფრო იმ ხელისუფლებასთან როგორ შეიძლება სიამტკბილობით ყოფნა, რომელიც ქვეყანას გინგრევს, ერს ზნეობრივად გიხრწნის და სამშობლოს თავზე გამხობს?! ასეთ ხელისუფლებას უნდა ებრძოლო, აბა, რის მწერალი ხარ?!** კი, 17 მაისს მართლა არ იყო ქართული მწერლობა რუსთაველზე, არადა, უნდა ყოფილიყო. რამდენიმე მწერალი კი იყო იქ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მთავარი მართლა ის არის, რომ იმ აქციას, წესით, მწერლები უნდა ჩასდგომოდნენ სათავეში და ხალხთან ერთად ებრძოლათ უზნეობის წინააღმდეგ. აკი გითხარით, დღეს მწერლის ფუნქცია ნულოვანია. ხალხს როცა მწერალთა კავშირს ვუხსენებ, სიცილით კვდება, ზოგმა მისი არსებობაც არ იცის. პრინციპში, არც არსებობს. მწერლები თავისთვის არიან შეყუჟულნი, მწერალთა კავშირი სავაჭრო ორგანიზაციად გადააქციეს.

**— მწერალთა აკადემიის დაარსება კიდევ უფრო ხომ არ გააღრმავებს ქართველ მწერალთა შორის არსებულ დაპირისპირებას?**

— მეტი რაღა უნდა გააღრმავოს, უფსკრულია უკვე. რაც დასამტვრევია, დაე, გატყდეს და რაც გასახლეჩია, გაიხლიჩოს. მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობის დამსახურებაა, რომ ხალხმა მწერლის ნდობა დაკარგა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის არჩევაში მე დიდი წვლილი მიმიძღვის და ახლა ამისთვის ბოდიშის მოხდა მიწევს ხშირად. **მწერალთა აკადემია იქნება ეროვნული ფასეულობების, ზნეობრიობის, კულტურის გადარჩენის ცენტრი. თუ ვინმე ამ საქმეში დაგვიპირისპირდება, დაგვიპირისპირდეს, თუნდაც მწერალი იყოს. გვეცოდინება მაინც, ვინ სად და ვისთან დგას, ვინ რისთვის იბრძვის.** ქართველი მწერლების მთელი ქონება სამმა კაცმა გაყიდა და გაინაწილა.

**«ლიბერტარიანელთა ბრძოლა გაგრძელდება და ჩვენ ამ უზნეობას უნდა ვებრძოლოთ, აღარაფერი არ უნდა დავუთმოთ და, რაც დავკარგეთ, იმის დაბრუნება უნდა შევძლოთ»**

განა მარტო „მერანი“ გაყიდეს? აჭარაში გაყიდეს დიდძალი ქონება. ერთი პოლიკლინიკა ჰქონდა მწერალთა კავშირს, მოლაპარაკება მიდიოდა მის ადმინისტრაციასთან, კავშირი მათ წილს დაუთმობდა, თუ ისინი ამ პოლიკლინიკას აამუშავებდნენ, მწერლებს კი უფასოდ უმკურნალებდნენ. რამხელა შვება იქნებოდა ახლა ეს მწერალთათვის, მითხარი ერთი. მაგრამ ის პოლიკლინიკაც დაკარგეს. როგორ, რანაირად, კაციშვილმა არ იცის. ერთადერთი შენობაღა დარჩა კავშირს მაჩაბლის №1-ში, ის გაქირავებული აქვთ და ეჭვი მაქვს, თუ დროზე არ მოვიკითხეთ, იმ შენობასაც მიაყიდიან. თუ არადა, გაყიდონ ეგ სახლიც და, მოსაპარი და წასაგლეჯი რომ აღარაფერი დარჩება, თავისით დაიშლებიან.

მწერალთა კავშირის შენობაც ამათ ხელში არ დაიკარგა? თავის დროზე ხომ დავით სარაჯიშვილმა აჩუქა ეს სახლი ქართველ მწერლებს, მერე ორი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის, ბრძანებულებებით გადმოეცა მწერლებს, მაგრამ ორი პრეზიდენტის ბრძანებულებები ერთი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას, ბრძანებით გაუქმდა და მწერალთა სახლი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა. მერე კულტურის სამინისტროს გადაეცა მართვის უფლებით. **ნიკა რურუამ ნატა ლომოური დანიშნა მწერალთა სახლის დირექტორად, ნიკო ლომოურის შვილი. მე მანდატურს ვეძახი ნატა ლომოურს. თვითონ გიწერს გრაფიკს, როდის რა ღონისძიება უნდა გამართო. კაი დედის შვილი ხარ და 10 წუთი გადააცილე, შემოვარდება ეგრევე და ხალხს გარეთ ერეკება, — თქვენი დრო ამოიწურაო. კინოსეანსია თუ რა უბედურებაა, ვერ გავიგე! ნატა ლომოური რატომ უნდა მიდგენდეს, როდის რომელი მწერლის პოეზიის საღამო უნდა გავმართო და რამდენი ლექსი უნდა წავიკითხო?!** ერთხელ 300 მწერალი ვიყავით შეკრებილი, უამრავი ადამიანი რაიონიდან იყო ჩამოსული და შემოაღო კარი, 10 წუთით გადააცილეთ დროს, დაიშალეთო. მეტი რაღა უნდა ვთქვა ამ მანდატურზე? იმდენს ხომ უნდა მიხვდე, რომ 300 მწერალი გასართობად არ შეიკრიბება და, რაკილა ჯერ არ იშლებიან, საქმეზე მსჯელობენ და რაღაც მნიშვნელოვან საკითხს წყვეტენ. მორჩებიან და დაიშლებიან, აბა, დარბაზში ხომ არ გაათევენ ღამეს.

**— მწერალთა სახლის დირექტორი არ შეიძლება მწერალი იყოს? მიმართეთ კულტურის სამინისტროს, რომ ისეთი ადამიანი დანიშნონ, რომელსაც მწერლობისა და მწერლების ავ-კარგი ესმის.**

— კი, ვაპირებთ მაგის გაკეთებას. გურამ ოდიშარიასთან გვინდა მივიდეთ და ჯემალ დავლიანიძის კანდიდატურა შევთავაზოთ ნატა ლომოურის ნაცვლად. ჯემალი მწერალია, გამსახურდიას დროს პრეფექტადაა ნამუშევარი და ის საქმეც იცის, რომელიც სხვა მწერლებს არ გვეხერხება, კარგად მოაბამს თავს ამ საქმეს.

**— მაყვალა გონაშვილი აცხადებს, რომ მწერალთა აკადემიის ერთადერთი მიზანი თამაზ წივწივაძის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დაბრუნების მცდელობააო.**

— მაყვალა გონაშვილმა გაიხსენოს, რომ თამაზ წივწივაძე მასავით არ ჩაფრენია თავმჯდომარის სკამს და თავისი ნებით გადადგა. **თამაზ წივწივაძემ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს, ამის გამო კი უამრავი პრობლემა შეექმნა. ბოლოს თქვა, მე დიდ შარში შეიძლება გავეხვე და, მწერალთა კავშირის წევრებს ჩემ გამო პრობლემები რომ არ შეექმნათ, გადავდგებიო. წავიდა, მაგრამ იმ დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია, რომელთანაც მაყვალა გონაშვილი მშვენიერ ურთიერთობაში იყო.** თამაზ წივწივაძეს მწერალთა ქონება არ გაუყიდია და სახლში არ წაუღია. პირიქით, როცა გოკა გაბაშვილმა მწერალთა კავშირს დაფინანსება შეუწყვიტა, სააკაშვილის დავალებით, მაშინ თამაზ წივწივაძეს სახლიდან დანაზოგი ფული მოჰქონდა და შეჭირვებულ მწერლებს ეხმარებოდა, ბევრ მწერალს მოათქმევინა სული და ეს გონაშვილმა ძალიან კარგად იცის. თამაზ წივწივაძე მაყვალა გონაშვილს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობას არ შეეცილება, რადგან ჩვენ აკადემია დავაფუძნეთ და მის ხელმძღვანელად ავირჩიეთ.

**ამ ხალხის სიხარბეს საზღვარი მართლა არა აქვს. არ გეცოდინებათ და ახალ ამბავს გეტყვით. თბილისის მერიის სოციალური და კულტურის სამსახურის უფროსთან, მამუკა ქაცარავასთან მივიდა ერთი მწერალი დახმარების სათხოვნელად. გადარეულა ქაცარავა, რაღას მთხოვთ, მწერალთა კავშირს ქვეყანა ფულს ვურიცხავ სწორედ გაჭირვებულთა დასახმარებლად და სხვა საჭიროებებისთვისაცო. საინტერესოა, რომელ მწერლამდე მიაღწია მერიიდან გადმორიცხულმა თანხამ. მე ჯერ ასეთი მწერალი არ მინახავს. ეს საქმეც გამოსარკვევია, ახალგაზრდა მწერლები იძიებენ ამ ამბავს და მალე გავიგებთ, სად წაიღეს ის ფული მაყვალა გონაშვილმა და რეზო მიშველაძემ.**

**— ბატონო კობა, წეღან ლიბერტარიანელთა შემოსევაზე ჩამოაგდეთ სიტყვა. რა ვქნათ, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ჭირს?**

— ახლა სწორედ ყოფნა-არყოფნის ჟამი გვიდგას. **ინდოევროპული რასა შემოესია საქართველოს და მიდის ერზე ზნეობრივი ძალადობა. ხელს არ აძლევთ ისეთი ძველი ცივილიზაციის ერის არსებობა, ჩვენ რომ ვართ, ერის ცნობიერებიდან უნდათ რომ წაშალონ უძველესი ტრადიციები, ზნემაღალი ღირებულებები, რომლებიც ჩვენი წინაპრების ზნეობრივ კოდში დევს, რომელმაც გადაგვარჩინა და აქამდე მოგვიყვანა, სწორედ იმას ებრძვიან ლიბერტარიანელები.** მიხეილ სააკაშვილმა დიდი სახელმწიფოების პოლიგონზე მოგვაქცია და მსხვერპლად ვეწირებით ამ სახელმწიფოთა ინტერესებს. სააკაშვილისა და ლიბერტარიანელთა მისია ქართველი ერის განადგურებაა და შეძლებისდაგვარად მოახერხეს კიდეც ეს. სააკაშვილმა დაცალა სოფლები, მთიდან თემები აყარა, ერის განდევნა შეძლო ქვეყნიდან. დევნა დაუწყეს ნიჭიერ, მაღალზნეობრივ ადამიანებს და უნიჭობა და უზნეობა დაამკვიდრეს ქვეყანაში. მომავალ თაობასაც ამ უნიჭო და უზნეო ხალხს უსახავენ მაგალითად. ხალხს იჭერდნენ, კარგი ბიჭი რატომ ხარ, ხალხში ავტორიტეტი რატომ გაქვს, შენს სიტყვას ფასი რად ადევსო. რა უნდა ვქნათ? **ღვთის მადლით, მოვიშორეთ „ნაციონალური მოძრაობა“ თავიდან და მალე სააკაშვილიც წავა. თუმცა ლიბერტარიანელთა ბრძოლა გაგრძელდება და ჩვენ ამ უზნეობას უნდა ვებრძოლოთ, აღარაფერი არ უნდა დავუთმოთ და, რაც დავკარგეთ, იმის დაბრუნება უნდა შევძლოთ. თუ კიდევ დავუთმეთ, თუ მოგვერივნენ, გადაგვთელავენ და ცოტა ხანში სამშობლო აღარ გვექნება. ქართველ მწერალთა აკადემიის მისია სწორედ ამ ბრძოლის შუაგულში ტრიალი და ხალხის გვერდით დგომაა. მწერალი დაიბრუნებს თავის ფუნქციას და მალე ისევ ერის წინამძღოლად იქცევა, როგორც ეს ილია ჭავჭავაძის ეპოქაში იყო.**

**— დაბოლოს, 6 ივნისს ავღანეთში, ქართული სამხედრო კონტიგენტის ბაზაზე მომხდარ ტერაქტზე მინდა გკითხოთ, რომელმაც 7 ქართველი ჯარისკაცი შეიწირა. როგორ ფიქრობთ, 26 მაისს მიხეილ სააკაშვილის ამ ბაზაზე ვიზიტი და მისი როყიო საუბარი ქართველ ოფიცერთან თალიბი ტერორისტების განადგურების თაობაზე ამ ტერაქტთან კავშირშია?**

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა?! ეს ტერაქტი მოჰყვა სააკაშვილის ამ ბაზაზე ჩასვლას. როგორ შეიძლება, ოფიცერს ტელედაკითხვა მოუწყო, თუ რამდენი თალიბი მოკლა?! კი, ტერორისტი მოკლა, მაგრამ ის ტერორისტი ამ თალიბებისთვის, ხომ იცი, რომ გმირია და რატომ აღიზიანებ? **ეს იყო სააკაშვილის მიერ მოწყობილი პროვოკაცია და არ გამოვრიცხავ, რომ ეს შეგნებულადაც გააკეთა. მაგას ხელს აძლევს ტერაქტებიც და ყველა სხვა უბედურებაც, რაც ამ ქვეყანას დაატყდება. მაგისმა ტელედაკითხვამ ის შვიდი ჯარისკაცი ხომ შეიწირა, საქართველოც ტერორისტების სამიზნედ აქცია — ჯიჰადი გამოგვიცხადეს.** საერთოდ, ის ვიკითხოთ, რა უნდათ ავღანეთში ჩვენს ჯარისკაცებს! ვის ომში იბრძვიან, ვის ქვეყანაში და ვისი ინტერესებისთვის? ამ ომიდან საქართველო ვერანაირ სარგებელს ვერ ნახავს. არ არის ეგ ჩვენი ომი და, რაც მალე გამოიყვანენ ავღანეთიდან ქართველ ჯარისკაცებს, მით უკეთესი.

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

**გორში სტალინის ძეგლი აიღეს ასევე ქართველმა ბოკერიამ და ბარამიძემ, ქართულ სისხლგარეულმა სააკაშვილმა და მათმა მსგავსმა არაკაცებმა. ხომ წარმოგიდგენიათ, ამათი პოლიტიკის თანამგრძნობი მენტალობის მქონე მინისტრი როგორ საგარეო პოლიტიკას გაატარებს და როგორ იმიჯს შეუქმნის ქვეყანას მსოფლიოს თვალში. დაუშვებლად მიმაჩნია ასეთი ადამიანისთვის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მინდობა. არ შეიძლება ასეთი მენტალიტეტის მქონე პიროვნება ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საგარეო საქმეთა მინისტრმა საშინაო ნაღმს დააბიჯა

## მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ «სტალინი არანაკლებ დამნაშავეა, ვიდრე ჰიტლერი». მას სასამართლოში უჩივლეს და ბოდიშის მოხდას სთხოვენ

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ალექსანდრე ჭაჭიამ მკაცრად გააკრიტიკა საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მისი როყიოდ წამოსროლილი ფრაზის გამო: „სტალინი არანაკლებ დამნაშავეა, ვიდრე ჰიტლერი“. „მან არამხოლოდ ისტორიის და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა,“ — განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიამ.
ამ თემასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო პუბლიცისტ ომარ გოცაძის გამოხმაურება, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.**



**ახლახან შევიტყვე, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს პარლამენტის უმცირესობასთან შეხვედრისას დიდი რიხით განუცხადებია: „სტალინი არანაკლებ დამნაშავეა, ვიდრე ჰიტლერი“.**

რა დონის უწიგნური უნდა იყოს ადამიანი, ასეთი რამ რომ თქვას. თანაც ამას ამბობს არა ვინმე ჭორიკანა დიასახლისი ეზოში შეკრებილ თავის დაქალებთან ჭორაობისას ან ჩვენი ლიბერასტების რომელიმე თანამოაზრე, არამედ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამას უკვე სამარცხვინოსაც ვეღარ ვუწოდებთ, ეს უფრო დიდია და იმ ქვეყნის კატასტროფაცაა, რომელსაც ასეთი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს. ამიტომ ამის პატიება არაფრით შეიძლება.

ძალზე ვწუხვარ, რომ ჩემი უფროსი მეგობრის, ბატონ გურამ ფანჯიკიძისა და ჩემთვის სამაგალითო პიროვნების, ქალბატონ დალი ფანჯიკიძის შესანიშნავ ოჯახში ასეთი მენტალიტეტის მქონე შვილი აღიზარდა. ქალბატონო დალი, თქვენზე უკეთესად ვინ უწყის, რომ უცხო ენების ცოდნა განათლებას არ ნიშნავს. ეს მხოლოდ ერთ-ერთი, მაგრამ კარგი დამხმარე საშუალებაა განათლების მისაღებად. თუ არა, სისულელეს რაც მეტ ენაზე იტყვი, მით უარესია. მე დიდად ვაფასებ თქვენს პრინციპულობას, ობიექტურ და სამართლიან დამოკიდებულებას როგორც სტუდენტების, ასევე თქვენივე საახლობლო წრის მიმართაც. თქვენ ის ერთადერთი ობიექტური და ღირსეული პროფესორი ბრძანდებით, რომელიც პრინციპულად წინ აღუდგა და თავისი ადგილი მოუჩინა ქვეყნის უპირველეს ცოდნის ტაძარში ოროსანი, უვიცი და თავხედი თუთბერიძის აღვირახსნილ პარპაშს. ამიტომ ცოტა მიკვირს კიდეც თქვენი შვილისგან ასეთი განცხადების გაკეთება.

**ვინ — ვინ და საგარეო საქმეთა მინისტრმა, როგორც იტყვიან, ქვეყნის პირველმა დიპლომატმა და პოლიტიკოსმა, ის ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ სტალინი იყო მოვლენა, რომლის მსგავსი პოლიტიკოსი კაცობრიობის ისტორიას ჯერჯერობით არ ჰყოლია. აღარაფერს ვამბობ მის მხედართმთავრულ და ქვეყნის აღმშენებლობის განსაკუთრებულ ნიჭსა და ორგანიზატორულ უნარზე.** მისი სიდიადის განსაზღვრისა და შეფასებისთვის მსოფლიოს გრანდების მიერ თქმული სიტყვებიდან მოვიშველიებ ერთ-ერთს. ყველასათვის ცნობილი გენიალური პიროვნების, მსოფლიო დონის გამოჩენილი მხატვრის **პაბლო პიკასოს** ნათქვამიდან მცირე ამონარიდს: **„თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.** სტალინს სულ რომ არაფერი გაეკეთებინა ამ ქვეყანაზე, გენიოსად შერაცხვისთვის მარტო ის ჰყოფნის, ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო რომ გადაარჩინა და ფაშიზმის ამ ყავისფერი ჭირისგან იხსნა. **მე არ ვიცი ქალბატონი მაია რა დონეზე იცნობს ჰომეროსის, შექსპირისა და გოეთეს შემოქმედებას ან ნიცშეს ფილოსოფიას, მაგრამ პოლიტიკაში რომ მოიკოჭლებს, ეს სადავო არაა, რადგან კოჭლობა იმდენად თვალშისაცემია, რომ ქვეყანასაც კაი გვარიანად ეტყობა.**

ძალზე სამწუხაროა, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სააკაშვილის, ბოკერიას, ბარამიძის, გივია თარგამაძის, თაქთაქიშვილების, რატიანების, ჩერგოლეიშვილებისა და თუთბერიძეების მასონურ პოლიტიკას აგრძელებს. ვინც ქართველმა ხალხმა პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, ქალბატონი მაია მათ რეანიმაციას ცდილობს და, ფაქტობრივად საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ილაშქრებს, იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა. ის, რისი თქმაც ძალიან უნდოდათ, მაგრამ ვერ გაბედეს ხრუშჩოვმა, გორბაჩოვმა, იაკოვლევმა და მათმა მსგავსმა სხვადასხვა ჯურის ასობით პირწავარდნილმა ანტისტალინელმა, გაახმოვანა და თქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქართველმა მაია ფანჯიკიძემ; **გორში სტალინის ძეგლი აიღეს ასევე ქართველმა ბოკერიამ და ბარამიძემ, ქართულ სისხლგარეულმა სააკაშვილმა და მათმა მსგავსმა არაკაცებმა. ხომ წარმოგიდგენიათ ამათი პოლიტიკის თანამგრძნობი მენტალობის მქონე მინისტრი როგორ საგარეო პოლიტიკას გაატარებს და როგორ იმიჯს შეუქმნის ქვეყანას მსოფლიოს თვალში. დაუშვებლად მიმაჩნია ასეთი ადამიანისთვის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მინდობა. არ შეიძლება ასეთი მენტალიტეტის მქონე პიროვნება ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს.** მე მრცხვენია, ჩემს ქვეყანას ასეთი საგარეო საქმეთა მინისტრი რომ ჰყავს. კიდევ კარგი, რომ ჯერჯერობით ეს ქალბატონი ქვეყნის ერთადერთი მინისტრია, რომელიც ზუსტად ჯდება ბატონი სააკაშვილის გემოვნებაში და მის პოზიციას ასე მყარად უჭერს მხარს. ეტყობა, ამიტომაც ჰყავდა იგი ბატონ პრეზიდენტს ელჩად გერმანიაში. ალბათ, საგარეო საქმეთა მინისტრადაც მოიაზრებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინაც რამე სისულელე წამოროშა და ელჩობიდანაც ამიტომ გაუშვეს, ახლა რომ ალასანიას ცოლისდობას აბრალებს თავის განთავისუფლებას. სააკაშვილისადმი მაშინდელი მადლიერების გრძნობას ამჟამად ამ ფორმით გამოხატავს, ხარკს ახლა უხდის და მის გუნდსაც ამიტომ ელაქუცება.

**კაცს, რომელმაც ფაშიზმთან ბრძოლასა და მის დამარცხებას შეალია მთელი თავისი ძალა და ენერგია, ფაშისტების ფიურერს ჰიტლერს ადარებენ. კაცს, რომელმაც მსოფლიო იხსნა ამ ყავისფერი ჭირისგან, თურმე ქვეყნად სასიკეთო არაფერი გაუკეთებია და ის ჰიტლერზე არანაკლებ დამნაშავე ყოფილა. კაცს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები მიუმატა და 76000 კვ.მ-მდე გაზარდა, თურმე საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია. კაცს, რომელმაც ფაშიზმის დამარცხებას საკუთარი შვილი შესწირა, თურმე შვილი არ ჰყვარებია. კაცი, რომელმაც „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ დაწერა, თურმე საქართველოსა და ქართველი ხალხის მტერი ყოფილა.**

ქალბატონო მაია, თქვენი გამონათქვამით შეურაცხყოფა მიაყენეთ იმ 300 ათასი ქართველი ვაჟკაცის ხსოვნას, რომლებმაც თავი შესწირეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რითაც ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო იხსნეს მონობის მძიმე უღლისგან. ამით თქვენ კიდევ ერთხელ მხარი დაუჭირეთ ნაცბანდის იმ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჩვენი ვაჟკაცები თურმე სხვის ომში იბრძოდნენ, ხოლო ამჟამად ერაყსა და ავღანეთში მებრძოლი და ამ ბრძოლებში დაღუპული ჩვენი გმირი ბიჭები თურმე საქართველოს გათავისუფლებისთვის იბრძვიან. **სტალინი არის არა მარტო ფაშიზმის დამმარცხებელი, არამედ მსოფლიოში ერთადერთი სოციალურად ყველაზე მეტად დაცული უძლიერესი სახელმწიფოს შემქმნელი. რომ არა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება, არა მგონია, თქვენს წინაპრებს რაჭაში ისეთი მატერიალური მდგომარეობა ჰქონოდათ, რომ მამათქვენი, ბატონი გურამი, თავის მშობლებს რუსეთის ან ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში განათლების მისაღებად გაეგზავნათ. შესაბამისად, ვერც თქვენ გახდებოდით არა თუ მინისტრი, დიდი ალბათობით შეიძლება ისე წაგსვლოდათ საქმე, რომ ვინმე მდიდრის ოჯახში ბავშვებთან ერთად დავრდომილი მოხუცის მომვლელად დასაქმება ან მშობლიურ რაჭაში, ბოსტანში ფიზიკური შრომა სანატრელი გაგხდომოდათ.** მაგრამ ახლა, როცა სრულიად დაუმსახურებლად მინისტრი გახდით, ისე გველაპარაკებით, მართლა გგონიათ, რომ ყველაფერ ამას ღირსეულად იმსახურებთ. მე არ ვიცი, ვინ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და ამ გამონათქვამისთვის ვინ გიჩივით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორად მოიქცა. ეჭვი არ მეპარება, მას ძალიან ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება.

ახლა ჯერი სასამართლოზეა, რომელსაც წინ დიდი გამოცდა ელის. ვნახოთ, როგორ ჩააბარებს იგი ამ გამოცდას. ამასთან ძალიან მაინტერესებს, გაუძლებს თუ არა ძილბურანიდან ახლადგამოსული და გამოფხიზლების ფაზაში შესული ქართული სასამართლო, ფაქტობრივად, მასზე ზემოქმედების მსგავს თქვენს განცხადებას: **„სასამართლოები უფრო სერიოზული საქმეებით არიან დაკავებული და არა მგონია, ამისთვის მოიცალონო“.** ეს არა მარტო სასამართლოს, არამედ დემოკრატიის გარიჟრაჟზე მდგარი და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადამდგმელი საქართველოს გამოცდაც იქნება.

**ომარ გოცაძე**

**P.S. წერილი დამთავრებული მქონდა, როცა შევიტყვე, ქალბატონი მაია თავის ინტერვიუში საკმაოდ აგდებულად და ირონიულად მოიხსენიებს ბატონ უშანგის და ამბობს: „ჩემი პასუხი მოუსმენია ვინმე ბატონ უშანგის. ეტყობა, ძველ სტალინელს, რომელიც სასამართლოში მისულა და დიდი სტალინის შეურაცხყოფისთვის, მისი პატივისა და ღირსების შელახვისა და დანაშაულის დაბრალებისთვის ჩემგან მოითხოვს, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან და ტელევიზიით მოვუხადო ბოდიში და გადავიხადო 10000 ლარი“. ამასთან, მისი განმარტებით, სასამართლოს უწყებას სამინისტროში თურმე ყველა იუმორით შეხვდა. თუ მისი ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამება, ძალზე სამწუხაროა, რომ მთელი საგარეო საქმეთა სამინისტრო უწიგნურებისა და ფანჯიკიძის დონის მდარე მენტალობის მქონე კადრებით ყოფილა დაკომპლექტებული. ამიტომ კიდევ ერთხელ ვწუხვარ, რომ არამარტო ქალბატონი ფანჯიკიძე, არამედ მთელი სამინისტროა გასაშვები. მისი ახალი შემადგენლობა კი — ქვეყნის პატრიოტი და წიგნიერი პროფესიონალი დიპლომატებით დასაკომპლექტებელი. ქვეყნის პრემიერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს კი, რომელიც ჯერჯერობით ხალხის აზრს პატივს სცემს, ამასთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილების გადახედვა ან განმარტების გაკეთება მოუწევს. მჯერა, ეს ასეც იქნება და თავისი წინამორბედებივით ბატონი ბიძინა ამ ამბავს არ წაუყრუებს. ამას ხალხი ითხოვს და არა რაღაც ჯგუფი, როგორც ამას ქალბატონი ფანჯიკიძე აღნიშნავს.**

## ვლადიმერ პუტინი: რუსეთი განაგრძობს ურთიერთობების განვითარებას საქართველოსთან

**„რია ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთი განაგრძობს ურთიერთობების განვითარებას საქართველოსთან, მათ შორის ქართული საქონლის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დაშვების სფეროში.** ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. **„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ქართული საქონლის რუსულ ბაზარზე დაშვების თაობაზე. გვესმის, რომ ეს მნიშვნელოვანია, შეიძლება ეს არ არის საკვანძო საკითხი, მაგრამ ეს მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მისი ეკონომიკისთვის. ჩვენ განვაგრძობთ ამ მიმართულებით მოქმედებას“,** — აღნიშნა პუტინმა ტელეარხ Russia Today-ს ახალ სტუდიურ კომპლექსში სტუმრობისას.



საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯერ თქვენი შვილები, ძმები გაუშვით ავღანეთის ჯოჯოხეთში „საქართველოს დასაცავად“ და მერე ილაპარაკეთ ამაღლებული პათეტიკით სხვისი შვილების შეგნებულ არჩევანზე „ჰელმანდიაში“, მერე გექნებათ მორალური უფლება მისამძიმრებისა, თორემ მანამდე თქვენნაირების სამძიმარი მხოლოდ ნიანგის ცრემლებია!**

# თეთრი მონების სასაკლაო

**„ჰელ“ — ინგლისურად ჯოჯოხეთს ნიშნავს. ასე რომ, ტყუილად არ უწოდებენ მავანნი ქართული სამხედროების დისლოკაციის ადგილს ჰელმანდის პროვინციას ჯოჯოხეთს. „თეთრი მონა“ კი არაბულად მამლუქია და მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიაში ჯოჯოხეთის დარი ფენომენია, რადგან XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე მთელი XVIII საუკუნე ე. წ. ლეკიანობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ჩვენი „ისტორიული მეგობრის“ სტამბულის მონათა ბაზარი დარჩეული გურჯი გოგო-ბიჭების დეფიციტს არ განიცდიდა — პირველნი ოსმალეთის იმპერიის სრა-სასახლეთა ჰარამხანებში აკეთილშობილებდნენ სელჯუკიანთა მოდგმას, ხოლო მამაცი გურჯი ვაჟები „ბრწყინვალე პორტას“ სამხედრო პოტენციალს აძლიერებდნენ!**



ამ „ბიზნესს“ არც ქართველები ვთაკილობდით — საკუთარ სისხლ-ხორცს დაუნდობლად ვყიდდით და, თუ ლეკიანობა რუსეთთან შეერთებისთანავე ლამის მყისიერად აღიკვეთა, ქართველებს ტყვეთა სყიდვა-გაყიდვა XIX საუკუნის შუამდე ვერც რუსებმა მოგვაშლევინეს და ეს სამარცხვინო ფაქტიც უნდა ვაღიაროთ...

ამ ტკივილს ხანდახან სიამაყეც ერთვის ხოლმე — ქართველმა „თეთრმა მონებმა“ დროთა განმავლობაში ისეთ სიძლიერეს მიაღწიეს ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში, რომ ოსმალეთის იმპერიის ამ ნაწილში სულთან-ფაშობასაც გამოკრეს ხელი და ეგვიპტის მამელუკთა უძლეველი არმია, რომელიც უმეტესად გურჯებისგან შედგებოდა, ხომ შიშის ზარს სცემდა მთელს ახლო აღმოსავლეთს, მაგრამ ამ სიამაყეს ერთი მარტივი კითხვა აცამტვერებს — ამით საქართველოს, შენს სამშობლოს, რა ხეირი?

**არაფერი, რადგან უცხო თესლთა სამსახურში „დიდება-პატივი“, საბოლოო ჯამში, მაინც ხვიჩა და გოჩას ზოგად-ქართული ტრაგედიაა, ხოლო ამ ლიტერატურულ შედევრში თხრობილი დრამა სიმბოლოა სხვათა ომებში თავგანწირვის უაზრობისა!..**

თანამედროვე, XXI საუკუნის ქართველი მამლუქები ავღანეთში პირველად 2004 წელს გამოჩნდნენ 50-კაციანი საცდელი ბატალიონის სახით, ხოლო NATO-ს ბუქარესტის სამიტზე სააკაშვილის მიერ ვოლუნტარისტულად აღებული ვალდებულების ძალით, ჩვენმა სამხედრო კონტინგენტმა სოლიდურ რაოდენობას მიაღწია!

2008 წლის აგვისტოში სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ ხომ საერთოდ, მაგრად გარეკა „გარეკილ პირველმა“ და ქართველ მამლუქთა „დემოკრატიულმა“ დესანტმა ავღანეთში რამდენიმე ასეულს ნელ-ნელა გადააჭარბა. შედეგმაც არ დააყოვნა: 2010 წლის სექტემბერს შეიძლება შავი სექტემბერი ვუწოდოთ — ჯერ 5-ში სნაიპერის ტყვიით მოკლული ლეიტენანტ მუხრან შუკვანის პირველი „ცინკის“ კუბო ჩამოვიდა თბილისში, ხოლო 30 სექტემბერს ე.წ. ISAF-ის მისიაში პირველი მასიური მსხვერპლი — ჰელმანდის ცხელ ქვიშებში ერთბაშად 4 ქართველი ვაჟკაცი გამოესალმა სიცოცხლეს!..

მაგრამ, მოდით, დროებით თავი ვანებოთ ახლო თუ შორეულ ისტორიულ ექსკურსებს და წერილის მთავარ თემას — ავღანეთში დატრიალებულ უკანასკნელ ტრაგედიას მივუბრუნდეთ, ანუ „შავ ივნისს“, როდესაც ერთბაშად 7 მამლუქი შევწირეთ სხვის ინტერესებს. დიახ, სხვის და ამაზე ქვემოთ. მანამდე კი...

## ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ!

6-ში დილით, როდესაც სოციალურ ქსელში „ის ვიდეო“ დაიდო, ამან საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — ერთნი იმ კადრების ნამდვილობაში, ხოლო მეორენი ფაბრიკაციაში იყვნენ დარწმუნებულნი. თუმცა ეს „უწყინარი“ დისკუსია დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც რამდენიმე საათში თალიბანის დაპირებული ჯიჰადი აგვიხდა! თუმცა, „საბედნიეროდ“, ჯერჯერობით არა აქ, საქართველოში, არამედ იქ — „ჰელმანდიაში“.

**ამის შემდეგ იმის მტკიცებას, რომ ვიდეომუქარა და მომხდარი ტერორისტული აქტი მხოლოდ დამთხვევაა, მართლაც დამთხვეული თუ გააგრძელებს!**

ანდრო ბარნოვი: ცნობილი „ლიტერატორი“, შემდეგ უნივერსიტეტის დეკანი, შემდეგ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1 ოქტომბრის შემდეგ შიდა ქართლის გუბერნატორი და ბოლოს კრეტინი პრეზიდენტის (ვადაგასულისაც) ადმინისტრაციის უფროსი! უფრო მოკლედ კი იქით-აქეთ ამდენი რთული სკუპ-სკუპის შემდეგ მარტივად „შორისდებული“ ორივე ვერსიას „აწვება“!

პირველზე მოგახსენეთ. რაც შეეხება ფაბრიკაციას, თუ მასეა, მაშინ ანდრო შორისდებულსაც და სხვა „დებულ“-ებსაც ვურჩევ, რუსეთისკენ ხელისგაშვერას მოეშვნენ, რადგანაც ეს ფაბრიკაცია ძალიან მაგონებს ავადხსენებულ „მოდელირებულ ქრონიკას“, ანუ ის ვიდეო პრეზიდენტზე ლეღვის ფოთლად აფარებული ანდრო შორისდებულის სცენარით გადაღებულ-დამონტაჟებული უფროა, ვიდრე „ოკუპანტი რუსეთის“ ხრიკები!

კიდევ ერთი, რასაც თავისი სახელი სჭირდება — **თვითმკვლელმა ტერორისტმა საქართველოს სამშვიდობო ბაზასთან თავი აიფეთქა!** დაახლოებით ასეთი ტექსტით გვამცნეს მომხდარის შესახებ...

რატომ ვუწოდებთ ავღანელ პატრიოტებს თვითმკვლელ ტერორისტებს? იმიტომ, რომ ამერიკელებს ასე სწადიათ, იმიტომ, რომ ამერიკელებმა თავად მონათლეს ISAF-ის მისია ტერორიზმთან ბრძოლად?

ავღანელი მოჯაჰედები იქნებიან თუ თალიბები, ისინი სანამ საკუთარ მიწაზე, სამშობლოში არიან, საკუთარ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას იცავენ და იმას, რამაც ჩვენი ბიჭების სიცოცხლე შეიწირა, შექანებული თვითმკვლელის შეუგნებელი ტერორი კი არა, სრულიად შეგნებული, სამართლიანი და ტკბილი შურისძიების აღსრულება ჰქვია სამშობლოს ოკუპანტებზე — დიახ, თუკი რუსებს ვეძახით ოკუპანტებს, ქართველებიც ისეთივე (იქნებ უარესიც!) ოკუპანტები ვართ ავღანეთში და არა ISAF-ის მშვიდობის მტრედები!

რაც შეეხება ზოგადად ტერორიზმს, გამართლება შეუძლებელია, მაგრამ გულისგულში ვერც ბოლომდე გაემტყუნებათ ავღანელებს, როცა ისინი სხვა ქვეყნებში ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ დროს უდანაშაულო ხალხი, მათ შორის ბავშვებიც, იღუპებიან — მათაც ჰყავთ ბავშვები, ქალები და მოხუცები, რომლებიც მრავლად იღუპებიან ამერიკული უპილოტო თვითმფრინავების დაბომბვისას, რასაც ამერიკელები ცინიკურად „გაუთვალისწინებელ ზარალს“ უწოდებენ!..

მორიგი ტყუილი თუ ტყუილები, რომელთაც ასევე უნდა სახელის დარქმევა — **ავღანეთში საქართველოს ვიცავთ, ანუ მის მომავალ ინტეგრაციას NATO-ევროკავშირში, უსაფრთხოება, ახლა რომ გამოვიდეთ ავღანეთიდან, ევროპის მონიტორები წავლენ საქართველოდან და საერთოდაც, რუსეთთან პირისპირ მარტონი დავრჩებით და ა.შ. სისულელეები?!**

თანმიმდევრულად ყველაფერს შევეხოთ:

დავიწყოთ იმით, რომ NATO, უკვე დიდი ხანია, ქიმერაა, ანუ განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია (ასე განმარტავს ამ ბერძნულ სიტყვას ლექსიკონი) და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ქიმერულ რიტორიკაში ბიძინა ივანიშვილის კოალიცია ტოლს არ უდებს ნაციონალ-აფერისტებს. ამ შემზარავი ტრაგედიის მერეც კი „ქართული ოცნება“ და „ნაცოპოზიცია“ უნისონში „მღერიან“, რომ ავღანეთში ჩვენი სამხედრო მისიის ფორმატი არ გა-და-ი-ხე-დე-ბა!

ამ უკანასკნელთა რიტორიკა გასაგებია — არც ადრე ჰქონიათ რეალური პლატფორმა „ნაციონალებს“ და მითუმეტეს ახლა აღარაფერი აქვთ, გარდა დასავლეთისკენ მიმართული პოპულიზმისა!

**კოალიციის ჭრელი „სასტავიდან“ არც რესპუბლიკელების და არც სხვა ლიბერასტების უკვირს ვინმეს — მათაც NATO, NATO უნდა იყვირონ და ყვირიან კიდეც, რადგან ორივენი ერთნაირი ნალებით არიან დაჭედილნი პოტომაკის ნაპირზე, მაგრამ ბატონი ბიძინაც?!**

დავიჯერო, ბიძინა ვერ ხედავს ნატოს ქიმერულობას?! ერთი წუთით დავუშვათ, რომ გულწრფელად ბრმაა, მაგრამ დაკარგულის დაბრუნება და NATO ერთად რომ არ გამოვა, არც ეგ იცის?!

ნატოს კარზე პირველად ედუარდ შევარდნაძემ მიაკაკუნა, მაგრამ მას მხოლოდ გასაღების ჭუჭრუტანიდან შეახედეს. „ვარდების რევოლოციის“ შემდეგ კი რასმუსენ-აპატურაი-კლინტონ-რაისები სულ გვარწმუნებენ, რომ კარი ღიაა და აუცილებლად მიგვიღებენ, მაგრამ როდის, მიახლოებით თარიღსაც არავინ გვეუბნება! ეს ტყუილების კასკადი განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ გაძლიერდა, ანუ მაშინ, როცა თეორიული შანსიც აღარ არსებობს (არსებობდა კი ოდესმე?) ჩვენი იქ მიღებისა!

ამის შემდეგ გვაბოლებენ „მაპზე უკეთესით“ და „ასპირანტობით“...

იგივე ითქმის კრიზისით მოცულ ევროკავშირზეც, რომელიც, დიდი ალბათობით, 2-3 წელიწადში დაიშლება! ასეც რომ არ იყოს, რა გვინდა, რა დაგვიკარგავს ევროპაში, რაღაა დარჩენილი ე.წ. დასავლური ღირებულებებიდან, პედერასტობა-ერთსქესიანი ქორწინებებამდე? ან რატომ ერქვა იმ ღირებულებებს დასავლური, რაც მართლაც პრიორიტეტი იყო ბებერი ევროპისთვის? განა ჩვენ, შოთა რუსთაველის, ვაჟა ფშაველას მშობელი ერი, ევროპაზე ბევრად ადრე არ ვეზიარეთ ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ კულტურას?

ლია მუხაშავრიამ უნივერსიტეტის სტუდენტებთან(!!!) შეხვედრაზე თქვა: „თუ პროგრესი გვინდა, ერთსქესიანი ქორწინებები უნდა დავაკანონოთო“! ჰოდა, ამ „პროგრესს“ საფრანგეთის კვალდაკვალ ინგლისის ლორდთა პალატამაც დაუჭირა მხარი და იმავეს აპირებს „მამაცი სქოტების“ შოტლანდიაც...

მოკლედ, ეს სხვა, ვრცელი თემებია. აქ არც ადგილია და არც აუცილებლობა მყარი არგუმენტების მოყვანისა ზემოთქმულის სასარგებლოდ, რისთვისაც მომავალში მზად გახლავარ. მანამდე კი მოკლედ ვიტყვი — ვინც დღესაც კი NATO ევროკავშირის პერსპექტივებით ხიბლავს ქართველ საზოგადოებას, ის ან შეუგნებელი ბრიყვია, ან შეგნებული, უნამუსო მატყუარაა!!!

ერთადერთი „მაპი“, რომელსაც არ დაგვამადლიან, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის არა, მაგრამ მსოფლიო პედერასტთა ალიანსში გაწევრიანებისთვის ნაღდად მოგვცემენ და აკი ეცადნენ კიდეც ჩვენი „დასავლელი მეგობრები“ 17 მაისს ამ პედერასტული „მაპის“ შემოჩეჩებას!

რაც შეეხება დავით უსუფაშვილის განცხადებას, რომ, ჩვენ თუ უარს ვიტყვით „ჰელმანდიაში“ მამლუქების გაგზავნაზე, ევროპელი მონიტორები დატოვებენ საქართველოსო! როგორც იტყვიან, ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ, ყალბი აღშფოთება-შეშფოთების მეტი, რა ხეირი გვახსოვს მათგან?

თუმცა ამას წინათ ეგეც დაგვამადლეს, როდესაც დიცში რუსებმა მავთულხლართების გაბმა დაიწყეს, ფილიპ დიმიტროვმა, ჟურნალისტების შეკითხვაზე, არ ვიცი ჯერ არაფერი, გავარკვევ რა ხდება და კომენტარი — მერეო. რა ვიცი, ეს შობელძაღლები პედერასტების გამო მაშინვე აკეთებენ კომენტარებს და გვითითებენ, ვინ, რომელი მღვდელია დასაჭერი ან დასახვრეტი...

ისე, ეს ის დავით უსუფაშვილია, რომელმაც ამას წინათ, ბიძინას პოლიტიკაში გამოჩენამდე, ისეთი რამ განაცხადა „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში, რომ...

**მეო, ჩემს შვილებს იმას არ ვასწავლი, რომ სამშობლოს უნდა შეეწიროს. მთავარია, თავისუფალ ადამიანად გაიზარდოს და თავად გადაწყვიტოს, ვის და რას შეეწიროს!!!**

ჰოდა, ასეთი მამა ლაპარაკობს ავღანეთში საქართველოს დაცვაზე? არა, ბატონებო! ეგრე სად არის! **ჯერ თქვენი შვილები, ძმები გაუშვით ავღანეთის ჯოჯოხეთში „საქართველოს დასაცავად“ და მერე ილაპარაკეთ ამაღლებული პათეტიკით სხვისი შვილების შეგნებულ არჩევანზე „ჰელმანდიაში“, მერე გექნებათ მორალური უფლება მისამძიმრებისა, თორემ მანამდე თქვენნაირების სამძიმარი მხოლოდ ნიანგის ცრემლებია!**




რაც შეეხება „რუსეთ- ▶

ავი მჴსაიფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ...თან მარტო დარჩენას“, ნეტავი როდის არ ვიყავით მარტონი? როდესაც 90-იანებში დე ფაქტო „აგვახიეს“ ცხინვალ-სოხუმი თუ 2008 წლის ომის დროს, როდესაც დე ფაქტო დე იურედაც „დაგვაწერეს“? რის პასუხადაც ამერიკამ პამპერსები გამოგვიგზავნა, ემანდ არ ჩაისვარონ ქართველებმაო, და გამოხდილი წყალი, ჯანში გასაკეთებლად!..

ან ახლა რა, „მარტონი თუ არა ვართ“, რასაც უნდა, იმას არ აკეთებენ? საზღვრის რამდენიმე მეტრით გადმოტანა გზავნილია ქართველებისთვის: ფეხებსაც ვერ მომჭამს თქვენი NATO, ჰა, დაგეხმარნონ, რატომ არ გეხმარებიან? იმიტომ, რომ იციან: „ვეტომ გასტინიცე ია დირექტორ“...

ჰოდა, იქნება მართლაც ჯობს, რომ ფაქტობრივად მარტოები, ფორმალურადაც მარტონი დავრჩეთ რუსეთთან პირისპირ და იმ გამოცდილებით ვიურთიერთოთ რუსებთან, რომელიც 200 წლის მანძილზე დაგვიგროვდა? არ ვიცი, არა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ ამერიკელების ხელისშემყურე საქართველო შაგრენის ტყავივით პატარავდება. ისიც მახსოვს, რომ რუსეთთან ერთად ყოფნისას სოხუმ-ცხინვალი ერთიანი ქართული მართლმადიდებლური, ქართულენოვანი კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო!

მართლაც თეთრი მონებივით მსახურობენ ქართველები ავღანეთში! თუ ასე არაა, მაშინ თავდაცვის სამინისტრომ შედარებისთვის გამოაქვეყნოს ჩვენი და ამერიკელი სამხედროების სახელფასო ანაზღაურების ციფრები — ერთი, რაც ვიცი, ამერიკელი რიგითი ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში, მისი ოჯახი ერთდროულად 400 ათას დოლარს მიიღებს კომპენსაციის სახით, ამასთან, დამატებით საშვილიშვილოდ უზრუნველყოფილნი არიან კომუნალური თუ სხვა სოციალური სიკეთეებით!

ჰოდა, გამოაქვეყნონ და ვნახავთ, რომ ამერიკელები თეთრი მონების, ქართველი მამლუქების პრაქტიკულად მუქთად დამქირავებლები არიან და არა სტრატეგიული პარტნიორები, რადგან პარტნიორობა, პირველ რიგში, თანასწორობას ნიშნავს!

**ამერიკის ელჩის სამძიმარმა, აღმაშფოთა, სიმამაცეს რომ გვიქებს ქართველებს მისტერ ნორლანდი და ამ დროს „ნიუ იორკ თაიმსი“ ლამის მოროდიორობაში სდებს ბრალს ჩვენს ჯარისკაცებს — ასეთია ხვედრი სხვისი ომების გმირებისა!..**

## ეპილოგის მაგიერ

1703 წელს ირანის შაჰმა გიორგი XI-ს ქართლის მეფობა უბოძა. თუმცა, ბედის ირონიით, არ ღირსებია ტახტზე დაჯდომა. რადგანაც ქართლის მეფობასთან ერთად, ქირმანის, ყანდაჰარისა და გირშიკის ბეგლარბეგობაც „უწყალობა“ შაჰ-ჰუსეინმა, ანუ გამგებლობა და დამშვიდება დაავალა მუდმივად მოჯანყე ავღანური პროვინციებისა.

ჰოდა, „ქართლის მეფემაც“ განაგო და ცეცხლითა და მახვილით „დააშვიდა“ „საკუთარი საბეგლარბეგო“. იქამდეც კი, რომ ავღანთა წარკვეთილი თავებისაგან კოშკებიც „ააშენა“. რადგანაც სხვა ენაზე საუბარი არ ესმოდათ თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ ნახევრადველურ (დღეს რანი არიან და მაშინ რა იქნებოდნენ) ავღანურ ტომებს. რომელთაგან ერთ-ერთის ბელადი იყო მამაცი მირ-ვეის, რომელიც ჯერ სასტიკად დაამარცხა გიორგი მეთერთმეტემ და შემდეგ ბორკილგაყრილი გაუგზავნა ისპაჰანში შაჰს. საიდანაც თავი დაიძვრინა მირ-ვეისმა, უფრო მეტიც, შაჰის ბრძანებით, ყანდაჰარშივე გაუგზავნეს მეფე გიორგის მირ-ვეისი, ამჯერად როგორც თანამებრძოლი, გინდა მოადგილე.

ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ვერაგმა ავღანელმა ღალატით მოკლა მეფეც და მისი თანამებრძოლი ასობით ქართველიც ამოაჟუჟვინა ავღანელებს. ასე აღესრულა საქართველოს ისტორიაში უკანასკნელი დიდი გიორგი (გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხე ლაშას, გიორგი ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ) და ათასობით ქართველი, რომლებსაც საფლავებიც კი არ დარჩენიათ უცხო მონაზე.

ეს ამბავი 1709 წლის 21 აპრილს, დიდ ხუთშაბათს მოხდა. და მერე რა, ამ გმირობით საქართველოს? „განა ვინმეს გაეგებოდა (ან გაეგება?!), რომ მისი უებარი სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლთათვის“ უცხო მხარეში მაინც დიდ მადლად გამოადგა მის ღვიძლ სამშობლო საქართველოს?! სწორედ მან წარმართა საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალყური აღმოსავლეთ ირანისა და ავღანისტანისკენ. ხოლო მასვე ჟამს გიორგის ძმისწულმა, დიდმა მამულიშვილმა ვახტანგ მეექვსემ დრო იხელთა და ირანის ზურგს უკან მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, აალორძინა და ააყვავა“(ლევან სანიკიძე).

მოგვიანებით ყმაწვილი პატარა კახიც იქნევდა ავღანეთში მახვილს ნადირ-შაჰის, ირანის უკანასკნელი დიდი ხელმწიფის, გვერდით. მისდამი „ერთგულება“ კი საქართველოს იმაში წაადგა, რომ ერეკლე მეორე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს 120 წლის პაუზის შემდეგ პირველ ქრისტიან მონარქად მოევლინა. საბოლოოდ კი პატარა კახი უკანასკნელი დიდი ხელმწიფე აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში!

როგორც ვნახეთ, ავღანეთშიც შესაძლებელი ყოფილა საქართველოსთვის ბრძოლა, მაგრამ დღევანდელი ვითარება აშკარად სხვაა და იქნებ დავფიქრდეთ, რას გვთავაზობენ თანამედროვე ამერიკელი შაჰ-სულეიმან ნადირშაჰები უძვირფასესი ქართული სისხლის სანაცვლოდ!

**დავით მხეიძე**

# მართლაც თეთრი მონებივით მსახურობენ ქართველები ავღანეთში! თუ ასე არაა, მაშინ თავდაცვის სამინისტრომ შედარებისთვის გამოაქვეყნოს ჩვენი და ამერიკელი სამხედროების სახელფასო ანაზღაურების ციფრები



# ავღანეთში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების სრული სია

**1. ლეიტენანტი მუხრან შუკვანი** — დაბადების თარიღი: 31.01.1984. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის მეთაური. დაიღუპა სნაიპერის ტყვიით 2010 წლის 5 სექტემბერს ჰელმანდის პროვინციაში.

**2. პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი** — დაბადების თარიღი: 15.01.1967. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ოფიცერი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**3. სერჟანტი დავით ცეცხლაძე** — დაბადების თარიღი: 07. 09. 1975. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**4. კაპრალი ნუგზარ კალანდაძე** — დაბადების თარიღი: 27.07.1989. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**5. კაპრალი გიორგი კოლხიტაშვილი** — დაბადების თარიღი: 03.03.1989. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**6. კაპრალი გიორგი ავალიანი** — დაბადების თარიღი: 04.04.1981. მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 22 თებერვალს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**7. კაპრალი ვალერი ვერსკიანი** — დაბადების თარიღი: 13.11.1979. მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. სასიკვდილოდ დაიჭრა 2011 წლის 5 მარტს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში. გარდაიცვალა 2011 წლის 16 მარტს გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალში.

**8. უმცროსი სერჟანტი ლავროსი ივანიაძე** — დაბადების თარიღი: 08.12.1985. მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 27 მაისს ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

**9. რიგითი გია გოგუაძე** — დაბადების თარიღი: 04.10.1990. მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 19 ივნისს თალიბების თავდასხმის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით ჰელმანდის პროვინციაში.



**10. სერჟანტი რეზო ბერიძე** — დაბადების თარიღი: 16. 10.1979. მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 30 აგვისტოს თალიბების თავდასხმის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით ჰელმანდის პროვინციაში.

**11. კაპრალი ბესიკ ნინიაშვილი** — დაბადების თარიღი: 02.10.1988. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 30 დეკემბერს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**12. კაპრალი შალვა ფაილოძე** — დაბადების თარიღი: 02.10.1988. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 5 იანვარს ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**13. კაპრალი ვალიკო ბერაია** — დაბადების თარიღი: 17.06.1987. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**14. კაპრალი რუსლან მელაძე** — დაბადების თარიღი: 20.09.1991. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**15. კაპრალი პაატა კაჭარავა** — დაბადების თარიღი: 29.07.1975. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

**16. სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე** — დაბადების თარიღი: 19.08.1976. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 24 აპრილს პატრულირების დროს მოწინააღმდეგის მიერ დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული ჭრილობების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში.

**17. კაპრალი გივი ფანცულაია** — დაბადების თარიღი: 29.08.84. საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის შემადგენლობაში მსახურობდა ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში. 2012 წლის იანვარში დაიჭრა ნაღმმტყორცნის ჭურვით. 6-თვიანი მკურნალობის მიუხედავად, ჯარისკაცი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა 26 ივლისს გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

**18. კაპრალი მინდია აბაშიძე** — დაბადების თარიღი: 27.10.1989. მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საცეცხლე ჯგუფის მეთაური. დაიღუპა 2012 წლის 10 ოქტომბერს ავღანეთის სამშვიდობო მისიის ფარგლებში საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს.

**19. სერჟანტი გიორგი კიკაძე** — დაბადების თარიღი: 16.01.1988. საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონის მებრძოლი. დაიღუპა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში 2012 წლის 29 დეკემბერს.

**20. უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე** — დაბადების თარიღი: 22.11.1979. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2005 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 13 მაისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

**21. კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე** — დაბადების თარიღი: 17.12.1986. საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ირიცხებოდა 2007 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 13 მაისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

**22. კაპრალი ვლადიმერ შანავა** — დაბადების თარიღი 01.04.1989. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2007 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 13 მაისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

**23. კაპრალი თეიმურაზ ორთავიძე** — დაბადების თარიღი: 07.01.1988. ქართულ ჯარში 2009 წლიდან მსახურობდა.

**24. კაპრალი გიორგი ადამოვი** — დაბადების თარიღი: 23.05.1990. შეიარაღებული ძალების რიგებში 2009 წლიდან ირიცხებოდა.

**25. რიგითი ზურაბ გურგენაშვილი** — დაბადების თარიღი: 02.09.1980. არმიაში 2010 წლიდან მსახურობდა.

**26. რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი** — დაბადების თარიღი: 25.12.1986. კონტრაქტი 2012 წელს გააფორმა.

**27. რიგითი ბორის ცუგოშვილი** — დაბადების თარიღი: 12.05.1984. შეიარაღებულ ძალებში 6 წელი იმსახურა.

**28. რიგითი ზვიად სულხანიშვილი** — დაბადების თარიღი: 22.10.1990; ქართულ ჯარს 2010 წელს შეუერთდა.

**29. რიგითი გიორგი ღუჭაშვილი** — დაბადების თარიღი: 10.12.1991. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2010 წლიდან მსახურობდა.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს პრეზიდენტი ეთნიკურად ქართველი უნდა იყოს და ერთდროულად უნდა სარგებლობდეს ქართველების, აფხაზებისა და ოსების, ასევე რუსების პატივისცემით. იყო პრეზიდენტი მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტი გერქვას, არ შეიძლება. პრეზიდენტი არამარტო ჩართული უნდა იყოს ამ პროცესებში, არამედ აუცილებლად თავადვე უნდა ხელმძღვანელობდეს მათ.“



## დალილა ხორავა: როგორც ექიმი და ფსიქოლოგი, ვამბობ, რომ სააკაშვილის ქმედება აბსოლუტურად მიუღებელია...



**ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ბევრი პოლიტიკოსი და არაპოლიტიკოსი ფიქრობს მის გუნდში შეღწევასა და იქ დამკვიდრებაზე. ამ პროცესს ქართველი ხალხი გაგებითა და უხმაუროდ აკვირდება, მაგრამ დიდად განსხვავებულს წინა ხელისუფლებისგან ვერაფერს ხედავს. ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ აფხაზეთის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი დალილა ხორავა ესაუბრა.**

**— ქალბატონო დალილა, უპირველესად, მინდა, იმ ტრაგედიას შევეხოთ, რომელიც რამდენიმე დღის წინ დატრიალდა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში. ვგულისხმობ ტერორისტულ აქტს, რომელიც ჩვენი ჯარისკაცების წინააღმდეგ განხორციელდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ვიღაც განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს სწორედ ქართული ჯარის ავღანეთში ყოფნას? აქვე მინდა გკითხოთ: რამდენად მიზანშეწონილია ჩვენი ჯარის რაოდენობრივი უპრატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით? ხომ არ აჯობებდა, ჩვენს სახელმწიფოს გამოეხმო ჩვენი ჯარი ავღანეთიდან ან, თუ მთლიანად არ გამოიყვანდა, შეემცირებინა მაინც მისი რაოდენობა?**

— ტრაგედიაა, როცა ის ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილს განეკუთვნებიან, ასე იღუპებიან. ამ ბიჭებს ხომ ჯერ ყველაფერი წინ ჰქონდათ. ძალიან დიდი ტკივილია ქვეყნისთვის, რომელსაც საკუთარი გენოფონდის საკითხი მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ აქვს მოწესრიგებული და ასეთ შვილებს კარგავს უცხო ქვეყანაში, სხვის ომში. მეორეს მხრივ კი, ISAF-ის პროგრამაში ჩვენი მონაწილეობა ჩვენი სახელმწიფოებრივი მიდგომა და ხედვაა, თუმცა, ჩემი აზრით, სამომავლოდ ეს საკითხი, ალბათ, გადასახედია. მე ამ საქმის პროფესიონალი არ გახლავარ, მაგრამ, **როგორც დედას და როგორც ერთ რიგით ქართველს, 2014 წლის შემდეგ ამ მისიაში ჩვენი მონაწილეობის გაგრძელება არასწორად მიმაჩნია.**

**— მოგეხსენებათ, რომ 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ავღანეთში იმყოფებოდა. საქართველოს ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ პირდაპირ ეთერში გადასცა კადრები, სადაც სააკაშვილი ჯარისკაცებს საბრძოლო ოპერაციების განხორციელების შესახებ ეკითხება, თუ რამდენი ადამიანი მოკლეს და როგორ. ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ეს გახდა მორიგი ტერაქტის მიზეზი? ხომ არ თვლით, რომ ამ ტერაქტით ავღანელმა ჯარისკაცებმა შური იძიეს დაღუპული თანამებრძოლების გამო?**

— ის ფაქტი, რომ ბატონი პრეზიდენტი პირდაპირ ეთერში ესაუბრება ჯარისკაცს ისეთ თემებზე, რომლებიც სიკვდილს ეხება, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მხრიდან არის მსხვერპლი, ეს უკვე მიუღებელია. **როცა ჩვენი ჯარისკაცები სამშობლოსგან შორს იმყოფებიან და ყოველდღიური რისკის ქვეშ უწევთ ცხოვრება და საკუთარ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს სწირავენ, ჩვენ ვალდებულები ვართ, ისინი ყველანაირად დავიცვათ. მგონი, არ იყო საჭირო, ტელეკამერების წინ ესაუბრათ, სად და კონკრეტულად რომელ საბრძოლო ოპერაციაში იღებდნენ მონაწილეობას.** თუ გნებავთ, როგორც ექიმი და როგორც ფსიქოლოგი, მოგახსენებთ, რომ ასეთი ქმედება ყოვლად დაუშვებელია. ვფიქრობ, რომ არსებობდა სხვა მრავალი, გაცილებით უსაფრთხო თემა, რაზეც პრეზიდენტს შეეძლო ესაუბრა.

> «როგორც დედას და როგორც ერთ რიგით ქართველს, 2014 წლის შემდეგ ISAF-ის მისიაში ჩვენი მონაწილეობის გაგრძელება არასწორად მიმაჩნია»

**— ტელე და ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ვიდეომასალა, მასში არაერთხელ არის ნახსენები სააკაშვილის გვარი. შემდგომში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული რგოლები დამზადებულია საქართველოში და სხვადასხვა საიტზე სწორედ საქართველოდან აიტვირთა. თქვენი აზრით, ხომ არ გვაქვს საქმე ბინძურ პიართან, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე ეწირება და რამდენად საფრთხის შემცველია ის ჩვენი ქვეყნისთვის სამომავლოდ?**

— უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ და ნაჩქარევ დასკვნებს მოვერიდები. მაგრამ, თუ ეს ასეა, საშინელებაა! მე მაინც არ მინდა, დავიჯერო, რომ ამის გამკეთებელი ადამიანები საქართველოს შვილები არიან. ეს უნდა გამოიძიონ და სიმართლის დადგენის შემდეგ დამნაშავეები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. სანამ რაღაც ქმედებას ჩავიდენთ, ჯერ უნდა გავიაზროთ, რა მოჰყვება ამას. ამგვარი აქტივობებით ხომ შეიძლება საქართველოს, ჩვენს სამშობლოს, ისეთი დარტყმა მივაყენოთ, რომელსაც ვერ გამოვასწორებთ, და მაშინ ერი ფიზიკურად განადგურდება. ჩვენს ქვეყანაში საჭიროზე მეტი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი, პირველ რიგში — შიდა კონფლიქტი და ამ ფონზე ზედმეტი პრობლემა არ გვჭირდება. ჩემი აზრით, მე ექსპერტი არ გახლავარ, მაგრამ 2014 წლის შემდეგ ჩვენმა ჯარისკაცებმა საკუთარ ქვეყანაში უნდა გააგრძელონ სამხედრო სამსახური.

**— ქალბატონო დალილა, მინდა ახალ მთავრობასაც შევეხოთ. ახალი მთავრობის საკადრო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება ძველისგან. რამდენად შეძლებს ივანიშვილი ერის ნდობის შენარჩუნებას მაშინ, როცა უკმაყოფილება ხალხში საკმაოდ შესამჩნევია და კიდევ უფრო მატულობს?**

— იმის თქმა, რომ ზოგადად საკადრო პოლიტიკა ცუდია, მე არ შემიძლია, რადგან მეტწილად მთავრობაში ძალიან ძლიერი მინისტრები არიან, მაგრამ არიან სუსტი მინისტრებიც. ეს დაბალ რგოლსაც ეხება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ადამიანები მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით არიან შერჩეულნი და არა პროფესიულით. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ **მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებმაც როგორღაც ძველი ნაცნობობით თუ კიდევ სხვა ხერხებით შეძლეს თანამდებობების მოპოვება — არც პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, არც დიდი გამოცდილება გააჩნიათ. ისინი საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ, ნერგავენ ნეპოტ-** ▶

## «გლობალური კვლევების ცენტრმა» საქართველოში არსებულ საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სემინარი გამართა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ინიციატივით, 7 ივნისს კაფე Discover-ში საქართველოში არსებული საფინანსო-ეკონომიკური ვითარების შესახებ სემინარი გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები დაესწრნენ. რა ხდება დღეს საქართველოს ეკონომიკაში? ემუქრება თუ არა საქართველოს ეკონომიკური კრიზისი, როგორია მისი დაძლევის გზები და შეძლებს თუ არა ხელისუფლება არჩევნებამდე მოცემული დაპირებების შესრულებას ახლო მომავალში? — ამ კითხვებზე პასუხების გაცემა მოწვეულმა ექსპერტებმა და პროფესიონალებმა სცადეს. სემინარის შედეგები საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს გაეგზავნება.**

„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის — **ნანა დევდარიანის** განცხადებით, განსახილველი საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია: „ეს არის ახლადდაფუძნებული „გლობალური კვლევების ცენტრის“ პირველი სემინარი და ჩვენი განხილვის თემაა, საქართველოს არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა. ვინაიდან დღეს ამ თემის ირგვლივ ბევრს საუბრობენ, მიმდინარეობს სპეკულაცია: ზოგი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, შეინიშნება სტაგნაცია, რეცესია და ა.შ. ამიტომ, თუ ჩვენ გვსურს, რეალური სურათი გამოიკვეთოს, რათა ვიცოდეთ, რა პრობლემებთან გვაქვს საქმე და როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. კვალიფიციური ექსპერტებისგან ობიექტური აზრის მოსმენა კი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან თითოეული ჩვენგანის მდგომარეობა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზეა დამოკიდებული. სემინარები გაგრძელდება და პერიოდულად ბეჭდური სახით გამოიცემა.“

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით იაკობიძის** განცხადებით, აუცილებელია, საქართველოს განვითარების ეკონომიკური პარადიგმა შეიცვალოს. „მივედით იმ დასკვნამდე, რომ სინერგიულობა სჭირდება ეკონომიკას. 2013 წლის იანვარში ახალმა პოლიტიკურმა ძალამ შემოგვთავაზა ახალი პარამეტრები: მთლიანი შიდა პროდუქციის 6%-იანი ზრდა, მაგრამ საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი გუნდი პრაქტიკულად წარმოადგენს ერთგვარ ინკლუზიურ ერთობას. მათ შორის არ არის კოორდინაცია. **აუცილებელია მკაფიო და გასაგები ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება. 2013 წელი არის ეკონომიკური განვითარების პარადიგმის ცვლილების წელი. ჩვენ გვჭირდება სინერგიული ეკონომიკა. დღეს კი საქართველოს ეკონომიკა ანტისინერგიულია.**

**— გუნდის არაკოორდინირებულ მუშაობაზე ისაუბრეთ. საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა რამდენად საიმედოა?**

— საიმედოა, მაგრამ ხელისუფლება ძალიან ბევრ დროს და რესურსს კარგავს ნაციონალებთან კამათში, მაშინ, როცა მორალურ-ეთიკური ნორმების მიხედვით, ისინი ამ პროცესში აღარ უნდა მონაწილეობდნენ. ეს არის ჩვენი რთული მდგომარეობა.

**პროფესორი, ეკონომიკის ექსპერტი მიხეილ ჯიბუტიც** მიიჩნევს, რომ კოაბიტაციის პროცესი ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება: „პოლიტიკა ბატონობს ეკონომიკაზე. პოლიტიკური მიზანშეწონილობით მიიღება გადაწყვეტილებები. ამიტომ, **სანამ კოაბიტაციაზე იქნება ლაპარაკი, ვერაფერს მივაღწევთ. რაც შეეხება დაპირებების შესრულებას, ის ფონი, რომელიც შეიქმნა ე.წ. კოაბიტაციის შემდეგ, აბსოლუტურად არ უწყობს ხელს ამ დაპირებების შესრულებას. მნიშვნელოვანია, რომ არაკოაბიტაციური გარემოს დაპირება ვერ შეასრულა ამ ხელისუფლებამ. ის დაგვპირდა, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში არ იქნებოდნენ. ამ დაპირების შეუსრულებლობამ გაართულა ყველა დანარჩენის შესრულება, მათ შორის ეკონომიკაში შექმნა დამატებითი უარყოფითი მოლოდინები.** პოლიტიკური სიტუაცია არჩევნების შემდეგ კვლავ გაურკვეველია, ამიტომ მოლოდინის რეჟიმი ეკონომიკაშიც გაგრძელდა.

პრეტენზია, რაც ახალი ხელისუფლების მიმართ შეიძლება გვქონდეს, არის კომპეტენციის თემა და გაუგებარი უმოქმედობა. აბსოლუტურად დამაბნეველი თეზისებია საქართველოს პოლიტიკურ ბაზარზე. ხელისუფლების შიგნით კოალიციაში იმდენი პარტიაა გაერთიანებული, რთულია, განსაზღვრო, ▶

**საკმარისია კეკლუცობა და საჭიროა თქმა იმისა, რასაც არავინ ამბობს, რომ, თუ ჩვენი ქვეყანა იღებს მსხვერპლს, მაშინ ჩვენც თანაზომადი დახმარება უნდა მივიღოთ მეგობარი ქვეყნებისგან; და თუ ეკონომიკურ დახმარებაზე ჩამოგვიგდებენ ლაპარაკს, არც ეგ არის ძნელი სალაპარაკო.**
**ჩვენი მეზობელი ქვეყანა, მაგალითად, აზერბაიჯანი აშშ-ისგან 8-ჯერ მეტ დახმარებას იღებს. ამ დროს მისი ხელმძღვანელობა არც „ნატო, ნატოს“ გაიძახის და არც ავღანეთში საბრძოლველად აგზავნის თავის ჯარისკაცებს. თუკი ჩვენთვის 6-7 მილიარდი აქვთ მოცემული, მათთვის — 40-45 მილიარდი.**

პოზიცია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **იზმს და უსამართლობას; სარგებლობენ არსებული ვითარებით, მაშინ, როცა ახალ მთავრობას ჯერ კიდევ ესაჭიროება განმტკიცება და გაძლიერება.** ამგვარმა მერკანტილურმა მიდგომამ კი რა მოგვიტანა ხალხს და ქვეყანას, ყველამ ვიცით. ღრმად მწამს და მჯერა, რომ ივანიშვილი გააკეთებს ვითარების ღრმა ანალიზს, მას ეს არ გაუჭირდება, შექმნის ძლიერ ანალიტიკურ ჯგუფს და მიიღებს სწორ გადაწყვეტილებებს. მინდა აღვნიშნო, რომ ამგვარი უსამართლობები და უკანონობები მხოლოდ აზარალებს „ქართული ოცნების“ იმიჯს. დაუყოვნებლივ უნდა გადაიხედოს არსებული სიტუაცია და ის ადამიანები, რომლებიც ამგვარ ქმედებებში არიან ჩართულნი, უნდა გამოვლინდნენ და დაისაჯონ. სამწუხაროა, როცა ამა თუ იმ ცნობილი პოლიტიკოსის სახელით მის ზურგს უკან ერთგვარად ვაჭრობენ. შეიძლება ამ ადამიანმა სულაც არ იცის, რომ მისი სახელით დაბალი რგოლის ჩინოვნიკები უკანონობებს სჩადიან.

— **რაიმე კონკრეტულ ფაქტს ხომ არ გულისხმობთ?**

— თუნდაც ის, რაც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ხდება. მიმდინარეობს ისეთი საკადრო ცვლილებები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციას არღვევს, მთლიანად არღვევს აფხაზეთის კონსტიტუციას, ასევე ირღვევა საქართველოს დამოუკიდებლობის ქარტია. ეს პროცესები, უკვე ორი თვეა, გრძელდება და არავის აინტერესებს. ამგვარი ვითარება კი ძალიან დამაფიქრებელია. განსაკუთრებით გულსატკენი კი ის არის, რომ ამ დარღვევებთან ასოცირდება და იკვეთება სწორედ ივანიშვილის გუნდის წევრთა სახელები — ბატონი ზაქარეიშვილი, ბატონი უსუფაშვილი... ამ ადამიანების სახელით გარკვეული დაინტერესებული ჯგუფები მოქმედებენ. კანონის მიმართ ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომა, მაშინ, როცა სწორედ ამ კანონების დასაცავად მოვიდა ახალი მთავრობა, სულ მცირე, გაუგებარია.

— **რა მიმართულებით უნდა იმუშაოს ახალმა პრეზიდენტმა? უნდა ჩაებას თუ არა აფხაზეთსა და ოსეთს შორის არსებული კონფლიქტების აღმოფხვრის საკითხებში? უნდა იყოს თუ არა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესში ჩართული? რას ფიქრობთ, თუ ეთნიკურად აფხაზი ჩაიბარებს ამ პოსტს, ივანიშვილმა განაცხადა, რომ იგი აქტიურად განიხილავდა ამ წინადადებას?**

— **საქართველოს პრეზიდენტი ეთნიკურად ქართველი უნდა იყოს და ერთდროულად უნდა სარგებლობდეს ქართველების, აფხაზებისა და ოსების, ასევე რუსების პატივისცემით. იყო პრეზიდენტი მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტი გერქვას, არ შეიძლება. პრეზიდენტი არა მარტო ჩართული უნდა იყოს ამ პროცესებში, არამედ აუცილებლად თავადვე უნდა ხელმძღვანელობდეს მათ.**

— **რამდენად შეუძლია აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ამ პროცესებში ხელის შეწყობა?**

— იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც ეს სტრუქტურა დღეს არსებობს, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ეს ადამიანები, უკვე ოცი წელია, კაბინეტებში სხედან, არაფერს აკეთებენ, ხელფასებს იღებენ და, სხვათა შორის, ხალხისგან ძალიან დისტანცირებულები არიან.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

◀ რა იდეოლოგიას უნდა დაეყრდნოს საქართველო. საქართველოში ეკონომიკური კრიზისი გუშინაც იყო, დღესაც გრძელდება და 1991 წლიდან ყოველ წელს არის. ის დონე, რომელიც ქვეყანას 1989 წელს ჰქონდა, ჯერ მიღწეული არ არის.

ეკონომიკურ კრიზისს რაც შეეხება, იმ კრიტერიუმებით, რომლებითაც დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტები უდგებიან ქვეყნის მაჩვენებლებს, ამ ეტაპზე ჯერ საფრთხეს ვერ ვხედავ. დაანონსებულია 6%-იანი ზრდა, ნახევარი წლის მონაცემები კი იძლევა იმის საშუალებას, რომ, თუ ეს ტემპი შენარჩუნდა, კრიზისი დაიძლიოს.“

**პროფესორი იოსებ არჩვაძე:** „ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გადაიდგა ნაბიჯები ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ, ბიზნესი აღარ არის პოლიტიკის მძევალი. მან მიიღო თავისუფლება, გაუფართოვდა სამოქმედო არეალი და შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ბიზნესი განვითარდეს. ეს არის დღეისთვის ზოგადი სურათი, თუმცა ეს ყველაფერი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ჯერჯერობით ნაკლებად აისახა.

— **ხელისუფლების ოპონენტები საუბრობენ, რომ პირიქით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ვარდნა შეინიშნება...**

— საინტერესო პარადოქსია, რომელსაც ახსნა მოეძებნება. ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირდა, თუმცა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც სისტემური ტრანსფორმაცია ხდება. **თუ პირველ 3-4 თვეს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მოგების გადასახადი და დამატებითი ღირებულების გადასახადის მოცულობა შემცირდა, საშემოსავლო გადასახადის მოცულობა კი გაიზარდა.**

— **რა უშლის დღეს ხელს ეკონომიკის სრულფასოვან განვითარებას?**

— ზრდას ხელს უშლის ის, რომ ჯერ არ დასრულებულა კოაბიტაციის პროცესი. გარდამავალი პერიოდია. ეკონომიკა მაინც პოლიტიკური სისტემის ცვლილების მოლოდინშია.“

**შორენა ციცქარაშვილი**

# დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი ნატოსთან დაკავშირებით

**ზოგიერთი ჩვენი „გამოცდილი“ პოლიტიკოსის აზრით, საქართველოს ყოფნა-არყოფნა თურმე ჩვენი ჯარის ავღანეთში ყოფნაზეა დამოკიდებული და რომ ამით უფრო ვუახლოვდებით ევროატლანტიკურ სტრუქტურას. „მსოფლიო რუკაზე უნდა დავიმკვიდროთ თავიო“, — ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა. მაპატიეთ, მაგრამ ზღაპრებია ეს ყველაფერი და, მგონი, კმარა უკვე — ხალხს ნუ ვაყრით ნაცარს თვალში!**

## «რუსეთთან ურთიერთობის დაულაგებლად (რასაც ამერიკელებიც გვირჩევენ) ჩვენს ქვეყანას მომავალი არ გააჩნია»

ჩვენ რას ვხედავთ? — ვხედავთ იმას, რომ ჩვენი ბიჭები იღუპებიან ავღანეთში. ამ დროს თუ ჩვენი საზღვარი ვინმემ გადმოლახა, მეგობარი ქვეყნები შეშფოთება-აღშფოთებას გამოხატავენ. ეს ნამდვილად არათანაწონადი და არათანაზომადია. თავის დროზე სრულიად ახალგაზრდა უფლისწულ ერეკლეს მოუწია ნადირშაჰის მიერ მოწყობილ ავღანურ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება. ცნობილია, რომ ერეკლემ ამ ოპერაციაში თავი გამოიჩინა. როგორ დაუფასდა მას ეს აქტიურობა? ნადირშაჰმა ის უხვად დააჯილდოვა და, რაც მთავარია, სარწმუნოების შეუცვლელად ქართლის მეფედ დაამტკიცა, ხოლო მამამისს — თეიმურაზ I-ს კახეთის ტახტი უბოძა, რაც ქართლ-კახეთის გაერთიანებას ნიშნავდა. ახლა ეს ყველაფერი შევადაროთ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, რომელიც სასაცილოდ გამოიყურება მთელი ამ ისტორიის ფონზე. **მე მგონი, საკმარისია კეკლუცობა და საჭიროა თქმა იმისა, რასაც არავინ ამბობს, რომ, თუ ჩვენი ქვეყანა იღებს მსხვერპლს, მაშინ ჩვენც თანაზომადი დახმარება უნდა მივიღოთ მეგობარი ქვეყნებისგან; და თუ ეკონომიკურ დახმარებაზე ჩამოგვიგდებენ ლაპარაკს, არც ეგ არის ძნელი სალაპარაკო. ჩვენი მეზობელი ქვეყანა, მაგალითად, აზერბაიჯანი აშშ-ისგან 8-ჯერ მეტ დახმარებას იღებს. ამ დროს მისი ხელმძღვანელობა არც „ნატო, ნატოს“ გაიძახის და არც ავღანეთში საბრძოლველად აგზავნის თავის ჯარისკაცებს. თუკი ჩვენთვის 6-7 მილიარდი აქვთ მოცემული, მათთვის — 40-45 მილიარდი.**

ასე რომ, საჭიროა სერიოზული დიპლომატიის წარმართვა და ლაპარაკი ამ ჩვენს მეგობარ ქვეყნებთან. ახლა გეკითხებით: **ვართ კი თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა? მე თუ მკითხავთ, ნამდვილად არ ვართ. ჩემთვის პირადად სულერთია, ვინ დამიმონობს და ვისი კარნახით უნდა იცხოვროს საქართველომ; და საერთოდ, რომელ თავისუფლებაზეა ლაპარაკი, როცა ამოდენა ხარკის გადახდა გვიწევს და, თუკი ეს გარდაუვალია, მაშინ მაქსიმალური სარგებელი მაინც მიიღე, თუ ჭკუა და გონება გაგაჩნია.**

გასაგებია, რომ წინა ხელისუფლებისგან დაგვრჩა ეს მემკვიდრეობა, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ კი არ უნდა გააგრძელოს ის რიტორიკა, რომ, თუ ჩვენ ახლა დავაყენებთ საკითხს ჩვენი შენაერთების გამოყვანის თაობაზე, ნატო და ევროკავშირი უნდა დავივიწყოთ. ის მაინც აუხსნან ხალხს, რომ ეს ძველი მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებაა და დაიწყოს იმაზე ზრუნვა, თუ როგორ გამოვიყვანოთ ჩვენი შენაერთები.

ის კი არა, როგორც „მაესტროზე“ ბრძანეს, **თურმე უნდა შევეჩვიოთ ტერაქტებს ისრაელივით...** რას ნიშნავს ეს? სულ გაგიჟდა ეს ხალხი? რას უნდა შევეჩვიოთ? ან რატომ, რისთვის რად გვილირს, რომ შემდეგ რომელიმე დასავლეთის ქვეყანამ თავზე ხელი გადაგვისვას და გვითხრას — თქვენ ნატოში აუცილებლად მიგიღებთო? შემდეგ კი მათი მორჩილების ქვეშ ვიცხოვროთ. **ეს რა უბედურება გვჭირს, რას დავემსგავსეთ, ბოლოს და ბოლოს სახელმწიფო ვართ და თავმოყვარეობა გვაქვს თუ არა?! თუ მხოლოდ ტერიტორიაა ეს ქვეყანა და ხალხი — საძოვრად მიშვებული ცხვარია?!**

**ვფიქრობ, ახალმა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა ჩაატაროს რეფერენდუმი და ჰკითხოს ხალხს, ისევ თუ უნდათ ნატოში შესვლა და უნდა იყოს თუ არა ჩვენი ჯარის შენაერთები ავღანეთში.** კაბინეტებში ჯდომა, იქედან ჭკუის დარიგება და ანალიზების კეთება ბევრად ადვილია... აბა, ერთი იმ ბიჭების ოჯახებს ჰკითხონ, უნდათ, თავიანთი ოჯახის წევრები ავღანეთში იღუპებოდნენ? ასე რომ, მე მგონი, საკმარისზე მეტი გავიღეთ; **საერთოდ, იქნებ დადგა დრო, როცა ჩვენი ხელისუფლება მივა პოზიციამდე, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე არსებობენ სხვა მოთამაშეებიც, რომ საჭიროა სხვა ქვეყნებისკენაც მივაპყროთ ყურადღება. აქ ერთმნიშვნელოვნად პრაგმატული დიპლომატიაა საჭირო და არა ლანძღვა-გინება, რაც წლების მანძილზე გვესმოდა მეზობელი რუსეთის მისამართით.** უკვე 23 წელია, ასე ვცხოვრობთ და რაც მოგვიტანა ამან, ვხედავთ. ჩვენი წინაპრები, რომლებმაც განათლება მიიღეს რუსეთში, როცა უკან დაბრუნდნენ, უნივერსიტეტი დააარსეს და კულტურაში ოქროს ხანა დადგა. ჩვენმა თანამედროვე ახალგაზრდების უმეტესმა ნაწილმა კი, რომლებმაც აშშ-ში მიიღეს განათლება, ჩამოვიდნენ და ენჯეოები გახსნეს. დღეს ეს ე.წ. ორგანიზაციები ლგბტ უფლებებს იცავენ, ათას სისულელეს და სისაძაგლეს ქადაგებენ.

თუნდაც ის რად ღირს, რომ დღემდე პასუხი არ გაუცია ხელისუფლებას და საგარეო საქმეთა სამინისტროს „ქრონიკა+“-ში გამოქვეყნებულ წერილზე (ავტორი ირინე გოგოსაშვილი), ასევე „მაესტროს“ ეთერში ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ გაჟღერებულ თემაზე, რომ ჩვენთან იმართება ტერორისტების შეკრებები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გია ლორთქიფანიძე (შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე), გადაადგილებას და საბუთებით უზრუნველყოფას კი — საქართველოს ახლანდელი ელჩი ყატარში ეკატერინე მიქაძე. ამას ყველაფერს წერენ ამერიკელები, თანაც საკმაოდ გავლენიანი ექსპერტები, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო კი დუმს. ელჩი ისევ ელჩად მუშაობს, მართალია ქალბატონი მიქაძე დანიშნულია წინა ხელისუფლების მიერ, მაგრამ ეტყობა, ამ მთავრობაშიც ძლიერი ლობი და პატრონი ჰყავს, რადგან დღემდე არავინ ეკითხება არაფერს ამ უმძიმეს ბრალდებებზე. **ჩვენ ვამბობთ, რომ ავღანეთში ტერორისტებს ვებრძვით, ეს ყველაფერი აბსოლუტურად გაუგებარია და განსაცვიფრებელი, პასუხსაც არავინ არავის სთხოვს, მთავრობა დუმს, მოკლედ, აბსურდის თეატრია. საერთოდ, არაბულ სამყაროზე და ვაჰაბიზმზე, ჯობს, სპეციალისტებმა ილაპარაკონ და არა ყველამ, ვინც კი ემირატებში სასეირნოდ არის ერთი-ორჯერ ნამყოფი. ვაჰაბიზმი რელიგიად აქვთ აღიარებული ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ყატარი, სადაც საელჩო გვაქვს და ასევე საუდის არაბეთში, სადაც საელჩო ახლა იხსნება.**

**აღარ არის ქართველი ხალხი იმის ღირსი, რომ სიმართლე გაიგოს? ამის შემდეგ გამოდიან და ისევ რუსეთის ლანძღვა-გინებით იმართლებენ თავს, რათა თავისი უნიათობა დაფარონ. თურმე რუსეთი არის ჩვენი ნომერ პირველი მტერი, ამიტომ ყველაფერი რუსეთს უნდა დავაბრალოთ. ადრე ეს მუშაობდა, ახლა უკვე არავინ ტყუვდება, სირცხვილი და უნიჭობაა უკვე ასეთი პოლიტიკის წარმართვა.**

ჩემი აზრით, საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც მთავრობა და საზოგადო მოღვაწეები ერთად დასხდებიან მრგვალ მაგიდასთან, რუსეთის წარმომადგენლებთან პირისპირ და გაარკვევენ ურთიერთობას, შეთანხმდებიან თამაშის წესებზე. იქნებ არაფერს ისეთს არ ითხოვს რუსეთი, რაც ჩვენთვის მიუღებელია?

ამ მოლაპარაკებებში ყველა ადამიანის შესაძლებლობები უნდა იქნას გამოყენებული. არავისზე უარის თქმა არ შეიძლება, ვისაც კი ერთი აგურის დადება მაინც შეუძლია ამ ურთიერთობის აღდგენა-აშენებაში. ასეთია ჩემი მოკრძალებული აზრი, რადგან ვხედავ, რომ **რუსეთთან ურთიერთობის დაულაგებლად (რასაც ამერიკელებიც გვირჩევენ) ჩვენს ქვეყანას მომავალი არ გააჩნია.** ანქვაბიც კი არ ერიდება ევროპელებს და გაეროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა: **„თქვენ, ალბათ, გსმენიათ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა აფხაზეთის ტერიტორია უნდა დატოვონ. ჩვენ პატივს არ ვცემთ მათ საქმიანობას, დღეს სხვა დრო და სხვა წესებია“.** ყველამ კარგად ვიცით, ვისი იმედითაც ელაპარაკება ანქვაბი ევროპელებს ასეთი ტონით. ჩვენ კი რაღა დაგვემართა, როგორ, ყველას წითელი კვერცხი უნდა ვუგოროთ? მეზობელ ქვეყანასთან, რომელიც შენზე ბევრად დიდი და ძლიერია, კარგი და დალაგებული ურთიერთობა უნდა გქონდეს...

**ვასილ ჭიჭინაძე**

**P.S.** კარგი იქნებოდა, ამ და სხვა საკითხებზე (რომლებიც არ შეიძლება საგაზეთო წერილში მოხვდეს) ბატონ ბიძინა ივანიშვილთან პირადად მესაუბრა, მაგრამ ეს ჩემთვის იმდენად ხელმიუწვდომელია, რომ ფანტაზიის დონეს არ სცდება.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოდესმე იმავე საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატს მოუწევს დაპირებების მიცემა არა ჰომოსექსუალების განწყობილების გათვალისწინებით, არამედ იმ მუსლიმანური თემების სურვილების შესაბამისად, რომლებიც საარჩევნო ბაზარზე თვალის დახამხამებაში იქცევიან ამომრჩეველთა ყველაზე მსხვილ მომწოდებლებად.**



# დანები, რომლითაც ევროპას გამოსჭრიან ყელს

**ევროპული ტოლერანტობა უდავოდ პროგრესირებს. საფრანგეთმა ახლახან დაუშვა ერთსქესიანი ქორწინებების რეგისტრირება და ჰომოსექსუალების მიერ ბავშვების შვილად აყვანა. ახლა ანალოგიური საკითხი განიხილება ბრიტანეთშიც. როგორც საფრანგეთში, ასევე ბრიტანეთშიც მრავლად არიან იმის მოწინააღმდეგენი, რომ დედას და მამას მშობელი „A“ და მშობელი „B“ ეწოდოთ, მაგრამ მათი ხმა არც დეპუტატებს ესმით და არც ხელისუფლებას. შემწყნარებლობის კიდევ ერთი პოპულარული გამოვლინება, რომელიც დღეს ევროპაში სრულყოფილებამდე, იდეალამდეა აყვანილი, სხვა ქვეყნებიდან ჩასული მუსლიმანების მიმართ დამოკიდებულებაა — ევროპელები ნემსის ყუნწში ძვრებიან, ოღონდ კი ისინი არ შეურაცხყონ, არ გაანაწყენონ, ტოლერანტობის პრინციპებს არ უღალატონ. ეს კი სწორედ ის ტოლერანტობაა, რომლის დამსახურებითაც სულ მალე ევროპული ცივილიზაციისგან ქვა ქვაზე არ დარჩება.**



რამდენიმე დღის წინ პარიზში ჰომოქორწინებების საწინააღმდეგო მორიგი აქცია გაიმართა. და არამხოლოდ ამის, არამედ კიდევ ბევრი ისეთი რამის საწინააღმდეგოც, რასაც არჩევნების წინ ფრანსუა ოლანდი დაჰპირდა თავის ამომრჩეველს. ეს ადამიანი სულელი ნამდვილად არ არის და წინასწარვე მიხვდა, რომ ამ გზით, ერთის მხრივ, ელექტორატს მოისყიდიდა; მეორე მხრივ კი პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებდა, რისი ალბათობაც ძალზე დიდი იყო. ნებისმიერმა, ვინც ხელისუფლებას აკვირდება, მშვენივრად იცის, თუ როგორი ადამიანები მიისწრაფვიან ამ ხელისუფლებისკენ.

**„ის, ვისაც სურს, რომ სახელმწიფო მორალის სკოლად აქციოს, ვერ ხვდება, რამხელა ცოდვას იდებს. სახელმწიფო მუდამ სწორედ იმის გამო იქცეოდა ხოლმე ჯოჯოხეთად, რომ ადამიანს სურდა, ის საკუთარ სამოთხედ ექცია“** (გელდერლინი). **„ხომ შეიძლებოდა, რამენაირად გამართლებულიყო მთელი ხალხის მორჩილება რამდენიმე ადამიანისადმი, ეს ძლევამოსილი ადამიანები, არამც თუ ყველაზე კარგი ადამიანები, არამედ ყველაზე უარესები მაინც რომ არ ყოფილიყვნენ. თუნდაც ხანდახან რომ ჰქონოდათ ძალაუფლება არა საუკეთესო, არამედ, უბრალოდ, კეთილსინდისიერ ადამიანებს, მაგრამ ეს ხომ არ არის, არ ყოფილა და ვერც ვერასდროს იქნება. ძალაუფლება ყოველთვის ყველაზე ცუდ, დაუნდობელ, ამორალურ და, რაც მთავარია, მატყუარა ადამიანებს აქვთ. და ის, რომ ეს ასეა, შემთხვევითობა კი არა, ზოგადი წესი, ძალაუფლების აუცილებელი პირობაა“** (ტოლსტოი). **„რა უცნაურია, რომ ხელისუფალთ მუდამ ის სურთ, რაც არ სურს ხალხს“** (სტრინდბერგი).

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მდგომარეობა უცვლელი რჩება.

მაშ ასე, პარიზში პოლიციამ ასი ადამიანი დააკავა მათგან, ვინც ერთსქესიანი ქორწინებების და მასთან ერთად ევროპის აღსასრულის წინააღმდეგ გამოვიდა. ასი, რა თქმა უნდა, ბევრი არ არის, რადგან, როგორც დასავლური პრესა წერს, ამ აქციაზე **საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩებში 150 ათასიდან მილიონამდე ადამიანმა გაიარა. მანიფესტანტების ლოზუნგები ყველასთვის გასაგები იყო. „არა — სოციალისტების დიქტატურას!“ — მასის ეს შეძახილი ცხადყოფს, თუ რას მოიაზრებს ხალხი დღეს ფრანგულ დემოკრატიად.**

პროტესტანტები პარიზის პოლიციას ბოთლებსა და ქვებს ესროდნენ. როდის დადგება ის დღე, რომ პარიზის პოლიციელებს ყუმბარებს ესვრიან? არასდროს! ევროპა ძალზე დაჩაჩანაკდა საიმისოდ, რომ ყუმბარები ისროლოს. ევროპას ახლა მხოლოდ თვითმკვლელობის უნარი შესწევს.

სწორედ ეს გააკეთა 21 მაისს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა დომინიკ ვენერმა. ეს ულტრამემარჯვენე ბატონი მოხუცი იყო — 78 წლის. ჰომოსექსუალურ ქორწინებებს ის ადრეც აპროტესტებდა, მაგრამ ახლა, როდესაც ამის მომხრეებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელთ, მან ამ ყველაფერს ვეღარ გაუძლო. მან სიკვდილის წინ დაწერა წერილი, აიღო რევოლვერი, წავიდა ტაძარში და ტყვია დაიხალა. დიდი ხნის წინ ეს ადამიანი ალჟირის დამოუკიდებლობისთვის გამოდიოდა. შემდეგ მას გენერალი დე გოლი არ მოსწონდა და მის წინააღმდეგაც გამოდიოდა. მაგრამ იმ ყველაფრიდან, რაც მის ქვეყანაში ახლა ხდება, გამოსავალი მხოლოდ ერთია — ტყვია შუბლში. იგი ნაციის სირცხვილს გაერიდა. უკიდურეს შემთხვევაში ვენერს ულოგიკობაში მაინც ვერავინ დაადანაშაულებს. მაგრამ ამავე დროს მისი საქციელი, რასაც არ უნდა ამბობდეს მარინ ლე პენი, ევროპის კრახის აღიარებაცაა.

**„ცისფერები“ ზეიმობენ, ოლანდი კი, ალბათ, ისე გრძნობს თავს, თითქოს თავად ისროლა და მიზანში მოარტყა.**

სხვათა შორის, მარინ ლე პენის სიტყვები ციტირებას იმსახურებს. ტელეინტერვიუში მოძრაობა „ნაციონალური ფრონტის“ ხელმძღვანელმა განაცხადა: **„ძალიან ვწუხვარ ამ დანაკარგის გამო, ჩემთვის ვენერი სამუდამოდ დარჩება ჯარისკაცად, რომელიც საფრანგეთისა და მისი მომავლისთვის იბრძვის. და ის, თუ როგორ მოიკლა მან თავი იმ ადგილას, რომელიც მრავალი ჩვენგანისთვის საფრანგეთის სიმბოლოს, მის იდენტურობას წარმოადგენს, ადასტურებს, რომ ეს უდავოდ პოლიტიკური აქტი იყო. მას სურდა, ფრანგების ყურადღება მიეპყრო იმისაკენ, რასაც ვკარგავთ, აეხილა ხალხისთვის თვალი იმაზე, რაც ქვეყანას ემართება. ჩვენს საიმიგრაციო პოლიტიკაში არსებული თვალნათელი პრობლემების გამო ნაცია თითქოს შეცვალეს და ეს ხდება არამხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში. ვწუხვარ, რომ ვენერმა სწორედ ასეთი გზა აირჩია, მაგრამ მას ამისთვის მწვავე მიზეზები ჰქონდა“.**



უნდა ვივარაუდოთ, რომ მარინი წუხს საფრანგეთის მიერ გზის არჩევაზეც, რადგან, საიდანაც არ უნდა შეხედო მდგომარეობას, 2012 წელს მულტიკულტურალისტი ოლანდი აირჩიეს პრეზიდენტად და არა იგი.

**მეორე ფრონტიდან დედა ევროპას უტევს და ამარცხებს კიდეც ტოტალური ისლამიზმი, რომელიც ყველგანაა გავრცელებული და კიდევ განაგრძობს გავრცელებას შავი ჭირის სისწრაფით. ისლამიზმი მოედო არამხოლოდ საფრანგეთს, არამედ ბრიტანეთს, ბელგიას, გერმანიას, ესპანეთსა და საბერძნეთს, სადაც ხელისუფლება, მიუხედავად მართლმადიდებლური კონსტიტუციისა და ხალხის ნებისა, მთელ ქვეყანას მოჰფენს მეჩეთებით და კიდევ საკითხავია ტოლერანტულობის თუ კორუფციის სახელით.**

ისლამიზმი იმდენად უზარმაზარია, რომ თვით სირიაშიც კი ვრცელდება — იქ, სადღაც რაკეში შავი დროშებით უერთდებიან „ჯაბხატ ან-ნუსრეს“. გაატარებენ რა შვებულებას სირიის ფრონტის ხაზებზე, ბოევიკები ჭრილობების მოსაშუშებლად ან, უბრალოდ, ცხოვრების გასაგრძელებლად თავიანთ ევროპულ კვარტლებში ბრუნდებიან და გულმხურვალედ ქადაგებენ იქ ევროხალიფათის უსწრაფესად აშენების იდეებს. ოდესმე იმავე საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატს მოუწევს დაპირებების მიცემა არა ჰომოსექსუალების განწყობილების გათვალისწინებით, არამედ იმ მუსლიმანური თემების სურვილების შესაბამისად, რომლებიც საარჩევნო ბაზარზე თვალის დახამხამებაში იქცევიან ამომრჩეველთა ყველაზე მსხვილ მომწოდებლებად.

იმ შავბნელ დროს წინასაარჩევნო ლოზუნგებში შარიათისა და თითების ან მთელი კიდურების მოკვეთის მოწოდებები, სამწუხაროდ, ბევრს ვეღარავის აღაშფოთებს. აღშფოთდებიან მხოლოდ ისინი, ვინც შემთხვევით გადარჩება იმ დროისთვის...

რამდენიმე დღის წინ პატრულ სედრიკ კორდიეს პარიზის საქმიან რაიონ დეფანსში კისერში დანა გაუყარეს. შესაძლოა, ეს სულაც სა- ▶

მოკლედ

## ლონდონში მეჩეთები დაწვეს

**ავღანეთში მებრძოლი ბრიტანელი ჯარისკაცის მკვლელობის შემდეგ ლონდონში სამი მეჩეთი დაწვეს.**

ლონდონის ჩრდილოეთით უცნობმა პირებმა სამი მეჩეთი და ისლამური კულტურის ცენტრი დაწვეს. ამის შესახებ ტელეკომპანია „სკაი ნიუსი“ იუწყება.

**„ხანძარი დილის სამ საათზე. ცეცხლის ლიკვიდაციისთვის ექვსი სახანძრო ბრიგადა მუშაობდა, თუმცა შენობა მთლიანად დაიწვა“,** — იუწყება ტელეკომპანია.

თვითმხილველების ცნობით, ხანძრის გაჩენამდე აფეთქების მსგავსი ხმა გაისმა. პოლიცია აღნიშნულ ფაქტს იძიებს. ერთ-ერთი ვერსიით, დანაშაული „რასობრივი ხასიათისაა“. რაიონში, რომელშიც აფეთქება მოხდა, სომალელების მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს. ექსპერტების აზრით, მსგავსი შემთხვევის გამეორებამ შესაძლოა სერიოზული კონფლიქტი გამოიწვიოს, რომლის შეჩერებაც შეუძლებელი გახდება.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში მებრძოლი ბრიტანელი ჯარისკაცის მკვლელობის შემდეგ ლონდონში ეროვნული დაჯგუფებების გააქტიურება დაიწყო, სადაც მრავალმილიონიანი მუსლიმანური დაჯგუფება ცხოვრობს.



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქმე ისაა, რომ „გუგლი“ არის ცსს-ს და ამერიკელი სამხედროების სადაზვერვო ოპერაციების საკვანძო მონაწილე, ეს ოპერაციები კი მოიცავს ადამიანთა წამებას, უცხოური ხელისუფლებების მუშაობის ჩაშლას, აგრესიის უკანონო აქტებს და იმ ქვეყნების სამხედრო ოკუპაციას, რომლებიც არასდროს დასხმიან თავს აშშ-ს. ეს ოპერაციები უკვე დაუჯდა ასიათასობით ადამიანის სიცოცხლედ ავღანეთს, ერაყს, პაკისტანსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს.**

...კანცელარიო დანა იყო. საინტერესოა, რომ პატრული ამ დროს სწორედ სამშობლოს წინაშე იხდიდა ვალს და თვალს ადევნებდა წესრიგს მოქმედი ანტიტერორისტული გეგმის სრული დაცვით. ანტიტერორისტს ტიპიური ტერორისტი დაესხა თავს: ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილი წვერებიანი ახმახი, რომელიც ძალიან ჰგავდა აფრიკელს. ის უკნიდან მიეპარა ჯარისკაცს. ჩაარტყა რა დანა ყელში, გაიქცა და ბრბოს შეერია. საბედნიეროდ, დაჭრილი ახალგაზრდა, რომელიც მხოლოდ 23 წლისაა, ამ ინცინდენტს არ შეეწირება.

მაგრამ მეორე ახალგაზრდა ლი რიგბი სამუდამოდ ახალგაზრდა დარჩება. ეს ბრიტანელი მხოლოდ 25 წლის იყო, როდესაც შეძახილებით „ჩვენ შევფიცეთ დიდ ალაჰს!.. ეს არის ის, რაც მას სურს!“ ნიგერიული წარმომავლობის ორმა ისლამისტმა სასიკვდილოდ დაჭრა. ამ ორს ბრიტანეთში აწ აკრძალული მოძრაობების „ისლამი ბრიტანეთისთვის“ და „მუხაჯირების“ შემქმნელი ანჟ შუდხარის მსგავსი ექსპრესიული სასულიერო პირის აგრესიული ქადაგების შედეგად გადაექეტა გონება. სხვათა შორის, ეს სუბიექტი ამ დრომდეც ქადაგებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ევროპაში ტოლერანტიზმს კვლავაც ვერავინ და არავინ ზღუდავს.**

ლი რიგბი ბრიტანეთის არმიის სამეფო პოლკში 2006 წლიდან მსახურობდა. 2011 წელს სამშობლოში დაბრუნებამდე მან ავღანეთში, გერმანიასა და კვიპროსში იმსახურა. ბოლოს კი ბრიტანეთის ორმა ქვეშევრდომმა გამოჭრა ყელი. **თავიანთი სისხლიანი ანგარიშსწორება მკვლელებმა ვიდეოფირზეც აღბეჭდეს და გრძელი სიტყვით გამოვიდნენ მოწმეების წინაშე. მკვლელობის მიზეზი თურმე მუსლიმანების გამო შურისძიება გახდა, იმ მუსულმანებისა, რომელთაც სამხედრო მოსამსახურეები ხოცავენ, ვთქვათ ავღანეთში.**

ერთ-ერთ ტერორისტს, 28 წლის მაიკლ ადებოლაჯოს ლონდონში რადიკალური ისლამისტი მოძღვრის სახელით იცნობენ. ის აკრძალულ „მუხაჯირებთან“ დაახლოებულ ადამიანად ითვლება. იგი ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა, მაგრამ ისლამისტური მოძღვრებების ზეგავლენით გადასხვაფერდა.

**ამ ფონზე აბსოლუტურ უაზრობად გამოიყურება სომერსეტის საგრაფოს ქალაქ რადსტოკის საქალაქო საბჭოს ინიციატივა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკუთარ ტერიტორიაზე წმიდა გიორგის დროშის გამოყენება აკრძალა. რატომ? ისევ იმავე ავბედითი ტოლერანტობის გამო. მათ გადაწყვიტეს, რომ დროშამ, რომელზეც ჯვარია გამოსახული, შესაძლოა, შეურაცხყოს ქალაქში მცხოვრები მუსლიმანების რელიგიური გრძნობები. რამდენი მუსლიმანი ცხოვრობს ქალაქში? 16! „რა უცნაურია, რომ ხელისუფლებას მუდამ ის სურს, რაც არ სურს ხალხს“...**

გასული წლის 6 ივლისს ბრიტანელმა ვიცე-პრემიერმა ნიკ კლეგმა, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც სექსუალური უმცირესობების გულმხურვალე მომხრემ, მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს თავზე ექვსზოლიანი დროშა ააფრიალა. ეს ჟესტი ეძღვნებოდა ლონდონის ჰომო-აღლუმს, რომელიც შარშან მეორმოცედ ჩატარდა ლონდონში.

**ანუ ახლა ბრიტანეთში თავისუფლად შეიძლება ფრიალებდეს ყველანაირი ეროვნული უმცირესობის დროშა, შეიძლება ფრიალებდეს ნაციონალური დროშაც, მაგრამ არა ამდენად თავისუფლად. გამოდის, რომ ევროპელები მიზანმიმართულად ანადგურებენ საკუთარ თავს. მალე ევროკავშირის ქვეყნებში მხოლოდ პედერასტები და მუსლიმანები დარჩებიან. შემდეგ მეორენი, ყოველგვარი ტოლერანტულობის გარეშე, გამოჭრიან ყელს პირველთ და შარიათს გამოაცხადებენ.** პატრიკ ბიუკენენმა ევროპულ ცივილიზაციას ამ ასწლეულის ბოლოს უწინასწარმეტყველა აღსასრული, მაგრამ ისტორია გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მას ჰგონია.

საფრანგეთისა და ბრიტანეთის დანების ქნევის შემდეგ შვედეთის ხანძრები, ცეცხლის მიუხედავად, ფერმკრთალად გამოიყურება.

მოქმედებები ძირითადად სტოკჰოლმის შემოგარენში ვითარდება. იქ მოსახლეობის ოთხი მეხუთედი მიგრანტია. ახალგაზრდები წვავენ სკოლებს, ავტომანქანებს, ხანდახან პოლიციის შენობებსაც. ამის მიზეზი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება იმით, რომ პოლიციამ მოკლა ერთი აბსოლუტურად შერაცხადი მოხუცი, რომელიც იმავე პოლიციელებს ცხვირწინ დანას უტრიალებდა.

მთელ შვედეთში მიგრანტები 15%-ს შეადგენენ, მაგრამ ნელ-ნელა მრავლდებიან. მალე ქათქათა სკანდინავიელები ეთნიკურ იშვიათობად იქცევიან, მაგრამ ეს 15%-იც ძალიან ბევრია. **რაც შეეხება ევროპის აღსასრულს, ეს ევროპელთა პრობლემა არაა, რადგან ახლანდელი თაობა მიიჩნევს, რომ აღსასრულამდე ვერ მიატანს, მომდევნო თაობაც მისგან მემკვიდრეობით მიიღებს ამ მცდარ და უსაფუძვლო დამოკიდებულებას. მაგრამ მომავალ თაობაზე ჯერ კიდევ ადრეა საუბარი, რადგან ეს თაობა უკვე გამსჭვალულია სურვილით, არ იყოლიოს ბავშვები, ცისფერი ტოლერანტულობით, ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ნევროზულობით...**

topwar.ru

# Google-ის ღრმა კავშირები ცსს-სთან

**დასავლური პრესა ახლა გადავსებულია სტატიებით იმის შესახებ, რომ „გუგლი“ იმუქრება ჩინეთიდან წასვლით ინტერნეტცენზურის ნიადაგზე კონფლიქტის გამო და იმ კომპანიის იმ ეჭვების გამო, რომელთა თანახმადაც ამ ქვეყნის ხელისუფლება იდგა „ჩინელი დისიდენტების“ მიერ გამოყენებადი „გუგლის“ რამდენიმე იმეილაქაუნთის გატეხვის მცდელობის უკან.**

პრესას თითქმის ყველგან დაავიწყდა იმის განმარტება, რომ ჩინეთში ადამიანის უფლებებზე „გუგლის“ ზრუნვა მალავს მის მჭიდრო კავშირებს მთელ პლანეტაზე ამ უფლებების ბევრად უარესი ფორმებით დარღვევასთან.

**საქმე ისაა, რომ „გუგლი“ არის ცსს-ს და ამერიკელი სამხედროების სადაზვერვო ოპერაციების საკვანძო მონაწილე, ეს ოპერაციები კი მოიცავს ადამიანთა წამებას, უცხოური ხელისუფლებების მუშაობის ჩაშლას, აგრესიის უკანონო აქტებს და იმ ქვეყნების სამხედრო ოკუპაციას, რომლებიც არასდროს დასხმიან თავს აშშ-ს. ეს ოპერაციები უკვე დაუჯდა ასიათასობით ადამიანის სიცოცხლედ ავღანეთს, ერაყს, პაკისტანსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს.**

დავიწყოთ იმით, რომ „გუგლი“ ამუშავებს სპეციალიზებულ ძებნის ტექნოლოგია Intellipedia-ს — გასაიდუმლოებულ ონლაინსისტემას, რომელშიც 37 ათასი ამერიკელი ჯაშუში და მათთან დაკავშირებული სპეციალისტები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, მონაწილეობენ ათასგვარი გეგმების ერთობლივ დამუშავებაში.

სხვა დეპარტამენტები, მაგალითად, ეგრეთ წოდებული ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ასევე ფლობენ სერვერებს, რომლებიც იყენებენ ამ საძიებო ტექნოლოგიას მთელს მსოფლიოში მოღვაწე ამერიკელი ჯაშუშების მიერ მოგროვილი ინფორმაციის დამუშავებისთვის.

ამ ყველაფერთან ერთად **„გუგლი“ მჭიდრო კავშირშია აშშ-ის სადაზვერვო და სამხედრო სისტემასთან Google Earth-ის გამოც.** ამ სერვისის უკან მდგომი ტექნოლოგია თავდაპირველად კომპანია Keyhole Inc.-მა შეიმუშავა. ეს ორგანიზაცია ფინანსდება In-Q-Tel-ის მიერ, რომელიც, თავის მხრივ, ღიად ფინანსდება ცსს-დან და მისი მითითებების შესაბამისად ფუნქციონირებს.

„გუგლმა“ ეს ორგანიზაცია 2004 წელს იყიდა. და ახლა იგივე საბაზო ტექნოლოგია აშშ-ის სამხედროებისა და სადაზვერვო უწყებების მიერ გამოიყენება, მათივე თქმით, პლანეტაზე „სრულმასშტაბიანი დომინირების“ მისიებისთვის.

უფრო მეტიც, 2004 წელს In-Q-Tel-ის ტექნოლოგიის შეფასების ქვეგანყოფილების დირექტორი რობ პეინტერი თავისი ძველი პოზიციიდან პირდაპირ ცსს-ში გადავიდა სამუშაოდ „გუგლის“ „უფროსი ფედერალური მმართველის“ პოზიციაზე.

ასევე საინტერესო ფაქტია, რომ, ჟურნალ Wired-ის ინფორმაციით, ზემოხსენებული ორგანიზაციის თანამშრომელი „გუგლის“ მეგობრები ახლა ინვესტიციებს აკეთებენ კომპანია Visible Technologies-ში — სოფტვერულ ფირმაში, რომელიც სოციალური მედიის მონიტორინგზე სპეციალიზდება.

**ტექნოლოგია VISIBLE საშუალებას იძლევა, ყოველდღიურად ავტომატურად დასკანერდეს ბლოგების, ფორუმების, სოციალური ქსელებისა და სხვა ანალოგიური სერვერების მილიონზე მეტი პოსტი. სისტემა „აფასებს“ ყველა ონლაინ-შეტყობინებას და ოპერატორის მიერ მინიჭებული პარამეტრებისა და პირობების მიხედვით აძლევს მათ პოზიტიურ, ნეგატიურ, შერეულ ან ნეიტრალურ სტატუსს. ამრიგად, გადამუშავებული ინფორმაცია შემდეგ გადადის ანალიტიკოსების ხელში, ისინი კი მის შემდგომ შესწავლას განაგრძობენ.**

In-Q-Tel-ის წარმომადგენლები ამბობენ, რომ აპირებენ, ეს ტექნოლოგია მხოლოდ სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოიყენონ, ისიც სხვა ქვეყნებში, რაც აშშ-ის ჯაშუშებს მისცემს „სხვადასხვა საერთაშორისო მოვლენის შესახებ გაფრთხილების ადრეულ სისტემას“. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს სააგენტოს საზოგადოებრივი წარმომადგენელი დონალდ ტაიე. მაგრამ სინამდვილეში არსებობს ცალსახა შესაძლებლობა იმისა, რომ ტექნოლოგია გამოყენებულ იქნეს სოციალური მოძრაობებისა და თავად აშშ-ის ცალკეული ადამიანებისთვის თვალთვალის მიზნით.

და ბოლოს, ძალზე საინტერესოდ გამოიყურება ის ფაქტი, რომ თავად „გუგლი“, ისევე, როგორც ამერიკული მასმედია, აბსოლუტურად არაფერს ამბობს იმ სამხილებთან დაკავშირებით, რომლებიც ზემოხსენებული იმეილაქაუნთების გატეხვასთან ჩინეთის ხელისუფლების კავშირს დაადასტურებდნენ. პრესაში ამ ამბავთან ჩინეთის ხელისუფლების კავშირზე საუბრისას მუდამ ფიგურირებს ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ჩახლართული“, „საეჭვო“ და ასე შემდეგ, მაგრამ არასდროს არავინ ამბობს, თუ რა მტკიცებულებები დგას ამ ეჭვებს მიღმა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ხელისუფლებას და მის საჯაშუშო სააგენტოებს სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებების ან იმ სოციალური მოძრაობების დისკრედიტაციის გრძელვადიანი და არც თუ წარუმატებელი გამოცდილება აქვთ, რომლებმაც გამოიჩინეს გაუფრთხილებლობა და ამერიკის ხელისუფლების პოზიციები არ გაიზიარეს.

**იმის გასაგებად, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს ყველაფერი, საკმარისია, გავიხსენოთ იმ დეზინფორმაციის, ტყუილისა და სიცრუის შესახებ, რომლებიც ერაყის ომის მხარდასაჭერად ამერიკის ხელისუფლებამ ხალხის, მათ შორის საკუთარისაც, დასაშინებლად გამოიყენა.**

მიუხედავად იმისა, მოდიოდა თუ არა „გუგლის“ აქაუნთებზე შეტევები ჩინეთის ხელისუფლებისგან, საჯაშუშო სააგენტოების ოპერატიული მუშაკებისგან თუ ვიღაც სხვისგან, ერთი რამ ცხადია: **კომპანიას, რომელიც ცსს-ს ზურგს უმაგრებს საკვანძო სადაზვერვო ტექნოლოგიებით, ამუშავებს კარტოგრაფიულ სერვერებს, რომელთა გამოყენებაც ხელსაყრელია დრონების შეტევების დაგეგმვისთვის, რომელიც მჭიდროდაა გადანასკვული ცსს-სთან და მთელ ამერიკულ სამხედრო მანქანასთან და აკონტროლებს მილიონობით ადამიანის ინტერნეტმიმოწერას, ცხადია, ბევრი რამ ადარდებს. მაგრამ ამ ბევრს შორის ნამდვილად არ არის ადამიანთა უფლებების დაცვა და ჩინეთში ადამიანების ცხოვრების ხარისხი.**




mixednews.ru

მსოფლიო

## თურქულმა არმიამ დემონსტრანტები პოლიციისგან დაიცვა

**თურქულმა არმიამ ქვეყნის პრემიერის — რეჯეფ თაიფ ერდოღანის გადადგომის მოთხოვნით გამოსული დემონსტრანტები პოლიციის მხრიდან დაშლისგან დაიცვა. ამის შესახებ გაზეთი Yeni Safak იუწყება.**

გამოცემის ინფორმაციით, **თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ხატაიში გამოსულ დემონსტრანტებს პოლიცია დაშლას უპირებდა, რა დროსაც მომიტინგეების გარშემო ჯარისკაცები დადგნენ და პოლიციელებს მათთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.**

აღსანიშნავია, რომ გაზეთს სამხედრო სარდლის განცხადება მოჰყავს, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ, თუ სამართალდამცავები დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენ გაზს კიდევ ერთხელ გამოიყენებენ, არმია მზადაა, პოლიციას ცეცხლი გაუხსნას.

**დემონსტრანტებს სოლიდარობას ხელისუფლების წარმომადგენლებიც უცხადებენ. მაგალითად, ანტალიის მერმა პოლიციას ჭავლებისთვის წყლის მიწოდებაზე უარი უთხრა.**

შეგახსენებთ, რომ ქუჩის აქციები თურქეთის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის სტამბოლში, ანკარაში, ანტალიაში, იზმირსა და კონიაში მაისის ბოლოდან გრძელდება. პროტესტები დაიწყო, როგორც ადგილობრივი ეკოლოგების აქცია, თუმცა დემონსტრანტებმა მალევე წამოაყენეს თურქეთის პრემიერ-მინისტრის — რეჯეფ თაიფ ერდოღანის წინააღმდეგ მოთხოვნები.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც ქორებმა თავი დაირწმუნეს იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინ უდგას სათავეში, ვთქვათ, ამა თუ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილებები, რომელთა შედეგადაც ჩვენთვის მისაღები პოლიტიკოსები კარგავენ ძალაუფლებასა და ხელისუფლებას, ითარგმნება, როგორც რუსეთის გამარჯვება მათზე.**

# ვაშინგტონელი ქორები სხვათა დამოუკიდებლობას ვერ იტანენ



**The Washington Post-ში გამოქვეყნებულ თავის სტატიაში ანალიტიკოსმა პოლ სონდერსმა მოიყვანა დამაჯერებელი არგუმენტები იმის ასახსნელად, თუ რატომ არ უნდა ცდილობდნენ ამერიკელი პოლიტიკოსები მოსკოვთან კონფლიქტის გაღვივებას. აშშ-ის საბედნიეროდ, რუსეთს არ აქვს განზრახული მისი ინტერესების ხელყოფა, — აღნიშნავს გამოცემა, — ამიტომაც ძალზე უცნაურად გამოიყურება ზოგიერთი ვაშინგტონელი ქორის შემართება, როგორმე საწინააღმდეგო დაამტკიცოს ან მიაღწიოს იმას, რომ მდგომარეობა შეიცვალოს.**



საბრძოლო განწყობის მქონე პოლიტიკოსების ქცევა მხოლოდ აშშ-ის ინტერესების არასწორად გაგების შედეგია. **„ჩვენი ღირებულებები ჩვენი ინტერესებია, ჩვენი ინტერესები კი — ჩვენი ღირებულებები“,** — განაცხადა ერთხელ მაკკეინმა. ამგვარი ფორმულირების პირობებში ჩვენი ინტერესები შეიძლება გავრცელდეს ყველაფერზე, სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებელი პოლიტიკა კი ამ შემთხვევაში უდავოდ განიხილება, როგორც მუქარა ან გამოწვევა.

მას შემდეგ, რაც ქორებმა თავი დაირწმუნეს იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინ უდგას სათავეში, ვთქვათ, ამა თუ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილებები, რომელთა შედეგადაც ჩვენთვის მისაღები პოლიტიკოსები კარგავენ ძალაუფლებასა და ხელისუფლებას, ითარგმნება, როგორც რუსეთის გამარჯვება მათზე. რამდენადაც მრავალ ქორს მცდარად ესმის ამერიკის ინტერესები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსეთის გავლენის შესამცირებად ან სრულად მოსასპობად, მოსკოვსა და მის მეზობლებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება ცალსახად საფრთხედ განიხილება. სინამდვილეში კი ჩვენ ეს არანაირად ან თითქმის არანაირად არ გვეხება.

**სირიათან დაკავშირებით რუსეთი ატარებს ქვეყნის შიდა საქმეებში საგარეო ჩარევის საწინააღმდეგო ოფიციალურ პოლიტიკას, მაგრამ მრავალი ამერიკელი პოლიტიკოსი ამაში ხედავს მხოლოდ და მხოლოდ ამერიკისადმი მტრობას და სხვას ვერაფერს.**

ქორებს ზუსტად ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ ჩინეთთან, ირანთან ან თუნდაც ნებისმიერ იმ მესამეხარისხოვან ავტონომიურ რეჟიმთან დაკავშირებით, რომელიც კი მოახერხებს უახლოეს მომავალში ვინმეს ყურადღების მიპყრობას.

**საიდან გაჩნდა რუსეთთან დაკავშირებული მთელი ეს ისტერიკა? ვაშინგტონში გაკეთებული პოლიტიკური განცხადებების ტონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ჯარი თავმოყრილია დასავლეთის საზღვართან, ოპოზიციის წარმომადგენლებს კი ასეულობით სჯიან სიკვდილით.**

არადა, რუსეთი უკვე აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც დისიდენტებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ამწყვდევდა, იპყრობდა ავღანეთს და მსოფლიო რევოლუციას აჩაღებდა. ცხადია, მოსკოვსა და ვაშინგტონს მეგობრებს ძნელად თუ უწოდებს ვინმე, მაგრამ ისინი არც მტრები არიან ერთმანეთისთვის.

რუსეთი აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ტამერლან ცარნაევის შესახებ ინფორმაციას ბოსტონში აფეთქებამდე დიდი ხნით ადრე უზიარებდა და მნიშვნელობა არ აქვს, ამით იგი საკუთარ ტერიტორიაზე ცდილობდა ტერაქტის თავიდან აცილებას თუ ჩვენს ტერიტორიაზე. მოსკოვი არ ამართლებს „ალ ქაიდას“ ტერაქტებს ამერიკის წინააღმდეგ ავღანეთში და ნატოს დერეფნითაც კი უზრუნველყოფს ამ ქვეყანაში ტვირთების გადასაზიდად.

გარდა ამისა, **კრემლი ბაშარ ასადის დასახმარებლად არ გზავნის თავის ჯარებს, მრჩევლებს ან დაფინანსებას, და ასევე, რაც ყველაზე მთავარია, არ წარმოადგენს ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის აქტიურ მონაწილეს.** რომელიმე ზემოჩამოთვლილ საკითხში რუსეთს რომ საკუთარი პოლიტიკისთვის ეღალატა, ეს მართლაც დიდ ზიანს მიაყენებდა აშშ-ის ინტერესებს.

ამრიგად, კრემლთან ურთიერთობების გამწვავება ძალზედ ახლომხედველური ტაქტიკაა. ისინი, ვისაც სურს, რომ რუსეთს დაუპირისპირდნენ, იშვიათად ან არასდროს აცნობიერებენ, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ამგვარი პოლიტიკა. პირველ რიგში, მოსკოვს ხომ შეუძლია, პასუხი გასცეს აშშ-ს.

**The American Conservative**

# დოდ-ფრანკის კანონი — მანდატი მასობრივი მკვლელობებისა და ღალატისთვის

**ლარუშის პოლიტიკურ მოქმედებათა კომიტეტმა — LaRouche PAC-მა დოდ-ფრანკის კანონის ანალიზი წარმოადგინა. კანონი „უოლ-სტრიტის რეფორმისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ სხვა არაფერია, თუ არა ამერიკელი ხალხის გენოციდის მანდატი.**



დოკუმენტი, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2010 წელს მოაწერა ხელი, ამერიკის კანონს აქცევს საერთაშორისო ფინანსურ შეთანხმებად და დიდი ოცეულის წევრი ქვეყნების საბანკო სისტემების წინაშე აყენებს ვალდებულებას, შეინარჩუნონ არსებული ფინანსური სისტემა. აქედან გამომდინარე, უკვე ადვილი გასაგებია, თუ საიდან გაჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთდროულად კანონები, რომლებიც ქონების კონფისკაციას ითვალისწინებენ.

**საერთაშორისო შეთანხმება საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ფინანსურ მოთხოვნებს, რომელიც ტრილიონობით ან, შესაძლოა, კვადრილიონობით სპეკულატორულ დერივატივებსაც მოიცავს, ამერიკისა და საკუთარი ქვეყნების მოქალაქეთა ინტერესებზე მაღლა აყენებს.**

ამ ყველაფრის გათვალისწინებით დოდ-ფრანკის კანონი უნდა გამოცხადდეს ძალის არმქონედ, როგორც სახელმწიფო ღალატის აქტი, ანუ როგორც აშშ-ის წინააღმდეგ ომის ან მტრებთან დაახლოების აქტი. ამ შემთხვევაში მტრები არიან ბრიტანული მონარქიის ირგვლივ დაჯგუფებული ფინანსური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი ამერიკელთა განადგურებაა.

უოლ-სტრიტსა და ლონდონელ ფინანსურ მონსტრებს ამერიკელთა დანაზოგების საცავის გასაღებები დაურიგეს. როგორც კი ფინანსური მონსტრები კვლავ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და ფული დასჭირდებათ, ისინი მოქალაქეების ფულს აიღებენ უკანასკნელ ცენტამდე. ეს უკვე რეალობაა მას შემდეგ, რაც კონგრესმა მიიღო და ობამამ კი ხელი მოაწერა დოდ-ფრანკის კანონს.

**ამ კანონის მეორე მუხლის თანახმად, უმსხვილესი ბანკების სპეკულატორული ვალები საკრედიტო დაფარვით, პირველ რიგში, მიიღებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას. კერძო პირები და ბიზნესმენები განიხილებიან, როგორც „არაუზრუნველყოფილი კრედიტორები“** (ანალოგიური ვარიანტი ევროკავშირში ჟღერს, როგორც „სარისკო მეანაბრეები, რომელთა სახსრებიც, პირველ რიგში, დაექვემდებარება კონფისკაციას). ბანკების ფინანსური პრობლემების შემთხვევაში ეს კატეგორია დაკარგავს ყველაფერს, გარდა ანაბრის იმ ნაწილისა, რომელიც გარანტირებულია დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ **მეანაბრეთა გაძარცვის სქემა, რომელსაც ცოტა ხნის წინ კვიპროსის მაგალითზე ვადევნებდით თვალს და როდესაც მოქალაქეთა ფული გამოყენებულ იქნა ბანკების საჭიროებებისთვის, აშშ-ში უკვე გათვალისწინებულია დოდ-ფრანკის კანონში.**

2008 წელს უოლ-სტრიტის კრახისა და ბანკებისთვის გადასახადების გადამხდელთა ათობით ტრილიონი დოლარის დარიგების შემდეგ ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო სახსრების გამოყენება უკვე პოლიტიკურად შეუძლებელია. ბანკირებმა და მათმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, სხვა მეთოდისთვის — ბანკების მეანაბრეთა ძარცვისთვის — მიემართათ.

**ეს ძარცვა და სახელმწიფოს ღალატია. აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულის თანახმად, ხელისუფლების უპირველესი ვალდებულება არის მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის დაცვა — როგორც მათი, ვინც დღეს ცხოვრობს, ასევე მომავალი თაობების კეთილდღეობის დაცვა.** დოდ-ფრანკის კანონის მიღებით ამერიკული რესპუბლიკის ეს ქვაკუთხედი არარაობად იქცევა ჯერ კიდევ 2008 წლის კრიზისამდე გაკოტრებული ფინანსური სისტემის გადასარჩენად.

**დოდ-ფრანკის კანონში 848 გვერდია. რეგულატორებმა კიდევ 8843 გვერდი ჩამობეჭდეს მისი განმარტებებისა და გამოყენების მეთოდების აღწერით და, როგორც იტყვიან, ჯერ მხოლოდ გზის მესამედი აქვთ გავლილი.**

ლინდონ ლარუში ამბობდა, რომ ბრეტონვუდის სისტემის დაშლის 1971 წელს და 1999-ში გლას-სტიგოლის კანონის გაუქმების შემდეგ მთელი ტრანსატლანტიკური რეგიონის ფინანსური სისტემა გაკოტრდებოდა, რაც მოხდა კიდეც. ახლა აუცილებელია მისი გაკოტრებით რეორგანიზება. ამისთვის საჭიროა, სრულად აღდგეს გლას-სტიგოლის კანონი, რომელიც კომერციულ ოპერაციებს ბროკერების, ჰეჯფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების სპეკულაციებისგან გამიჯნავდა. ახლა ამ კანონის აღდგენის საკითხი კონგრესის ორივე პალატაშია შესული, რაც ქვეყნის ერთადერთი იმედია ფინანსური განადგურებისგან გადასარჩენად.

თავად ლარუშმა განაცხადა: **„მოროდიორობა ზღვრამდე მივიდა. დოდ-ფრანკის კანონი სახელმწიფო ღალატია, რომელიც მრავალ მოქალაქეს სიცოცხლის ფასად დაუჯდება ეკონომიკის განადგურების, რეალური დასაქმებულობის შემცირებისა და სამედიცინო მომსახურების სისტემის პრეფანაციის გამო. ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ გლას-სტიგოლის კანონის აღდგენას შეუძლია. ეს კანონი არის ლონდონისა და უოს-სტრიტის ტირანიისგან განთავისუფლების პირველი ნაბიჯი. საბანკო საქმიანობის გაყოფის შემდეგ უმალ უნდა დაიწყოს ეკონომიკის აღდგენა“.**

**communitarian.ru**

**ახალი ვირუსი დიდი რაოდენობით გადაუჭრელ საკითხებს მოიცავს: დაავადებულებს შორის ბევრს პნევმონია და რესპირატორული სისტემის დაავადებები აწუხებს, მაგრამ სინდრომის სერიოზულობა თავად ადამიანზეა დამოკიდებული. ასევე რჩება ინფექციის გავრცელების გაურკვეველი გზები და წყაროები. ამჟამად ითვლება, რომ ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე არც ისე სწრაფად გადადის — ეს ჯერ კიდევ არ არის ჯაჭვური გადაცემის მექანიზმი, თუმცა საუდის არაბეთში უკვე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ვირუსი ავადმყოფისგან ექიმს გადაედო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი კორონავირუსი: ინფექცია ევროპასაც მოედო



**კორონავირუსის ახალი ტიპი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ევროპასაც გადმოედო. 28 მაისს საფრანგეთში ამ ვირუსით დაავადებული ადამიანის გარდაცვალება პირველად დადასტურდა. დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში, საიდანაც მრავალი ადამიანი მიდის იაპონიაში, ასევე ვრცელდება ინფექცია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ვირუსის გადაადგილებაზე კონტროლს აძლიერებს.**



**დღეისათვის ახალი ვირუსით ინფიცირებულია 44 ადამიანი, მათგან 14 გარდაიცვალა. ეს სიკვდილიანობის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელია და 50%-იან ბარიერს აჭარბებს.** გასული წლის სექტემბერში პირველი ინფიცირებულები აღმოაჩინეს. ამის შემდეგ ვირუსი ვრცელდებოდა არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და იორდანიის მიმართულებით საუდის არაბეთში დაფიქსირებული ცენტრიდან. შემდეგ ის ევროპასაც გადასწვდა. ევროპასთან აღმოსავლეთი ახლოსაა არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ბიზნესისა და ტურისტული კავშირების თვალსაზრისითაც.

მამაკაცი, რომელიც ვირუსმა საფრანგეთში შეიწირა, დაავადებამდე დუბაიში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მოგზაურობდა. ინგლისში გარდაცვლილი მამაკაცი კი დაავადდა მამისგან, რომელიც ცოტა ხნის წინ ახლოაღმოსავლური ქვეყნიდან დაბრუნდა. ამ დროისთვის ევროპაში დაფიქსირებულია უკვე რვა ინფიცირებული.

**წარმოშობის ადგილის გამო ახალ კორონავირუსს ახლოაღმოსავლური რესპირატორული სინდრომი უწოდეს.** ის ვირუსების იმავე ჯგუფს განეკუთვნება, რომელსაც „SARS"-I და რომელმაც 2003 წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით 700 ადამიანი შეიწირა. ამ ვირუსის გავრცელების პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარგარეთ მოგზაურთა რაოდენობა. თუ ახალი ინფექცია თავის ტერიტორიას ევროპის ხარჯზე გაზრდის, ეს, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ტურისტულ ნაკადებსა და ლოჯისტიკაზე.

**ახალი ვირუსი დიდი რაოდენობით გადაუჭრელ საკითხებს მოიცავს: დაავადებულებს შორის ბევრს პნევმონია და რესპირატორული სისტემის დაავადებები აწუხებს, მაგრამ სინდრომის სერიოზულობა თავად ადამიანზეა დამოკიდებული. ასევე რჩება ინფექციის გავრცელების გაურკვეველი გზები და წყაროები. ამჟამად ითვლება, რომ ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე არც ისე სწრაფად გადადის — ეს ჯერ კიდევ არ არის ჯაჭვური გადაცემის მექანიზმი, თუმცა საუდის არაბეთში უკვე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ვირუსი ავადმყოფისგან ექიმს გადაედო.**

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ეს ჯერ ოფიციალურად დადგენილი არ არის, ზოგიერთი მეცნიერი უკვე აცხადებს, რომ ვირუსი ადამიანებიდან ადამიანს გადაეცემა. ცნობილი არ არის, გამოავლენს თუ არა ეს ვირუსი თავისი წინამორბედის მსგავს სიცოცხლისა და გავრცელების უნარს. მისი კერები ამჟამად უკვე ბლოკირებულია, მაგრამ მსოფლიო არ არის დაზღვეული ვირუსის მუტაციისა და მასობრივი გავრცელებისგან.

**Nikkei**

# ორი მსოფლიო, ორი ბავშვობა, ანუ ამერიკული სკოლა 1957 და 2012 წლებში



**სცენარი №1**

**გაკვეთილების დაწყებამდე ჯეკი სანადიროდ იყო და სკოლის ეზოში სანადირო თოფით შევიდა, შემდეგ კი თოფი თავის მანქანაში თვალსაჩინო ადგილას დადო.**

**1957 წელი:** ჯეკის მანქანას მიუახლოვდა სკოლის დირექტორის მოადგილე, რათა მისი სანადირო თოფი დაეთვალიერებინა, შემდეგ კი საკუთარი მანქანისკენ გაემართა და თავისი თოფი ამოიღო, რომ ჯეკისთვის ეჩვენებინა.

**2012 წელი:** სკოლა მომენტალურად იქნა ევაკუირებული, გამოიძახეს გამოძიების ფედერალური ბიურო, ჯეკი ციხეში გამოკეტეს და ის ვეღარასდროს იხილავს ვეღარც საკუთარ მანქანას და ვეღარც იმ სანადირო თოფს. ტრავმირებული მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ადგილზე ფსიქოლოგები მუშაობენ.

**სცენარი №2**

**ჯონმა და მარკმა გაკვეთილების შემდეგ მუშტიკრივი გამართეს.**

**1957 წელი:** ირგვლივ მთელი სკოლა შეიკრიბა. მარკმა გაიმარჯვა. ბიჭებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და შერიგდნენ.

**2012 წელი:** იძახებენ პოლიციას და მოდის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი, ისინი ორივე მოჩხუბარს აკავებენ. მარკსაც და ჯონისაც ბრალად ედებათ თავდასხმა ადამიანზე, ორივეს რიცხავენ სკოლიდან და არავის აინტერესებს, ვინ წამოიწყო ჩხუბი.

**სცენარი №3**

**ჯეფრი გაკვეთილებზე ცუდად იქცევა და სხვა ბავშვებსაც უშლის ხელს.**

**1957 წელი:** ჯეფრი მიჰყავთ დირექტორის კაბინეტში, სადაც მას დატუქსავენ და შემდეგ კვლავ კლასში აბრუნებენ. ამის შემდეგ ბიჭი წყნარად ზის და არავის აღარაფერს უშავებს.

**2012 წელი:** ჯეფრის ასმევენ რიტარილის (დამამშვიდებელი) უზარმაზარ დოზას, რის შემდეგაც ბავშვი ზომბად იქცევა. ამის შემდეგ იგი გაივლის ტესტს ყურადღების დეფიციტის სინდრომზე. მისი ოჯახი იღებს სახელმწიფო დახმარებას, იმიტომ, რომ ჯეფრი უკვე ინვალიდია.

**სცენარი №4**

**ბილიმ მეზობელს ფანჯარა ჩაუმტვრია, რისთვისაც მამამ დასაჯა.**

**1957 წელი:** ამის შემდეგ ბილი გაცილებით ფრთხილი გახდა, ნორმალურ ადამიანად ჩამოყალიბდა, დაამთავრა ინსტიტუტი და წარმატებული ბიზნესმენი გახდა.

**2012 წელი:** ბილის მამა ბავშვების მიმართ სასტიკი დამოკიდებულების გამო დააპატიმრეს. ბილი თავშესაფარში აღმოჩნდა და ბანდის წევრი გახდა. ბილის დამ სახელმწიფო ფსიქოლოგს უამბო, რომ მასაც ცუდად მოექცნენ მშობლები ოდესღაც და ბილის მამამ ციხეში ამოყო თავი. ბილის დედამ რომანი გააბა ფსიქოლოგთან.

**სცენარი №5**

**პედრომ ინგლისურში ორიანი მიიღო.**

**1957 წელი:** პედრო სასწავლებლად მიდის საზაფხულო სკოლაში, სწავლობს ინგლისურს, აბარებს გამოცდას და ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას.

**2012 წელი:** პედროს დაცვის საქმეს ხელი მოჰკიდა შტატის ხელისუფლებამ. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაზეთები სავსეა სტატიებით, რომლებშიც განმარტავენ, რომ სკოლის დამთავრებისთვის ინგლისურის ცოდნის აუცილებლობა რასიზმია. უფლებადამცველებს სარჩელი შეაქვთ სასამართლოში მთელი შტატის საskolo სისტემისა და კონკრეტულად პედროს ინგლისურის მასწავლებლის წინააღმდეგ. ინგლისური აღარ არის სკოლის დამთავრებისთვის აუცილებელი საგანი. პედრო ამთავრებს ინსტიტუტს და იღებს დიპლომს, მაგრამ თავს გაზონების გაკრეჭვით ირჩენს, რადგან ინგლისური არ იცის.

**სცენარი №6**

**ჯონი ნაწილებად შლის დამოუკიდებლობის დღის შემდეგ დარჩენილ ფეიერვერკებს, ალაგებს თვითმფრინავის მოდელის წებოს ბოთლებში და აფეთქებს ჭიანჭველების ბუდეებს.**

**1957 წელი:** ჭიანჭველები იხოცებიან.

**2012 წელი:** იძახებენ ალკოჰოლის, თამბაქოსა და ცეცხლსასროლი იარაღის ბიუროს, შიდა უსაფრთხოების სამინისტროსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს წარმომადგენლებს. ჯონის ტერორიზმში სდებენ ბრალს. გამოძიების ფედერალური ბიურო გამოძიებას ატარებს მისი მშობლების წინააღმდეგ. ჯონის და-ძმები მიჰყავთ სახლიდან, ახორციელებენ კომპიუტერების კონფისკაციას, ჯონის მამა კი პოტენციური ტერორისტების სიაში ხვდება და იგი ვეღარასდროს იფრენს თვითმფრინავით.

**სცენარი №7**

**ჯონი შესვენების დროს დაეცა და მუხლები გადაიყვლიფა. მასწავლებელმა მერიმ მტირალი ბავშვი დასამშვიდებლად გულში ჩაიკრა.**

**1957 წელი:** ჯონი მალე მშვიდდება, თავს უკეთ გრძნობს და თამაშს განაგრძობს.

**2012 წელი:** მერის ბრალს სდებენ სექსუალურ ძალადობაში და სამსახურიდან ათავისუფლებენ. მას შტატის ციხეში სამწლიანი პატიმრობის ვადის მოხდა ელის. ჯონი მასწავლებელთან ჩახუტებით მიღებული ტრამვის გამო ხუთი წლის მანძილზე გადის თერაპიულ კურსს.

**goldenfront.ru**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართული ჯარი არ მზადდებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და მისთვის მეორეხარისხოვანი ამოცანის — საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება გადაიქცა მთავარ ამოცანად. ან როგორ უნდა შეესრულებინა მას საბრძოლო ამოცანა, როდესაც შეიარაღებულ ძალებს საერთოდ არ გააჩნდა მომზადებული რეზერვი, და, ვითომ მის მომზადებაში ყოველწლიურად ათეული მილიონობით ლარი იხარჯებოდა.**

# «შავი პოლკოვნიკები» და «ვარდისფერი ეფრეიტორი»

უკვე დიდი ხანია, ქართულ საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები ხელახლა უნდა იქნეს შესწავლილი და სამართლიანად გამოძიებული. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობა მდგომარეობს იმაშიც, რომ თავის დროზე ეს გამოძიება ჩატარდა სამხედრო სპეციალისტების გარეშე და დიდი პრინციპულობით არ გამოირჩეოდა.

**კომისიას ჩვენების მისაცემად არ გამოუძახებია სამხედრო და შეიარაღებული ძალების ისეთი საკვანძო თანამდებობის პირები, როგორებიც არიან: სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ჯარების სახეობების სარდლები, დაზვერვისა და სხვა თანამდებობების პასუხისმგებელი პირები.**

საგამოძიებო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, ბატონ პაატა დავითაიას დღესაც ჰგონია, რომ მან ჩვენება ჩამოართვა გენერალური შტაბის უფროსს, მაგრამ თვითონაც არ იცის, რომელი სტრუქტურის, ვინაიდან კონსტიტუციით გათვალისწინებული სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი საერთოდ არ დანიშნულა (რითაც პრეზიდენტმა დაარღვია ძირითადი კანონის 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ხოლო ზაზა გოგავა გახლდათ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი.

**2008 წელს და დღესაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა აკისრია სამხედრო ძალებს** (მ. 98, პ. 2), **1995 წლიდან პრაქტიკულად არარსებულ სტუქტურას, რითაც ისევ ირღვევა კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.**

2008 წლის 8 აგვისტოს პრეზიდენტმა განაცხადა: **„საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია“** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 აგვისტო), ხოლო ამავე გაზეთის ცნობით: **„9 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადა“** (10 აგვისტო). ამავე დღეს პარლამენტმა დაამტკიცა 2008 წლის 9 აგვისტოს №402 პრეზიდენტის ბრძანებულება: **„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“.** პარლამენტარებს დაავიწყდათ, რომ კანონით „მობილიზაციის შესახებ“ ცხადდება არა სრული, არამედ „საერთო მობილიზაცია“ (მ. 2).

რატომ დასჭირდა პრეზიდენტს 1 დღე სიტუაციის გასარკვევად?

რა იყო მისთვის გაუგებარი?

საომარი მდგომარეობის გამოცხადების დაგვიანებით ხომ არ დაირღვა ძირითადი კანონის 73-ე მუხლის 1-ლი ზ) ქვეპუნქტის მოთხოვნა:

**„ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას...“**

ცნობისათვის: აგრესია (ლათ) — შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა).

როგორც ომის მსვლელობამ გვიჩვენა, **ქართული ჯარი არ მზადდებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და მისთვის მეორეხარისხოვანი ამოცანის — საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება გადაიქცა მთავარ ამოცანად. ან როგორ უნდა შეესრულებინა მას საბრძოლო ამოცანა, როდესაც შეიარაღებულ ძალებს საერთოდ არ გააჩნდა მომზადებული რეზერვი და ვითომ მის მომზადებაში ყოველწლიურად ათეულ მილიონობით ლარი იხარჯებოდა.**



განა კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ არ იყო დანაშაულებრივი? ამ კანონმა გასცა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია — **ქართულ ჯარს 2008 წელს ბრძოლისუნარიანი რეზერვი არ გააჩნდა,** ან **რამდენად შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობებს თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და სხვები?** ესეც ხომ სადაზვერვო ინფორმაციაა. მათ არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს პრეზიდენტის მიერ 8 აგვისტოს გაკეთებული განცხადებაც:

**„ჩვენ რუსეთისგან ასეთ რეაქციას არ მოველოდით“-**ო.

აბა რას მოელოდით?

**სად იყვნენ მაშინ ამდენი დაზვერვები, ანალიტიკური ცენტრები, სტრატეგიული თუ გეოსტრატეგიული კვლევითი და სხვა ინსტიტუტები? სად გამოჩნდა იმ დროს მათი შემოქმედებითი ინტელექტუალური აზროვნება?**

ბევრს ადრეც და დღესაც ჰგონია, რომ სამხედრო საქმე იმდენად მარტივი და იოლია, რომ მის ასათვისებლად მაინც და მაინც დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო და რომ ბავშვობაში „ომობანას თამაშში“ მიღებული „გამოცდილება“ საკმარისია ჯარში მაღალი თანამდებობის დაკავებისთვის და ექსპერტობისთვისაც.

**2008 წელს ზოგიერთ მაღალჩინოსანსაც ასე ეგონა და ამიტომ მათ, იოლი წარმატების მოლოდინში, რომ არ გამორჩენილიყვნენ ჯილდოებს, წინასწარ „მკერდი გაისუფთავეს“ ორდენებისა და მედლებისთვის, ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად მიაშურეს ფრონტის ხაზს ბრძანებების გასაცემად.** მაგრამ, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, არც ერთ მათგანს მეთაურის თვისებები და მხედართმთავრის ნიჭი არ აღმოაჩნდა.

როგორც ყოფილი მზვერავი, შეჩვეული ვარ ვითარების ანალიზს. 2008 წლის 8 აგვისტომდე ვერც სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში და ვერც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუსეთის ჯარების არსებობა (სამშვიდობოების გარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) სხვაგან ვერსად ალმოვაჩინე.

შევაფასოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატიები:

2008 წლის 9 აგვისტო:

**„სამხრეთ ოსეთის რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეიარაღებული თავდასხმების აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიელო ადეკვატური ზომები — განაცხადა გუშინწინ ღამით საქართველოს მთავრობამ“** — ე.ი. 7 აგვისტოს ღამით;

თემურ იაკობაშვილი: **„საქართველოს მიზანია, არა დაიპყროს უღიარებელი რესპუბლიკა, არამედ ბოლო მოუღოს კრიმინალურ რეჟიმს“;**

მამუკა ყურაშვილი: **„დაიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“.**

სად ჩანს აქ რუსის ჯარი?

**რუსის ჯარი გამოჩნდა მხოლოდ 8 აგვისტოს 12 საათისთვის.**

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ ვინ დაიწყო საომარი მოქმედებები სამხრეთ ოსეთში, სხვა მტკიცებულებების გარდა, საკმარისია, მოვიყვანო აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის სიტყვები:

**„მე გამოვთქვი სერიოზული შეშფოთება არაპროპორციული პასუხის გამო და ვთქვი, რომ ჩვენ ვგმობთ სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ დაბომბვას...“** („საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წლის 12 აგვისტო).

რა არის აქ გაუგებარი?

ნუთუ გამოძიების მოწინააღმდეგეები ვერ ამჩნევენ, თუ როგორ შემცირდა ქვეყანა 2008 წლის აგვისტოში ხელისუფლების გაუაზრებელი ქმედებების შედეგად? დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, რათა სხვებისთვის მაგალითი იყოს. ამაზე მეტი რაღა უნდა დაკარგოს ქვეყანამ?

**თუ როგორ ექცეოდნენ თანამდებობის პირებს სხვა ქვეყნებში სამსახურეობრივი გულგრილობისთვის, დოყლაპიობისთვის და დანაშაულებრივი ქმედებისთვის, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:**

1973 წელს, ოქტომბრის თვეში ეგვიპტის ჯარმა ისრაელისთვის მოულოდნელად გადალახა სუეცის არხი და გარკვეული ტერიტორია დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა სწრაფად აღადგინა წონასწორობა, თავმოყვარე პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი გადადგნენ, გენერალური შტაბის უფროსი გადააყენეს, ხოლო უშუალო პასუხისმგებელი პირები გაასამართლეს;

1980 წელს არგენტინის პრეზიდენტმა გალტიერიმ, შელახული ავტორიტეტის ასამაღლებლად, დაამყარა კონტროლი ინგლისთან სადავო ტერიტორიაზე ფოლკლენდის კუნძულებზე. დიდმა ბრიტანეთმა გაათავისუფლა ეს კუნძული არგენტინელებისგან, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ოპერაცია უშედეგო აღმოჩნდა, პრეზიდენტი გალტიერი გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს;

1986 წელს მოყვარულმა გერმანელმა მფრინავმა 9 მაისს სპორტული თვითმფრინავი წითელ მოედანზე დასვა. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დოყლაპიობისთვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი გადააყენეს, ხოლო უშუალო პასუხისმგებელი პირები გაასამართლეს.

ჩვენთან ვინ დაისაჯა ან ვის ეყო თავმოყვარეობა და გადადგა? არავინ!

**კიდევ ერთი მაგალითი.**

**გასული საუკუნის 90-იან წლებში, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში, ჩინეთმა გადაწყვიტა შეიარაღებული გზით კუნძულ ტაივანის შემოერთება. ამის საწინააღმდეგოდ აშშ-მა ტაივანის სრუტეში ჩააყენა თავისი სამხედრო-საზღვაო ძალები და ჩინეთს არ მისცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უფლება ძალისმიერი მეთოდებით.**

თუ ახსოვდა ამის შესახებ ჩვენს მთავრობას 2008 წელს?

2013 წლის მარტში თავდაცვის სამინისტროში მიიღეს გადაწყვეტილება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოპერატიული დაჯგუფებების შექმნის შესახებ. ამოცანა: **„დასავლეთ საქართველოს“** და **„აღმოსავლეთ საქართველოს“** დაცვა მოწინააღმდეგის აგრესიისგან.

ძალიან ძნელია, დაეთანხმო ასეთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, როდესაც კარგად გახსოვს, თუ როგორ ყალიბდებოდნენ და შემდგომში როგორ უქმდებოდნენ ოპერატიული გაერთიანებები, შენაერთები, სამხედრო ნაწილები, სამმართველოები, დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები ქართულ ჯარში.

და ასეთი სტრუქტურული ცვლილებების ძირითადი მიზეზი იყო თავდაცვის მინისტრის სუბიექტური მიდგომა შეიარაღებული ძალებისადმი.

**მარტო 1993-2000 წლებში სამჯერ შეიქმნა და მერე ისევ გაუქმდა სახმელეთო ჯარები და ერთხელ დასავლეთის და აღმოსავლეთის ოპერატიული დაჯგუფებები. სხვა სუბიექტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**

პირველად სახმელეთო ჯარები ჩამოყალიბდა 1993 წლის ნოემბერში გენერალ ყარყარაშვილის მინისტრობის დროს სრულიად კონკრეტული ამოცანით. მას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაევალა. გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალი ნიკოლაიშვილი, სახმელეთო ჯარების სარდლად — გენერალი გუჯარ ყურაშვილი. შტაბი და ბრიგადების ხელმძღვანელობა დაკომპლექტდა გამოცდილი კადრებით. დაიწყო გეგმიური და მიზანმიმართული საბრძოლო მომზადება, გამყარდა დისციპლინა, ამაღლდა სულისკვეთება, გაუმჯობესდა მომარაგება.

ეს იყო ქართული ჯარის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი.

შემდგომში **თავდაცვის მინისტრების ცვლასთან ერთად იცვლებოდა მათი მიდგომაც სახმელეთო ჯარებისადმი და, როგორც წესი, სარდლის თავიდან მოცილების მიზნით, აუქმებდნენ ჯარების სახეობას. ამ პერიოდში ბრიგადები რჩებოდნენ უპატრონოდ, ამოცანების გარეშე. გამოჩნდებოდნენ ჰორიზონტზე „სასურველი პიროვნებები“ და მათთვის ისევ იქმნებოდა სახმელეთო ჯარები, ოპერატიული დაჯგუფებები და ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ძველი, თუნდაც, დადებითი, მივიწყებას ეძლეოდა.**

აბა, ვინ გააჩერებდა თანამდებობაზე გუჯარ ყურაშვილს, რომელიც გამუდმებით ღიად იბრძოდა უვიცების, მლიქვნელების და კორუპციის წინააღმდეგ, აკრიტიკებდა ხელმძღვანელობას მოძველებული ტექნიკის შესყიდვებისათვის.

**1999 წელს, როდესაც რუსეთმა წამოიწყო მეორე საომარი კომპანია ჩეჩნეთის წინააღმდეგ ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, მაშინ ჩვენი ჯარი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ასეთივე ამოცანის შესასრულებლად. როგორც ყოველთვის, რაიმე ახალი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობას თან ახლდა „ძალიან მყარი არგუმენტები“ და „ზუსტად გათვლილი გეგმა“.** და თუ როგორ იყო ყველაფერი „ზუსტად გათვლილი“, დავინახეთ 2008 წლის აგვისტოში.

როგორ შეიძლებოდა, ჯარში ჩამოყალიბებულიყო ქართული სამხედრო ინტელიგენცია, ჯანსაღი ტრადიციები, ოპერატიულად მოაზროვნე პიროვნება, როდესაც მათ თავდაცვის მინისტრებად უნიშნავდნენ ყოფილ პროკურორს, შინაგან საქმეთა ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## როგორ შეიძლებოდა, ჯარში ჩამოყალიბებულიყო ქართული სამხედრო ინტელიგენცია, ჯანსაღი ტრადიციები, ოპერატიულად მოაზროვნე პიროვნება, როდესაც მათ თავდაცვის მინისტრებად უნიშნავდნენ ყოფილ პროკურორს, შინაგან საქმეთა მინისტრს, სასჯელაღსრულების ორგანოების ყოფილ ხელმძღვანელებს, საფინანსო პოლიციის ყოფილ უფროსს? ვინ გააჩერებდა მაშინ იქ მათზე უფრო ჭკვიან სამხედრო მოსამსახურეებს?

◀ მინისტრს, სასჯელაღსრულების ორგანოების ყოფილ ხელმძღვანელებს, საფინანსო პოლიციის ყოფილ უფროსს? ვინ გააჩერებდა მაშინ იქ მათზე უფრო ჭკვიან სამხედრო მოსამსახურეებს?

ამიტომაც ვთვლი, რომ ოპერატიული სარდლობების შექმნაც წინდაუხედავი ნაბიჯია. ასეთი სერიოზული სტრუქტურების ჩამოყალიბება მოუმზადებელი კადრებით, მწირი რესურსებით და ზუსტად გათვლილი გეგმის გარეშე შეუძლებელია.

**იმისათვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ, თუ როგორი ჯარი გვჭირდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, საჭიროა, ზედმიწევნით დავადგინოთ, თუ როგორ მოწინააღმდეგესთან გვექნება საქმე, ვიცოდეთ მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები, მოქმედების გეგმები.** და ეს რომ დავადგინოთ, საჭიროა, შეიქმნას მძლავრი დაზვერვა, და პირველ რიგში ელექტრონული დეშიფრირების ცენტრით, რომელსაც შეუძლია წინასწარ დაადგინოს მოსალოდნელი საფრთხე და ამით დიპლომატიური თუ სხვა გზების მეშვეობით შევძლოთ ამ საფრთხის თავიდან აცილება.

მე ჩემს თავს იმიტომ ვაძლევ ქართული ჯარის მდგომარეობის შეფასების ამდენ უფლებას, რომ კარგად მაქვს წარმოდგენილი, თუ როგორ ყალიბდებიან და გამოიყურებიან ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებული მოტივირებული სამხედრო ნაწილები და შენაერთები, როგორ მუშაობდნენ და გეგმავდნენ ოპერაციებს თუ სხვა ღონისძიებებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამმართველოები და მმართველობის სხვა ორგანოები როგორც მუდმივი დისლოკაციის ადგილიდან, ასევე საველე სწავლებების პოზიციებიდან.

1979-1988 წლებში ვმსახურობდი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დაზვერვის სამმართველოში (მებარა დაზვერვის ნაწილების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის მიმართულება) და სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირად მიხდებოდა მივლინებებით ყოფნა ოპერატიული გაერთიანებების და ტაქტიკური შენაერთების შტაბებში, საბრძოლო და საბრძოლო უზრუნველყოფის ნაწილებში, და იქ ჩვენი თანამემამულენი იშვიათად შემხვედრია, ხოლო დამგეგმავ და მაორგანიზებელ ორგანოებში (სამი პიროვნების გარდა) არ მსახურობდნენ.

და ამ დარგის სპეციალისტების ნაკლებობა დღესაც ამჩნევია ქართულ ჯარს.

***

**1974 წელს საბერძნეთში ქვეყნის სათავეში 1967 წელს ძალადობრივი გზით მოსულმა სამხედრო ხუნტამ მოახდინა სამხედრო გადატრიალება კვიპროსზე. ამის საპასუხოდ თურქეთმა კუნძულზე გადასხა მე-11 საარმიო კორპუსი და თურქული მოსახლეობის 18%-მა ტერიტორიის 40% დაიკავა. 1975 წელს ამ ტერიტორიაზე შეიქმნა კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელიც მაშინვე ცნო თურქეთმა, მოგვიანებით კი — აზერბაიჯანმა.**



**დაავიწყდა, ალბათ, ბატონ პრეზიდენტს, რომ მოწინააღმდეგეს კი არ კლავენ, არამედ ანადგურებენ ან მწყობრიდან გამოჰყავთ, ხოლო, თუ საჭიროა, დახმარებას აღმოუჩენენ დაჭრილებსა და უგონოდ ჩავარდნილებს... სიტყვას „მოკალი", „მოვკალი" ადამიანების მიმართ გამოიყენებენ ბანდიტები, მაფიოზები, მკვლელები**

მიუხედავად იმისა, რომ „შავმა პოლკოვნიკებმა" (მათ ასე უწოდებდნენ) კარგად იცოდნენ, რომ კვიპროსის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საკონსტიტუციო წყობილების გარანტად ითვლებოდნენ დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი, და, რომ საბერძნეთსა და თურქეთს კუნძულზე მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში უფლება ჰქონდათ თავისი ჯარების განლაგებისა, სამხედრო ხუნტა მაინც წავიდა ავანტიურაზე და შედეგად კუნძულ კვიპროსზე მიიღო ორი სახელმწიფო — ბერძნული და თურქული, რომლებიც დღესაც განცალკევებულად ცხოვრობენ.

**და მე არ მახსოვს, რომ საბერძნეთის რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს დაეცვას „შავი პოლკოვნიკები", ან წინააღმდეგი გამოსულიყო მათი გასამართლებისა.**

**არც ერთ მათგანს არც კი წამოსცდენია ის, რომ საქმის გამოძიებით და დამნაშავეების დასჯით ავტორიტეტი შეელახებოდა ქვეყანას და ამ ქმედებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა კვიპროსზე ორი რესპუბლიკის ცნობა სხვა სახელმწიფოებისგან.**

დღეს კვიპროსზე თურქულ რესპუბლიკას ცნობს მხოლოდ ორად-ორი სახელმწიფო: თურქეთი და აზერბაიჯანი.

* * *

**2013 წლის 26 მაისს 172 ახალწვეულმა დადო სამხედრო ფიცი და ამ აქტით ისინი (სამოქალაქო პირები) გახდნენ სამხედრო მოსამსახურეები, როგორც ეს შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდებით არის გათვალისწინებული.**

ამით დასრულდა სამხედრო ფიცის მიღების მლიქვნელური პერიოდი, როდესაც სამხედროებს ფიცს ადებინებდნენ არა საქართველოს წინაშე, როგორც ეს ფიცის ტექსტით არის გათვალისწინებული, არამედ ხან უმაღლესი მთავარსარდლის, ხან ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე, ხან პარლამენტის მიერ დაუმტკიცებელ ტექსტზე.

**ფიცის დადების დამახინჯებული რიტუალის წინააღმდეგ არაერთხელ დაწერილა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში",** მათ შორის №6 (2012 წლის 15-21 თებერვალი, გვ. 29). **მისასალმებელია, რომ სამხედრო უწყებამ გაზეთის რეკომენდაციები გაითვალისწინა.**

**ახლა უკვე დროა, რომ პრეზიდენტმაც განცხადების გაკეთების მაგივრად, ფიცის დადებისას წარმოთქვას სიტყვა „ვფიცავ", იგივე უნდა გააკეთოს პრემიერ-მინისტრმაც და ამით პასუხისმგებლობა აიღოს ქვეყნის მართვაზე.**

**პარლამენტარებმაც ფიცი უნდა დადონ არა განცხადების ტექსტზე, არამედ მათივე მიერ დამტკიცებულ ფიცის ტექსტზე, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია წესად მიღებული.**

სახელმწიფო დღესასწაული, 26 მაისი, აღინიშნა ქვეყნის 26 ქალაქში. ჩატარებული ღონისძიებები კარგად იყო ჩაფიქრებული და მშვენივრად ორგანიზებული. მაგრამ მაინც, ჩემი აზრით, მას აკლდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი — **აღლუმზე არ გაისმა სამხედრო ქვედანაყოფების მიერ შესრულებული ქართული სიმღერა.**

**არადა, ასეთი სანახაობა ნამდვილად აღაფრთოვანებდა მოსახლეობას, პატრიოტულ სულისკვეთებას აუმაღლებდა, მომავლის იმედს ჩაუსახავდა მას, ტრადიციებს შეახსენებდა.**

ცნობილია, რომ სიმღერა ჯარისკაცს განწყობას უმაღლებს, დაღლილობას ავიწყებს და გადაადგილებას უადვილებს.

ქართული სიმღერით მიმავალი სამხედრო ქვედანაყოფების დანახვაზე ცოტას მაინც დაამშვიდებდა 17 მაისის მოვლენებით აღშფოთებული მოსახლეობის დიდ უმრავლესობა, ხოლო ამ მოვლენებით უკმაყოფილო იმ ჯგუფს, რომელიც არ იზიარებს უმრავლესობის მოსაზრებებს, მინდა შევახსენო, რომ ქართულ ტრადიციებში და ზნე-ჩვეულებებში უკვე ჩადებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე, მოვალეობები.

უფლება პასუხისმგებლობის გარეშე შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს. გავიხსენოთ 2008 და გასული საუკუნის 90-იანი წლები.

* * *

**სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე ავღანეთში განლაგებულ ქართული ჯარის კონტიგენტს პირადად მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა.**

მე გამაკვირვა მისი გამოსვლის და განსაკუთრებით იმ საუბრის შინაარსმა მაგიდასთან მჯდომ იმ სამხედრო მოსამსახურესთან, რომელმაც მოიგერია და შემდგომში გაანადგურა თავდასხმელები 13 მაისს. ამ საუბარში პრეზიდენტმა რამდენიმეჯერ გაიმეორა სიტყვა „მოკალი".

**დაავიწყდა, ალბათ, ბატონ პრეზიდენტს, რომ მოწინააღმდეგეს** (ავღანელები მოწინააღმდეგეები არიან და არა მკვლელები თავიანთ სამშობლოში) **კი არ კლავენ, არამედ ანადგურებენ ან მწყობრიდან გამოჰყავთ, ხოლო, თუ საჭიროა, დახმარებას აღმოუჩენენ დაჭრილებსა და უგონოდ ჩავარდნილებს.**

თავისი გამოსვლიდან და სამხედროსთან საუბრისას მან დაამტკიცა თავისი ხასიათის არადემოკრატიულობა და კიდევ ბევრი სხვა რამ. მას დაავიწყდა, თუ სად იმყოფებოდა და რომელი ქვეყნის პრეზიდენტია.

სიტყვას „მოკალი", „მოვკალი" ადამიანების მიმართ გამოიყენებენ ბანდიტები, მაფიოზები, მკვლელები.

კარგი იქნება, თუ სამხედროების წინაშე გამოსასვლელ ტექსტს ის წინასწარ მოამზადებს ან მოუმზადებენ. დაუმთავრებელი და ლოგიკას მოკლებული წინადადებებით ჯართან საუბარი შეურაცხყოფას აყენებს მათ. მას ნუ ჰგონია, რომ სამხედროები (მათ ასაკში?) ვერ აზროვნებენ და მეხსიერება დაკარგული აქვთ.

**ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სამხედრო მოსამსახურეები პატივს სცემენ ქვეყნისადმი თავდადებულ, საქმის მცოდნე, სამართლიან, მომთხოვნ და ქვეშევრდომებზე მზრუნველ მეთაურს.**

ასეთ უფროსს ხელქვეითები ენდობიან და უყოყმანოდ ემორჩილებიან. მას არ გაუჭირდება ქვედანაყოფის მართვა რთულ პირობებშიც.

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

## გვეხმაურებიან

# «კადრები წყვეტენ ყველაფერს»

**ბატონ გიორგი გამცემლიძის წერილში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს" მეჩვიდმეტე ნომერში გამოქვეყნდა, პირდაპირ ვაცხადებ, რომ ნათლად, ანალიტიკურად არის წარმოდგენილი ჩვენს ქვეყანაში მსუბუქი მრეწველობის სავალალო მდგომარეობა და სწორად არის დანახული არსებული ვითარების დაძლევის პერსპექტივა. ვადასტურებ ამას თუნდაც გლდანის ტრიკოტაჟის თეთრეულის წარმოების კომბინატის მაგალითით. აქვე შევეცდები, ვუპასუხო შეკითხვას, თუ რაზე შეიძლება ვიფიქროთ სამომავლოდ.**

1980-იანი წლების ბოლოსთვის გლდანის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის დონე და ასორტიმენტი ისეთი იყო, რომ მაინც და მაინც ჩვენთან ტარდებოდა საკავშირო კონფერენციები ტექნოლოგიურ თუ სამხატვრო საკითხებში გამოცდილების გასაზიარებლად. გამოშვებული პროდუქციის (22 მილიონი ცალი წელიწადში) 80 პროცენტს რუსეთის და სხვა რესპუბლიკების ბაზარი ითვისებდა. ამავე წლებში მოხდა ფაბრიკის მნიშვნელოვანი გადაიარაღება ევროპული უახლესი ტექნიკით, მაგრამ მისი ათვისება ვერ მოხერხდა ქვეყანაში უკვე დაწყებული დაჩქარებული ნგრევის პროცესის გამო.

დღესდღეობით ფაბრიკას შენარჩუნებული აქვს ძირითადი საწარმოო კორპუსი და მიმდებარე ტერიტორია.

**დარგის სამომავლო აღორძინებაზე რომ ვიფიქროთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად წინ წავიდა მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიები და ტექნიკა, ამ პროცესში ჩვენი ჩართვა კი დამოკიდებულია ინვესტიციების მოზიდვაზე, ინვესტორებზე, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ აღნიშნული დარგის განვითარებაზე, ფლობდნენ ბიზნესს ამ კუთხით და ფიქრობდნენ საკუთარი ბიზნესის გაფართოებაზე. თუ საქმე ასე წარიმართა, ჩვენ წინაშე დადგება მწვავე პრობლემა, რომელიც გამოიხატება საკადრო საკითხში: განვლილი 23 წლის მანძილზე ჩვენს მოძველებულ ტექნიკას და ტექნოლოგიას თან გაჰყვა კვალიფიციური მუშახელი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი (თითქმის ერთი თაობა დაიკარგა). ახალ ტექნიკას კი ახალი, მაღალი კვალიფიკაციის კადრები ესაჭიროება, ინვესტორი ამათ ვერ ჩამოიყვანს, მას ადგილზე უნდა დახვდნენ პროფესიონალები.**

ბატონი გიორგი გამცემლიძეც ამას აღნიშნავდა: **პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება პირველი რიგის ამოცანად უნდა იქცეს.**

საკითხისადმი ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მსუბუქი მრეწველობის დარგის აღორძინებისთვის საფუძვლის მოსამზადებლად.

**რუდოლფ რაქვიაშვილი,**
**სააქციო საზოგადოება „გლდანის" დირექტორი**



**პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება პირველი რიგის ამოცანად უნდა იქცეს**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ამერიკელი „მეგობრების“ მიერ დაგეშილი დაახლოებით 10 ათასი მდედრობითი და მამრობითი სქესის ახალგაზრდა გრანტიჭამია არსება დაძრწის. საქართველო გადააქციეს ექსპერიმენტების პოლიგონად, სადაც უკვე პრაქტიკულად გამოჰყავთ ახალი ადამიანი-ჰომუნკულუსი, ურწმუნო, უზნეო, უეროვნებო, უსამართლო ტვინგამორეცხილი ზომბები, რომლებიც მხოლოდ ინსტინქტით იმოქმედებენ, დაიკმაყოფილებენ გაუკულმართებული სექსისკენ ლტოლვას და გასტრონომიულ მოთხოვნილებებს.**

# ვის ხელთაა საქართველოს ბედი?

## გულში დაჭრილ საქართველოს მშველელი სჭირდება, მაგრამ, ვაგლახ, მშველელი ჯერ არსაიდან ჩანს!

**17 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში გავრცელდა ვინმე დავით ზურაბიშვილის წერილი, რომელსაც „სახადი №5“ ჰქვია.
ამ წერილიდან ვრცელი ამონარიდების გარეშე მკითხველი არ დამიჯერებს, თუ ვიტყვი იმას, რომ საქართველოში მეხუთე კოლონა ფარულად კი აღარ მოქმედებს, არამედ სახელისუფლო სტრუქტურებში ჩინოვნიკებად მოკალათებულნი უკვე აშკარად ებრძვიან ყოველივე ქართულს.**



**დავით ზურაბიშვილი „თავისუფლების ინსტიტუტში“ „დაბრძენებული“ პოლიტიკოსია, რომელიც ქართულ ხასიათს, ქართულ ცნობიერებას, ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას ერთობ უარყოფითად აფასებს.**

ხსენებული წერილის ავტორი გვაუწყებს: **„მთელი ჩვენი უახლესი ისტორია სწორედაც რომ ერთგვარი განსწავლულობის პერიოდია, გარკვეულ ილუზიებთან დამშვიდობების წლები. უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ სახიფათო ილუზიებთან და საკმაოდ მძიმე დამშვიდობების. და ყოველივე მათგანი იყო არამარტო ილუზია, არამედ ერთგვარი სახადიც, ავადმყოფობა, რომელიც არც თუ სასიამოვნო გადასატანია, მაგრამ გადატანის შემდეგ იმუნიტეტს გიმუშავებს და მეორედ აღარ შეგეყრება. ვერ ვიტყვი, რომ გამოჯანსაღების შემდეგ ეს იმუნიტეტი მთელ საზოგადოებას გამოუმუშავდა, მაგრამ პოლიტიკურად აქტიურ ნაწილში, იმ წრეებში, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება და ხორციელდება, ამგვარი ტენდენცია აშკარაა...“**

წერილის ავტორი საქართველოს უახლეს ისტორიაში მხოლოდ ილუზიებს ხედავს. ეს ილუზიები ამავე დროს მძიმე ავადმყოფობაა, სახადი ყოფილა. ავადმყოფობის მიმართ ხალხმა იმუნიტეტი ვერ გამოიმუშავა, სამაგიეროდ გამოუმუშავდა „პოლიტიკურად აქტიურ ნაწილს“, მათ, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს და ახორციელებს...

როგორც ჩანს, წერილის ავტორი თავის თავს „პოლიტიკურად აქტიურ ნაწილს“ მიაკუთვნებს, იმ პოლიტიკურად აქტიურ ნაწილს, რომელმაც ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ეროვნული ხელისუფლება დაამხო და, მონანიების ნაცვლად, დღეს უკვე ეროვნულ სულს ებრძვის თავისი „გადაწყვეტილებებითა“ და „განხორციელებით“!

სახადმოხდილისთვის, იმუნიტეტგამომუშავებულისთვის და ამავე დროს „განსწავლულისთვის“ №1 სახადი თურმე **„იყო ზვიადი“, უფრო ზუსტად, ეთნოცენტრული ნაცონალიზმი, რომელმაც ეროვნული მოძრაობის პერიოდში ვულკანივით ამოხეთქა და ისეთი ამაზრზენი სახით წარდგა ჩვენ წინაშე, რომ კინაღამ სრულ ნიჰილიზმში გადაისროლა მთელი მოაზროვნე საზოგადოება...“**

**„სრულ ნიჰილიზმში“** (!) გადაუსროლელი, სახადმოხდილი ბატონი ზურაბიშვილისთვის „სუნიანი“ ქართველი ერი ამავე დროს უგუნური ყოფილა, რომელმაც **„ამაზრზენი სახით“** გამოხატა ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა!

**„ათწლეულების მანძილზე იკვებებოდა ქართული ნაციონალიზმი იმით, რომ არაქართველები შეგნებულად ცდილობენ, ფეხი მოიკიდონ ჩვენს მიწა-წყალზე, ნელ-ნელა შეგვავიწროვონ და განგვდევნენ. ეს მიეწერებოდა არამარტო კრემლის ფარულ ზრახვებს, არამედ თვით არაქართულ ეთნოსებსაც, რომლებიც დემოგრაფიული ანექსიისთვის გამზადებულ ზომბებად იყვნენ წარმოდგენილები“, —** წერს ჭკუისკოლოფა ზურაბიშვილი.

ნუთუ ვერ ხედავს „მოაზროვნე საზოგადოების“ ეს **დედისძუძუნაწყენი** წევრი, რომ არაქართველები მამულს, ტერიტორიებს **შეგნებულად** გვედავებიან: სკოლებში ბავშვებს გაყალბებულ ისტორიას ასწავლიან, ბეჭდავენ რუკებს, რომლებზეც საქართველო განაწილებული აქვთ მეზობელ ქვეყნებს: სომხები სამხრეთ საქართველოს და მთლიანად საქართველოს იჩემებენ; აზერბაიჯანელები — დავით გარეჯს, ივრის ხეობას და საერთოდ ტერიტორიებს რუსთავამდე; თურქები — ბათუმს; ეთნიკური უმცირესობა — ოსები — შუაგულ ქართლს მცხეთამდე; ხოლო აფხაზები — დასავლეთ საქართველოს ლიხამდე... ყოველ წელიწადს ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის საზღვრები ერთი-ორი კილომეტრით აქეთ იწევს... საქართველოს ტერიტორია, ძირძველი მიწები შაგრენის ტყავივით პატარავდება!

**ნუთუ ვერ შეიგნო „მოაზროვნე“ ზურაბიშვილმა, რომ ქართველი ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქართველობა საქართველოში უმცირესობა იქნება, რომ არაქართველები უმრავლესობად მოგვევლინებიან და ჩვენზე, როგორც ეთნიკურ უმცირესობაზე, ზრუნვით ღამე მშვიდად ველარ დაიძინებენ...** ამ პერსპექტივას ხომ გაეროც აღიარებს, მაგრამ **„სახადმოხდილს“** ისეთი იმუნიტეტი აქვს... ერთი სიტყვით, ატომგულივით შეუვალია!..

როგორც ვხედავთ, **„მოაზროვნე საზოგადოების“ წარმომადგენლები ვერ ხედავენ ან არ სურთ, დაინახონ ქართველი ერის წინ ჩაჩოქილი გადაშენების აჩრდილი. ეს ხალხი ხედავს და დემოკრატიის გამარჯვებად მიიჩნევს პირადობის მოწმობიდან ეროვნების ამოღებას, უცხოელებზე მიწების გაყიდვას, გეიპარადების გამართვას... აი, ამგვარი დემოკრატია სურთ გადაგვარების მოსურნეთ!**

ნუთუ არ სმენია **„განსწავლულ“** და **„ღრმადმოაზროვნე“** ზურაბიშვილს, რომ კრემლის ზოგიერთი ოდიოზური ლიდერი ქართველთა ეთნოწმენდაზე, ციმბირში გადასახლებაზე ოცნებობდა (ასეთები, ფაქტობრივად, რუსეთის დისკრედიტაციას ეწეოდნენ, რუსეთის სიძლიერეს ფარულად ებრძოდნენ).

პატივცემულო მკითხველო!

ჰომუნკულუსი დავით ზურაბიშვილი მხოლოდ ეროვნულ მოძრაობას არ ადანაშაულებს „ეთნოცენტრული ნაციონალიზმის“ წარმოშობაში. ამ სახადის გამომწვევი ბაცილა თურმე ისეთი ლიტერატურაც ყოფილა, როგორიც არის მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და მუხრან მაჭავარიანის ლექსები. ამგვარი ლიტერატურა ათეული წლების მანძილზე კვებავდა „ქართულ ნაციონალიზმს“!

**„მარტო ლიტერატურული ნაწარმოებები იმდენია შექმნილი ამ თემაზე, რომ მთელი ანთოლოგიაც კი შეიძლება შეადგინო, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ დაწყებული, მუხრან მაჭავარიანის ლექსებით დამთავრებული“,** — წერს ზურაბიშვილი.

ვიდრე ამგვარი „ინტელექტუალები“ დაბორიალობენ და ვიდრე მათ არ ალაგმავენ, საქართველოს საშველი არ იქნება!

რადგან ანთოლოგიაზეა ლაპარაკი, ამიტომ ამ ლიტერატურაში აუცილებლად მოიაზრება ილია ჭავჭავაძის (ერთმა რესპუბლიკელმა კბილი უკვე გაჰკრა ილიას), აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დუტუ მეგრელის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და მრავალი სხვა მამულიშვილის პატრიოტული ნაწარმოებები.

37-იანი წლები რომ ყოფილიყო, ზურაბიშვილი სასიკვდილოდ გაიმეტებდა დიდ მწერლებსა და პოეტებს „ქართული ნაციონალიზმის“ ბრალდებით, როგორც დასახვრეტად გაიმეტა მიხეილ ჯავახიშვილი.

„მოაზროვნე“ და „ოპტიმისტ“ ზურაბიშვილს „ეთნოცენტრული ნაციონალიზმის“ აღარ ეშინია, რადგან **„ეს კოშმარი, ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან ერთად დამთავრდა, არანაირი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დივიდენდის მომტანი ეთნოცენტრული ნაციონალიზმი მას შემდეგ აღარ არის. ერთხანს პირადობის მოწმობაში ეროვნების აღნიშვნისა და მიწაზე კერძო საკუთრების არაქართველებისთვის დაკანონება რჩებოდა უკანასკნელ ბასტიონად, მაგრამ ეს ორი ბასტიონიც ისე დაეცა, სერიოზული რყევები არ გამოუწვევია“.**

ამგვარი სიტყვები საქართველოს დაუძინებელ მტერს თუ ამოუვა პირიდან. ზურაბიშვილს რა ღმერთი გაუწყრა?!

არ მოგვწონს ეს სიტყვები?

ძველ კოლხ-იბერიელთა მოდგმას თუ გვსურს ევრო-ამერიკული ყაიდის დემოკრატია, მაშინ პედერასტობასთან ერთად ამგვარი აზრების თავისუფლად გამოთქმაც უნდა შევირგოთ!

**„ქედდრეკილი“** და **„მადლიერი“**, **„ყველა უნჯი“** და **„ყველა მუნჯი“** პარლამენტის დეპუტატები კი „მეგობარი“ ქვეყნების ამგვარი დემოკრატიის ადეპტებად იქცნენ!

ეს დავით ეშმაკშეჩენილი **№6 სახადად** ქართულ ეკლესიას, მართლმადიდებლობას მიიჩნევს: **„უკიდურესად გაძლიერდა ეკლესია, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც სააკაშვილმა ვერაფერი დააკლო და დღეს ეკლესიის მორალური ავტორიტეტი ისე მაღალია, როგორც არასოდეს. ბუნებრივია, მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობას. და ეს იქნება კიდევ ერთი ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადი...“**

შეიძლება ვცდები, მაგრამ მეჩვენება, რომ დავით ზურაბიშვილი ძალიან კმაყოფილია მიხეილ სააკაშვილის საქმიანობით, განსაკუთრებით იმით, რომ ორი ბასტიონი დაანგრია: **პირადობის მოწმობაში ეროვნებას აღარ აღნიშნავენ და ნებისმიერ უცხოელს შეუძლია რამდენიც უნდა, იმდენი ქართული მიწა იყიდოს, დაიკანონოს, დაისაკუთროს!**

რჩება ერთი აუღებელი ბასტიონი — ქართული ეკლესია, რომელსაც სააკაშვილმა ვერაფერი დააკლო და ამიტომ დღეს **„რელიგიური ნაციონალიზმი“** (!) აღმავლობას განიცდის! ეს სახადი კი ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელია!

**ეკლესია, რწმენა, მართლმადიდებლობა სახადი და „რელიგიური ნაციონალიზმი“ ყოფილა!**

ვინ ხარ შენ, დავით ზურაბიშვილო? მურვან ყრუ, თემურ-ლენგი, ბუღა თურქი, შაჰ აბასი თუ ოსმალეთის ფაშა? თუ ყველა ერთად, ინგლისურისა და კომპიუტერის მცოდნე თანამედროვე ჰომუნკულუსი?

მე ვიცნობ კიდევ ერთ დავით ზურაბიშვილს, ძველ რესპუბლიკელს, რომლის ნააზრევი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს სოციალურ ქსელში გავრცელებული წერილის შინაარსსა და პათოსს. ეს ორი დავითი, შესაძლებელია, ერთმანეთს არც იცნობდნენ, მაგრამ მათი სულიერი ნათესაობა აშკარაა!

მეორე დავითი **„თავისუფლების ინსტიტუტში“** „დაბრძენებული“ პოლიტიკოსია, რომელიც ქართულ ხასიათს, ქართულ ცნობიერებას, ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას ერთობ უარყოფითად აფასებს.

მისი აზრით, „ეროვნული ცნობიერების ფესვებიდან„ ამოზრდილია **ტოტალისტური ტენდენციები** და **„სტალინის ფენომენი“.** ქართველი კაცის ფსიქიკა **ფეოდალისტურია** და თანამედროვე ქართველი კვლავ ფეოდალური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. **„ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაც ქართველი ერის ფეოდალისტური ფსიქიკის ფესვებიდანაა ამოზრდილი, რომელიც თავისი არსით ფუნდამენტალისტური ცნობიერებაა... ასეთი ფუნდამენტალიზმი განსაზღვრავს ეროვნული მოძრაობის სახესაც“.** ამ მოძრაობას აკლია **„შინაგანი ზნეობრივი დვრიტა“,** მაგრამ ეროვნული მოძრაობის **მთავარი ნაკლი** მაინც ის არის, რომ არის **„მონური ცნობიერება“** და, **„სანამ ჩვენ, ქართველები არ დავამსხვრევთ დრომოჭმული ფსიქიკის ბორკილებს, თვითეული ჩვენთაგანის გულში იცოცხლებს ჩვენი მონური სულისკვეთების ჯოჯოხეთური ხატი“** (დ. ზურაბიშვილი, საქართველოს უკანასკნელი მეფე. გაზეთი „ქართული ფილმი“, 6. VI. 1990 წ. წიგნში ელიზბარ ჯაველიძე „ავაჰმე, ჩემო მამულო!.. თბ., 2007 წ. გვ. 49).

ამ ნაბოდვარის წაკითხვისას მაგონდება, თუ როგორ ახასიათებს დიდი ფსიქიატრი ჩეზარე ლომბროზო შეშლილ ინტელექტუალ მატიოდებს: „Находясь под влиянием какогото лихорадочного умственного возбуждения, они говорят без логической связи и нередко приходят к выводам, совершенно противоположным тому, что они хотели доказать“.

ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობა და მონური სულისკვეთება?

ხედავთ რაიმე ლოგიკურ კავშირს? ეს ხომ შეშლილის, მატიოდის ნაბოდვარია!

„მონური ცნობიერების“ გარდა, **„ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობას ახასიათებს გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმა, შეუსაბამობა თვითშეფასებასა და ნებელობასთან მიმართებაში: ის მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას!“** — ასეთია გ. მარგველაშვილის ვერდიქტი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება (ჟურნალი „დრო და მშვიდობა“ 2001 წ. №2. წიგნში ელიზბარ ჯაველიძე „ავაჰმე, ჩემო მამულო!..“ გვ. 69).

ისღა დამრჩენია მწარედ შევძახო: **ავაჰმე, ჩვენო ახალგაზრდობავ, ვის ხელთაა განათლება თქვენი?!**

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, **საქართველოში ამერიკელი „მეგობრების“ მიერ დაგეშილი დაახლოებით 10 ათასი მდედრობითი და მამრობითი სქესის ახალგაზრდა გრანტიჭამია არსება დაძრწის. საქართველო გადააქციეს ექსპერიმენტების პოლიგონად, სადაც უკვე პრაქტიკულად გამოჰყავთ ახალი ადამიანი-ჰომუნკულუსი, ურწმუნო, უზნეო, უეროვნებო, უსამართლო ტვინგამორეცხილი ზომბები, რომლებიც მხოლოდ ინსტინქტით იმოქმედებენ, დაიკმაყოფილებენ გაუკულმართებული სექსისკენ ლტოლვას და გასტრონომიულ მოთხოვნილებებს.**

17 მაისის მოვლენებმა დაგვანახა, რომ იბერიულ მოდგმას შესწევს ძალა, წინ აღუდგეს ბოროტეულს ქართული ეკლესიისა და ეროვნული ხელისუფლების წინამძღოლობით.

**ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერს საფრთხე აღარ ემუქრება.**

**სატანა ბობოქრობს!**
**სატანასთან კოაბიტაცია დაღუპვის ტოლფასია!**

საქართველოში სულგაყიდულთა, ფსევდოლიბერალთა, ქვეგამხედვართა, ქვებუდანათა სიმრავლემ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია!

ჩვენ უნდა შევძლოთ, ავირჩიოთ გვარგადაუკეთებელი, კოლხ-იბერიული მოდგმის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მოუსყიდავი ხელისუფლება, რომელიც რუსეთთან საერთო ენას გამონახავს.

იმედი მაქვს, მომავალში ბატონი ბიძინა ივანიშვილი გაითვალისწინებს თავის მწარე გამოცდილებას და საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში რეკომენდაციას გაუწევს ისეთ პიროვნებებს, რომლებიც ქართველი კაცის ოცნებას რეალობად აქცევენ.

**თენგიზ კუბლაშვილი,**
**უზენაესი საბჭოს დეპუტატი**

**ჰარამხანა — „სიხარულის სახლი“ (დარ იუს საადე), რეზიდენციის ყველაზე უფრო იზოლირებული ნაწილი, ღია იყო მხოლოდ სულთნისა და საჭურისებისთვის. იქ შეღწევის მცდელობა სიკვდილით ისჯებოდა. ჰგავდა იგი დედამიწაზე გადმოტანილ სამოთხეს, რომელშიც მსოფლიოში ულამაზესი ქალები ცხოვრობდნენ. ამ არნახული სიმდიდრის ერთადერთი მფლობელის, სულთნის, ბედს ნატრობდნენ არა მხოლოდ უზარმაზარი იმპერიის, არამედ მთელი მსოფლიოს მამაკაცები.**

ჰაჰ, დრონი...
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს ოლგა დმიტრიევას წიგნის „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება“ ადაპტირებული თარგმანის პუბლიკაციას.
წიგნში მოთხრობილია პოლიგამიის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხალხს შორის და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში: ველურ ტომებში, ამერიკელ მორმონებში, იმპერატორის დროინდელ ჩინეთში, ინდოელ რაინდ-რაჯუპთა შორის და, რა თქმა უნდა, სულთნის დიად სერალში. პოლიგამია ქრისტიან ადამიანებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ჰარამხანებთან, რომლებშიც სულთნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველები თავს უყრიდნენ ულამაზეს ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.


სასახლე ტოპკაპი (სერალი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-20 (204-207)

## სილამაზე, სექსი, სასიყვარულო მაგია

**ყველა ელინელი ქალი — ცოლქმრული კავშირებისგან თავისუფალი ჰეტერები, ოჯახის ტვირთით დამძიმებული ათენელები და ათლეტი სპარტელი ქალები დიდ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ გარეგნობას. სილამაზეს საბერძნეთში, უწინარეს ყოვლისა, განიხილავდნენ, როგორც კულტურის ნიშანს, კოსმეტიკასა და სხეულის მოვლას — როგორც ღირსეული ადამიანური არსებობის წინაპირობას, თავისთავად სხეულს კი — როგორც სარკეს, რომელიც აირეკლავს სამყაროს ერთიანობასა და სრულყოფილებას.** ტანსაცმლისთვის მოქმედებდა დევიზი — „ყველაფერი ზომიერად!“, რაც აბრკოლებდა მოდური ექსცენტრიზმით გატაცებას, რომელიც დაარღვევდა მის პროპორციებსა და ჰარმონიას. ბერძენი ფილოსოფი ქსენოფონტე ამბობდა: **„ფრიად სასიამოვნოა, როცა ხედავ კარგად მორგებულ ფეხსაცმელსა და... ტანსაცმელს, რომელიც აკმაყოფილებს პატრონის მოთხოვნებს“.** ქალები ცდილობდნენ, უწინარეს ყოვლისა, „მოთხოვნებიდან გამომდინარე“, სწორად შეერჩიათ ქსოვილი და ფერი. წმინდა ტილოსგან შეკერილი მოხდენილი ქიტონები ლამაზად გამოჰკვეთდნენ სხეულის ხაზებს, ხოლო უფრო უხეში შალის ქსოვილისგან შეკერილი ტანსაცმელი — პეპლოსი, რომელსაც ცივ ამინდში იცვამდნენ, დამშვენებული იყო ამოქსოვილი ზოლებითა და გეომეტრიული ორნამენტებით.

**ფერებს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. თეთრი არისტოკრატიის კუთვნილება იყო, შავი, მეწამული, მუქი მწვანე და ნაცრისფერი სევდის აღმნიშვნელად იხმარებოდა.** სოფლელი ქალები იმოსებოდნენ ნაცრისფერი და ყავისფერი ქსოვილებისგან შეკერილი ტანსაცმლით; ქალაქელი ქალები უპირატესობას ფერთა მრავალფეროვნებას აძლევდნენ უპირატესობას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ელფერს: სუმბულისფერს, „ბაყაყისფერს“, ამეთვისტოსა და ზაფრანის ფერებს, რომლებსაც თვალის ფერს უხამებდნენ. **უდიდეს ყურადღებას ანიჭებდნენ თმას. ლამაზი თმის მქონე ქალებს უმღეროდნენ ჰიმნებში, რომლებსაც ქალღმერთებს უძღვნიდნენ.** უპირატესობა ენიჭებოდა ქერათმიან ქალებს, ეტყობა, იმიტომ, რომ საბერძნეთში ჭარბობდნენ შავგვრემანი და წაბლისფერთმიანი ლამაზმანები.

**ქალები ცდილობდნენ, დამსგავსებოდნენ ღვთაებრივ აფროდიტეს, დემეტრას, ათინას, ჰერას და თმებს ილებავდნენ. ატარებდნენ პარიკებსაც, რაც ანტიკურ ხანაში იკიცხებოდა.**

მხოლოდ სპარტელ ქალებს არ სჭირდებოდათ, მიემართათ ამგვარი ხრიკებისთვის. მათი ხშირი თმა სხვა ბერძენი ქალების შურის საგანი იყო, ხოლო ტანსაცმელი — პეპლოსი, რომელიც თეძოებზე გახსნილი იყო, მშვენიერი სხეულით ტკბობის საშუალებას იძლეოდა. თავიანთი სხეულის სრულყოფილობას ათლეტი ქალები ხსნიდნენ „წინაპართა ორმოცი თაობით, რომლებიც მთელი წლის მანძილზე შიშველი თეძოებით დადიოდნენ“ და იმით, რომ ცხოვრების ჯანმრთელ წესს მისდევდნენ.

**სწორედ ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა თმის ვარცხნილობის ძირითადი ტიპები. თავდაპირველად დახვეული თმების კულულები თავისუფლად იყო მხრებამდე დაშვებული, შემდეგ მათი რთულ კვანძებად შეკვრა, დაწვნა და თავის გარშემო სავარცხლებით შეკვრა დაიწყეს.**

ყურადღებას აქცევდნენ კანის სითეთრეს, სახეს მზის სხივისგან ქოლგებით იცავდნენ. არისტოკრატი ქალის გარდერობი ფრიად მდიდარი იყო, სამკაულები — ნატიფი და მდიდრული.

**ფეხზე იცვამდნენ ტყავის ფეხსაცმელს — ტყავის ლანჩითა და გადახლართული თასმებით, შინ კი ფეხშიშველები დადიოდნენ.**

ლამაზი და მოვლილი გარეგნობა ელინელი ქალების წარმატების საწინდარი იყო. მამაკაცები ჰედონისტები იყვნენ — ცხოვრებით ტკბობა მათ უმაღლეს მიზნად მიაჩნდათ: ქალს არამარტო ფიზიკური სიამოვნება უნდა მიენიჭებინა, არამედ მზერაც დაეტკბო.

ჰეტერები და მეძავენი ანტიკური საყვარლების მოთხოვნებს, ცხადია, „არაპროფესიონალებზე“ უკეთ აკმაყოფილებდნენ, თუმცა ეს უკანასკნელნი ცდას არ აკლებდნენ თავიანთი ახალგაზრდობისა და სილამაზის შესანარჩუნებლად, რისი საშუალებაც მათ საკმაოდ ჰქონდათ, თმის საღებავებიდან დაწყებული ფერუმარილის უამრავი სახეობით დამთავრებული. თავიანთ გარეგნობას კი სარკეებით აკონტროლებდნენ. **სარკედ გამოყენებული იყო ვერცხლისა და ბრინჯაოს პოლირებული, გაპრიალებული ფირფიტები, რაც იმ დროს უდიდეს ფუფუნებად ითვლებოდა. ამ ფირფიტების თან ქონა იმდენად აუცილებელი შეიქმნა, რომ უკვე მეხუთე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე გამოიგონეს დასაკეცი „სარკეები“.**

კანი გაპრიალებულ „სარკეებზე“ უფრო პრიალა რომ ყოფილიყო, იყენებდნენ სახედრის რძეს, ცომის ნიღბებს — ქერის მარცვლის, ირმის რქის, ნარგიზის ბოლქვის, თაფლის და არაბული გუმფისის რთულ ნაზავს. მაგრამ სილამაზე წარმავალი იყო და თავიანთი საყვარელი ადამიანების შესანარჩუნებლად ელინი ქალები მაგიის მრისხანე ხელოვნებას მიმართავდნენ.

## დიდი სერალი (თურქეთი). „სიხარულის სახლი“

**ოსმალეთის სულთნების ჰარამხანების ისტორია 1365 წელს დაიწყო, როცა მურად პირველმა (1359-1389) ედირნეში (ანდრიანოპოლისში), რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი იყო,ააგო ახალი სასახლე, მისი ძალაუფლების ბრწყინვალებისა და სიძლიერის ამსახველი სიმბოლო. ომების დროს ანდრიანოპოლი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი ხდებოდა, მშვიდობიანობის ჟამს შესანიშნავი ჰავისა და სანადირო ადგილების სიუხვით სრულად ესადაგებოდა სულთნის იმჟამინდელ სტატუსს. მაგრამ კლასიკური გაგებით ჰარამხანა, როგორც ქალების გარე სამყაროსგან სრული იზოლაციის სისტემა, უფრო გვიან, ბიზანტიური წეს-ჩვეულებებისა და ისლამური მრავალცოლიანობის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს 1453 წელს, მეჰმედ მეორე დამპყრობელმა (1451-1481) თავისი რეზიდენცია ბოსფორის სანაპიროზე გადაიტანა. იქ, სერალის კონცხზე, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს მარმარილოს ზღვასა და ოქროს რქის ყურეს, საფუძველი ჩაუყარა თავის ახალ სასახლე ტოპკაპს, რომელიც ევროპაში დიდი სერალის სახელითაა ცნობილი.**

სულთნის კარი, რომლის ფანტასტიკური ბრწყინვალება თანამედროვეთ ატყვევებდა, უცებ არ ჩამოყალიბებულა. ოსმანთა პირველი მმართველების ყოველდღიურობა მკაცრი სისადავით გამოირჩეოდა. ოსმან პირველმა, როგორც ლეგენდა გვამცნობს, სიკვდილის შემდეგ დატოვა მხოლოდ ჭიქა, კოვზი, სამარილე, წითელი დროშები, რამდენიმე ცხენი და ცხვრის ფარა. მის შთამომავლებს ასეთი ასკეტური ცხოვრება არ შეეძლოთ, ამისკენ მიდრეკილება რომც ჰქონოდათ, კონსტანტინოპოლის დაპყრობამ ისინი უნებურად ბიზანტიელი იმპერატორების შთამომავლებად აქცია. ისინი იძულებულნი გახდნენ, შეჯიბრებოდნენ წინამორბედებს და მეჰმედ მეორემ გადაწყვიტა, რომ მის ახალ დედაქალაქს, რომელსაც სტამბოლი უწოდა, სიმდიდრითა და ბრწყინვალებით უნდა დაეჩრდილა უწინდელი კონსტანტინოპოლი.

მან თავის დედას დაავალა, მოეწყო მისი სახლი მსგავსად ბერძნული გინკეასი, რომელიც ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის — კონსტანტინე XI-ს ცოლს ჰქონდა. კონსტანტინე XI დედაქალაქის დაცვისას დაიღუპა. გინეკეა, სადაც ქალები იზოლირებულად ცხოვრობდნენ, სასახლის ყველაზე დაშორებულ ნაწილში, შიდა ეზოს უკან იყო განთავსებული. მეჰმედმა გარდაქმნა სასახლის მეურნეობაც, დააწესა სასახლის სკოლები და შექმნა სასახლის მონათა არმია. მასში გააერთიანეს ბავშვები, რომლებიც შეარჩიეს „დევშირმეს“ სისტემის მიხედვით (დევშირმე — ქრისტიანი ბავშვების ორგანიზებულად შერჩევა). ე.წ. „სისხლის გადასახადი“ დაწესდა XIV-XV საუკუნეებში იანიჩარების არმიის — უცხოტომელთა „ახალი ჯარის“ შესაქმნელად. **ხუთ წელიწადში ერთხელ რწმუნებულები თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომ ქრისტიან მშობლებსართმევდნენ 5-12 წლის ბიჭებს, რომლებიც სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ მშობლიურ ოჯახებს, „სულთნის ლომები“ რომ გამხდარიყვნენ. „საუკეთესოთა შორის საუკეთესოების“ კორპუსისთვის შერჩევა საომარი გამოცდილებისა და მემკვიდრეობითობის გათვალისწინებით ხდებოდა.**

ბავშვებს გარეგნობის, შთამომავლობის და სახის გამომეტყველების მიხედვითაც კი არჩევდნენ, მაგრამ იანიჩარი ყველა ვერ ხდებოდა. ყველაზე უფრო ლამაზები და გონიერები ერთ-ერთი სკოლის სრული კურსის გავლის შემდეგ ავსებდნენ „კარიბჭის მონების კერას“, ანუ მსახურთა კორპუსს. ისინი სხვადასხვა თანამდებობაზე ინიშნებოდნენ — სრულიად უმნიშვნელოდან დაწყებული, მთავარ ვეზირამდე. მხოლოდ სულიერ ხელმძღვანელს — შეიხ-ულ-ისლამს აუცილებლად მუსლიმთა ოჯახიდან ირჩევდნენ. **ქრისტიან მშობლებს მოცილებული ბავშვები აუცილებლად მაჰმადიანდებოდნენ.** მუდმივი მორიგეობა იანიჩარებს ევალებოდათ.

**ტოპყალა (თურქულად — ზარბაზნის კარიბჭე), რომელიც ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური რეზიდენცია გახდა, 1472-1478 წლებში აიგო. ეს იყო სასახლის უდიდესი კომპლექსი, რომელიც უამრავი სახლისა და პავილიონისგან შედგებოდა. ისინი ერთმანეთს ტერასებით უერთდებოდა. ამ, ქვის ყრუ გალავნით გარშემორტყმულ რეზიდენციაში მოხვედრა მხოლოდ ერთი, მასიური კარიბჭიდან შეიძლებოდა, რომელიც მაღალი კოშკებით იყო დამშვენებული. შუასაუკუნეების სტამბოლელები ამ კოშკებთან იკრიბებოდნენ, რათა საკუთარი თვალით ეხილათ დასჯილ დამნაშავეთა მოკვეთილი თავები.**

სასახლისთვის შერჩეული ადგილი საოცრად თვალწარმტაცი იყო — სტამბოლის ერთ-ერთ გორაკზე აგებული, იგი მარმარილოს ზღვას და ოქროს რქის ყურეს გადაჰყურებდა. კარგ ამინდში იქიდან ოლიმპოს მთაც კი მოჩანდა.

ტოპყალა უდიდეს ფართობზე იყო გაშლილი და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს ჰგავდა, რომელშიც ცხოვრება დუღდა. აქ შრომობდა და ცხოვრობდა სულთნის ათასობით ჩინოვნიკი, მაგრამ ჰარამხანა — „სიხარულის სახლი“ (დარ იუს საადე), რეზიდენციის ყველაზე უფრო იზოლირებული ნაწილი, ღია იყო მხოლოდ სულთნისა და საჭურისებისთვის. იქ შეღწევის მცდელობა სიკვდილით ისჯებოდა. ჰგავდა იგი დედამიწაზე გადმოტანილ სამოთხეს, რომელშიც მსოფლიოში ულამაზესი ქალები ცხოვრობდნენ. ამ არნახული სიმდიდრის ერთადერთი მფლობელის, სულთნის, ბედს ნატრობდნენ არა მხოლოდ უზარმაზარი იმპერიის, არამედ მთელი მსოფლიოს მამაკაცები.

**გაგრძელება იქნება**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კიროვს დაცვის არსებობა სერიოზულად თრგუნავდა. უყვარდა ხალხში გასვლა, ლენინგრადელებთან არაოფიციალური შეხვედრები, ტრამვაით მგზავრობა, მაღაზიებში შესვლა. შინსახკომის ლენინგრადის სამმართველოს უფროსისთვის არაერთხელ უთქვამს: „შენ რომ ნება დაგრთონ, ჩემს სახლთან ტანკებსაც დააყენებ“. ერთხელ კიროვმა დაცვა გააცურა, გაეპარა, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია.**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-20 (204-207)

## ჭირვეული მკვლელი

**ვინ იყო კიროვის მკვლელი, რას წარმოადგენდა ლეონიდ ვასილის ძე ნიკოლაევი?**

ეს შეუმჩნეველი ადამიანი დაიბადა 1904 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1919 წლის იანვარში სამარის გუბერნიის ერთ-ერთი სასოფლო საბჭოს მდივნად, დიდი არაფერი, მაგრამ რაღაც დონის ხელმძღვანელობიდან. მანამდე ამ 15 წლის ბიჭს, როგორც იტყვიან, ორი ბატიც არ ჰყავდა მიბარებული. ჩვენი მკითხველი, ალბათ, არ გაიკვირვებს, თუ პარალელს გავავლებ ჩვენი უახლესი წარსულის ნაციონალურ ხელმძღვანელებთან, რომლებმაც თავიანთი შრომითი წიგნაკები პარლამენტში თუ მინისტრთა საბჭოში გახსნეს.

აქედან მოდიან გააზნაურებული მდაბიონი — უვიცთა და გაუნათლებელთა კასტა. უდიდესი ამბიციებით გაჟღენთილები, როგორც ჭაობის ლიცლიცა ზედაპირი, მისი ყველა უარყოფითი თვისებითა და მახასიათებლით.

ამბიცია ნიკოლაევს პეტროგრადისკენ ეწევა. იგი ბრუნდება ამ ქალაქში და 1921 წლის მაისში პეტროგრადის საბჭოს ვიბორგის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ერთ-ერთ ქვეგანყოფილებაში კონტორის მოსამსახურედ ეწყობა. **1924 წლის აპრილში შედის პარტიაში. დაპატიმრებამდე, ანუ 1934 წლის აპრილამდე ცხრაჯერ შეიცვლის სამუშაო ადგილს — კომკავშირის რაიკომის საქმეთა მმართველიდან და ზეინკლის დამხმარედან ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ინსპექტორობამდე და პარტიის ისტორიის ინსტიტუტში დოკუმენტების მიმღებ ინსტრუქტორობამდე. სამუშაოს ხშირი ცვლა გამოწვეული იყო ნიკოლაევის ხასიათის გაუწონასწორებლობით, თანამშრომლებთან მუდმივი ჭირვეული დამოკიდებულებითა და კინკლაობით.**

1934 წელს მიმდინარეობდა პარტიული მობილიზაცია ტრანსპორტზე სამუშაოდ. ინსტიტუტის პარტიულმა კომიტეტმა არჩევანი ნიკოლაევზე შეაჩერა. მან კატეგორიულად იუარა. მაშინ პარტიულმა კომიტეტმა იგი საკ.კპ (ბ) რიგებიდან გარიცხა ასეთი ფორმულირებით: „პარტიული დისციპლინისადმი დაუმორჩილებლობის, პარტმობილიზაციით გაგზავნაზე ობივალენტური რეაგირების გამო...“

**3 აპრილს გამოიცა ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება „პარტიიდან გარიცხვისა და პარტმივლინებაზე უარის თქმის გამო“ ნიკოლაევის ინსტიტუტის შტატიდან ამორიცხვისა და მისთვის ორკვირიანი შემწეობის კომპენსირების შესახებ.**

იმავე წლის 17 მაისს საკ.კპ (ბ) სმოლენსკის რაიონულმა კომიტეტმა ნიკოლაევი პარტიაში აღადგინა პირად საქმეში მკაცრი საყვედურის შეტანით. ამის მიუხედავად, მან რამდენიმეჯერ მიმართა საკ.კპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიას პარტიული სასჯელის მოხსნის თაობაზე და, რაც მთავარია, პარტიის ისტორიის ინსტიტუტში სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით.

მას მიაჩნდა, რომ უსაფუძვლოდ იყო დასჯილი და განაგრძობდა ჩივილს — ჯერ ლენინგრადის საქალაქო, შემდეგ — საოლქო კომიტეტებში.

**ივნისში ნიკოლაევი წერილს უგზავნის კიროვს, აგვისტოში — სტალინს, ოქტომბერში — საკ.კპ (ბ) პოლიტბიუროს. უშედეგოდ. სწორედ ამის შემდეგ ჩნდება ჩანაწერი ნიკოლაევის დღიურში, სადაც იგი ბრალს დებს პარტიის ხელმძღვანელობას ბიუროკრატიასა და მასებიდან მოწყვეტაში, შემდეგ კი — ჩანაწერი საკ.კპ (ბ) ხელმძღვანელებიდან რომელიმეს მოკვლის შესახებ, საუკეთესო ვარიანტია კიროვი.**

იყო კიდევ ერთი გარემოება — ნიკოლაევის ცოლი, სიმპათიური ლატვიელი მილდა დრაულე. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მართლა ჰქონდა კიროვს სასიყვარულო ურთიერთობა ამ ქალბატონთან თუ არა, მთავარი ისაა, რომ ასეთი ურთიერთობა ნიკოლაევის წარმოსახვაში იყო ფესვგადგმული, რომელიც, წერილებით თუ ვიმსჯელებთ, ზომაზე მეტად ეჭვიანი იყო.

**თანდათან ნიკოლაევს ჩამოუყალიბდა მტკიცე გადაწყვეტილება, ანგარიში გაესწორებინა თავისი შეურაცხმყოფელისთვის, რაც ლენინგრადის პარტიული აქტივის კრების მსვლელობის დროს უნდა განეხორციელებინა.** ეს ღონისძიება 1 დეკემბერს უნდა გამართულიყო ტავრიის სასახლეში. მაგრამ იქ დასასწრებად საჭირო იყო სპეციალური ბილეთი. სწორედ ამ ბილეთის საშოვნელად გამოცხადდა შუადღისას ნიკოლაევი სმოლნიში, დადიოდა კაბინეტიდან კაბინეტში და ნაცნობებს ბილეთსა სთხოვდა, მაგრამ ვერა და ვერ იშოვა. თუმცა ერთმა ნაცნობმა, სასოფლო-სამეურნეო პარტჯგუფის მდივანმა პეტროშევიჩმა უთხრა, რომ, თუ დარჩებოდა ზედმეტი ბილეთი, აუცილებლად მისცემდა და მოგვიანებით შემოვლა შესთავაზა. ნიკოლაევი გავიდა ქუჩაში, ერთი საათის განმავლობაში უაზროდ დაყიალობდა, შემდეგ დაბრუნდა სმოლნიში, ავიდა მესამე სართულზე და ტუალეტში შევიდა.

**კიროვის მკვლელობაში ბევრი რამ გაუგებარი და აუხსნელი მომენტია. თუმცა სენსაციის მოყვარულთათვის გულდასაწყვეტად ბევრ კითხვაზე მკაფიო და ნათელი პასუხებია გაცემული.**

**საიდან ჰქონდა ნიკოლაევს რევოლვერი? პარტიის წევრებს მაშინ სრულიად ლეგალურად ჰქონდათ იარაღი.** არც ნიკოლაევი იყო გამონაკლისი. 1924 წლის 2 თებერვალს ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა ოფიციალური ნებართვა-დოკუმენტი (№4396) მისცეს მასაც. 1930 წლის 21 აპრილს მან ხელახალი რეგისტრაცია გაიარა და ახალი მოწმობა მისცეს — №12296. ეს დოკუმენტი ძალაში იყო 1931 წლის 21 აპრილამდე. მაგრამ ასეთი დარღვევა — ვადის გასვლა — იმ დროს უმნიშვნელო წვრილმანად იყო მიჩნეული: სისხლის სამართლის მაშინდელი კოდექსის მიხედვით, იარაღის უკანონოდ შენახვა ისჯებოდა ან ექვს თვემდე იძულებითი მუშაობით, ან ათასმანეთიანი ჯარიმით.

**ტყვიები საიდან? იყიდა მაღაზიაში. ნიკოლაევისთვის მიცემული მოწმობის უკანა მხარეს აღნიშნულია, რომ 1930 წელს ამა და ამ მაღაზიაში მან 28 ტყვია შეიძინა.**

**სად სწავლობდა ნიკოლაევი სროლას? სწავლობდა ლეგალურად — საზოგადოება „დინამოს“ სასროლეთში, რომლის წევრიც იყო.**

დაბოლოს, როგორ აღმოჩნდა ნიკოლაევი დანაშაულის ჩადენის ადგილზე — სმოლნის დერეფანში? უმარტივესად: იგი პარტიის წევრად რჩებოდა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარტიაში აღადგინეს), პარტბილეთი კი საშვის ფუნქციას ასრულებდა.

კიროვის მკვლელობაში ბევრი რამ გაუგებარი და აუხსნელი მომენტია. თუმცა სენსაციის მოყვარულთათვის გულდასაწყვეტად ბევრ კითხვაზე მკაფიო და ნათელი პასუხებია გაცემული

## დაცვა

**ისეთ ხელმძღვანელებს, როგორიც კიროვი იყო, დღეს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. 1933 წლის ზაფხულამდე კიროვის დაცვაში სულ სამი კაცი იყო: მ. ვ. ბორისოვი, ლ. თ. ბუკოვსკი და ოგეპეუს საიდუმლო თანამშრომელი, სახლის, სადაც კიროვი ცხოვრობდა, კარისკაცი. ბორისოვი და ბუკოვსკი კიროვს სმოლნში იცავდნენ, ასევე, ქალაქში გადაადგილებისას, ნადირობისას, მივლინებების დროს, კარისკაცი — შინ ყოფნის დროს.**

1933 წლის მეორე ნახევრიდან კიროვის დაცვა (ფარული აგენტების ჩათვლით) 15 კაცამდე გაიზარდა. ქალაქში ან მის ფარგლებს გარეთ გადაადგილებისას გამოჰყოფდნენ დამატებით ერთ ავტომობილს დაცვის ორკაციანი გამსვლელი ჯგუფით.

კიროვს დაცვის არსებობა სერიოზულად თრგუნავდა. უყვარდა ხალხში გასვლა, ლენინგრადელებთან არაოფიციალური შეხვედრები, ტრამვაით მგზავრობა, მაღაზიებში შესვლა. შინსახკომის ლენინგრადის სამმართველოს უფროსისთვის არაერთხელ უთქვამს: „შენ რომ ნება დაგრთონ, ჩემს სახლთან ტანკებსაც დააყენებ“. ერთხელ კიროვმა დაცვა გააცურა, გაეპარა, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია.

**რაღა მაინც და მაინც კიროვი! 1930-იანი წლების დასაწყისში იოსებ სტალინს მარტოდმარტოს უყვარდა მოსკოვში გასეირნება. ასეთი „თავნებობა“ კი დამთავრდა იმით, რომ 1931 წლის 16 ნოემბერს, დღის ოთხის ნახევარზე, როცა ილინკაზე მიდიოდა, „სტარი-გოსტინიჩნი დვორის“ მოპირდაპირე მხარეს, 5/2 სახლის ახლოს იგი კინაღამ მოკლა ჩვენს ქვეყანაში არალეგალურად ჩამოსულმა ყოფილმა თეთრმა ოფიცერმა ოგარევმა. ამ შემთხვევის შემდეგ პოლიტბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლითაც სტალინს აეკრძალა „მოსკოვში ფეხით სიარული“.**

ანა კირილინას წიგნის „უცნობი კიროვი“ მიხედვით, მკვლელობის დროს კიროვის დაცვა შემდეგნაირად ხორციელდებოდა: დილის 9 საათსა და 30 წუთიდან, სახლის წინ, რომელშიც კიროვი ცხოვრობდა (კრასნიე ზორის ქ. №26/28) ორი ოპერმუშაკი შეუდგა მორიგეობას: პ. პ. ლაზიუკოვი და კ. მ. პაუზერი. 16:00 საათზე კიროვი სახლიდან გამოვიდა და ტროიცკი ხიდისკენ ფეხით გაემართა. წინ ოპერმუშაკი ნ. მ. ტრუსოვი მიდიოდა, 10 ნაბიჯის მოცილებით კიროვს ლაზიუკოვი და პაუზერი მიჰყვებოდნენ.

ტროიცკი ხიდთან კიროვი თავის მანქანაში ჩაჯდა, დაცვა თავისი მანქანით მიჰყვა. გაემართნენ სმოლნისკენ. სმოლნის შესასვლელში — პატარა ჭიშკართან კიროვს დახვდნენ ოპერმუშაკები ალექსანდროვი, ბალკოვსკი და გარედაცვის თანამშრომელი აუზენი. ყველანი შესასვლელი კარისკენ დაიძრნენ. პაუზერი და ლაზიუკოვი ვესტიბიულში დარჩნენ, ალექსანდროვმა, ბალკოვსკიმ, პაუზერმა და ბორისოვმა, რომელიც მათ შეუერთდა, კიროვი მესამე სართულამდეააცილეს. ამის შემდეგ პირველი სამი დაბლა ჩავიდა. კიროვს მხოლოდ ბორისოვი მიაცილებდა.

ორიოდ სიტყვა ბორისოვზე, რომელსაც ბევრი ავტორი შეცდომით კიროვის დაცვის უფროსად მოიხსენიებს. სინამდვილეში მიხაილ ვასილის ძე ბორისოვი რიგითი ოპერმუშაკი იყო. შეფს ლენინგრადში ჩასვლის მომენტიდან, ანუ 1926 წლიდან იცავდა. 1934 წელს იგი უკვე 53 წლისა იყო. იგი კიროვს სმოლნის შესასვლელში უნდა დახვედროდა და შენობაში თან უნდა ხლებოდა. ლენინგრადის გპუ-ს უფროსი თ. დ. მედვედევი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ბორისოვი ასაკის გამო ამ თანამდებობას არ შეეფერებოდა, მაგრამ კიროვმა დაიცვა იგი და დაიტოვა.

## შემთხვევითი შეხვედრა

1934 წლის 1 დეკემბრის საღამოს 5 საათისთვის კიროვი სმოლნის მესამე ▶

---

მსოფლიო

## ნატოს სპეცოპერაცია: 6 ლიკვიდირებული, 7 დაჭრილი და 8 დაკავებული თალიბი

**ნატოს კოალიციის მიერ ავღანეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ჩატარებული სპეცოპერაცია კუნდუზის პროვინციაში მასშტაბური გამოდგა. უსაფრთხოების ძალებმა 6 შეიარაღებული ამბოხებული მოკლეს.** კუნდუზის პოლიციის პრეს-სპიკერის შიიდ შარვარ ჰოსაინის განცხადებით, ამბოხებულები წმენდის ოპერაციას ემსხვერპლნენ. მისივე თქმით, ოპერაცია ავღანეთის შეიარაღებული და კოალიციური ძალების მიერ ერთობლივად ჩატარდა. შედეგად დაიჭრა 7 და დააკავეს 8 ამბოხებული. შარვარ ჰოსაინის თქმით, ერთ-ერთი ამბოხებული პირის სახლის ჩხრეკისას დიდი ოდენობით იარაღი ამოიღეს. თალიბები მძიმე შეიარაღებას ჩანდარას რაიონის სოფლებში ოპერაციების დროს იყენებდნენ.



**კიროვი რომ მოკვდა, ნიკოლაევმა, მისივე ჩვენებით, თავის მოკვლა გადაწყვიტა. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ელექტრომონტიორმა პლატოჩმა ესროლა ჩაქუჩი ნიკოლაევს და პირდაპირ თავში მოარტყა. შედეგად მეორე ტყვია ასცდა კიროვს და კედელს მოხვდა. პლატოჩი მივარდა ნიკოლაევს და მუშტის დაკვრით იატაკს დაანარცხა. ბორისოვი ამ დროს დერეფნის შესახვევს ორი ნაბიჯით იყო მოშორებული და იარაღს ბუდიდან იღებდა.**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სართულზე ბორისოვის თანხლებით ავიდა და თავისი კაბინეტისკენ გაემართა. ამ დროს მესამე სართულის დერეფანში საკმაო რაოდენობის ხალხი ირეოდა. კიბეზე ასვლისას კიროვს შეხვდა საკ.კპ (ბ) ხიბინოგორსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. სემიაჩკინი, რომელიც სასადილოში ჩადიოდა. სემიაჩკინი კიროვთან საუბარში გაერთო და მესამე სართულამდე აჰყვა. შემდეგ კიროვი საკ.კპ (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის საბჭოთა ვაჭრობის განყოფილების გამგეს — ნ. გ. ფიოდოროვს რამდენიმე წუთის განმავლობაში ელაპარაკა.

ამასობაში ბორისოვი, რომელიც, ინსტრუქციის თანახმად, უშუალოდ კიროვთან უნდა ყოფილიყო, მოულოდნელად ჩამორჩა, რაც ხანდაზმული ადამიანისთვის სავსებით ბუნებრივია.

იმ მიმართულებით, რომლითაც კიროვი მიდიოდა, მის წინ საქმიანი ქაღალდებით დატვირთული სმოლნის შიკრიკი მ. თ. ფიოდოროვა გადაადგილდებოდა. დიდი და პატარა დერეფნების კუთხეში ნერვიულად ბოლთასა სცემდა ლენინგრადის ცირკის დირექტორი მ. ე. ცუკერმანი, რომელიც საოლქო კომიტეტის მეორე მდივანთან — მ. ს. ჩუდოვთან თათბირზე მყოფ ბ. პ. პოზნერს ელოდებოდა. აქვე, დერეფანში დადიოდა შინსახკომის ოპერატიული განყოფილების თანამშრომელი ა. მ. დურეიკო, რომელსაც ევალებოდა სმოლნის მესამე სართულის დერეფნის თვალთვალი. დაბოლოს, მკვლელობის ადგილზე სმოლნის სამნეო ნაწილის გამგის — ვასილიევის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ელექტრომონტიორები პლატოჩი და ლენოკი.

**ამასობაში ნიკოლაევი ტუალეტიდან გამოვიდა და დაინახა დერეფანში მიმავალი კიროვი. მაინც და მაინც სმოლნიში კიროვის მოკვლას ნიკოლაევი არ გეგმავდა. კიროვი იმ დღეს სმოლნიში არც უნდა გამოჩენილიყო. აქ მოსვლა სპონტანურად გადაწყვიტა ჩუდოვთან სატელეფონო საუბრის შემდეგ 15 და 16 საათებს შორის.**

ნიკოლაევს შეუძლებელია სცოდნოდა, რომ კიროვი სწორედ ამ დროს გაივლიდა დერეფანში. საინტერესოა, რომ „სტალინური რეპრესიების" ერთ-ერთი მამხილებელი ანტონოვ-ოვსეენკო სერიოზულად ამტკიცებს, რომ ტუალეტში ყოფნისას ნიკოლაევი უთვალთვალებდა სმოლნის საპარადო სადარბაზოს, საიდანაც კიროვი უნდა შესულიყო შენობაში. ამ ვერსიას აცამტვერებს ა. ა. კირილინა, რომელიც წერს:

**„დიდი დ. კვარნეგი, სმოლნის ინსტიტუტის ავტორი, უთუოდ გაუნაწყენდებოდა ამ სიცრუის ავტორს ამგვარი უაზრო მოსაზრებისა გამო: საპირფარეშო, რომლის ფანჯრები ფასადზე გამოდის! შესანიშნავმა ხუროთმოძღვარმა ასეთი სათავსები შენობაში განალაგა ისე, რომ მათი ფანჯრები უკანა ეზოებში გადიოდა. ბუნებრივია, რომ მათი კარ-ფანჯრებიდან ვერავითარ შემთხვევაში, ოპტიკური საშუალებების გამოყენებითაც კი ვერავინ დაინახავდა ვერც საპარადო (მთავარ) სადარბაზოს, ვერც, მით უფრო, მის მთავარ დერეფანს"** *(ა. კირილინა, უცნობი კიროვი, გვ.გვ. 212, 214).*

აშკარაა, რომ ნიკოლაევისა და კიროვის საბედისწერო შეხვედრა წინასწარ დაგეგმილი არ იყო. ამიტომ ბორისოვის ჩამორჩენის ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო მკვლელთან მისი მოლაპარაკების შედეგი.

ნიკოლაევმა შეძლო ამ შემთხვევის გამოყენება. გაატარა კიროვი, გაჰყვა უკან, ამოიღო ნაგანი და ესროლა. ტყვია კიროვს კეფაში მოხვდა. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

კიროვი რომ მოკვდა, ნიკოლაევმა, მისივე ჩვენებით, თავის მოკვლა გადაწყვიტა. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ელექტრომონტიორმა პლატოჩმა ესროლა ჩაქუჩი ნიკოლაევს და პირდაპირ სახეში მოარტყა. შედეგად მეორე ტყვია ასცდა კიროვს და კედელს მოხვდა. პლატოჩი მივარდა ნიკოლაევს და მუშტის დაკვრით იატაკს დაანარცხა. ბორისოვი ამ დროს დერეფნის კუთხეს ორი ნაბიჯით იყო მოშორებული და იარაღს ბუდიდან იღებდა.



სტალინი და კიროვი გამოდიან კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის სხდომიდან. 1930 წლის ივნისი

## სტალინმა ვოროშილოვის, ჟდანოვის, მოლოტოვის, იაგოდას, ჩუდოვის, კოდაცკის, მედვედისა და ეჟოვის თანდასწრებით პირადად დაკითხა ნიკოლაევი, მაგრამ ვერავითარი აზრიანი პასუხი მისგან ვერ მიიღო

### მოწმის დალუპვა

**დეკემბრის ადრიან დილით მოსკოვიდან ლენინგრადში ჩავიდნენ სტალინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, ჟდანოვი, იაგოდა. მათთან ერთად ჩავიდა საკ.კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა ჯგუფი.** სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი და ვოროშილოვი სადგურიდან პირდაპირ სვერდლოვის სახელობის საავადმყოფოსკენ გაემართნენ, სადაც კიროვის ცხედარი იყო დასვენებული, შემდეგ მისი ქვრივი ინახულეს, დაბოლოს სმოლნიში მივიდნენ. იქ სტალინმა ვოროშილოვის, ჟდანოვის, მოლოტოვის, იაგოდას, ჩუდოვის, კოდაცკის, მედვედისა და ეჟოვის თანდასწრებით პირადად დაკითხა ნიკოლაევი, მაგრამ ვერავითარი აზრიანი პასუხი მისგან ვერ მიიღო. ნიკოლაევის მცველი საკანში, შინსახკომის თანამშრომელი კაცაფა თავის პატაკში აღნიშნავდა: **„სმოლნიში ნიკოლაევს რომ გადმომცემდა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისტის ოპერსამსახურის უფროსის მოადგილე გულკომ მითხრა, რომ ეს არამზადა ნიკოლაევი ძალიან უხეშად ელაპარაკებოდა სტალინს, რომ უარი განაცხადა, ეპასუხა მის შეკითხვებზე** *(სსრკ უზენაესი სასამართლოს მაცნე, 1991, №6, გვ. 19).*

რუსულ და უცხოურ ანტისტალინურ ლიტერატურაში ეს დაკითხვა შემდეგნაირადაა აღწერილი. **სტალინის შეკითხვას: „ეს რატომ გააკეთე?" ნიკოლაევმა თითქოს ყვირილით უპასუხა, თან ზაპოროჟეცზე მიუთითებდა: „ამათ მაიძულეს! ამათ!"** ა. ანტონოვ-ოვსეენკო ასე გადმოგვცემს ამ სცენას:

**„სტალინი შეეკითხა:**

**— თქვენ მოკალით კიროვი?**

**— დიახ, მე... — უპასუხა ნიკოლაევმა და მუხლებზე დაეცა.**

**— რატომ გააკეთეთ ეს?**

**ნიკოლაევმა სტალინის სავარძლის უკან მდგარ შინსახკომის ფორმიან უფროსებზე მიუთითა:**

**— ამათ მაიძულეს! ოთხ თვეს მასწავლიდნენ სროლას. მათ მითხრეს, რომ..."** *(ა. კირილინა, უცნობი კიროვი... გვ. 262-263).*

ამ სცენაში ერთი სიტყვაც არ არის მართალი. საკმარისია ითქვას, რომ იმ დროს ზაპოროჟეცი არა მარტო სმოლნიში არ იმყოფებოდა, არამედ ლენინგრადშიც არ იყო.

შემდეგ სტალინმა გადაწყვიტა, დაეკითხა ბორისოვი. „დიდი სახლიდან" (ასე უწოდებდნენ ლენინგრადის შინსახკომის შენობას) სმოლნიში ბორისოვის გადმოსაყვანად შპალერნაიას ქუჩით მხოლოდ 2,5 კილომეტრის გავლა იყო საჭირო. ბორისოვი მოჰყავდათ სატვირთო ავტომანქანის ძარაში ჩამჯდარი. მასთან ერთად იმყოფებოდნენ ოპერატიული განყოფილების თანამშრომლები დ.ზ. მალიი და ნ.ი. ვინოგრადოვი. ოფიციალური ვერსიით, მოძრაობის დროს სატვირთო ავტომანქანამ მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ, ავარდა ტროტუარზე და ძარის მარცხენა მხარით სახლის კედელს მიეჯახა. ბორისოვი ძარის მარჯვენა ბორტთან იჯდა და ისიც კედელს მიენარცხა. ავარიის შემდეგ იგი ნიკოლაევის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც გონზე მოუსვლელად 4 დეკემბრის ღამეს გარდაიცვალა.

ტექნიკური ექსპერტიზის 1934 წლის 2 დეკემბრის დასკვნით, ავარიის მიზეზი მანქანის წინა რესორის გაუმართაობა იყო, „რასაც ხელი შეუწყო მოძრაობის სისწრაფემ" *(სსრკ უზენაესი სასამართლოს მაცნე, 1991, №6, გვ. 21).*

სავსებით შესაძლებელია, რომ სატვირთო ავტომობილის ავარია შემთხვევითი იყო. ასევე სავსებით შესაძლებელია, რომ ბორისოვმა ავარიის დროს სასიკვდილო ტრავმები მიიღო — ტყუილად არ იყო აკრძალული მგზავრების ძარით გადაყვანა. **კიროვის დაღუპვაში სტალინის მონაწილეობის ვერსიის მომხრენი მომხდარ ფაქტს მნიშვნელოვანი მოწმის მოცილებად ასაღებენ. ეს ვერსია ძნელი დასაჯერებელია, რადგან ისეთივე შემთხვევითობა იყო, როგორიც სმოლნის დერეფანში ნიკოლაევის და კიროვის შეხვედრა. თანაც ბორისოვი მნიშვნელოვანი მოწმე კი იყო, მაგრამ არა ძირითადი.**

აი, რა განაცხადა 1989 წლის 3 აგვისტოს სსრკ პროკურატურისა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამუშაო ჯგუფის წევრმა პ. ა. ლაპტევმა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს კომისიის სხდომაზე, რომელიც დამატებით შეისწავლიდა რეპრესიებთან დაკავშირებულ მასალებს.

**„რაც შეეხება ოპერკომისარ ბორისოვის საკითხს, გულახდილად რომ ვთქვა, მასალების შესწავლის თავდაპირველ ეტაპზე ძლიერ მეეჭვებოდა, რომ იგი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. მაგრამ ავტოტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც 1967 წელს ჩატარდა, ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი შემთხვევითაა დაღუპული. ეს ნამდვილად წინასწარგანზრახული მოქმედება რომ ყოფილიყო, იმდენად არაპროფესიული ჩანს, რომ არც ერთი სერიოზული მკვლევარის დადებით შეფასებას არ იმსახურებს, თანაც ისტორიაში პრეცედენტი არ მოეძებნება.**

**რამდენიმე დღის განმავლობაში განვიხილავდით ბორისოვის მკვლელობის გარემოებებს, სხვადასხვა ვერსიას, მათ შორის, სრულიად უჩვეულოსა და წარმოუდგენელს. მაგრამ აქვე გვხვდებოდა მომენტები, რომლებიც მათ გამორიცხავდა და რომლებსაც ერთადერთ შესაძლო დასკვნამდე მივყავდით"...** ლაპტევი სიტყვასიტყვით იმეორებს 1934 წელს გაკეთებულ ოფიციალურ დასკვნას ბორისოვის დაღუპვის შესახებ.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## მუსლიმ ლესბოსელთა წყვილმა დიდ ბრიტანეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა

**პაკისტანელმა მუსლიმმა წყვილმა, რომელმაც ერთსქესიანი პარტნიორობა დიდ ბრიტანეთში გააფორმა, დასახელებულ ქვეყანას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს. ქალები დარწმუნებულნი არიან, რომ, თუ სამშობლოში დაბრუნდებიან, თავისი სექსუალობის გამო მათ სასტიკად აზღვევინებენ.**

34 წლის რეჰანა კაუსარმა და 29 წლის სობია კამარმა სამოქალაქო პარტნიორობა მაისის დასაწყისში, ლიდსში გააფორმეს. **„ეს ქვეყანა ჩვენ უფლებებს გვთავაზობდა და ჩვენც მივიღეთ ერთობ პირადული გადაწყვეტილება, –** განაცხადა რეჰანამ გაზეთ Birmingham Mail-თან ინტერვიუში, — **პაკისტანის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქვეყანაში თითოეულს მიაჩნია, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის უფლება აქვს. ადამიანები სხვების ზნეობას ადვილად კიცხავენ და ჩემთვის მსგავსი მიდგომა ძირისძირობაშივე მიუღებელია".**

პაკისტანი ისლამური ქვეყანაა და ჰომოსექსუალობა კანონგარეშედ მიიჩნევა. გაზეთს ასევე მოჰყავს ქალების ნათესავების ციტატები, რომლებმაც ანონიმად დარჩენა ისურვეს. ისინი ლესბოსურ წყვილს მამაც ქალებად მოიხსენიებენ, თუმცა ასევე დასძენენ, რომ მათი რელიგია „ჰომოსექსუალობას გმობს". ახლა უკვე მათთვის პაკისტანში დაბრუნების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს, ამტკიცებენ ნათესავები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ქალებს სიკვდილით ემუქრებიან. აღსანიშნავია, რომ მუქარები მოდის არა მხოლოდ პაკისტანიდან, არამედ დიდი ბრიტანეთიდანაც – როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში მცხოვრები პაკისტანელთა სათვისტომო დროს უქმად არ კარგავს.

ქალებმა ერთმანეთი დაახლოებით სამი წლის წინ გაიცნეს. ვიდრე სამოქალაქო პარტნიორობას გააფორმებდნენ, ისინი ბირმინგემში ჯანდაცვის მენეჯმენტს შეისწავლიდნენ და ერთი წლის მანძილზე ერთად იცხოვრეს სამხრეთ იორკშირში. კაუსარს პენჯაბის უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი აქვს.

გაზეთი Independent ამტკიცებს, რომ რეჰანა და სობია პირველი მუსლიმი ლესბოსელი წყვილია, რომელმაც დიდ ბრიტანეთში ერთსქესიანი პარტნიორობა გააფორმა.

## ნელსონ მანდელა საავადმყოფოში მოათავსეს

**სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა საავადმყოფოში მოათავსეს. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.** ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ჯეიკობ ზუმას პრესმდივნის განცხადებით, 94 წლის მანდელა კლინიკაში ფილტვების ინფექციის დიაგნოზით მოათავსეს.

მისივე თქმით, ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა „ამჟამად მძიმეა, თუმცა სტაბილური". სამხრეთ აფრიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აპრილში, პნევმონიის შედეგად მოხვდა ჰოსპიტალში, საიდანაც 10 დღეში გამოწერეს. ნელსონ მანდელა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი 1994-99 წლებში იყო. პრეზიდენტობამდე მანდელა ანტიაპერტეიდის მოძრაობის აქტივისტი და აფრიკის ნაციონალური კონგრესის ლიდერი იყო. მან 27 წელი გაატარა ციხეში. მედიკოსთა განცხადებით, ფილტვების პრობლემები მანდელას სწორედ ციხეში გატარებული წლების გამო აქვს.



ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჰოლანდიის კაფეში კანაფის მაიონეზს გაყიდიან

**ჰოლანდიის კაფე Manneken Pis-ის ქსელში კანაფის მაიონეზს გაყიდიან. მაიონეზი მენიუში კარტოფილი ფრის სოუსის სახით გამოჩნდება. ქსელის მფლობელები აღნიშნავენ, რომ მაიონეზი კანაფის ძირითად აქტიურ ნივთიერებას ტეტრაჰიდროკანაბინოლს არ შეიცავს, ამიტომ სოუსს კანაფის მხოლოდ გემო და სუნი ექნება.** ნიდერლანდებში მარიხუანა აკრძალულია, მაგრამ Coffeeshop-ებისთვის გამონაკლისი არსებობს: მათ უფლება აქვთ, ერთ ადამიანს ხუთ გრამამდე კანაფი მიჰყიდონ. ამასთან, ასეთ დაწესებულებებს რეკლამირების უფლება არ აქვთ. 2013 წლიდან მათ ბალახის მიყიდვა მხოლოდ 18 წელზე უფროსი პირებისთვის შეუძლიათ. სულ ნიდერლანდებში 700 Coffeeshop-ია.





## საბავშვო პიჟამო, რომელიც ზღაპრებს «ყვება»

**აშშ-ში, შტატ აიდაჰოში მცხოვრებმა 6 შვილის მამამ ხუან მურდოჩმა შექმნა საბავშვო პიჟამო, რომელიც ზღაპრებს „ყვება“.**

როდესაც პატარა პიჟამოს ჩაიცვამს და სმარტფონის ეკრანთან ახლოს მივა, ზღაპრის თხრობა იწყება. პიჟამოზე 47 გამოსახულებაა. მშობელს ერთადერთი რამ ევალება, პიჟამოზე გამოსახულ ფიგურასთან სმარტფონის კამერის დასკანერება. რამდენი ცხოველიცაა პიჟამოზე გამოსახული, იმდენი ზღაპარია დაპროგრამებული. ხუანის თქმით, ეს პიჟამოები საუკეთესოა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის.

**„ეს პიჟამო კარგია როგორც დედებისთვის, ასევე შვილებისთვის. პატარებს ძილის წინ ზღაპრებს ვუკითხავთ, მაგრამ ოჯახში სხვა ბევრი საქმეცაა. დედა დროს მოიგებს — სახლს დაალაგებს, მეორე დღისთვის სადილს გააკეთებს ან სულაც თავს მოიწესრიგებს, თანაც პატარებიც კმაყოფილნი არიან“,** — ამბობს იგი.

საზოგადოების ნაწილმა ხუანის გამოგონება გააკრიტიკა. მათი თქმით, „მშობელი, რომელიც ბავშვისთვის ზღაპრის წაკითხვას თავს არიდებს, უბრალოდ ზარმაცია“.



## 4 წელი ირმის ნიღბით

**ჩინელი მხატვარი და დიზაინერი, 32 წლის ლუო დანი, 4 წელია, ირმის ნიღბით დადის. ხელოვანი ირწმუნება, რომ ამ ნიღბის წყალობით შინაგანი სიმშვიდე მოიპოვა და ცხოვრებას ცხოველის თვალით შეხედა.**

„ვფიქრობ, ირემი მორჩილი ცხოველია. პირველად ეს ხერხი 2009 წელს ვცადე და ქუჩაში გავედი. შინაგანი ჰარმონია და სიმშვიდე დამეუფლა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ირემი ვარ“, — ამბობს ლუო.

ხელოვანი ნიღბით დადის ყველგან — საზოგადოებრივ ტრანსპორტში, შოპინგზე, სტუმრად მეგობართან, საკუთარ სახელოსნოსა თუ გალერეაში. ლუო ამბობს, რომ ქუჩაში ყველას ყურადღებას იპყრობს, თუმცა მხატვარს მათი გაოცებული გამომეტყველება არ აღელვებს.

## ვისი შურთ ყველაზე მეტად ბრიტანელებს

**როგორც ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, ყველაზე მეტად ბრიტანელებს ქეით მიდლტონის გარდერობის შურთ.**

გამოკითხვა კომპანია Panasonic-მა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ათასობით ქალი ყოველდღე შურით სკდება, როდესაც კემბრიჯის ჰერცოგინიას სხვადასხვა სამოსში ხედავს.

ამ უცნაურ სიაში მეორე ადგილი ჯგუფ Girls Aloud-ის ყოფილმა წევრმა, შერილ კოულმა, დაიკავა. გოგონათა ეს ბენდი მარტის ბოლოს ოფიციალურად გაუქმდა.

მესამე ადგილზე ტეილორ სვიფტი აღმოჩნდა. ქანთრის სტილის მომღერალი წითელ ხალიჩასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველთვის გემოვნებით იცვამს. სწორედ ამიტომ მისი ბრიტანელ ქალბატონებს ძალიან შურთ.

სიაში რიანაც მოხვდა. მისი ექსტრავაგანტული სტილი, როგორც ჩანს, ბრიტანელებს ძალიან მოსწონთ.



კემბრიჯის ჰერცოგინია ქეით მიდლტონი



შერილ კოული



ტეილორ სვიფტი



რიანა

## ყველაზე საშიში ქვეყნები

**ამერიკულმა ჟურნალმა Forbes-მა შეადგინა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც საფრთხის მომცველია ტურისტებისთვის. იქ გამგზავრება რეკომენდებულია მხოლოდ პროფესიონალი დაცვის თანხლებით. სხვა შემთხვევაში ჯობს, ნაკლებად სახიფათო ქვეყნებს დასჯერდეთ. სხვათა შორის, ამ სიაში ერთ დროს საქართველოც დასახელდა.**

რეიტინგის **მეათე ადგილზე** აღმოჩნდნენ: პალესტინა, ზიმბაბვე, დომინიკის რესპუბლიკა, კონგო, სუდანი, პაკისტანი, ჰაიტი, ავღანეთი, ერაყი და სომალი. საშიშროებებს შორის, რომლებიც ელოდებათ ამ ქვეყნებში სამოგზაუროდ ჩასულებს, არის საომარო შეტაკებები, გატაცებები გამოსასყიდის მიღების მიზნით, მეკობრეების თავდასხმები და ნაღმები.

**მეცხრე ადგილი:** „შეუმჩნეველი“ ქურდობის რაოდენობით, ბრიტანელი ექსპერტების გათვლებით, ჩემპიონი გახდა ჩეხეთი. სწორედ აქ ხდება უამრავი ტურისტი ჯიბის ქურდების მსხვერპლი.

**მერვე ადგილი:** მათ, ვისაც აწუხებთ ალერგია, ბრიტანული სადაზღვევო კომპანიები ურჩევენ, თავი შეიკავონ კარიბის ყურეში მოგზაურობისგან, რადგან ამ რეგიონში განსაკუთრებით მაღალია საფრთხე, რომ ტროპიკულმა შხამიანმა მწერებმა დაგკბინონ. ამასთან, ექსპერტებმა დათვალეს სამ ათასზე მეტი შემთხვევა, როცა მათი კლიენტები ითხოვდნენ კომპენსაციას ზღვის მტაცებლების თავდასხმის შემდეგ.

**მეშვიდე ადგილი:** ექსტრემის მოყვარულები, რომლებიც მიემგზავრებიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ფრთხილად უნდა იყვნენ და ყურადღება მიაქციონ თავიანთ ნივთებს, აგრეთვე, პირადი უსაფრთხოების დონეს.

**მეექვსე ადგილი:** ტაილანდში, ბრიტანელების ინფორმაციით, ხდება ყველაზე მეტი საავტომობილო ავარია, საკვები პროდუქტებით მოწამვლა და საყოფაცხოვრებო ქურდობა. აგრეთვე, ტაილანდში არ არის რეკომენდებული საეჭვო ექსკურსიაზე დათანხმება, ხოლო ტაქსით გამგზავრებისას ყოველთვის ზუსტად უნდა გაარკვიოთ, სწორად გაგიგოთ თუ არა მძღოლმა. დასალევად საჭიროა, იყიდოთ ბოთლით წყალი და ამავე წყლით გარეცხოთ პროდუქტები და გაიხეხოთ კბილები.

**მეხუთე ადგილი:** ამ ადგილებში თქვენ, უბრალოდ, შეგჭამენ. გველებს ყოველწლიურად აქ 15 ადამიანის სიცოცხლე ეწირება, ძაღლებს — 18, ხოლო ირმებს – 180. ამ უკანასკნელთა მსხვერპლნი ხდებიან ავტომძღოლები, რომლებიც იღუპებიან ირმებთან შეჯახებით ავარიის შედეგად.




**მეოთხე ადგილი:** ჩამონათვალში, აგრეთვე, შევიდა ადგილები, სადაც ბინადრობენ ვენესუელური ანაკონდები, ინდონეზიური კომოდის ვარანები, ამაზონის პირანიები, ამრიკული გრიზლი და მექსიკური გიგანტური კალმარი.

**მესამე ადგილი:** კანადური პროვინციის — მანიტობას სამხრეთ საზღვართან ბინადრობს უამრავი თეთრი დათვი. ხოლო ინდოეთის ნაციონალურ პარკში შეიძლება გადააწყდეთ ბენგალიურ კაციაჭამია ვეფხვს.

**მეორე ადგილი:** მეორე ადგილი დაიკავა ავსტრალიურმა პარკმა კაკადუმ. აქ ტურისტები შეიძლება გადააწყდნენ ზღვის ნიანგებს — მსოფლიოს ყველაზე უფრო საშიშ რეპტილიებს. თუ თქვენ გაგიმართლათ და გადაურჩით ნიანგის კბილებს, მაშინ უახლოეს რესტორანში შეგიძლიათ მიირთვათ სტეიკი ნიანგის ხორცისგან.

**პირველი ადგილი:** პირველ ადგილზე აღმოჩნდა ქეიფთაუნის სანაპირო. აქ ბინადრობენ თეთრი ზვიგენები და მოგზაურებს შეუძლიათ გაემგზავრონ დაივინგ-ტურში, რათა ისინი ახლოდან ნახონ. ხანდახან ნაპირზე ყველა მათგანი ვერ ბრუნდება.



## ფსიქოლოგებს კომპიუტერები ჩაანაცვლებენ

**რამდენიმე წელიწადში, შესაძლოა, ფსიქოლოგის პროფესია მოთხოვნადი აღარ იქნეს, რადგან სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა რობოტი ფსიქოლოგი შექმნეს.** მას ადამიანთან ურთიერთობა და დეპრესიასთან ან პოსტ ტრავმულ შოკთან დაკავშირებული დიაგნოზის დასმა შეუძლია. 90% შემთხვევებში ფსიქოლოგი-კომპიუტერი პაციენტებს აბსოლუტურად სწორ დასკვნებს აძლევდა.

ეს საინტერესოა
თვალსაწიერი და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეცდომები, რომელთაც მამაკაცები ქალთან ურთიერთობისას უშვებენ

**ფსიქოლოგების თქმით, მამაკაცი ქალთან ურთიერთობისას ყველაზე ხშირად რამდენიმე შეცდომას უშვებს.**



მესაკუთრეობა: თუ გოგონა პაემანზე დაპატიჟეთ და მობილურის ნომერიც გამოართვით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თქვენი საკუთრებაა. გააცნობიერეთ, რომ ქალი თქვენს გაცნობამდეც ახერხებდა ცხოვრებას და თქვენი დაკარგვითაც დიდხანს არ იდარდებს. ყველა ქალს სიამოვნებს ყურადღება, მაგრამ თავი არ მოაბეზროთ. ფსიქოლოგები ყველა კაცს ურჩევენ, მესაკუთრეობა დაივიწყონ, ან გოგონას თავი მოაჩვენონ მაინც, რომ ეს თვისება მათში არაა.

მაჩოს იმიჯი: ეს სცენარი მხოლოდ ჰოლივუდში მოღვაწე ვარსკვლავებს უხდებათ. გოგონა ხომ ხედავს, რომ არც კუნთები გაქვთ და არც ასეთი ტიპაჟი ხართ? ყველა ქალისთვის მნიშვნელოვანია, მხოლოდ ერთი რამ: მასზე ზრუნავდეთ და თქვენ გვერდით თავს დაცულად გრძნობდეს.

სხვა ქალთან ფლირტი: მამაკაცების ნაწილი შეცდომას მაშინ უშვებს, როდესაც ფიქრობს, რომ საყვარელ გოგონას ეჭვიანობით გამოიწვევს. სუსტი სქესი ამ შეურაცხყოფას უპასუხოდ არ ტოვებს. უწყინარი თამაში შეიძლება მასთან დაშორების ფასად დაგიჯდეთ. რესტორანში სადილობისას არ დაუწყოთ ცქერა გვერდით მჯდომ ლამაზ ქალს. ქალების ნაწილი იმ მსახიობებსაც კი ვერ იტანს, რომლებიც მის პარტნიორს მოსწონს და სექსუალურად ეჩვენება.

მეგობრებს თქვენს პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ მისცეთ: ქალებს ძლიერი მამაკაცები იზიდავთ და ვერ იტანენ პირად ცხოვრებაში შეყვარებულის მეგობრის ჩარევას. ასეთ დროს ქალების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მის შეყვარებულს დამოუკიდებლად პრობლემის გადაწყვეტა არ შეუძლია.

საუბარი ყოფილ შეყვარებულზე: ზოგჯერ მამაკაცები ზედმეტად გულახდილები არიან და პარტნიორთან ყოფილ რომანებზე საუბარს იწყებენ. ფსიქოლოგები ყველა კაცს ურჩევენ, ამ თემაზე არ ისაუბრონ. კაცმაც და ქალმაც იცის, რომ წარსულში რომანები ჰქონდათ და რადგან დღეს ერთად არიან, ესე იგი ძველ პარტნიორთან არაფერი გამოვიდა. გოგონა აუცილებლად გკითხავთ, რატომ დაშორდით, რამდენად ძლიერი იყო თქვენი გრძნობა, როგორ გამოიყურებოდა ის ვიზუალურად და ასე შემდეგ. ქალი აუცილებლად იფიქრებს, რომ ყოფილ საყვარელზე იმიტომ საუბრობთ, რომ გენატრებათ, ან უფრო უარესი — ახალი შეყვარებული ვერ გხიბლავთ.



## პოლონეთში იოანე პავლე მეორეს უდიდესი ქანდაკება გახსნეს

პოლონეთში იოანე პავლე მეორეს ყველაზე დიდი ქანდაკების გახსნა საზეიმო ცერემონიით მოხდა.

პონტიფიკის ქანდაკება დადგეს ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ ჩენსტოხოვაში, სადაც პოლონეთში კათოლიკეებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ადგილი — მონასტერი იასნა გორა მდებარეობს.

**ძეგლის სიმაღლე 14 მეტრია.**

ქანდაკება იმ ადგილობრივი ბიზნესმენის სახსრებით დადგეს, რომლის თქმითაც, პონტიფიკის ჩარევამ მისი ვაჟი დახრჩობისგან იხსნა.

პოლონეთში ქანდაკების გახსნამდე იოანე პავლე მეორის ყველაზე დიდი ქანდაკება ჩილეში იყო, მისი სიმაღლე 12 მეტრს აღწევს.

1978 წლიდან იოან პავლე II გარდაცვალებამდე, 2005 წლამდე, პაპი იყო. იგი პირველი პოლონელი პაპია.

# რამდენიმე მითი სწორი კვების შესახებ

**სწორ კვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისთვის. მაგრამ ზოგჯერ ჩვენ არასწორი წარმოდგენა გვაქვს ჩვენს კვებაზე და იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს სასარგებლო და რა პირიქით. ხალხში გავრცელებული ზოგიერთი მითი ჯანსაღი კვების შესახებ კი უკვე ველარ უძლებს კრიტიკას.**



**1. ის, ვინც არ ჭამს ხორცს, ნაკლებს ავადმყოფობს და დიდხანს ცოცხლობს.** ეს ასე არ არის, თუ თქვენ საერთოდ უარს იტყვით ხორცის ჭამაზე, პირიქით, შეიძლება დაავადდეთ. კერძოდ, შეიძლება დაგიავადდეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემა. ამასთან, ხორცში შედის ჩვენთვის აუცილებელი B ვიტამინი. ცუდია, რა თქმა უნდა, ხორცის გადამეტებული მიღება, მაგრამ 100-150 გრამი ხორცი მხოლოდ წაადგება თქვენს ჯანმრთელობას.

**2. უმი ბოსტნეული უფრო სასარგებლოა, ვიდრე მოხარშული.** ეს ყოველთვის ასე არაა. ზოგიერთი ბოსტნეული მართლაც კარგავს ხარშვისას ჩვენთვის სასარგებლო ვიტამინების ნაწილს, მაგრამ ზოგიერთი პირიქით — უფრო სასარგებლო ხდება. მაგალითად, კუჭის დაავადებების დროს მოხარშული სტაფილო კუჭს უფრო უხდება, ვიდრე უმი. ხოლო ბადრიჯანი და ლობიო კი საერთოდ მხოლოდ მოხარშულ მდგომარეობაში უნდა ჭამოთ, უმ მდგომარეობაში ისინი, უბრალოდ, მავნეა თქვენი ჯანმრთელობისთვის.

**3. თუ რძეს მოცისფრო შეფერილობა აქვს, ის არ არის ნამდვილი და გაზავებულია რაიმეთი.** ასე ფიქრობს ზოგიერთი ეჭვიანი მყიდველი და ცილს სწამებს გამყიდველს ყალთაბანდობაში. სინამდვილეში მოცისფრო შეფერილობა მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ რძე არ არის ძალიან ცხიმიანი. ასეთი რძე კი მოუხდება მათ, ვინც ფიგურას უფრთხილდება.

**4. მსუქანმა ადამიანებმა უნდა იშიმშილონ.** ეს არ არის მართალი. ზედმეტი წონა, მართალია, დნება შიმშილობისას, მაგრამ შემდეგ უფრო სწრაფად იწყებს დაგროვებას. ამასთან, დიდი ხნით შიმშილი იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. გაცილებით გონივრულია, დროგამოშვებით დაიცვათ სპეციალური დიეტა.

**5. მარილი მავნეა ჯანმრთელობისთვის.** ეს შეხედულება მცდარია. დიდი ხანია, მარილი აკრძალული იყო მათთვის, ვისაც გული აწუხებს. ახლა კი თვლიან, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის პროცესში. მთავარია ზომიერების დაცვა — 5-6 გრამი დღეში საკმარისია. ცნობისათვის: ასეთ დოზას შეიცავს 4 ცალი მჟავე კიტრი.

**6. იმისათვის, რომ მოვკლათ მიკრობები, წყალი უნდა ვადუღოთ.** ეს არ არის სწორი შეხედულება, დუღილს არ შეუძლია მოკლას ყველა მოკრობი, რომ არაფერი ვთქვათ, მძიმე მეტალებზე, ნიტრატებსა და პესტიციდებზე.

**7. მსხვილად დაფქვილი ხორბლის პური უნდა ვჭამოთ რაც შეიძლება ხშირად.** უმჯობესია, ეს არ გააკეთოთ. ასეთი პური უდავოდ სასარგებლოა, მაგრამ არა დიდი რაოდენობით. თუ თქვენ ასე იქცევით, დიდი შანსია, რომ დაარღვიოთ საკვების გადამამუშავებელი ტრაქტის მუშაობა.

**8. გაყინული პროდუქტები არ შეიცავს ვიტამინებს.** სისულელეა! სწრაფი გაყინვისას პროდუქტებში ნარჩუნდება ვიტამინების დიდი პროცენტი და ძლებს უფრო კარგად. თუ ახალ ხილს და ბოსტნეულს შევინახავთ მაცივარში არა გაყინულ მდგომარეობაში, ისინი დაკარგავენ გაცილებით უფრო მეტ სასარგებლო ნივთიერებებს, ვიდრე პროდუქტები საყინულეში.

**9. თირკმელი ძალიან სასარგებლო პროდუქტია.** თირკმელში ბევრი ვიტამინი, მინერალი და ორგანიზმისთვის აუცილებელი რკინაა, მაგრამ ამას გარდა ის შეიცავს უამრავი რაოდენობით ცხიმსა და ქოლესტერინს, რომელსაც ვერანაირად ვერ უწოდებ სასარგებლოს. ამასთან, მაღაზიაში ნაყიდი თირკმელი შეიძლება სავსე იყოს საშიში ჰორმონებით და ქიმიკატებით, რომელიც ხვდება ცხოველების ორგანიზმში საკვებთან ერთად.

**10. კეფირი კარგად ხსნის ბახუსს**, იმიტომ, რომ მასში არის ალკოჰოლი, მაგრამ ალკოჰოლის დოზა კეფირში იმდენად მცირეა, რომ მისი გახსენებაც არ ღირს. ერთი მწიფე მსხალი შეიცავს იმდენივე სპირტს, რასაც ერთი სათლი კეფირი.

**11. რაც უფრო მჟავეა ლიმონი, მით უფრო მეტია მასში ვიტამინი C.** არ არის მართალი! მჟავე გემო არ არის C ვიტამინის მაჩვენებელი. მაგალითად, სრულიად არამჟავე ბულგარულ წიწაკაში, მარწყვში ან მწვანე ხახვში ეს ვიტამინი გაცილებით მეტია.

**12. მსუბუქი მარგარინი უფრო სასარგებლოა, ვიდრე კარაქი.** ერთ დროს მოდაში შემოსული ხელოვნურად შექმნილი მარგარინი სრულებითაც არა არის სასარგებლო, ხოლო ნატურალური კარაქი შეიცავს დიდი რაოდენობით ჩვენი ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებებს.

## საუკეთესო ვაკანსიები მსოფლიოში

**ავსტრალიაში მსოფლიოში საუკეთესო ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდა. მათ მოსაპოვებლად მთელი მსოფლიოდან 40 000 ადამიანი იბრძოლებს. ხელფასი 100 000 დოლარს შეადგენს. გამარჯვებული ნახევარწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სამუშაოდ ავსტრალიაში გაემგზავრება.**

ვაკანსიებს შორის არის: „ქვეყნის მთავარი მასხარა“, „დეგუსტატორი“, „გარემოს დამცველი“, „პარკის მეთვალყურე“ და „სასოწარკვეთილი მოგზაური“. პრეტენდენტებს უნდა ჩაეწერათ 30-წამიანი ვიდეო, სადაც მოყვებოდნენ, თუ რატომ იმსახურებენ ამ სამუშაოს.

„ოცნების ვაკანსია“ ერთ-ერთი პროექტია, რომლის ფარგლებში ავსტრალია თანამშრომლობს უცხო ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქეებთან, რომლებიც თანახმანი არიან ამ ქვეყანაში დროებით სამსახურზე.

წინა კონკურსზე, რომელიც 2009 წელს გაიმართა, ავსტრალია ეძებდა „კუნძულ ჰამილტონის მეთვალყურეს“, რომელსაც უყვარს ავანტიურები და იცის ცურვა. გამარჯვებული ავსტრალიელზე დაქორწინდა და საცხოვრებლადაც იქ დარჩა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მოსამართლემ თავი დაიჯარიმა

**ამერიკის შტატ მიჩიგანში არაორდინალური შემთხვევა მოხდა — ადგილობრივმა მოსამართლემ თავი დაიჯარიმა.** მოსამართლე რაიმონდ ვოუტი ყოველთვის გამოირჩეოდა სიმკაცრით და ყველა ადვოკატს, პროკურორს თუ თანამშრომელს სასამართლოს დარბაზში დადგენილი წესების დაცვას სთხოვდა. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, მოსმენის დროს ყველა ვალდებულია, ტელეფონი ჩააბაროს. ერთ-ერთ მოსმენაზე, რომელსაც მოსამართლე ვოუტი უძღვებოდა, მას ტელეფონზე დაურეკეს. აღმოჩნდა, რომ რაიმონდს დაავიწყდა მისი ჩაბარება. კეთილსინდისიერმა მოსამართლემ საკუთარ თავს 25-დოლარიანი ჯარიმა გამოუწერა.





## ძაღლები კოლგოტებში

**ბოლო დროს ჩინეთში სულ უფრო პოპულარული ხდება ინტერნეტ-მემეები, სახელწოდებით „ძაღლები კოლგოტებში“. ადგილობრივი სოციალური ქსელის — Weibo-ს ასობით მომხმარებელი ყოველდღიურად აქვეყნებს ქალის კოლგოტებში გამოწყობილი ოთხფეხა მეგობრების ფოტოებს.**

სოცქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა — Ulatang-მა შეკრიბა „სექსუალური ძაღლების“ მემეები და აღმოაჩინა, რომ კოლგოტებში გამოწყობილი შინაური ცხოველები ფოტოს გადაღებისას თვალებს ნაბავენ და, შეიძლება ითქვას, „იპრანჭებიან“ კიდეც.

აღსანიშნავია, რომ პირველად მსგავსი ფოტო სწორედ Ulatang-მა გამოაქვეყნა. სურათს 16 000 კომენტარი დაუგროვდა, მოგვიანებით კი ინტერნეტ-მემედაც იქცა.



## სკულპტურული ბონსაი

**ბონსაი არის ხეების ზუსტი, მინიატურული ორეულების გამოყვანის ხელოვნება, რომელიც იაპონურ კულტურაშია გავრცელებული.**

იაპონელი არქიტექტორი, ფოტოგრაფი, მხატვარი და ილუსტრატორი ტაკანორი აიბა უჩვეულო ქანდაკებებს ქმნის. ეს არის მთელი ქვეყნები და ქალაქები, რომლებიც გამოთლილი და აწყობილია დეტალიზებულად. ავტორის ყველა კომპოზიცია სპეციალურ სტენდზე დგას და დამცავ მინაშია მოთავსებული.

## კომპანია თანამშრომლებს ქუჩაში ხოხვას აიძულებს

**ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში მდებარე ერთ-ერთი კოსმეტიკური კომპანიის უფროსი თანამშრომლებს ქუჩაში ოთხზე დგომით სიარულს აიძულებს.**

კომპანიის თანამშრომლები მუხლზე დგებიან, ორივე ხელით მიწას ეყრდნობიან და თავს ძირს ხრიან. ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში თანამშრომლები ქალაქის ერთ-ერთ ხალხმრავალ კომერციულ უბანში გადაიღეს. კადრებმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. კომპანიის უფროსს ამ ბრძანებით სურდა, ხელქვეითთა მორჩილებაში დარწმუნებულიყო. არც ერთ თანამშრომელს ამ დამამცირებელი ბრძანების შესრულებაზე უარი არ უთქვამს.



## ქალი, რომელსაც საშვილოსნო გადაუნერგეს, დაფეხმძიმდა



**თურქეთის ქალაქ ანამურში მცხოვრებ 22 წლის დერია სერტის საშვილოსნო გადაუნერგეს. ქალბატონი დაფეხმძიმდა.** ის მსოფლიოში პირველი ქალია, რომელსაც საშვილოსნოს გადანერგვის ოპერაცია გაუკეთდა და ოპერაცია წარმატებით დასრულდა. დერიას გარდაცვლილი დონორის საშვილოსნო 2011 წელს გადაუნერგეს. სერტი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა, რადგანაც მუცლის მოწყვეტის ან სხვა გართულებების რისკი ძალიან მაღალია. ექიმების თქმით, დიდი შანსია, ბავშვი დეფექტით დაიბადოს. დერია საშვილოსნოს გარეშე დაიბადა. ეს იშვიათი დაავადება 5 000 ქალში ერთხელ გვხვდება. თუმცა მისი საკვერცხეები ჯანმრთელი და პროდუქტიული იყო. ჩანასახისთვის მისი ქმრის, მუსტაფას სპერმა გამოიყენეს.

## ამერიკელმა პედაგოგმა ვამპირი კატა იშვილა



**სოციალური ქსელებისა და უცხოური მედიის ყურადღება მიიპყრო კატამ, რომელსაც ვამპირის ეშვები აქვს.** თანდაყოლილი დეფექტის გამო კატა ლაზარუსი პატრონებმა სახლიდან გამოაგდეს. 6 თვის შემდეგ ლაზარუსი ამერიკელმა პედაგოგმა სარა ჩემბერსმა შეიფარა. სარამ ვეტერინარებთან კონსულტაციის შედეგად კატის დეფექტის მიზეზი დაადგინა — ლაზარუსი გავრცელებული დაავადებით, „მგლის ხახით“ იტანჯება (გახლეჩილი სასა, სასის განვითარების მანკი).

**„მას ქუჩაში შემთხვევით გადავეყარე. მშიერი და გაყინული იყო. ერთი შეხედვით მივხვდი, რომ განსაკუთრებული კატა იყო და თავისებური მოვლა სჭირდებოდა“,** — იხსენებს სარა.

ვეტერინართა თქმით, სახის მანკი ლაზარუსის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის. სარა ჩამბერსი ყოველდღიურად ათობით ადამიანის წერილს იღებს, რომლებიც ლაზარუსს გულშემატკივრობენ და სარას გამოჩენილი სიკეთისთვის აქებენ.

## მოსკოვში მსოფლიოში ყველაზე დიდ ეშმაკის ბორბალს დადგამენ

**მოსკოვში მსოფლიოში ყველაზე დიდ ეშმაკის ბორბალს დადგამენ. მისი სიმაღლე 220 მეტრი იქნება. ამჟამად, ყველაზე მაღალი ეშმაკის ბორბალი სინგაპურშია და მისი სიმაღლე 165 მეტრს შეადგენს. ეშმაკის ბორბალს უნივერსიტეტის პროსპექტთან, პარკში დადგამენ. მოსკოვის მთავარი არქიტექტორის — სერგეი კუზნეცოვის თქმით, ბორბლის დამონტაჟებას 2 წელიწადში დაიწყებენ, ხოლო მისით სარგებლობა 2018 წელს იქნება შესაძლებელი.**







## ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის ხიდი

**ვიეტნამის ქალაქ დანანგში 666 მეტრიანი ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის ხიდი არსებობს, რომელიც არამხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ ათასობით ტურისტის ყურადღებას იქცევს.** ხიდი 29 მარტს გაიხსნა. მისი სიგანე 37.5 მეტრია. ის ტრანსპორტის 6 სამოძრაო ხაზს და ორ საფეხმავლო ბილიკს იტევს. ფოლადის კონსტრუქცია 1000 ტონას იწონის, რაც მსგავს ნაგებობებს შორის რეკორდულია. ხიდს 15 000 ნათურა ანათებს. მისი ბოლო დრაკონის თავის ფორმისაა და პერიოდულად ცეცხლს აფრქვევს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «კონკიას კარიბჭე»

**ტერმინი „კონკიას კარიბჭე“ ასტროლოგიურ ლექსიკონში ჯერ კიდევ ბრიტანული მონარქიის ცნობილი წყვილის — ლედი დაიანას და პრინც ჩარლზის ქორწინების შემდეგ დამკვიდრდა. „კონკიას კარიბჭე“ არის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური კომბინაცია პლანეტებს შორის, რომელიც ცაზე საკმაოდ იშვიათად (დაახლოებით ხუთ წელიწადში ორჯერ) იქმნება და ამ პერიოდში ისევე, როგორც კონკიას შეზღუდულ დროში, მეჯლისის დამთავრებამდე, ადამიანებს ეძლევათ შანსი, პირადი (ან ფინანსური) ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალონ.**



2013 წელი სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებთან ერთად, სწორედ „კონკიას კარიბჭის“ უნიკალური პრეცედენტით იქნება ცნობილი. ამ ფენომენის შინაარსში ცის კაბადონზე ოთხი მნიშვნელოვანი პლანეტის: ქირონის, ნეპტუნის, ვენერასა და იუპიტერის დადებითი კონფიგურაციების შექმნა მოიაზრება, რაც ადამიანებში თავის მხრივ რომანტიკულ განწყობილებას, სითბოსა და სიყვარულის მოთხოვნილებას, საწინააღმდეგო სქესის ინტუიციურად გაგების უნარსა და ბავშვობისდროინდელი, ზღაპრული ამბების რეალობაში განხორციელების დაუძლეველ სურვილს ააქტიურებს.

აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა ცაზე „კონკიას კარიბჭე“ იხსნება, ნებისმიერი ჩვენგანისთვის მარტივი და, რაც მთავარია, მოსალოდნელია, ცხოვრებამ სწორედ ამ დროს „ის ერთადერთი“ გამოიმეტოს. თუმცა პლანეტა ქირონის არაპროგნოზირებადი ხასიათის გამო შესაძლებელია პრინცი ან პრინცესა თქვენს ცხოვრებაში თეთრი ცხენით ან ბროლის ფეხსაცმლით სულაც არ მოვიდეს. უფრო მეტიც, გამორიცხული არ არის, თავი ლუის კეროლის ცნობილი ნაწარმოების „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ მთავარ გმირად იგრძნოთ, რომელიც საოცრებათა ქვეყანაში მისთვის აბსოლუტურად მოულოდნელად და დაუგეგმავად აღმოჩნდა.

ამ პერიოდში, შესაბამისად, მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ ცხოვრებამ, შესაძლოა, უჩვეულო და ამაღელვებელი რომანტიკული თავგადასავლებით გაგაკვირვოთ. გამორიცხული არ არის, გაიცნოთ სწორედ ის ადამიანი, რომელიც თავისი არაადეკვატური სახელის, პროფესიის ან საქციელის გამო კატეგორიულად არც განიხილება სამომავლოდ თქვენი მეორე ნახევრის პოზიციაზე, მაგრამ სანამ „კონკიას კარიბჭე“ ღიაა, ყოველგვარი სახის მოულოდნელობა და სასწაული შეიძლება მოხდეს.

ამიტომ კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ზღაპარი მოჯადოებულ პრინცად ქცეული „მახინჯი გომბეშოს“ შესახებ — გამორიცხული არ არის, მისი სიუჟეტი თქვენს ცხოვრებაშიც სრული სიზუსტით განმეორდეს.

როდის გაიღება იგი? „კონკიას კარიბჭე“ 2013 წლის 26 მარტიდან აგვისტოს 21 რიცხვამდე ღიაა და სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირდება პლანეტებს შორის განსაკუთრებით დადებითი დამოკიდებულება. ამასთან, წელს „კონკიას კარიბჭე“ წყლის სტიქიის ნიშნებში იქნება აქცენტირებული. აქედან გამომდინარე, ადამიანებში ერთმანეთის ინტუიციური გაგების უნარი გაძლიერდება, გულმოწყალება და რომანტიზმი იმატებს. იუპიტერი, თავის მხრივ, ამ ყველაფერს „წარმატებული კავშირის“ ელფერით გააფერადებს. პლანეტა ვენერასთან შექმნილი ასპექტები კი ივნისის 5-დან 15-მდე საუკეთესო საფუძველს შექმნის ხანგრძლივი რომანტიკული ნაცნობობის დასაწყებად.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ შავი მთვარის (ლილიტის) განლაგება 2013 წლის მანძილზე პირად ურთიერთობებში უმცირეს სიყალბესაც კი არ აპატიებს ადამიანებს. ამიტომ თქვენთვისაც წარმატებით რომ გაიღოს „კონკიას კარიბჭე“, აუცილებელია, მაქსიმალურად შეიკავოთ თავი ყოველგვარი სახის უზუსტობისა და ტყუილისგან.

მომდევნო ორი წლის მანძილზე უნიკალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს პლანეტა ნეპტუნისა და ვარსკვლავ ფომალგაუტის შეერთება, რომელიც 2014 წელს 27 იანვარს მოხდება და ეს დღეები განსაკუთრებული დადებითი ენერგეტიკითა და წარმატების საოცარი შანსებით იქნება გამორჩეული ნებისმიერი ადამიანისთვის.

მთელი 2013 წლის მანძილზე პლანეტა ნეპტუნი ვარსკვლავ ფომალგაუტსა და დენებს შორის მოექცევა, რაც საშუალებას მისცემს ადამიანებს „ლურჯი ფრინველი“ დაიჭირონ ცხოვრებაში და საკუთარ თამამ, ერთი შეხედვით, უტოპიურ სურვილებსაც კი შეასხან ფრთები. ხოლო პერიოდი, როცა ნეპტუნი ამ ორი დასახელებული ვარსკვლავის პოზიტიური ენერგეტიკის ჩვენზე პროექციას მოახდენს, 14 მარტიდან 14 აპრილამდე, შემდგომში კი 5 მაისიდან 14 ივლისამდე გაგრძელდება.

# ყველაზე შემოსავლიანი მოდური ბრენდები

**მილიარდერების რეიტინგს, რომლებმაც ქონება მოდით დააგროვეს, ბრენდების Zara-ს, H&M-ისა და Topshop-ის მფლობელები ლიდერობენ.**

Forbes-ის რეიტინგის პირველ ადგილზე ესპანელი ომანსიო ორტეგა აღმოჩნდა. ბრენდ Zara-ს წყალობით 77 წლის ორტეგას ქონება 2012 წელს რეკორდული 19,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ომანსიო ორტეგა პლანეტის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში მესამე ადგილზეა. ესპანელის ქონება 57 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

რეიტინგის მეორე ადგილზე ბერნარ არნო გავიდა, რომელიც კომპანია Moet Hennessy Louis Vuitton-ს ხელმძღვანელობს. ფრანგი ბიზნესმენი პლანეტის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში მე-10 ადგილს იკავებს, მისი ქონება 29 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

ლიდერების სამეულს Hennes & Mauritz (H&M) მმართველი სტეფან პერსონი ასრულებს (28 მილიარდი დოლარი).

ლიდერების ათეულში ასევე მოხვდა ფრანსუა პინო (15 მილიარდი), რომლის მოდის კონგლომერატი PPR მაღალი მოდის სახლებს, მათ შორის Gucci-ის, Stella McCartney-ის, Alexander McQueen-ის, Yves Saint Laurent-ს ფლობს. პინო აუქციონის სახლ Christie's-ის მფლობელიცაა, სადაც 2012 წელს 5,5 მილიარდის ღირებულების ხელოვნების ნიმუშები გაიყიდა. ასევე ათეულში არიან კომპანია Nike-ის მფლობელი ფილ ნაიტი, მოდის ლეგენდა მიუჩა პრადა (12,4 მილიარდი), ჯორჯო არმანი (8,5 მილიარდი) და ბრენდ Chanel-ის მფლობელები — ძმები ჯერარ და ალენ ვერტჰაიმერები.




# მცველი ნიანგები

**ჩვეულებრივ, ოჯახები სახლის უსაფრთხოებას სიგნალიზაციას ან ეზოში დაბმულ ძაღლებს ანდობენ, მაგრამ ტაილანდის ქალაქ ფხიტსანულოკში მცხოვრები ავირუტ ნატიპს ნიანგები იცავს.**

მისი ოჯახის უსაფრთხოებას, ბოლო 15 წელია, ეზოში მოსეირნე 2 ნიანგი დარაჯობს. ქალაქში ქურდობა ჩვეული მოვლენაა, თუმცა ნატიპების ოჯახში ვერც მტერი შედის და ვერც მოყვარე. ნიანგები ძალიან აგრესიულები არიან. ისინი ზაფხულში სიცხისგან სწუხან, მაგრამ მათი პატრონი ყოველ საათში ცივ წყალში აბანავებს. ნიანგები სახლის გვერდით თხრილში ცხოვრობენ. როდესაც ოჯახის წევრები იძინებენ, ნიანგები ეზოში ჭიშკართან წვებიან და დაუპატიჟებელ სტუმრებს აფრთხობენ.

მადლიერნი არიან ოჯახის მეზობლებიც — ქურდები ნატიპების სახლის ახლოს მდებარე კორპუსებსაც კი უფრთხიან.



# 67 წლის ქალი 29 წლის ბიჭზე გათხოვდა



**67 წლის ბებო ჯოან ლოიდი 29 წლის ფილ აბსოლომზე გათხოვდა.** ჯოანმა გარდაცვლილი ქმრის უკანასკნელი სურვილი შეასრულა. ქალბატონის მეუღლემ სიკვდილის წინ ჯოანს სთხოვა, მკერდში სილიკონი ჩაესვა და მასზე ახალგაზრდა კაცს გაჰყოლოდა.

ჯოანმა ყველა სურვილი მარტივად შეასრულა და 38 წლით უმცროს კაცზე გათხოვდა. ჩრდილოეთ უელსელმა პენსიონერმა საკუთარი სიყვარული „ფეისბუქის“ საშუალებით გაიცნო. ახალდაქორწინებული წყვილის თქმით, 38-წლიანი განსხვავება ასაკში მათ არანაირ პრობლემას არ უქმნით, ისინი ჯანსაღი სექსუალური ცხოვრებით ცხოვრობენ და რეგულარულად აქვთ სექსი.

**„არ მეგონა, ისევ თუ დავქორწინდებოდი, მაგრამ საკუთარ გულს მივენდე. დარჩენილი ცხოვრების მასთან ერთად გატარებას ვგეგმავ. ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. ჩემმა პირველმა მეუღლემ სიკვდილის წინ რამდენიმე სურვილის შესრულება მთხოვა. როდესაც ახალი საყვარლის მოძებნა დამავალა, გავოგნდი. მაგრამ ახლა მივხვდი, რომ მას ჩემთვის კარგი უნდოდა“,** — ამბობს ქალბატონი.

ჯოანას თქმით, პირველი მეუღლე დევიდი ძალიან უყვარდა და მას 15 წელი უვლიდა. დევიდს გულსა და ფილტვებზე პრობლემები ჰქონდა, დიაბეტი და ალცჰაიმერის დაავადება აწუხებდა.

# იცი წერა-კითხვა? წადი ციხეში!

**ციხეში პატიმართა წამების, გაუპატიურების, ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვის ტელეკადრების ნახვის შემდეგ თითქოს ველარაფერი შეგვაძრწუნებდა. ეგრე არ ყოფილა, ბატონო თაყა...**



სრულიად უწყინარ პუბლიკაციაში, რომელიც ახლახან გაავრცელა ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ და რომელშიც მოთხრობილი იყო „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 6 თვის ანგარიშის **პრეზენტაციის გამართვის**“ (ასეა დედანში!) შესახებ სასტუმრო „რადისონში“, ვკითხულობთ:

**„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ასევე მოხდება თანამშრომლებისთვის ტესტირების ჩატარება. მისი თქმით, სისტემაში რჩებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც წერა-კითხვა უჭირთ.**

მათთვის ჩატარდება ტესტირება და ამის შემდეგ გამოცხადდება ვაკანტურ **თანამდებობებზე** კონკურსი, რის შედეგადაც **ციხის ყოფილი თანამშრომლები** ჩანაცვლდებიან ახალი თანამშრომლებით“.

ნუ დაიზარებთ, გადაიკითხეთ ეს აბზაცი და ყურადღება მიაქციეთ არა უწიგნურობის მსუბუქ გავლენას, რომელსაც ავტორი უეჭველად განიცდის, არამედ იმას, რომ ჩვენს ციხეებში **თანამდებობებზე** ჯერ კიდევ მუშაობენ **თანამშრომლები,** რომელთაც წერა-კითხვა უჭირთ!

თანამდებობებზე მუშაობენო შემორჩენილები.

**წერა-კითხვა კი უჭირდათ, მაგრამ — არა უფროსების ბრძანების შესრულება, რითაც ეს „უდანაშაულო-დამნაშავენი“ ციხეებში არაადამიანური რეჟიმის დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს.**

ვითომ არ უწყობდნენ, რას სჩადიოდნენ?!

ნეტარ არიან!

„თანამდებობებზე“ მყოფ „თანამშრომლებს“ წერა კი უჭირდათ, მაგრამ უფროსების თვალებში შეუცდომლად კითხულობდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ და როგორ უნდა ემოქმედათ.

წლების განმავლობაში.

და ამას ერქვა ციხის რეჟიმის გააადამიანურება... სანამ მაიმუნი ხელში ქვას აიღებდა ქოქოსის პალმის ნაყოფის გასატეხად.

**აი, ამით, ჯერ არნახული, მაგრამ უკვე ევროპაზე ორიენტირებული სასჯელაღსრულების სისტემის ყბადაღებული რეფორმით ტრაბახობდა მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი.**

ამისთვის ვიყავით განწირული ყველანი, რადგან, ჯერ ერთი, ვალისგან და ციხისგან დაზღვეული არავინაა და, მეორე, საპყრობილეებში მოთავსებული კონტინგენტი ისეთი გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, რომ **სულ მალე საქართველოს მოქალაქეთა რესურსი ამოიწურებოდა და სააკაშვილის ძალოვანი სტრუქტურები გადავიდოდნენ თუნდაც ცენტრალური აზიის ქვეყნების მოსახლეობის დაპატიმრებაზე, რომელთა წარმომადგენლები ამ მიმართულებით ნაციონალ-ბოლშევიკების მთავრობის გამოცდილების გასაზიარებლად თბილისში ჩამოდიოდნენ.**

შუა გზაზე ხომ არ გაჩერდებოდა რეფორმა?!

უნიკალურ შედეგს მივაღწიეთ: **ქვეყანა, რომელიც მსოფლიოს უგანათლებულეს სახელმწიფოთა რიგში შედიოდა, რეფორმატორი უმწიფარიძეების ხელში ისე დაკნინდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა ვაკანტურ ადგილებს წერა-კითხვის გაჭირვებით მცოდნე ადამიანებით ავსებდნენ.**

რა თქმა უნდა, კონკურსის წესით: თუ პრეტენდენტები სამჯერ უშეცდომოდ დაწერდნენ „მიშა მაგარია“-ს, გაიმარჯვებდნენ და მათ წინაშე ფართოდ გაიღებოდა საპატიმროთა საპარადო კარი.

იოლია?

როგორ გეკადრებათ! განათლების ყოფილმა მინისტრმა, წლების განმავლობაში გაეროში ჩვენმა წარმომადგენელმა კახა ლომაიამ ერთხელაც ვერ შეძლო ერთადერთი სიტყვის „ბავშვის“ უშეცდომოდ დაწერა — „ბაშვი“ გააბრწყინა სასკოლო დაფაზე.

„ისწავლეთ, გენაცვაო“.

აი, ამ ლომაიას და მისი მიყოლებით დანარჩენი მინისტრების მოხნულ-განაყოფიერებულ განათლების ყანაში ჩაგდებულმა შხამიანმა თესლმა იხარა და უძაღლო ქვეყანაში ჩექმებიან კატებს დააწყებინეს ყეფა, რომელთაც წერა-კითხვის ცოდნა პეროს ზღაპარშიც არ მოეკითხებოდათ...

ჰოდა, ნუ გაიკვირვებთ, როცა თუნდაც ერთი ახალგაზრდა ნესტან-დარეჯანს შეყვარებულებად მოიხსენიებს, ხოლო შოთა რუსთაველი რას და როგორ წერდა, „რუსთველოლოგ“ მიხეილ სააკაშვილის ინტერპრეტაციით გაიგებს და დაიჯერებს.

**გამოხრა „ლომაია-შაშკინრანკოვიჩის“ ხროვამ რაც რამ ღირებული გაგვაჩნდა: სკოლებში მანდატურების ტირანია დაამკვიდრეს, უმაღლესი განათლება ბენდუქიძე-თევზაძეს ხვაშიადის „გასასწორებლად“ ჩააბარეს, მეცნიერებათა აკადემია კლუბად აქციეს, კლუბები — ბარდაკებად, ისტორიის მამამთავრობა მასხარაშვილს მიანდეს...**

მამათმავლობა — თქვენც იცით...

და საქართველოში ისეთი სახედრები ანავარდეს, რომლებმაც არ იცოდნენ (არც უნდა სცოდნოდათ) განათლების ხურმა რა ხილია.

**P.S. ამასობაში სააკაშვილი ვის არ აბრალებდა ვიდეორგოლის, რომლითაც საქართველოს ჯიჰადი გამოუცხადეს, სოციალურ ქსელებში ატვირთვას და სამების ტაძარში ლოყაზე ჩამოგორებულ კურცხალს ისე ოსტატურად უმიზნებდა ტელეკამერების ობიექტივებს, ვითომ ქართველი ჯარისკაცები მტრის სამიზნედ თავად არ ექციოს.**

**...ხოლო „ნახევრადღია დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს, შესაძლოა, ულიმიტო ტელეფონით სარგებლობის უფლება მიეცეთ“, იგეგმება „უვადო თავისუფლებააღკვეთილთათვის სპეციალური დაწესებულების მოწყობა, რომელიც 150 უვადო პატიმრობამისჯილზე იქნება გათვლილი“.**

**ესეც საოცნებო პერსპექტივა წერა-კითხვის მცოდნეთათვის!**

გიორგი მარგველაშვილი:

# თუ ვინმეს აქვს საკამათო, რომ უნივერსიტეტს უნდა მართავდეს აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მეკამათოს

**უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, სავარაუდოდ, თსუ-ს რექტორს — ალექსანდრე კვიტაშვილსაც შეეხება, — ამის შესახებ განცხადება განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა 11 ივნისს ჟურნალისტებთან გააკეთა. მისი თქმით, პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მატარებელი.**



„დღეს შევიდა ინიციატივა პარლამენტში; რამდენიმე ჩასწორება არის კონკრეტულად უნივერისტეტის მენეჯმენტთან დაკავშირებით — როგორი იქნება ხელფასები, ფული რეალურად უნდა წავიდეს პროფესურაზე და, ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მატარებელი. ეს არანაირად კავშირში არ არის კონკრეტულ პიროვნებასთან. აკადემიური ხარისხის მატარებელი პირი უნდა აირჩიოს უნივერსიტეტმა. ვისაც არ გააჩნია აკადემიური ხარისხი, მას ეს შეეხება, მათ შორის სანდრო კვიტაშვილს, სავარაუდოდ, შეეხება. მე პირადად არ შემისწავლია და არ გამომითხოვია მისი საკითხი. ჩვენ ვაყალიბებთ ზოგად ჩარჩოს, თუ ვინმეს მსოფლიოში აქვს ამაზე საკამათო, რომ უნივერსიტეტს უნდა მართავდეს აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მეკამათოს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით ოპოზიციის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები არის პოლიტიკურად მოტივირებული. როგორც მარგველაშვილი აცხადებს, საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით არ იგეგმება რომელიმე რექტორის მოხსნა ან დანიშვნა და რექტორის არჩევა მოხდება კანონის შესაბამისად, პროფესურისა და აკადემიური საბჭოს მიერ. ამ მხრივ განათლების შესახებ კანონში ცვლილება არ იგეგმება.

## მაია ფანჯიკიძე რიგ ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გადახედვას არ გამორიცხავს

**საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რიგ ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გადახედვას არ გამორიცხავს. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, საქართველოში მიგრაციის პოლიტიკა არ არსებობდა, რამაც არაერთი გაუგებრობა წარმოშვა სხვადასხვა სახელმწიფოსთან თუ კერძო პირებთან.**

**„არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს ცვლილებების შეტანა ლიბერალურ სავიზო რეჟიმში. საქართველოს 114 ქვეყანასთან აქვს ცალმხრივად გაუქმებული სავიზო რეჟიმი, რაც საშუალებას აძლევს მსოფლიოს 114 ქვეყნის მოქალაქეს, ყოველგვარი ვიზის გარეშე ჩამოვიდეს საქართველოში და დაჰყოს 360 დღე. ამ ქვეყნებიდან ძალიან ცოტამ უპასუხა საქართველოს იმავეთი. უმეტესი ქვეყნებიდან ის რეაქციაც არ გვაქვს, რომ მათ ცნობად მიიღეს ჩვენ მიერ გაუქმებული სავიზო რეჟიმი. არც ერთი თავმოყვარე ქვეყანა ამას არ უნდა აკეთებდეს. ამ თემის განხილვა უნდა მოხდეს იმ კონტექსტში, რომელსაც ეწოდება მიგრაციის კომისიის შენარჩუნება. ამ მუშაობის ფარგლებში არ არის გამორიცხული მთელ რიგ ქვეყნებთან ეს დამოკიდებულება შევცვალოთ. არიან ქვეყნები, რომლებიდანაც არ ფიქსირდება არც ტურისტის მიმოსვლა, არც ეკონომიკური დაინტერესება და არც არაფერი. როდესაც ასეთი ვითარებაა შექმნილი მსოფლიოში, უნდა ვიზრუნოთ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე“,** — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.


## გახდომა უმადობით

რაც უნდა დაცულნი ვიყოთ სოციალურად, ქალის ცხოვრებაში არის მძიმე პერიოდები — მშობიარობა, კლიმაქსი, სტრესი და სხვ. მათთან გასამკლავებლად შინაგანი მობილიზება გვჭირდება.

სტრესის დროს კი ხშირად ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და იწყება წონაში მომატება.

**ნაყენი, რომელსაც ქალბატონი ნუნუ გვირჩევს, ფაქტობრივად, უნიკალურია, რომლის მიღების დროს მადის დაქვეითებისა და ორგანიზმის აქტიური წმენდის ხარჯზე დაიკლებთ წონაში, თან განიკურნებით მრავალი პათოლოგიისგან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღარ მოიმატებთ და შეინარჩუნებთ წონას.**

**ტელ. 599-25-11-98; 2-93-47-51**

## საუკეთესო მალამო ძვალ-სახსრების სამკურნალოდ

მაწუხებდა ხერხემლის მალის დისკოზი და კისრის მალების ოსტეოქონდროზი. ტკივილების გამო მიჭირდა მოძრაობა. კლასიკურმა მედიცინამ ვერ მიშველა. ქ-ნ ნანას მივაკითხე შვება მალე ვიგრძენი, ორი კურსის შემდეგ კი ჩივილები საერთოდ გამიქრა.

**ქ-ნი ნანა ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლ-სახსრის ართროზებს, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას.**

**ტელ. 599-54-64-81; 593-00-08-26; 290-51-89**


## განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591


საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894